



ჩვენთვის სხს ღმერთი!



საგანო ვაჭიბისა.4.1989



მტკვანი, ვახის ჯვარი,
ოხვრა ჩემი მამულის,
ტირის ვახი ოგოლი,
მცნობი ვახის მფაჟულის.
მასში დღისა და ღამის
ისახება მარადი,
სევდის და სისხარულის
საიდუმლო ბარათი.
დღეს, როს შავი დრუბელი
მშობელ მხარეს ჰყვინია,
მამრამ მოგავლის შვევა
ვის უფუს, რაოდენია?
ამღერდება სხვაგვარად
ტყვიებით დანახვრები,
მტკვანი ათას წლისა—
ქვისგან გამონაკვითი

ბალახტიონი



წმიდა ნინო



ჩვენთან არს ღმერთი!

ჯვარი ვაზისა

4

1989

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს კატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის,
ილია მეორის
ღვაწლითა და ღონეჲ-კურთხევით.

თბილისი

1989



Η ΠΟΥ
 ΤΑΥΤΙΣΣΑ
 ΤΩΝ ΙΕΝΗΘΩΝ
 Η ΕΛΕΟΥΣΑ

ΙC XC

ΟΣΤΙΝ ΕΝ ΚΛΕΙΣΤΩ
 ΕΣΤΙΝ ΠΑΧΩΜΑΙΟ
 ΚΑΡΥΝ ΑΙ ΟΥΟΣ 1988

ზესთავბრძო-
 ლისა დედოფლისა
 წვენისა ღვთისმ-
 შობელისა, მამისა
 ბალობათი შვეს-
 წირავთი შენდა,
 მონანი შენნი, რა-
 ვითუ მოსვლითა
 პატიოსანისა ხა-
 ტისა შენისათა
 მოგებვით შენ ფა-
 რად სიმტკიცისად,
 ზღუდელ უბრძოლ-
 ველად და მცვე-
 ლად მიუბრუნებ-
 ლად, არამედ, ვი-
 თარცა ბაჟს ძლი-
 ერება უბრძოლვე-
 ლი, გვიცვედ და
 დაგვიფარვედ წვენი,
 დედოფალი, ყოვე-
 ლთა ხილულთა და
 უხილავთა მტერ-
 თაგან და გვიხსენ
 წვენი ყოველთაგან
 სულერთა და ხო-
 რციელთა ჰეგა-
 თაგან, რათა გიბა-
 ლოვდეთი შენი:
 გიხაროდენ, სე-
 ხიერო მშობარო,
 საშობისა გვითა
 მორფეუნი და
 განდებულო.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია მეორის სიტყვა წარმოთქმული ბიზლიის
ტექსტის თარგმნის პრობლემებისადმი მიძღვნილ სა-
ერთაშორისო ლინგვისტურ სიმპოზიუმზე ქ. თბილისში**

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო!

გულითადად მოგესალმებით ყველას, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით, იმ ეკლესიის სახელით, რომელსაც პირველ საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა სვიმონ კანანელის ქადაგების მადლით.

საქართველო ის კურთხეული ქვეყანაა, სადაც უკვე IV საუკუნეში ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია. ამ დროიდანვე ჩვენში დაიწყო საღმრთო წერილის თარგმნა. ბიზლიის ცალკეული წიგნების თარგმნა თუ რედაქტირება ხდებოდა მონასტრებში. მონასტრები იყო არა მარტო სულიერი მოღვაწეობის საგანეები, არამედ სამეცნიერო ცენტრები. აქ ასევე ითარგმნებოდა წმიდა მამათა შრომები, მრავლდებოდა ხელნაწერები, იქმნებოდა ორიგინალური საღვთისმეტყველო ლიტერატურა.

არსებობს როგორც ახალი, ისე ძველი აღთქმის წიგნთა სხვადასხვა ძველი თარგმანები. X—XI საუკუნეებში ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვთ გაწეული ათონელ ქართველ მამებს; მათ შორის განსაკუთრებით დასაფასებელია ღვაწლი XI საუკუნის მოღვაწის გიორგი მთაწმინდელისა, რომლის მიერ შედგენილი რედაქცია ახალი აღთქმისა და ფსალმუნისა ეკლესიის მიერ კანონიკურადაა აღიარებული.

ასე რომ, ღვთის სიტყვის თარგმნას ჩვენთან ხანგრძლივი და დიდი ტრადიცია აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერი ფრიად აფასებს ბიზლიის ძველ ქართულ ტექსტს, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მისი თარგმნა, რომ ხალხის ფართო მასებისათვის გასაგები ყოფილიყო წმიდა წერილი.

თარგმანში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მეცნიერების წარმომადგენლებმა: ბატონმა ზურაბ კიკნაძემ, ბატონმა ბაჩანა ბრეგვაძემ და სხვებმა.

თანამედროვე ქართულ ენაზე ბიზლიის გამოცემისთვის ქალაქი საჩუქრად გამოგვიგზავნა ევროპის გაერთიანებულმა ბიბლიურმა საზოგადოებამ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

გაცნობებთ იმასაც, რომ ახლო მომავალში ჩვენს მიერ გამოიცემა ბიზლიის ძველქართული თარგმანიც, რომელიც დასაბუქდად მოაშუადა ქალბატონმა შუქალა შანიძემ, ამ დიდ საქმეში მას დახმარება გაუწიეს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

მინდა მოგახსენოთ, რომ თანამედროვე პირობებში ბიზლიის თარგმანზე მუშაობა ჩვენთან ახლად დაიწყო. ის, რაც გაკეთდა, პირველი ეტაპია იმ დიდი საქმიანობისა, რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. ჩვენ განზრახული გვაქვს სასულიერო აკადემიასთან შევექმნათ სამეცნიერო კომისია, რომელიც მუდმივად იმუშავებს წმიდა წერილის ტექსტის დადგენაზე.

ამიტომაც ფრიად მოხარულნი ვართ, რომ ბიზლიის თარგმნის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ლინგვისტური სიმპოზიუმი ჩვენს დედაქალაქში ტარდება. ეს საშუალებას მოგვცემს გავცნოთ თქვენს საქმიანობას და ურთიერთობა მომავალში თქვენთან უფრო გავაღრმავოთ.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, ნაწილობრივ მაინც შევძლოთ ენობრივი და ტექსტობრივი სიძნელეების ისე გადაწყვეტა, რომ თარგმნისას არცერთი მხარე არ დაზარალდეს. გავამდიდროთ ჩვენი ცოდნა, ხელი შევუწყოთ ჭეშმარიტების დადგენას, ხელი შევუწყოთ ბიზლიის ხალხთან მიტანის პროცესს.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ სიმპოზიუმის მოწყობის ინიციატორებს.

შევთხოვ უფალს, რომ თქვენი საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო მუშაობა იყოს ნაყოფიერი და ღვთივკურთხეული.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ბიხაროღენ, სახიერო მკარეო

ღვთის დიდი განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით მიმდინარე წლის 21 სექტემბერს — ღვთისმშობლის დაბადების დღეს, საბერძნეთს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ჭყონდიდელი ეპისკოპოსი გიორგი, დეკანოზი დავით შიოლაშვილი, მთავარდიაკონი ამირან ამირანაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი — წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე. დელეგაციას ეკლესიისაგან განსაკუთრებული მისია ჰქონდა დაკისრებული: საქართველოში ათონიდან უნდა ჩამოესვენებინა ივერიის ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის, ანუ როგორც მას ბერძნები უწოდებენ „პორტაიტისას“ სასწაულთმოქმედი ხატის ასლი, რომელიც ათონელმა ბერებმა შეასრულეს საქართველოს ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თხოვნით.

საქართველოში დღეს არსებული „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატები უმეტესად გასულ საუკუნეში ან ჩვენი საუკუნის დასაწყისშია შექმნილი და მხოლოდ ცალკეული ნიშნებით თუ ემსგავსება კარის ღვთისმშობელს, რომელიც ათონის მთაზეა და ოდითგან ათონის მთის მონასტრების პატრონად არის აღიარებული. ჩვენ საქართველოში გვაქვს რამდენიმე

ბრწყინვალე ხატი „ივერიის ღვთისმშობლისა“, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში დაცული ხატი, რომელმაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოახდინა არა ერთი სასწაული და რომელიც დღესაც ერთ-ერთ დიდ სიწმინდედ ითვლება ქართულ ეკლესიაში. „პორტაიტისას“ ხატის ზუსტი ასლის შექმნის სურვილს ისიც აძლიერებდა, რომ შედარებით ზუსტი ასლი ზემოაღნიშნული ხატისა რუსებმა ათონელებს მოახატენ XVI საუკუნეში და შემდგომ სახიემოდ გადაასვენეს რუსეთში, სადაც დღესაც იმყოფება და სარგებლობს რუსი მორწმუნეების უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით. აღნიშნული ხატი დღესაც ერთ-ერთ დიდ სიწმინდედაა მიჩნეული რუსულ ეკლესიაში. საქართველოში კი, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ზუსტი ასლი ჯერაც არ იყო შექმნილი. ამიტომაც დაისვა ეს საკითხი ამ ორიოდ წლის წინ, როცა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწვევით ათონელი ბერები სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოში. მაშინ მთაწმიდელმა მამებმა აღუთქვეს საქართველოს ეკლესიის მამამთავარს ხატის შექმნა და დაჰპირდნენ მის შესრულებას უახლოეს მომავალში. მას შემდეგ გავიდა ორ წელზე მეტი და ათონიდან მივიღეთ სასიხარულო

უწყება, რომ ხატი იყო მზად და შეიძლება მისი წამოსვენება საქართველოში. 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სახიემო წირვის შემდეგ, ჩვენ მოსკოვს გაემგზავრეთ, იქიდან კი რამდენიმე დღის შემდეგ გეზი საბერძნეთისაკენ ავიღეთ.

3 ოქტომბერს ჩავედით ათონის ივერონის მონასტერში, რომელიც საქართველოდან ჩასულთ ზარების გაუფრთხილებდა. ივერონი ანუ ქართველთა მონასტერი იღებდა საქართველოს შვილებს, — ეს განსაკუთრებული დღეა ამ სახანისათვის. აქ ყველამ იცის, რომ მონასტერი ქართველთა მიერაა დაარსებული (X ს.) და რომ ქართველები არიან ამ მონასტრის ქტიტორები — იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები. იციან ბერძნებმა ისიც, თუ როგორ გამოირჩეოდნენ თავის დროზე მაღალი სულიერებით ჩვენი ნეტარხსენებული წინაპრები. მათ ხომ არა მარტო ივერონის, არამედ მთელის მთის ცხოვრებაში შეიტანეს თავიანთი წვლილი.

... მონასტრის ქვის ძველი კიბის საფეხურებს მივუყვებოდი. შემთხვევით შემოგვება მონასტრის ერთი მორჩილი. მან მორიდებით დახარა თავი, შემდეგ დაიჩოქა, დახაგებულ ქვის საფეხურს სიყვარულით მოუსვა ხელი და მითხრა: „ეს ქართველების მიერაა გავთებული, თქვენია მონასტე-

რი, თქვენო“... თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, სიხარულის ცრემლი. ამან მეც ამიწუვა გული. რა კარგია, როცა სადღაც შორს, მშობელ ქვეყანას დაცილებული, შენი წინაპრების მიერ გაკვალულ გზას წააწყდები. მართალია დღეს ივერონში აღარ მოღვაწეობენ ქართველები, მაგრამ ის, რომ მონასტერი დღესაც „ივერონის“ ანუ ქართველთა მონასტრის სახელს ატარებს, არ არის შემთხვევითი. ღმერთმა ქნას და მომავალში დედა-ღვთისას მეოხებით ქართველმა ბერებმაც ადავლინონ ღოცვები მის წმიდა კედლებში.

რამდენიმე დღემ ივერონში შეუმჩნევლად გაიარა. სამჯერ შესრულდა ქართულად ლიტურდია ქართველ სასულიერო პირთა მიერ, მათ შორის კარის ღვთისმშობლის ტაძარშიც. ისმოდა ქართული საგალობლები ათონის სხვა მონასტრებშიც. შევასრულეთ სავედრებელი და სამადლობელი პარაკლისები პორტაიტისას სასწაულმოქმედი ხატის წინ, რომელიც საოცარი სითბოთი და სიყვარულით შემოგვცქეროდა იმ დღეებში. მინდა ცოტაოდენი რამ ვთქვა ამ საკვირველი ხატის ირგვლივ: ეს არის ხატთა შორის საკვირველი ხატი. მსოფლიოში არ არსებობს მისი მსგავსი. ასეთი მკაცრი და ამავე დროს საოცრად კეთილი სახის მქონე ღვთისმშობელი მნელია სადმე მოიძიო კაცმა. და მაინც, ყველაზე მეტად გვაოცებს ის, რომ ღვთისმშობლის სახე არის საოცრად სადა და ქართული, მკაცრი და მაინც ქართული...

„პორტაიტისას“ ხატის ასლი, როგორც ათონელმა ბერებმა გვითხრეს, ჩვენს ჩასვლამდე ორმოცი დღის განმავლობაში ყოფილა მიდგმული ძველ ხატთან, რათა მისგან მიეღო ის საკვირველი მადლი



და ნიჭი, რითაც იგი ასე უხვად დაჯილდოებული. ხატის კურთხევაც შესრულდა კარის ღვთისმშობლის ტაძარში: დედა ხატი აკურთხევდა თავის ასლს და უხილავად გადასცემდა ლოცვა-კურთხევას თავისი წილხვედრი ქვეყნისათვის — საქართველოსათვის. ჩვენ ყველამ ახალ ხატს, როგორც თვით დედანს, ვეცით თაყვანი. ყველანი საკვირველ მადლსა ვგრძნობდით. ეს იყო ჭკემარიტად ბედნიერი წუთები. ამის შემდგომ, ახალი ხატი მოთავსდა საგანგებოდ ბუდეში, რითაც იგი, წამოსვენდა საქართველოში, დღეს ეს დიდი სიწმინდე უკვე სიონის საპატრიარქო ტაძარშია დასვენებული და იქიდან აღაუვლენს ლოცვებს ჩვენი ერისა და წმიდა კელესისათვის.

ურიგო არ იქნება გახსენება იმ კურთხეული დღისა, როცა მოციქულებმა იყარეს კენჭი, თუ ვინ

სად უნდა წასულიყო ღვთის სიტყვის საქადაგებლად. აი მაშინ საქართველოში სახარების ქადაგება წილად ხვდა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, რომელიც კიდევ აპირებდა გამომგზავრებას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ რადგან მოახლოებული იყო მისი მიძინება-გარდაცვალება, უფალმა აუწყა მას არ განშორებოდა იერუსალიმს. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა გადასცა თავისი ხატი ქრისტეს პირველ მოციქულს — ანდრიას და დაავალა ექადაგა ღვთის სიტყვა ქართველთა შორის. მოციქულმა ანდრიამ პირველმა ჩამოაბრძანა საქართველოში ყოვლად-წმიდას ხატი და მასთან ერთად დედობრივი ლოცვა-კურთხევა მისი. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის საფარველის ქვეშ იქნებოდა მარად საქართველო და კლესია ქართული.

დღეს კვლავ ინება კურთხეულმა დედუფალმა ჩვენთვის თავისი წმიდა ხატი. ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. პირველ საუკუნეში, როცა წმიდა მოციქულ ანდრიას გადაეცა ხატი, წყდებოდა ქართველთა მომავალი: ან უნდა აერჩიათ ქართველებს ქრისტეს გზა, ან არა და საშუალოდ დარჩენილიყვნენ წარმართობის სიბნელეში. დღესაც ჩვენი ხალხი არჩევანის წინაშეა დამდგარი: ან უნდა ამაღლდეს სულიერად, ან არა და უნდა გადაეშვას ამოების დამღუპველ ორომტრიალში. დღეს ისევე სჭირდება ჩვენს ხალხს ყოვლად-წმიდას მეოხება, როგორც უწინ, და ვინ იცის, იქნებ უმეტესადაც... აი ამიტომ მობრძანდა ხატი ივერიის ღვთისმშობლისა საქართველოში. კეთილი იყოს მობრძანება მისი. ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელმა დალოცოს და დაიფაროს ჩვენი ქვეყანა საქართველო აწ და მარადის.

უპალოვდით უპალსა ბალობითა ახლითა

თავად ჩაწივას

ქათა ყუყუნი

The musical score consists of three staves. The top staff is the vocal line, the middle is the piano accompaniment, and the bottom is the basso continuo line. The lyrics are written below the notes.

Lyrics:
 ა - თა მ - ზი წა - ნა ა - რი მ - უ მ - უ ყო - ვარ მ - ა ა - მ - ბი ი - ლს - თა
 წა - თა მ - უ ა - რი წა - ნა ა - რი მ - უ მ - უ ა - რი მ - უ მ - უ ა - რი
 ა მ - უ მ - უ ა მ - უ მ - უ ა მ - უ მ - უ ა

ივერიის ღვთისმშობლის ხატიდან პირონი მოედინება

(საუბარი ღვთის მონა იოსებ მუნიხთან)

— შეგიძლიათ ჩვენი ყურნალის მკითხველებს მოუთხროთ ისტორია პირონიდან ხატისა, რომელიც ჩამოაბრძანეთ ჩვენთან წმ. სამების მონასტერში?

— დიახ. თითქმის ერთი წლის წინათ სამნი, მე და ჩემი ორი მეგობარი, გავემგზავრეთ კანადიდან ათონის მთაზე ერთ მცირე სენაკში დაეტოვე ჩემი ერთი თანამგზავრი, რომელმაც ბერული ცხოვრება გადაწყვიტა. მეორე მეგობართან ერთად, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული, დავათვალიერეთ ათონის ყველაზე მეტად ცნობილი მონასტრები. ძალიან მინდოდა მენახა სენაკი დანილევებისა; გავიხილი მქონდა, რომ იქ იყო სკოლა, სადაც ძველი ტრადიციის მიხედვით წერდნენ ხატებს. ჩვენ ნაოთ გავცურეთ კაპსოკალივიის სენაკამდე. აქ გავათიეთ დამე და შემდეგ ფეხით გავუშურეთ დანილევების სენაკის საბუნებრივად. მ საათის განმავლობაში შეუხვეწებელი მივიდიოთ მთებზე, მაგრამ სენაკი არსად ჩანდა; ძლიერ დავიღალეთ, მე უკვე აღარ შემიძლო სიარული. საშინლად მტკიოდა ფეხები. „მეტი აღარ შემიძლია... დაგრჩეთ აქ“, ვუთხარი თანამგზავრს. ჩვენ მალაღ მთაზე ვიყავით. ქვევით ჩავიხედეთ, მცირე სენაკი დავინახეთ. მაშინვე მისკენ გავუშურეთ. სენაკი ქრისტეს შობის სახელობისა აღმოჩნდა. გულთბილად მივიღო სენაკის წინამძღვარმა, ჩაით და რაქით-ლუქუშით გავვიმასპინძლა. სახლში ხატმწერთა სახელოსნოში მე დავინახე ყოვლადწმიდა ქალწულის ეს ხატი. ვერასდროს ავხსნი იმას, რაც ამ ხატის დანახვისას განვიცადე. უთუოდ მკერდში გული გადამიბრუნდა. ძლიერ, ძლიერ მივეჯახე ხატს, არ მინდოდა მოეშორებოდი; ბერებს ვთხოვე, მომეიდეთ-მეთქი, მაგრამ მათ უარი მითხრეს. ეს ხატი აღმოჩნდა მათი პირველი ნამუშევარი ამ სენაკში და ამიტომ არ შეიძლებოდა მისი გაუფლება. მე მაინც დიდხანს, ძალიან დიდხანს და დავინებოთ ვთხოვედი, ვხევეწებოდი... ბოლოს შევწვევტე თხოვნა. ბერებმა მითხრეს, შეგვიძლია ამ ხატის ასლი გადავიღოთ და გამოვიგზავნოთ,

მაგრამ მე უარი ვუთხარი;—სხვა არ მინდოდა; სწორედ ამ ხატის მიმართ ვგრძობდი რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულს. ბევრი მუდარისა და ხეყნის შემდეგ, როცა ჩემი მეგობარი ამ თხოვნის თარგმნით დაიღალა, ხოლო მე მისი შექმნის იმედი გადამიწყვდა, დავემორჩილე ბედს. დამით ლიტურჯიანზე წავიქედი. „ღირს არს“-ის გალობის დროს პირქვე დავეხვე და გულმხურვალედ ვილოცე: „ყოვლადწმიდაო ქალწულო! — შევღალადე ღვთისმშობელს, — უკვე გავაკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემეძლო აღამიანურად; მე მათ შევთავაზე ფული, დიდხანს ვეხვეწე იღუმენსაც... მაგრამ... ო, ღვთისმშობელო, წამოდი ჩვენთან, ამერიკაში, ჩვენ გვიჭირს უშენოდ“. რაღაც სულიერი სიმშვიდე ვიგრძენი ღვთისმშობლის შემდეგ, თითქმის იმედი მომეცა, რომ ყოვლადწმიდა ქალწული წამობრძანდებოდა. დამთავრდა ლიტურჯია და ჩვენ სასაუბროდ წავვედით. საუხმის შემდეგ დავეჩვენეთ ვასამგზავრებლად მზადება. ყველას გამოეკმშვიდებოდა, წინამძღვარი კი არსად ჩანდა. როცა უკვე სენაკიდან გამოვედი და ნაპირისაკენ დაშვებას ვაპირებდი, გამოჩნდა წინამძღვარი, ხელში ქალაქში გახვეული ხატი ეჭირა. „ყოვლადწმიდა ქალწულს სურს თქვენთან ერთად წამოვიდეს ამერიკაში“, — მითხრა მან და ხატი გამომიწოდა. ეს მოხდა ჩვენი გამგზავრების უკანასკნელ წამს და გავოცნდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა სენაკიდან გამოვიდი, არ ვნაღვლობდი, რომ ვტოვებდი იმ ადგილს, სადაც ჩემი საყვარელი ხატი იმყოფებოდა. სიტყვებით არ შემიძლია ჩემი განცდების გადმოცემა... მაგრამ არ ვგრძობოდი უიმედობას.

იღუმენს ფული შევთავაზე, მაგრამ მან არ მიიღო. „სიწმიდე ფულით არ იყიდება“, მოკლედ მომიტრა მან. მე მაინც ვერ ვისვენებდი, მინდოდა რამითი გადამეხადა სამაგიერო, მივინდოდა ფული შემიწირა სენაკისათვის, იგი ხომ ძალიან დარიბული იყო. წინამძღვარმა გადაჭრით უარყო ყოველივე. არანაირი სამაგიერო არ მიიღო ჩვე-

ნგან.

— ვინაა წინამძღვარი ამ სენაკისა?
— მამა კლიმენტე
— ვის მიერაა დაწერილი ხატი?
— მამა ქრისტოპოლის მიერ. ეს სენაკი მეტად მკაცრ მონასტრულ წესებს ემორჩილება. მონაზვნები ხატზე მუშაობის დროს მარხულობენ, იკითხება დავითნი.
— რამდენი მონაზონია იქ ამჟამად?
— შარშან ჩვენი სტუმრობისას სენაკში, 14 მონაზონი მოღვაწეობდა.
— დაუბრუნდეთ ხატის ამბავს.
— იმის შემდეგ, რაც იღუმენისაგან საჩუქარი მივიღე, გადავწვიტე, სასწრაფოდ გავმგზავრებულყავი. „ჩქარა დავეშვათ და გავემგზავროთ, სანამ არ გადაუფიქრებიათ“, — ვუთხარი მეგობარს. ნავში ჩავსხედით და გავცურეთ. მე მაინც ვერ ვისვენებდი. „წადი ივერიის მონასტერში და შენი ივერიის ღვთისმშობლის ხატი დააბრძანე ამ მონასტერში მყოფ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ და ცნობილ ხატთან“, — ჩამძახოდა ძლიერი შინაგანი ხმა... და არ შემიძლო არ დაემორჩილებოდი მას. და გავემართეთ ივერიის მონასტრისაკენ. არც თუ ისე დიდი სიხარულით შეგვხვდა აქ ერთი ბერი. „დაიცადეთ, ჯერ არ გაუღიოთ ტაძარი, რომელშიც ივერიის ღვთისმშობლის ხატი იმყოფება“, — გვითხრა მან. 3 საათის განმავლობაში ვიდექით ტაძრის წინ და ველოდებოდი. ბოლოს, მივიდა მეორე ბერი და გავილო კარები. ჩვენ მას აუხსენით მისვლის მიზანი და ვთხოვეთ, ნება დაერთო, რათა ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან დაგვებრძანებინა ჩვენი ხატი. იგი გაოცდა და გვიითხა: „რატომ ბკეთებთ ამას?“ „გვინდა ჩვენი ხატი ვაკურთხოთ, — ვუთხარი მე, — იგი ამერიკაში უნდა წავაბრძანოთ; კურთხეული ხატი ესაჭიროება ჩვენს ხალხს, დახსნა ესაჭიროება აღამიანებს, რომელ-

ნიც ხატანას ჰყავს შეპყრობილი".
ბერი ლავტანხმდა.

ჩვენ გაუბაკეთეთ ისე, როგორც უფ-
ლის ნება იყო და მალე გამოვემგზავ-
რეთ იქედან: წმიდა მთიდან მე პირვე-
ლად ესპანეთში წავიდი და ერთი კვი-
რა დედანემის სახლში გავატარე. ამ
დროის განმავლობაში ხატი სრული-
ად შშრალი იყო და სინოტივის არა-
ერთიანი ნიშანი არ ეტყობოდა.

— თქვენ ესპანეთიდან ხართ?

— არა. ჩემი მშობლები არიან ეს-
პანეთიდან. დედანემი ამჟამად მად-
რიდში ცხოვრობს. დედამ და მამამც
ესპანელები არიან... მაგრამ მე ჩილე-
ში დავიბადე.

— მაგრამ თქვენ ამჟამად ხომ კანა-
დაში ცხოვრობთ?

— დიახ.

— მშაბრეთ, რომ შეგაწვევტინეთ;
გაბრძელებთ თუ შეიძლება, ისეც ხა-
ტის შესახებ.

— ესპანეთიდან დაბრუნდი კანა-
დაში, ვიყოლე კანელი ხატისათვის
და მოუთხოვე იგი კიევ-პეტროს ღვ-
რის ზოგიერთ წმიდა ნაწილებს შო-
რის, რომელიც მომცა ჩილეშია მეუ-
ფემ ლეონტიმ ჩემი ჩილეში ყოფნის
დროს. აქ იყო ფოტოგრაფია — ხატი
წმიდა ღირსმოწამისა, თავადის ასულ
ელისაბედისა. გავიდა სამი კვირა. ამ
ხნის განმავლობაში ყოველ ღამე
დაუჯდომელს ვუკითხავდი ყოვლად-
წმიდა ქალწულს... და აი, ერთხელ,
დაახლოებით დღის 4 საათზე გამო-
მედიდა და ვიგრძენი, რომ ჩემი ოთა-
ხი საოცარ კეთილსურნელებას აფრ-
ქვევდა. არა მარტო ჩემი ოთახი, მთე-
ლი სახლი ამ კეთილსურნელებით
იყო სავსე.

— ესე იგი, გავიდა მხოლოდ სამი
კვირა, რაც თქვენ ათონიდან დაბრუნ-
დით და დაიწყო სასწაული მირონ-
დენისა?

— დიახ ... სამი კვირა. ჩემს სახლ-
ში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა
კაცი და მას ვკითხუ: „შენ ხომ არ
გავიტყნია სუნამოს ფლაკონი... რა-
ღაც საოცარ სურნელებას ვგრძნობ“.
„არა, არა!“ — მიპასუხა მან. „მაშინ ეს
კეთილსურნელება წმინდანთა წმინდა
ნაწილებს აქვთ“ — ვთქვი სრულიად
დარწმუნებულმა, რომ კეთილსურნე-
ლება მათგან მოდიოდა. მეორე დი-
ლით, როცა ლოცვისათვის მოვეშზა-
დე, შევხედე ხატს. ლეთისმშობლის
ხელებიდან ნაკადი მოედინებოდა და
ხატის ქვევით წვეთავდა. ალბათ კან-

დელის ანთებისას ემწვივებოდა ვერ
გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე
და ხეთი გადმოესხა ხატს-მეთქი გა-
ვიფიქრე და გვაფრთხილე კიდევ —
უფრო ფრთხილად აენტო კანდელი.
„მე არ ამინთია კანდელი დღეს; — მით-
ხრა მან. ხატს მიეუბნოლოვდი და შე-
ვაშშრალე. ვიგრძენი, რომ კეთილ-
სურნელება ხატიდან მოდიოდა. ეს
ისეთი საოცრება იყო, რომ ვერ ვი-
ჯერებდი. ვაფუვლიერებდი, მაგრამ
ვერაფერს ვგებულობდი; ვგრძნობდი
შინაგანად, რომ თუცა ეს ყოველივე
ახლა ჩემთვის გაურკვეველი იყო, მაგ-
რამ ხედავოდა რაღაც განსაკუთრებუ-
ლი... დიდი სასწაული.“

მალე ჩვენთან მოვიდა მღვდელ-
მონაზონი ირინეოსი და მითხრა, რომ
ხატი წამებრძანებინა კელესიაში. შე-
ვასრულე მისი რწვა. ტაძრის საკურ-
თხვევლში დაგებრძანეთ ხატი და
ირინეოსმა ერთხელ კიდევ აკურთხა
იგი. ხატი ნაკურთხი იყო შვევი იე-
რის მონასტერში. ლიტურდიის
დროს ყრმა იესოს ხელებიდან ნა-
კადულად მოედინებოდა მირონი. გა-
ვიდა ამის შემდეგ ორი კვირა. ირი-
ნეოსის გარდა ხატის შესახებ არაფერ
არაფერი იცოდა. „საჭიროა შევატყო-
ბინოთ მონრეალისა და კანადის მეუფე
ვიტალის“, მირჩია ირინეოსმა. „დღე-
მდე არ ვიცი, რა ხდება, რა ემარ-
თება ხატს“, ვუთხარი მე. იგი ვიყავი
გაოგნებული ამ საოცარი ამბით, რომ
არაფერზე არ შემეძლო ფიქრი, გონს
ვერ მოვიდიდი... ხატიდან კი მირო-
ნი დენას განაგრძობდა. ბოლოს, გა-
დავწვევით, ვეპლაფერე მეუფე ვი-
ტალისათვის ვკვთქვა.

ერთ კვირა დღეს, როცა ირინეოსი
მონრეალის მონასტერში ლეთისმშა-
ხურების ჩასატარებლად მიდიოდა,
მეც თან გავყვე ხატი. „თუ მეუფემ
დღეს უნდა იხილოს ეს ხატი, მაშინ
ყოველგვარი მოწვევის გარეშე მოვა
იგი ტაძარში“ ვუთხარი ირინეოსს.
საერთოდ, მეუფე პირველად ყოველ-
თვის კელესიაში შემოდიოდა და შემ-
დე მიდიოდა საკათედრო ტაძარში,
მაგრამ ამ დღეს იგი არ მოსულა სა-
ერთოდ. „დავიცადოთ კიდევ ერთი
კვირა და მერე შევატყობინოთ ხატის
შესახებ“, მითხრა ირინეოსმა. მეუ-
ფემ მალე გაიგო ეს ამბავი და მონას-
ტერში მოვიწვია. ჩვენ შევასრულეთ
მისი სურვილი, მივედით მასთან მო-
ნასტერში და თან ქსოვილში გახვეუ-
ლი ხატი მივიტანეთ. ქსოვილი მი-

რონით გაიფინთა. მეუფემ პირველ
ყოფლისა აილო ბაბა და ხატი შეამ-
შრალა, შემდეგ კი აილო ხატი და
მონასტრის მთელი შენობა შემოატა-
რა; როცა ტაძარში დაბრუნდა, ხატი
მირონი იყო დაცვარული. მეუფემ
თაყვანი სცა მას და ბრძანა, რომ დი-
დი სასწაული ხდებოდა. ამ დღიდან არ
შეწყვეტილა მირონის დენა. მხოლოდ
ერთხელ, ამა წლის დენის კვირის
საშაბათს, ხატი სრულიად შშრალი
იყო; მირონი არ წამოსულა მისგან.
ვიფიქრე, რომ სასწაული დამთავრდა.
ამოვიღე ხატი სახატეიდან, რადგან ჩე-
მი ოთახი მცირეა, სახატე კი მეტად
დიდი და დაკვიდე იგი კედელზე. სა-
შაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პა-
რასკევს და შაბათ დილას ხატი კვლავ
შშრალი იყო. მირონი საერთოდ არ
მოწყვეთავდა.

დიდ შაბათს, როცა ლოცვიდან დაგე-
რუნდი, კვლავ ვიხილე სასწაული. მაგია,
რომელიც კედელთან, ხატის ქვეშ იდგა,
მთლიანად მირონით იყო დასველებული.
ოქროსფერი მირონი წვეთავდა ხატიდან.

— იყო თუ არა შემთხვევა, როცა რომე-
ლიმე დღე ხატიდან გამოდინარე მირონის
სიუხვით გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან?

— დიახ. იყო ასეთი შემთხვევა: ერ-
თხელ, მონრეალში, ეპისკოპოსის კურ-
თხვისას მირონი პირდაპირ იატაკზე წვე-
თავდა, მეორედ ფლორიდის ს-პეტერბურ-
გში. მირონი ამ დღეებში უხვად მოედი-
ნებოდა ლეთისმშობლისა და ყრმა იესოს
ხელებიდან, თითქმის უხილავი ძალა მო-
ქმედებდა და გამოსწრაფდა მას ხატიდან.

— ხატის რომელი ნაწილებიდან წვე-
თავს უფრო მეტად მირონი?

— ყოველთვის ერთი და იმავე ადგი-
ლებიდან, ლეთისმშობლის ხელებიდან და
იმ ვარსკვლავიდან წვეთავს მირონი, რომე-
ლიც ყოვლადწმიდა ქალწულის მარცხენა
შარზეა. ხანდახან მირონი მოწყვეთავს
ყრმა იესოს ხელებიდანაც. უნდა აღინიშ-
ნოს, რომ საერთოდ მირონი წვეთავს ღვ-
თისმშობლისა და ყრმა იესოს ხელებიდან
და არ შეიძინება ხატის მეორე მხარეს.
ხატის უკანა მხარე შშრალია. არ სჯერათ
ზოგიერთებს ამ სასწაულისა; ამბობენ,
რომ ჩვენ თვითონ ვასხამთ ხატს ზეთს.
აი, რას ამბობს ასეთი ურწმუნოების გა-
საგონად აუსტრალიისა და ახალი ზელან-
დიის მეუფე ბავლე: „როცა ღმერთი ჩვენ
ასეთ სასწაულებს გვგზავნის, ვშაქვი სა-
შინლად ბრახდება და ეკვებსა და ურ-
წმუნობას უნერავს ადამიანებს ამ სას-
წაულების მიმართ“.

— ხომ არ შეგხვედრიათ რომელიმე

სწავლული და ხომ არ გამოუთქვამს მას თავისი შეხედულება ამ სასწაულის შესახებ?

— დიახ. მხედველობიდან სწავლულნი, რომელნიც აკვირდებოდნენ ამ მოვლენას. ვიცნობ ერთ ქრისტიან სწავლულს, რომელმაც დიდი ყურადღებით დაათვალიერა ხატი ყოველი მხრიდან და ბოლოს განაცხადა, რომ სრულდება მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი საოცრება. „საიდან,“ — კითხულობდა იგი — საიდან მოედინება ეს ხეივანი? მეტად მოკრძალებული იყო მისი დამოკიდებულება ხატის მიმართ. თავდაპირველად ხელის შეხებაც ვერ გაბედა, ეშინოდა რაიმეით არ ეცდუნებინა ხალხი. „დაათვალიერეთ, დაათვალიერეთ ხატი ისე, როგორც თქვენ გნებავთ, — მივმართე მე—დაათვალიერეთ... მხოლოდ ერთი პირობით, არ შეუბარებოთ ღვთისმშობელი.“

პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ გადააბრუნა ხატი და გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ დარწმუნდა, რომ ხატის ეს ნაწილი მშრალი იყო, ე.ი. მირონი აქვლან არ მოდიოდა. „რატომ სასწაული ხდება?“ — კვლავ გაიმეორა მან.

ხატის ზედა ნაწილიდან ჯერ კიდევ ადრე ხის პატარა ნაჭერი აიღეს გამოსაკვლევად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი გადმოწერილია ჩვეულებრივ ნაძვის ხესზე და მირონი მოედინება არა ამ ხიდან, არამედ ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ხელებიდან.

— რა ზომისაა ხატი?

— ხუსტად ვერ გეტყვით, ჩემი ფიქრით 45—25-ზე.

— თქვენ ეწვეით ხატწერას?

— დიახ. მე მოწიფე ვიყავი ხატწერ ნიკოლოზ შეპილოვისა, რომელიც ადრე ბულგარეთსა და გერმანიაში მოღვაწეობდა. მე მასთან ვმუშაობდი; ხელოვნების დარგშიც მაქვს სწავლულის ხარისხი. რვა წლის განმავლობაში ჩილეში ვასწავლიდი ამ საგანს.

— რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ოცდაათხუთმეტი.

— რას ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც თქვენ ამოირჩიათ უფალმა ამ სასწაული სათვის? მაპატიეთ, მაგრამ მე გავცეული მაქვს, რომ თქვენ მოგმართავენ ამ შვეითებით.

— — მე დაბნეული ვარ იმიტომ, რომ კარგად ვიცი ყოველი ჩემი ნაკლი და თუ ღმერთმა ამოირჩია, ეს უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის, ღვთის უდიდესი წყალობა გადმოღის ჩემზე. ვფიქრობ, ღმერთმა ეს ჩემს რწმუნებაში განსამტკიცებლად გამომიგზავნა.

— მაპატიეთ, გავწყვეტინებთ ... თქვენ ბავშობიდანვე ხართ მართლმადიდებელი?

— არა, მე დავიბადე ძალიან რელიგიურ კათოლიკურ ოჯახში, — თითხმეტი წლის ვიყავი, როცა გავიცანი მეუფე ლეონტი.

— და მან თქვენ მოგნათლათ?

— დიახ.

— გააგრძელებთ შეწყვეტილი პასუხი.

— როგორც ვთქვი, მე ვიცი ჩემი ნაკლი და ვაღიარებ ჩემს არარაობას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ღმერთი მაინც გამოიყენებს რაიმეში. უფლის ძალა ხშირად ყველაზე უძლურსა და უანასკნელში მუდგანდება. მე ერთ-ერთი, ყველაზე უძლური და უანასკნელი ვარ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ერთხელ უკვე მომიწოდა ღმერთმა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ, მომაქცია; ახლა კი თავისი უდიდესი წყალობით მეორედ ამირჩია. უფალმა დამაჯილდოვა, მომცა მადლი, რომ თავი ვიგრძნო არარაობად; ყოველდღიურად თანდათან ძლიერდება ამის შეგრძნება ჩემში. მე მხოლოდ იარაღი, ცოდვილი და არაწმიდა იარაღი ვარ უფლის ხელში. „რატომ მაინცდამაინც შენ ავირჩია ღმერთმა?“ მეკითხებოდა სხვებზეც. ვპასუხობ: მე ყოველთვის ვლოცულობდი ყოველდღიურად ქალწულის მიმართ, არასდროს მითხოვია მისთვის სასწაულები, არასდროს შევედრებოდი მას, რომ რაიმე ნიშით დავტოვებინა ჩემთვის თავისი არსებობა. მე მჭამს ღვთისმშობლისა, თავჯანს ვცემ უფლის დედას. ასე მასწავლიდა დედა, სიყრმიდანვე მან შემაჯვარა ღვთისმშობელი. მჭამს, რომ ყოველდღიურად ქალწული თავის მადლს და ძალას ამუღავნებო იქ, სადაც თვითონ სურს, მიღის იქ, სადაც თვითონ ნებას და მიღის მაშინ, როცა თვითონ სურს.

— სად იმეგზავრებთ ხატით?

პირველად ვიმეგზავრე ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში, ვიქტორ პოტაპოვის მოწვევით. იგი მეტად განცვიფრებული იყო ამ სასწაულით. ჩემი ყურადღება მოგზაურობის დროს ყველაზე მეტად მიიქცია იმან, რომ ღვთისმშობელი განსაკუთრებით ეხება ადამიანის სულის სიღრმეს. რომელ ეკლესიაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ ხატი... რამდენი აღმსარებელია... რამდენი მაზიარებელი!...

ერთი წერელი მივიღე ა. სოლჟენიცინისგან.

— ხატის შესახებ გვერთ რამეს?

— დიახ. ვიქტორ პოტაპოვმა გაგზავნა მის ხატის ფოტოგრაფია და მირონით გაუფლანდილი ბამბა. „ყოველდღიურად ღვთისმშობლის ეს ხატი, — შერს სოლჟენიცინი, — არაა ხორციელი წყალობის განმკურნავი, ე.ი. იგი არაა ის ხატი, რომე-

ლიც კურნავს ავადმყოფ სხეულს; ავადმყოფი სხეულის განმკურნავია ეს ხატი და აქ, ამერიკაში, ადამიანს სხეულზე მეტად სული ტკივა. სულს კურნავს, სულის ტკივოს კურნავს ღვთისმშობლის ხატი“.

მან უკვე მოახდინა ბევრის ასეთი განკურნება.

— უკვე გითხარით, რომ ზოგიერთი მორწმუნე მეუბნება: „როცა ყოველდღიურად ღვთისმშობელი ტაძარში მობრძანდება და ჩვენ მის წინ დამხობილი ვლოცულობთ, ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს მიწვევისაგან ვთავისუფლებით და ზეცაში ვიმყოფებით ყოველდღიურად ქალწულთან. სხვათა შორის, გუშინ ჩვენთან იობ პოჩაეკელის პატრიარქმა ჩატარდა საღვთისაწაულო ზეიმი, მაგრამ შეუძლებელია მიმდინარეობდა; მთელი ჩვენი ყურადღება ღვთისმშობლის ხატისაკენ იყო მიმპრობილი.“

— ვფიქრობ დიხსი იობი არ იქნება ნაწილი იმაზე, რომ მის პატრიარქმა გამოართულა ზეიმი მერვე პლანზე გადამინაცვლა. მეც ზუსტად ასეთი შეგრძნება დამეუფლა, და არა მარტო მე, ყველას, ვინც ტაძარში ყოველდღიურად ღვთისმშობლის წინაშე ვლოცულობდა, არავინ და არაფერი არ ახსოვდა; მათი აზრი, გული, გონება და ფიქრი მხოლოდ ყოველდღიურად ქალწულისაკენ იყო მიმპრობილი.

ხშირად ვამჩნევ, რომ ხატის წინ მლოცველნი ტირიან. შევეკითხე რამდენიმე მათგანს, „თქვენ ტირით-მთქვი? დიახო“, — მიპასუხეს, „მადლიერების ცრემლებია ეს, ვტირით, რომ ასე ცოდვილი, ასე უწმინდურთ, ღვთისმშობელი მაინც არ გვეტოვებს და გვეზავანის თავის მადლს“. მინდა ერთი ამბავი გაიგებოთ: რამდენიმე ხნის წინათ ლოს-ანჯელესში ვიმყოფებოდი. იქ გავიცანი ერთი ქალი, რომელსაც შეილი საავტომობილო კატასტროფაში დაღუპოდა. სასწრაფო ვიქციე იყო დედა. იგი აგროვებდა ექიმის მოცემულ დამამშვიდებელ წამლებს, რათა ერთად დაეღია და წასულიყო ამ ქვეყნიდან; არ სურდა, არ შეეძლო ცხოვრება... მაგრამ არ დატოვა იგი ღვთისმშობელმა უნუკემოდ. როცა ქალმა გაიგო, რომ ტაძარში ღვთისმშობლის მირონდინარე ხატი უნდა მობრძანებულიყო, გადაწყვიტა მის სანახავად წასვლა. იხილა ეს საოცრება გამწარებულმა და სასწრაფო ვიქციე დედამ და საოცარი, დამამშვიდებელი შეგრძნება დაეუფლა; მაშინვე ცოდვების მოსანანიებლად მიიბრინა მოძღვართან და ყოველივე აღიარა: თავის მოკვება მინდოდა იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ღმერთი არ

იყო ჩვენთან, რომ ღმერთმა დაგვტოვა, დაგვტოვა ღმერთისმშობელმა, მაგრამ ახლა ვუბრუნებ, რომ იგი ჩვენთანაა, ჩვენს ტაძარში“.

კიდევ ერთი რამ მინდა გიამბოთ, ერთ-მა კაცმა მითხრა, რომ მან გასული წლის ოქტომბრის თვის მოსკოვის საპატრიარქო ჟურნალში წაიკითხა სტატია, რომელშიც იწერებოდა: „ჩვენი რუსული მართლმადიდებლური საზღვარგარეთული ეკლესია მკვდარია იმიტომ, რომ მასში არ ხდება სასწაულები“. ოქტომბრის თვის ჟურნალში დაიბეჭდა ეს სტატია, ხოლო ნოემბერში დაიწყო სასწაულო. ვფიქრობ, ამ სასწაულმა საწინააღმდეგო დაამტკიცა, გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენი საზღვარგარეთული ეკლესია. თვით ჩემს შესახებ მინდა გიამბოთ.

იმის შემდეგ, რაც ჩილე დავტოვე, ჩემი რწმენა თითქოს თანდათან გაცვივდა... მაგრამ აი, მოხდა ეს სასწაული. უდიდესი გავლენა იქონია მან ჩემზე, კვლავ ადორმინა ჩემი რწმენა. სასწაული მეტეკელებს იმაზე, რომ ღმერთი ჩვენთანაა, რომ ეკლესია ცოცხალია; თვით უფალი გეოგრაფიკის ასეთ საოცარ ნიშებს. ვკითხები ხოლმე თავს, რატომ არ მოხდა ეს სასწაული საბერძნეთში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში, სადაც ადამიანები უძველესი დროიდან ღოცდებოდნენ და რატომ მაინცადამაინც ამერიკაში დაიწყო მირონმა დენა?

— მეუფე ვიტალი და სხვებიც მეუბნებიან, რომ ეს ხატი მოკვთუნება გერმანულად მგზავრ, გზის მანქანებზე ხატებს. ტექსტების გზის მანქანებზელია იგი. კეთილსურნელოვან მირონს აგრძელებს ყოვლადწმიდა ღმერთისმშობლის ხატი, კეთილსურნელოვანი მირონით გვიზიდავს თავისკენ, რათა ვიართო მის მიერ მითითებული გზით. ვფიქრობ, ეს ასეა და რომ ეს მომხდარი საოცრების კარგი ახსნაა. შევაძინე, ხატი იზიდავს ყველას და ათასში ერთს თუ ალექსანდრე უკრაინის სასწაულზე. მოდიან ადამიანები, მოდიან ღმერთისმშობლის გრძნობით, მოწიწებით თავგანს სცემენ ხატს, ზოგს მართლმშეხვედვა სურს... არ სჯერა მისი სასწაულისა, მაგრამ საკმარისია ერთი თვალის შეხედვა... და მის სულში უცნაური ცვლილება ხდება. მე მინდა შეგვიჩვენოთ ცვლილება ის შემთხვევა, რაც ამ სასწაულმოქმედი ხატის მიერ იქნა მომხდარი.

— და უკვე მოხდა განკურნება ხატის მიერ?

- დიახ.
- შეგიძლიათ გვიამბოთ თუნდაც რამდენიმე ასეთი მოვლენის შესახებ?
- ვაშინგტონში სრულიად განიკურნა

ერთი დამბლადაცემული ყმაწვილი. მეორე შემთხვევა მოხდა მონრეალში. ბატონი სიდორი კიბოთი იყო დაავადებული, ღოვინად ჩავარდნილს უკვე განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ჩვენ მიუვდით მასთან საავადმყოფოში, ვილოცეთ და წავიკითხეთ და უჯდომელი ყოვლადწმიდა ქალწულისა. ძლიერი გავლენა მოახდინა სასწაულმა მასზე. მომდევნო დღეებში მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და მალე გამოვიდა საავადმყოფოდან სრულიად განკურნებული. ერთხელ მინდა გიამბოთ. ერთმა ქალმა, რომელსაც ძალიან მძიმე ფორმის ფილტვების ანთება ჰქონდა, დიდ მარხვაში გადაწყვიტა ენახა ყოვლადწმიდა ღმერთისმშობლის ხატი და ელოცა მის წინაშე, წაკითხა დაუჯდომელი. მკურნალმა ექიმმა გააფრთხილა ქალი, არ გამოსულიყო შინიდან, არ გაერთულებინა ავადმყოფობა. სხეულს ქალწულის იმედი ჰქონდა. იგი წავიდა და შინ სრულიად გაჯანსაღებული დაბრუნდა.

ყოვლადწმიდა ღმერთისმშობლის ხატს შვედობაც მოაქვს. ჩვენ ხატით მიუვდით ერთ-ერთ მრევლში, სადაც დიდი უთანხმოება და არეულობა სუვევდა. როგორც კი სასწაულმოქმედი ხატი იხილეს, მაშინვე დაავიწყდათ ყოველგვარი უთანხმოება და იქ სრული შვედობა დამყარდა. როგორც მწერენ, ასე გრძელდება დღემდე. — შევაძინე, რომ აქ, ჩვენს მონასტერში, ხალხი ვერ შორდება ხატს, შიშობის გრძნობაც კი დავიწყებული აქვთ.

— დიახ. ხალხი გვიან საღამომდე ტაძარშია. ღვთისმშობლის ღირსების შემდეგ მეუფე ანტონმა მოხუცა დავრჩენილიყავი ხატთან, სანამ იგი ისაძილებდა, რის შემდეგაც ჩვენ ღამის 11 საათამდე ტაძარში ვიმყოფებოდით; ხალხი არ იშლებოდა. იქ, სადაც იმყოფება ხატი, განსაკუთრებული მაღალი ივრძნობა; დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია მე უფლისაგან. ამიტომ არ შემიძლია დავეშვა გონებაში რამე ცუდი აზრი. მე უნდა მაქსიმალურად განვიმედიო, სადილის მომზადების დროსაც არ ვაძლევ უფლებას თავს, გავაკეთო ის, რასაც უწინ ვაკეთებდი. მაგ. მე არ ვწვევ ხახვს სახლში, რათა მისი სუნით არ შევირთო ხატიდან გამომდინარე კეთილსურნელებას. ამიტომ ჩემი ახლანდელი საკვები მეტად უბრალოა.

ვფიქრობ აგრეთვე, რომ ყოვლადწმიდა ქალწულმა ჩვენს საზღვარგარეთულ ეკლესიაში მოავლინა ეს სასწაული იმიტომ, რომ გაგვავრთიანოს; იმიტომ, რომ ჩვენი ეკლესია ერთადერთი ტექსტარტი ეკლესიაა, რომლის გათიშვა და განადგურება ძალიან სურს ეშმაკს და მის მსახურთ.

ჩვენთანაა ღმერთისმშობელი; ყოვლადწმიდა ქალწულს უნდა, რომ ჩვენი ეკლესია, განსაკუთრებით ამჟამად, შემჭიდროებული და მტკიცე გახდეს. ამიტომ მინდა, რომ ხატმა მთიაროს ყველა ჩვენი მრევლი. ყველამ იხილოს მისი სასწაულმოქმედება. მამა ექვტორ პოტაპოვა რუსეთში გაგზავნა მირონით გაუდენთილი ბაბა. ჩვენი სინოდი ებეზრება წერილებს იქიდან. წერილის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ეკლესია ტექსტარტი გზას ადგას. თუ ჩვენ დაუფარავთ ამ სასწაულს, მაშინ ვერ მივიღებთ ნაყოფს, რომელსაც ეს სასწაული წარმოქმნის. „განა იმისათვის მოაქვთ სანათი, რომ ტურქების ან საწოლის ქვეშ მოათავსონ? იმისათვის არა, რომ საღამომდე დადგან?“ (მკ. 4,21). აი, რაში მდგომარეობს ჩემი უფლები პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე.

— სად იმყოფება ხატი, როცა იგი არ მოეზაურბოს?

— იგი ჩემს სახლში იმყოფება, მაგრამ ყოველ კვირა დღეს, აგრეთვე, სადღესასწაულო დღეებში და, საერთოდ ყოველთვის, როცა კი მეუფე მონიდომებს, ხატი საკათედრო ტაძარშია. მე მარტო ვცხოვრობ; თუ შეიძლება ასე ითქვას, მონაზვნურ ცხოვრებას ვეწევი.

— იციან თუ არა ამ სასწაულის შესახებ ათონელმა ბერებმა?

— როცა სასწაული მოხდა, მე მეგობრის საშუალებით ვაცნობე მათ ამის შესახებ. მოვიანებოთ ვიზიტად მეგობარს, კითხა იღუმენისათვის, თუ რატომ მანუქა ეს ხატი. „არ არის შენთვის საჭირო ამის ცოდნა“, მივიღე პასუხად.

— ხომ არ იცით, როდის გადმოიწერეს ეს ხატი?

— ამის შესახებ მეც მინდა ვიცოდე, იმიტომ რომ ბევრი მკითხებდა, ბევრს აინტერესებს... არასოდეს მიფიქრია და არც ვაძიებ, რომ ეს ხატი ჩემი კუთვნილებაა. არა, იგი ეკუთვნის მთელი ჩვენი სასაზღვარგარეთის რუსულ ეკლესიას, მე მხოლოდ მცველი ვარ მისი. ხატმა თითქმის მთელი ამერიკა შემოიარა; იყო ღვთისმშობლის, ნაიაკში, ვაშინგტონში, ბოსტონში, აქ, თქვენთან და სხვა ადგილებშიც.

— ხომ არ დაიწერა რამე ხატის შესახებ ამერიკის ან კანადის პრესაში?

— მე არ მაქვს კუროსევა, რაიმე ცნობა მოვათავსო ხატის შესახებ ყოველდღიურ პრესაში, მაგრამ სანკტ-პეტერბურგის გაზეთში ვილაცხმე დაბეჭდა ცნობა ამაზე. მაიამის ტელევიზიის სურდა ეჩვენებინა პროგრამა სასწაულმოქმედ ხატზე, მაგრამ მე უარი ვთქვი, რადგან ეს სა-

ტელევიზიო სადგური ძალიან ბევრ პორნოგრაფიულ მასალას გადმოსცემს. „როგორ შეიძლება უჩვეულო ტელევიზიით ღვთისმშობლის ხატი საღამოს 6 საათზე და მის კვალდაკვალ 9 საათზე იმავე ტელევიზიით გადმოსცეთ პორნოგრაფიული ფილმი?“ ვუთხარი მათ. ფული შემომთავაზეს, მაგრამ განეუცხადე, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ღირსებას ვაძლევ უპირატესობას და არა ფულს, როგორ შეიძლება ფულით შესვარო ეს სიწმიდე... ო, რა შიში და ძრწოლა მიპყრობს იმ მომენტის გახსენებაზე, როცა იძულებული ვიქნები წარვსდგე საშინელ სამსჯავროზე და პასუხი გავცე უფალს ყველაფერზე. უფალმა მომცა ეს უდიდესი განძი! მე არ ვარ წმინდანი, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობა მაქვს. ის, რაც ჩვენს კვლევაში ხდება ისე დიდი სასწაულია.

— როგორ დამოკიდებულეხას ამჟღავნებენ კათოლიკეები და პროტესტანტები ხატის მიმართ?

— კათოლიკეთაგან ბევრი მოდის ჩვენთან ტაძარში. ისინი მოწიწებას გამოხატავენ ხატის მიმართ. ვაშინგტონში ჩვენი ყოფნის დროს ეკლესიაში მოვიდა რამდენიმე კათოლიკე მღვდელი. ერთი ეპისკოპოსი პირდაპირ მოვიდა ჩემთან და მთხოვა, რომ მირონი წამეცხო მისთვის თვალეზე, კატარაქტი იყო დაავადებული და განკურნება სურდა. მოგვიანებით მწერდა, რომ რაც მირონი იცხო, მის შემდეგ უკეთ გრძნობდა თავს.

— რას ამბობენ პროტესტანტები?

— მაგ: მამა თომას შობლები სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობენ. ისინი პროტესტანტები არიან და არასდროს მოსულან ჩვენს მართლმადიდებლურ ტაძარში, არც არასდროს უხილავთ თავიანთი შვილი ღვთისმსახურების დროს, მაგრამ როცა მამა თომამ შეატყობინა მათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის აქ ჩამობრძანება, მამამ თქვა, „წაიღეთ, ენახოთო, თითქოსდა ამბობდა: ჩვენ მოვალთ შენი გულისთვის.“

როცა ისინი მოვიდნენ და ნახეს ეს საოცრება, ძლიერ განცვიფრდნენ და სთხოვეს თომას, აღველინა მათთვის ღოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. „როგორ ფიქრობ, დამეხმარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი? შემიკითხა ღოცვის შემდეგ თომას მამა. იგი ძლიერ ავადა იყო. „თუ თქვენ გჯერათ, რომ ღვთისმშობელი გომეველით, იგი აუცილებლად დაგეხმარებათ, მხოლოდ საჭიროა, რომ მტკიცედ გწამდეთ, უმჯობესად გჯეროდეთ მისი წყალობისა.“ — ვუპასუხე მე.

იმ დღიდან თომას მამას გამოჯანმრ-



თელეხა დაეტყო. იგი ამჟამად თავყანს სცემს ამ ხატს, სჯერა მისი.

50 წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში აქ, ამერიკაში, ერთ-ერთ ბერძნულ ოჯახში, რომელიც მიეკუთვნებოდა ბერძნულ ეკლესიას, ივერიის ღვთისმშობლის ხატს ცრემლები სდიოდა; ამჟამად ჩვენს საზღვარგარეთულ ეკლესიაში კვლავ ღვთისმშობლის ხატს სდის კეთილსურნელოვანი მირონი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ, ბერძნულ ეკლესიაში ღვთისმშობელი ტიროდა იმიტომ, რომ ხედავდა, თუ როგორ გაიცატა ბერძნული ეკლესია ეკუმენურმა მოძრაობამ. ჩვენ ეკლესიაში ყოვლადწმიდა ქალწული თავისი

კეთილსურნელებით აფრქვევს ჩვენზე თავის განსაკუთრებულ წყალობას და გვიჩვენებს, რომ სწორი გზით მივდივართ.

— დიახ. მე ხშირად შეკითხვებიან: რატომ, რომ სხვა ხატები ღვთისმშობლისა ტირიან, ეს კი ასეთ სიხარულს სთესავს ჩვენს სულებში?

— საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ხატი წარმოადგენს ათონის ივერიის ხატის ასლს, მაინც სახე ღვთისმშობლისა აქ განსხვავდება ორიგინალი-საგან. მაგ. ათონის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უფრო დიდი თვალეები და ძალუმი მხერა აქვს, როგორც ერთ-ერთი მლოცველი ადგოვარს. ხოლო ამ ხა-

ტის თვალები კი იღუპალ სიმშვიდეს მოჰბერენ სულს.

— დიახ, მეც შეგნიშნე, რომ ღვთისმშობლის გამოხედვა სულიერ სიმშვიდეს ამკვიდრებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მას შემდეგ, რაც სასწაული დაიწყო, სახე ღვთისმშობლისა შეიცვალა.

— სინამდვილეში?

— დიახ.

— შეიცვალა თუ არა ხალხბავთა ფერები ხატზე მას შემდეგ, რაც სასწაული დაიწყო?

— ხალხბავები არა, მაგრამ ვფიქრობ სახე ღვთისმშობლისა შეიცვალა, გახდა უფრო გულში ჩაწეული. ეს შენიშნა ჩემმა მეგობარმაც, რომელიც ჩემთან ერთად ათონში იმყოფებოდა. იგი ტრონტოში ცხოვრობს. ერთხელ, როცა ჩემთან ჩამოვიდა, შეხვდა ხატს და სთქვა: „შეხვედ, ყოვლადწმიდა ქალწულის სახე შეიცვალა“. ზოგიერთ ადგილებში საღებავები წაშლილია. ეს მოხდა იმიტომ, რომ ხატი პირველად სახატეს გარეშე იყო და მირონის მოწმუნდა ხატზე სიფრთხილით არ ხდებოდა. როცა ეს უკვე შესაძინევი გახდა, ერთმა ღვთისმოსავმა ქალმა სახატე შემოსწორა ხატს. მე შემოძლია რესტავრაცია გავეკეთო მას, მაგრამ არ მინდა ხელი ვახლო ამ სიწმიდეს. შეიძლება თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აღადგინოს იგი. იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავდაპირველად აღიარებდნენ სასწაულს, ხოლო შემდეგ დაიწყეს უარყოფა. ღვთის სიმათელემ გაიმარჯვა. ახლა ყველას სჯერა მისი.

მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ჩვენ, მოქცეულები, კვლავ ვიხარებთ იმის და ვიქცეოდით, როგორც სახარებისეული მებრუნები. არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ საჭიროა კვლავისაში რაიმეს შეცვლა. როგორც მებრუნე იღბა საღვალც, ტაძრის ბოლო კუთხეში და მორჩილად ღოცულობდა, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც და ვლოცოთ: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემოიწალე მე ცოდვილი“.

— ჩვენი მონასტრის გარდა თუ უწვიეთ ბოსტონში ფერიცვალა მონასტრის?

— დიახ. აქ მოხდა რაღაც განსაკუთრებული... დილით, დაახლოებით 8 საათ-

ზე, ერთმა მონაზონმა მოხოვა მირონი გადღეული ბამბა. მე დავაპირე მიცემა, და ამ დროს ხატიდან იმდენი მირონი წამოვიდა, რომ მთელი მონასტრის კორპუსი, რომელშიც მოთავსებული იყო ტაძარი, კეთილსურნელებით აივსო.

ამის შემდეგ ჩვენ უნდა ვწვეოდით ტაძარს, რომელიც არც ისე შორს იყო.

ჩვენ 10 საათზე ჩავდიეთ. დაიწყო ლიტურგია, რომლის დამთავრების შემდეგ მირონი უნდა გვეცხო ხალხისათვის, მაგრამ ხატი სრულიად მშრალი აღმოჩნდა; ამჯერად მირონი მისგან არ წვეთავდა. ასეთი შემთხვევა მანამდე არ შემიშინავს. როცა მონასტერში დაბრუნდით, მაშინ დაიწყო მირონმა დენა და თანაც ისეთი დიდი რაოდენობით, რომ მიწაზეც გადმოვინდა. არის რაღაც იღუპალი ამ ხატში.

— აქ, ჩვენს მონასტერში მირონი დღეს დიდი რაოდენობით მოწვეთავდა ხატიდან.

— და ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ღამით მე სამჯერ გამოვცვალე ბამბა მამა ვლადიმერისა და სხვათა თხოვნით. კიდევ ერთხელ მოხდა მსგავსი შემთხვევა... ტრონტოში (კანადა) ჩვენი ყოფნის დროს ბერნები ჩამოვიდნენ ჩვენთან. 85 კაცი იქნებოდა. მათ მირონი იცხეს... და ხატი უკვე მშრალი გახდა. არც მეორე დილით წამოსულა ხატიდან მირონი. ჩვენ გავეშაზავრეთ ლონდონში, რომელიც ტრონტოდან ორ-ნახევარი საათის სავალზეა. „ვეუთხრათ ხალხს ლონდონში, რომ არ არის მირონი, ხატი ყოველთვის არ იძლევა მას“, — სთქვა მეუფე ვიტალიმ. ჩავდიეთ ლონდონში და აი, მირონი ისევ დიდი რაოდენობით გამოცვა ხატმა. ის ფაქტი, რომ ხატიდან ზოგჯერ დიდი რაოდენობით, ზოგჯერ კი თითქმის სრულიად არ მოედინება მირონი, იმის მანქანებულაა, რომ ჩვენ უძლურნი ვართ რეგულირება ვუკეთო ამ სასწაულს და რომ იგი ღვთის ნებით ხდება. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი თავისი სურვილით ხანდახან ძალიან ბევრს, ხოლო ზოგჯერ ძალიან მცირე რაოდენობით იძლევა ამ მადლს.

— მე ვფიქრობ, ეს მოვლენა იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ ვლოცულობთ ხატის წინ.

— დიახ ამის შესახებაც ამბობს მეუფე ანტონი. როცა ჩვენი ლოცვა გული-

თადია, მაშინ ღვთისმშობელი გვლოცავს კეთილსურნელოვანი მირონის უხვი დინებით. ო, რა ბედნიერი არიან ამ სასწაულის მხილველნი!

— და სასწაული მარტო მირონის დენით როდი განისაზღვრება, საიდრება ხატიდან მომდინარე კეთილსურნელება, რომელსაც მირონი აფრქვევს ირავლიც.

— ხომ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ზეთი ყოველგვარი სურნელების გარეშე?

— იგი ზეთს ჰგავს, მაგრამ როცა თითო ავიღებთ, მაშინვე ქრება; ბევრი რაოდენობით მოწვეთავს ხატიდან და ამიტომ აორთქლებას ვერ ასწრებს. აღსანიშნავია, რომ ბამბა შეიძლება სრულიად გაშრეს, მაგრამ სურნელებას დიდხანს ინარჩუნებს. — დიახ. პირველად ერთი მღვდელმსახური მოხვდა, მიმეცა ცოტაოდენი ზეთი გამოსაველვევად, მაგრამ მეუფე ვიტალი არ დათანხმდა. „ეს იქნება დიდი შეურაცხყოფა ღვთისმშობლისა“, სთქვა მან. მე ყოველთვის ასე მივმართავდი ხალხს: „აი თქვენს წინაშე ხატე; ჩვენ არ გაითვლებთ ირწმუნოთ ეს სასწაული, გინდათ დაოჯერეთ და გინდათ არა.“

ერთხელ, ერთმა საკმაოდ განათლებულმა ახალგაზრდამ მითხრა: „მე ვხვდებოდა რაც ხდება; ჩემს გონებას არ ძალუძს მისი დაჯერება; გულს კი სჯერა... და როგორია თქვენი შესხედლება ხატზე?“

— იქიდან გამომდინარე, რაც მე დავინახე და გავიგე ჩვენს მონასტერში ხატის სამდღიანი სტუმრობის შედეგად, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ მოწმენი გავხდით დიდი და იშვიათი სასწაულისა, რომელიც ღვთის წყალობით ხდება ჩვენი თვის, ცოდვილთათვის.

— დიდება უფალოს. მადლობა მას ვველაფრისათვის. მე ძალიან შესაბამისობა სხვების აზრი და შესხედლებაც. ეს მაძლიერებს.

— გმადლობთ, რომ ასეთი ერთი აუწერელი სიხარული მოგვანიჭეთ ჩვენ.

ინტერვიუ შედგა მიმდინარე წლის 11 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ხატი ყოვლადწმიდა სამების მონასტერში იმყოფებოდა. ინტერვიუ ესპანურ ენაზე აიღო „მართლმადიდებლური რუსეთი“-ს რედაქტორმა პლედელ-მონაზონმა კენატემ.

თარგმნა მარიამ ჭიჭიშვილი

ქალაქები ქებათა ქებაზე

მეორე ქალაქება

იმ ადგილიდან, სადაც წერია:
„ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელეა თვისი“,
იმ ადგილამდე, სადაც ნათქვამია:
„ტკბილ არს ხმა შენი და პირი შენი შუენიერ“.

ორი სიყვარული

1. სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა ყველას სასიკეთოდ შექმნა სულის მოძრაობები; მაგრამ ჩვენს მიერ მათი ბოროტი გამოყენებით ხშირად ხდება, რომ ბუნებით კეთილ მოვლენებს ცოდვამდე მივყავართ. სულის ერთ-ერთი მოძრაობათაგანია სიყვარული; მას კეთილად ვიყენებთ, როცა გვიყვარს სიბრძნე და ჭეშმარიტება; მაგრამ, როცა ჩვენი სიყვარული ეცემა და ნაკლებად კეთილი მოვლენებისაკენ წარმართება, მაშინ ჩვენ გვიყვარს ხორცი და სისხლი. შენ, როგორც „სულიერმა“ (I კორ. 3,1), გულისხმავ, რომ ეს სატრფიალო სიტყვები სულიერი მნიშვნელობით არის ნაკლებობები და ისწავლე შენი სულის მოძრაობისა და ბუნებრივი სიყვარულის წარმართვა საუკეთესოსკენ ამ სიტყვებისამებრ: „ეტრფი-ალე მას (სიბრძნეს) და დაგიცავს შენ. გარემოიზღუდე იგი და აღვამაღლოს შენ“ (ივ. 4,6-8).

„ქმართა გიყვარდენ ცოლნი თვისნი“ (ევ. 5,25) — თქვა მოციქულმა, მაგრამ იგი ამ თქმაზე არ შეჩერებულა, რადგანაც იცოდა, რომ არსებობს ქმრის ურიგო სიყვარული საკუთარი ცოლის მიმართ და არსებობს ღვთის მოსაწონი სიყვარული. ხოლო, ქმრებს რომ ასწავლოს, როგორ უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები, მან დაუმატა: „ქმართა გიყვარდენ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია“. ეს ყოველივე გამოვთქვით როგორც შემდეგ ომში წარმოჩინებულის წინასიტყვაობა.

ვერცხლის მოხატულთაგან, ნარდიონ და (ქრისტეს) ვნების გონიერება!

• 2. როცა სიძის მეგობრები, „ვიდრე მეფე იმყოფებოდა თავის განსასვენებელში“² (I ს.

I;II) — ხოლო განსვენებისას მან დაიძინა „ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან (რიცხვ. 24,9) — სძალს შეპირდნენ მის ადგილამდე ვერცხლით მოხატული ყალბი ოქროს დამზადებას, რაკი მათ, სიძისაგან განსხვავებით, ოქრო არ მოეპოვებათ, ამით თავისებურად, დაფარული სახით გამოცხადდა სიძის ვნება. ამაზე სძალი სათანადო პასუხს იძლევა. იგი გრძნობს, რომ სიტყვები: „დაგიმზადებთ ყალბ ოქროს ვერცხლის მოხატულობებით, ვიდრე მეფე თავის განსასვენებელში იმყოფება“, მიანიშნებს ვნების კონომიასზე და პასუხობს: „ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელეა თვისი. შეკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა, შორის ძუძუთა ჩემთა განისვენენ“ (ქბ. I,11-12). როგორ შევუთანხმოთ წინა ფრაზა: „ვიდრე მეფე იმყოფება თავის განსასვენებელში“, მომდევნოს: „ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელეა თვისი“?

სახარება ლაპარაკობს ვინმე ქალის გამოჩენაზე, „რომელსა აქუნდა ალა-ბასტრი ნელსაცხებელისა მრავალ სასყიდლისა“ (მთ. 26,7). აქ საქმე ეხება არა ცოდვილს, არამედ წმინდანს. ვიცო, რომ ლუკა ცოდვილზე ლაპარაკობს, ხოლო მათე, იოანე და მარკოზი ცოდვილზე არ ლაპარაკობენ. მაშ, მოვიდა არა ცოდვილი, არამედ წმინდანი — მისი სახელი, მარიამი, აღნიშნა კიდევ იოანემ (ი. 12,2) — „რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისა მრავალ სასყიდლისა და დაასხა თავსა

¹ ეს ტერმინი, რომელსაც ხშირად იყენებდნენ ეკლესიის მამები, აღნიშნავს ღვთის განზრახვას ისტორიაში.

² მოგვყავს ამ მუხლის ფრანგულ თარგმანში მოცემული ვარიანტი, ძველი ქართული თარგმანია: „ვიდრე მადის მოახსენეს მას ხელნი მისნი მეფემან“ (ქბ. I, II).

მისსა (იესოს)“. ამ ქცევამ გამოიწვია მოციქულთა შორის მხოლოდ იუდას აღშფოთება, რომელმაც თქვა: „რაისათვის ნელსაცხელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰმის და მიეცა გლახაკთა? ჩვენმა მოძღვარმა და მაცხოვარმა უპასუხა: „რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენთანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენთანა ვარ. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ხორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ჰყო. ამინ გეტყვი თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდეს, რომელიცა ესე ჰყო მაგან სახსენებელად მაგისა“ (მთ. 26,11–13). ის, ვინც აქ ამბობს: „ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელები თვისი“, მოასწავებს მარამს, უფალს თავზე ნელსაცხებელი რომ გადაასხა. შენც აიღე ნარდიონი, უფლის თავს გადააფრქვიე საამოდ სურნელოვანი ისე, რომ შენც შეძლო ამ სიტყვების თამამად თქმა: „ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელები თვისი“, და საპასუხოდ გაგონება განაცხადისა: „სადაცა იქადაგოს სახარება ესა ყოველსა სოფელსა, ითქმოდეს, რომელიცა ესე ჰყო მაგან სახსენებელად მაგისა“, შენი ქცევაც ეუწყება რა ყველა ერს. მაგრამ, როდის აასრულებ ამას? შენი ქველმოქმედებანი ნარდიონად იქცევა, როდესაც მოციქულთა მსგავსი გახდები და შეძლებ (მასთან ერთად) თქვა: „ქრისტეს სურნელებანი ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა მათ შორის“ (2 კორ. 2,15). ხოლო თუ შესცოდებ, შენი ცოდვები საშინელ სუნს აუშვებენ. მართლაც, მონანიე ამბობს: „შეპყროლდეს და დაღუპეს წყლულებანი ჩემნი პირისაგან უგუნურებისა ჩემისა“ (ფს. 37,5). სულის განზრახვა არ ყოფილა იმ ნარდიონზე ლაპარაკი — და, არც მახარობელი ლაპარაკობს იმ ნელსაცხებელზე, რომლის დანახვა თვალთ შეიძლება, არამედ აქ ნაგულისხმებია ის სულიერი ნარდიონი, რომელიც საკუთარ სურნელებას გამოსცემს.

შპკრული შტახსი

3. „შპკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა“ (ქბ. 1,12). „შტახს“-ს უწოდებენ აგრეთვე „წვეთს“ ან „ცრემლს“. გამოსვლათაში ვკითხულობთ, რომ ერთი წვეთი მურიით, შტახსით, კასიით და გუნდრუკით ღვთის ბრძანებით „დასაწვაი ნელსაცხებელი“ (მდრ. გამოსვ. 30,34), სამღვდელო ზეთი დაამზადეს.

თუ ჩემი მხსნელის მიწიერ ან დაბალ მოვლენებამდე ჩამოსვლას იხილავ, ნახავ ყოვლად აღმატებული ძლიერებიდან და ღვთიური დიდებულებიდან ჩვენსკენ პატარა „წვეთი“ როგორ წარმოდინდება. ამ წვეთს წინასწარმეტყველმაც უვალობა, როცა თქვა: „და იყო ქუეყანისაგან წვეთი ერისა ამის. შპკრული შპკრებს იაკობ“ (მი. 2, 11, 22). როგორც სხვა წარმოდგენით, „მთიდან ხელშეუბლად მომწყდარი ლოდი“ ხატოვნად მოასწავებდა მხსნელის ხორცში მოვლინებას, — ქვეყნად ჩამოვიდა არა მთლიანად მთა, რაკი მას ადამიანური ბუნება მთლიანობაში ვერ დაიტყვდა, არამედ მთის მხოლოდ ერთი ლოდი, „ლოდი დაბრკოლებისა“, „კლდე საცთურებისა“ (ფს. 118,22; ეს. 8, 14,13,2,7) — ასევე შეიძლება „წვეთი“ სხვა მნიშვნელობითაც გავიზნოთ. მართლაც, რამდენადც ყველა ერი არის „ვითარცა ნაწუეთნი კარდალისაგან“ (ეს.40,1), იგი, ვინც ყველას სახსნელად ყველასათვის ყველაფერი გახდა, ერთა განთავისუფლებისათვის აგრეთვე „წვეთი“ უნდა გამხდარიყო. რა აღარ გახდა ჩვენი ხსნისათვის, რად ვღირვართ ჩვენ, მან კი ჩვენთვის „თავი თვისი დაიმდაბლა, და ხატი მონისა მიიღო“ (ფილ. 2,7); ჩვენ „უგუნური ერი“ (მდრ 2 სჯ. 32,6) ვართ: იგი გახდა „ქადაგება მის სისულელისა“ (1 კორ. 1.32), ხოლო „სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს“ (1 კორ. 1,25). რაკი „ყოველნი წარმართნი, ვითარცა ნაწუეთნი კარდალისაგან, და, ვითარცა წამი სასწორისა“ (ეს. 40,15), იგი გახდა წვეთი, რათა ჩვენ სამოსელთაგან „წვეთის“ სურნელება მის მიერ ფრქვეულიყო სიტყვებისამებრ: „მური და შტახსი და კასიით სამოსელთაგან შენთა, ტაძართაგან პილოის ძუალისათა, რომელთა გახარეს შენ. ასულნი მეუფისანი პატივითა შენითა“ (ფს. 44,8–9); 44-ე ფსალმუნის ეს სიტყვები სძლისადმი მიმართული სიტყვებია.

„შპკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა“ (2 XX ვერსიით: „დისწული“) (ქბ. 1,12). განვიხილოთ, რას ნიშნავს სიტყვა „დისწული“, რომელსაც ეკლესია ხმარობს. ეკლესია, — ეს ჩვენ ვართ, რომელნიც წარმართთაგან შემოვიკრიბეთ. ჩვენი მხსნელი არის წარმართთა „დის“ სინაგოგის ძე: ეკლესია და სინაგოგა ხომ დები არიან. მაშასადამე, ჩვენ მხსნელი,

როგორც ვთქვით, ეკლესიის დის — სინაგოგის წული და ეკლესიის მეუღლე, ეკლესიის სიძე ამასთანავე თავისი მეუღლის „დისწულია“.

სძლის ძუძენი

„შეკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა, შორის ძუძუთა ჩემთა განისუენენ“ (ქბ. 1,12). ნუთუ, არის ვინმე ისეთი ნეტარი, ღვთის სიტყვა ჰყავს სტუმრად ძუძუებს შორის მკერდში, ისეთ უმთავრეს ნაწილში, როგორცაა გული? ამას კი გულისხმობს ქების სიტყვები: „შორის ძუძუთა ჩემთა განისუენენ“. „თუ შენი ძუძუები არ არიან ჩამოყრილნი“ (შდრ. ეზ.23,3), მათ შორის ღვთიური სიტყვა დამკვიდრდება. საქორწინო ქებისათვის უფრო შესაფერისია ძუძუებზე ლაპარაკი, ვიდრე მკერდზე. ნათელია ის მიზეზები, რისთვისაც ამ სიტყვების ასახსნელად: „განისუენებს შენ ძუძუთა შორის“, ვთქვი: „თუ შენი ძუძუები არ არიან ჩამოყრილნი, ღვთის სიტყვა განისუენებს შენ ძუძუთა შორის“; გასაკებია, აქ რისთვის მოვიხმე ებრაული და ვთქვი: „თუ შენი ძუძუები არ არიან ჩამოყრილნი“. მართლაც იმ ადგილზე, სადაც უფლის ხმით იერუსალიმია გაეციხული, მისი მისამართით ეს სიტყვებიცაა ნათქვამი: „მუნ (ეგვიპტეში) დაითხინეს ძუძუნი მათნი“. უბიწო ქალებს ძუძუები არ უდუნდებათ, ხოლო მეძაგებს მოშვებული კანის გამო დავარდნილი ძუძუები აქვთ. უმწიკვლო ქალთა ძუძუები მკვრივია და სავსე ქალწულებრივი უმანკოებით. სიძის სიტყვებს ეს უკანასკნელნი იღებენ და ამბობენ: „იგი დამკვიდრდება ჩემს ძუძუთა შორის“.

ტროენის მტევანი და პნაგის ვენახები

„ტროენის მტევანი — აი, რა არის ჩემთვის ჩემი ძმისწული“* (ქბ. 1,13). აქ იწყება დიალოგი და, იმავდროულად, — ყვავილობის დასაწყისიც; დასაწყისია სიტყვაში „ყვავილობის“. ხომ ნათქვამია კიდევ: „ტროენის (ე.ი. ყვავილობის) მტევანი — აი, რა არის ჩემთვის ჩემი ძმისწული“. მაგრამ იგი ტროენის ყვავილია არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ იმათთვის, ვინც მისი ყვავილების ღირსნი

* ეს მუხლი მოგვყავს ფრანგულ თარგმანში მოცემული ვარიანტიდან. ძველ ქართულ თარგმანშია: „ტევანი გამობუტკოვის, ძმისწული ჩემი ჩემდა შორის ვენახოვანსა გულისასა“.

არიან. სხვებისთვის სხვა მტევანებია. ხოლო იმ ერთადერთს, რომელიც „შავია და ლამაზი“, იგი ეჩვენება ყვავილის სიმშვენეიერში. „ტროენის მტევანი — აი, რა არის ჩემი ძმისწული“; იგი არ ამბობს მხოლოდ „ტროენის მტევანი — აი, რა არის ჩემი ძმისწული“, არამედ თან დაურთავს „ჩემთვის“, რათა გვაუწყოს, რომ ის ყველასათვის არ არის „ტროენის მტევანი“.

მაგრამ ვნახოთ, რომელ მხარეშია სძლის ეს „მტევანი“. ის „ენგადის ვენახებშია“, ხოლო ენგადი „განსაცდელის თვალს“ ნიშნავს. სწორედ, ამ „განსაცდელის თვალის ვენახებშია“ „ჩემი ძმისწული ჩემთვის ტროენის მტევანი“. „განსაცდელის თვალი“ წუთისოფელშია, რაკი წუთისოფელი განსაცდელია, რომელსაც გავდივართ: „განსაცდელია ცხოვრება კაცისა ქუეყანასა ზედა“ (იობი 7.1). ვიდრე ჩვენ ამ ქვეყნის ნათელში ვცხოვრობთ, ენგადის ვენახებში ვართ, ხოლო თუ შემდეგ ღირსნი გავხდებით გადანერგვისა, გადავინერგებით ჩვენი „მოქმედის“ (ი.15,1) ჩარევის შედეგად. ნუ შეეჭვდები შენი გადანერგვის შესაძლებლობაში ენგადის ვენახებიდან უკეთეს ადგილებში. „მოქმედმა“ დიდი გამოცდილება შეიძინა თავისი ვენახის გადანერგვის ხელოვნებაში. „ვენახი ეგვიპტით სცვალე, განასხენ წარმართნი და დაასხ იგი. გზა—უყავ წინაშე მისსა და დაჰნერგენ ძირნი მისნი, და აღავსო ქუეყანაი. დაფარნა მათნი ჩრდილმან მისმან და ბაბილოთა მისთა — ნაძენი ღმრთისანი“ (ფს. 79,8—10).

ზემოთ რაც წარმოვადგინეთ, სძლის მიერ იყო ნათქვამი სიძის მიმართ, რომელსაც სურს აღნიშნოს, როგორია მისი სიყვარული, თავისკენ მომავალ სიძეს როგორ შეეგებება და მოსული სიძე მის ძუძუთა შორის და მისი გულის იდუმალ ზარდახშია როგორ დამკვიდრდება.

სიძე — სძლის მშვენიერების წყარო

4. სიძე კვლავ სძლას მიმართავს: „აჰა გვერა, შუენიერ ხარ. მახლობელ ჩემო, აჰა გვერა, შუენიერ ხარ“ (ქბ. 1,14). სძალი კი გულისსათქმელს ამგვარად გამოხატავს: „აჰა გვერა, კეთილ ხარ, ძმისწული ჩემო, და შუენიერ“. იგი არ ამბობს: „მახლობელ ჩემო“; ხოლო, როცა სიძე ეუბნება „შუენიერ ხარ“, თან ამბატებს: „მახლობელ ჩემო“. სძალი

რატომ წარმოსთქვამს მხოლოდ „შუენიერ ხარ“ და არა: „შუენიერ ხარ. მახლობელი ჩემო?“ და რატომ ამბობს სიძე არა მხოლოდ ამ სიტყვებს: „შუენიერ ხარ“, არამედ — „შუენიერ ხარ. მახლობელი ჩემო?“ სიძისაგან შორს მყოფი სძალი არ არის მშვენიერი. მაგრამ იგი მშვენიერდება, როცა ღვთის სიტყვას ერწყმის. ჯეროვნად ახწავლის სიძე მასთან სიახლოვეში ყოფნას და მის გვერდით დარჩენას. „აჰა ეგერა შუენიერ ხარ, მახლობელი ჩემო, აჰა ეგერა შუენიერ ხარ“. შენ იწყებ გაღამაზებას, როცა მიახლოვდები; ხოლო გაღამაზების დაწყების მერე, „ჩემო მახლობელს“ დართვის გარეშეც სრულიად ღამაზდები. „აჰა, ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელი ჩემო, აჰა ეგერა შუენიერ ხარ“.

თვალები და გზები: სულიერი ხელვის მძიმეობა

ვნახოთ „მშვენიერის“ სხვა ქებაც, რათა ჩვენც „სძალი“ გახდომის სურვილით დავიწვათ. „თუაღნი შენნი ტრედ არიან“. ვინც „ხელვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას“ და „იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა“ (მთ. 5,28), მას არა აქვს მტრედის თვალები, ის „უბედური“ შედის ძმის სახლში, რადგანაც იგაფთა წიგნში ნაბრძანებს არ იცავს. (იხ. იგ. 27,10, მაგრამ ვისაც მტრედის თვალები აქვს, იმას წრფელი ხელვა აქვს და შეწყნარებას იმსახურებს, რადგანაც „იხილონ წრფელთა და იხარებუნ“ (ფს. 106,42). და განა ვისი ხელვაა წრფელი, თუ არა იმისი, ვინც უძნეო მხერით და წმიდა თვალებით იყურება? აქ გამოთქმულში მხოლოდ ხორციელ თვალებს ნუ იგულისხმებ, თუმცა არც ეს გაგებაა უსარგებლო, არამედ შენი სხეულის შიგნით შეიჭკრი, სულით ეძებე ის სხვა თვალები, რომლებიც ღვთის მცნებებით ნათლდებიან — მართლაც, „მცნებაი უფლისაი ბრწყინვალე არს, განმანათლებელ თვალთა“ (ფს. 18,8), ეძებე და თან თავს ძალია დაატანე, ეცადე, წმიდად გაიგო ის, რაც ითქვა; ეცადე, რაჟი „თუაღნი შენნი ტრედ არიან“, ყური დაუგდო იმას, რაც მსგავსია „მტრედის სახით გარდამოშავალი სულისა“ (მთ. 3,16). თუ სჯულს სულიერად გაიგებ, თუაღნი შენნი ტრედ არიან“. თუ გაიგებ სახარებას, როგორც უნდა იყოს სახარება გაგებული და გამოცხადებული, დაინახავ, რომ იესო მხო-

ლოდ იმ დროს კი არ „განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძღურებასა“ (მთ.4,23), როცა იგი ხორცის მიხედვით მკურნალობდა, არამედ იგი დღესაც კურნავს; დაინახავ-მეთქი, რომ იგი მარტო იმ ეპოქის ადამიანებთან კი არ ჩამოვიდა, არამედ დღესაც ჩამოდის და ჩვენთან მყოფია, რადგანაც: „აჰა ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა ამინ (მთ. 28,20).

დაჩრდილული სარეცელი

„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელი ჩემო, აჰა ეგერა შუენიერ ხარ, თუაღნი შენნი ტრედ არიან“ (ქბ. 1,14). ამ ქებათა გამოვლენა სძალი ქებითვე პასუხობს, მაგრამ არა უსაფუძვლოდ, არა ისე, რომ სიძეს მიაწეროს, რაც მას არა აქვს; სძალი იგებს და ჭკერეტს მის მშვენიერებას და ამბობს: „აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და შუენიერ, ცხედარსა ზედა ჩვენსა საგრილი (ქბ. 1;15). მე ვებებ „სარეცელს“, სადაც სიძე სძალითან ერთად განსვენებას შეძლებდა: ეს უნდა იყოს ადამიანის სხეული, თუ კი არ ვტყუვდები და თუ მართალია, რომ სახარების „განრღუეული“ „ცხედარსა ზედა მდებარე“, რომელმაც უფლის ხმით მიიღო ბრძანება, „სახლში წასულიყო და თან წაედო თავის სარეცელი“ (შდრ.მთ. 9,2-6), განკურნებამდე იწვა თავის საკუთარ დაუძღურებულ სხეულზე, რომელიც შემდეგ ღვთის ძალით განმტკიცდა. მე ამგვარად მესმის სიტყვები: „აღიღე ცხედარი შენი, და წარვედ სახიდ შენდა“; ღვთის ძე ზეციდან ქვეყნად იმისთვის ხომ არ მოვლენილა, რათა სარეცლებთან დაკავშირებით ბრძანებები გაეცა ანდა სარეცლის ტარება აუძლებდინა სხეულებიდან ახლად ამდგარი-სათვის ამის თქმით: „აღიღე ცხედარი შენი, და წარვედ სახიდ შენდა“. ხოლო შენ, მაცხოვრის მიერ განკურნებულო, „აღიღე ცხედარი შენი, და წარვედ სახიდ შენდა“, და როცა სიძე მოვა შენამდე, რომელიც სძალი ხარ, და შენთან ერთად განისვენებს, შენ ეტყვი მას: „აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და შუენიერ, ცხედარსა ჩვენსა ზედა საგრილი. აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო“. იგი „შუენიერია“, „დაჩრდილულია“; მართლაც, „მუჰმან დღისი შენ არ დაგწუას, არცა მთოვარემან ღამე“ (ფს. 102,6).

ქალაქის შორები

5. „მოსელნი სახლისა ჩუენისანი — ნაძვისანი“ (ქბ. 1,16). ამ სიტყვებს **რამდენიმე** ერთად გამოთქვამს, ჩემის აზრით, ის ყმაწვილები, რომლებიც სიძესთან ერთად არიან, და რომელთა საკითხს ზემოთ შევხებით. „მოსელნი სახლისა ჩუენისანი — ნაძვისანი, მენაკნი საროსანი“; ავი ნაწინასწარმეტყველებია: „ტვივისა წილ აღმოსცენდეს კვიპაროზი, და ღვივისა წილ მურტი“ (ეს.55,13). თუ ამ ხეების ბუნებას მოიძიებ, ნახავ, რომ ნაძვი (კედარი — ფრანგ. თარგმ. -ში) უზრუნველია, ხოლო სარო — საოცრად სასიამოვნო სურნელების გამომცემელი. მოუხმე ძალებს და ეცადე შენი სახლი ისეთი ჭერით გააწყო, რომ შენზეც ვრცელდებოდეს ნათქვამი: „მოსელნი სახლისა ჩუენისანი — ნაძვისანი, მენაკნი — საროსანი“ (ქბ. 1,16).

შროშანი და მისი სურნელება

5. ამის შემდეგ სიძე აცხადებს: „მე ყუავილი ველისა და შროშანი ღელეთა“ (ქბ.2,1). იგი ღელეში ჩამოდის ჩემთვის, ღელეში მყოფისთვის, და „ცხოვრების ხე“, რომელიც „არს სამოთხესა ღმრთისასა“ (გამოცხ. 2,7) ჩემს გამო ხდება „შროშანი ღელეთა“; იგი ხდება მთელი ველის, ე.ი. მთელი ქვეყნიერების, მთელი მსოფლიოს „ყუავილი“. მართლაც, რა შეიძლება იყოს ქრისტეს სახელზე, სამყაროს „ყუავილზე“ უკეთესი? მისი სახელი „ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ“ (შტრ. ქბ.1,3) ამ აზრს გამოხატავს, ოღონდ სხვა სიტყვებით, სიძის ნათქვამით თავისთავზე: „მე ყუავილი ველისაი და შროშანი ღელეთა“; ამის შემდეგ სძალს აქებს და ამბობს: „და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი, შორის ასულთა“ (ქბ.2,2). როგორც შროშანს ვერ შევადარებთ ეკლებს, რომელთა შორისაც იზრდება იგი ხშირად, ისე „მახლობელი ჩემი“ აღემატება ყველა ასულს და არის „შროშანი შორის ეკალთა“. ამის გამგონე სძალი სიძეს ქებას უბრუნებს და მასში სულ სხვაგვარი სინაზის შემგრძნობი ხოტბად იღვრება.

ვაული და მისი გემო

ნელსაცხებლის სურნელებას, საამოდ რომ იფრქვევა და ხიბლავს ყნოსვას, თავის ბუნე-

ბიდან გამომდინარე, არ შეუძლია, სიამოვნება მოჰგვაროს პირის გემოს. მაგრამ, არსებობს როგორც სურნელოვანებით, ისე გემოთი საუცხოო რამ, რომელიც თავის სიტკბოებით სასას აამებს და სურნელოვანებით ჰაერს საამოდ აზავებს: ეს არის ვაშლი, თავისი ბუნებით ორივე თვისების მატარებელი. ამიტომ ამბობს სძალი, რომელსაც სურს სიძის სიტყვის სურნელოვანებაც შეაქოს და გემოც: „ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მადნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა“ (ქბ. 2,3). ყველა მერქნისებრი, ყველა ხე უნაყოფო ტყვა ღვთის სიტყვასთან შედარებით. რაც არ უნდა დაასახელო, ქრისტესთან შედარებით ყველაფერი „ტყიანი მხარეა“, ყველაფერი შვირია. მის გვერდით რა შეიძლება შეირაცხოს ნაყოფის მწარმოებლად? თვით ნაყოფთა სიუხვით ტოტებდაზნექილი ხეები მოვლენილ სიტყვასთან შედარებისას უნაყოფობას აცხადებენ. ამიტომაც „ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მადნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა. საგრილსა ქუეშე მისსა გულმან მითქუა“ და არა — „გული მითქვამს“, აგრეთვე — „დავჯედ“ და არა „ფჯდები“. დასაწყისიდანვე რომც ვერ შევძლოთ მასთან ნამდვილი საუბრის გაბმა, პირველი შეხებისთანავე საშუალება გვეძლევა, მისი დიდების, ასე ვთქვათ, „აჩრდილით“ ვისარგებლოთ — ჰქედან გამომდინარე, წინასწარმეტყველებთან ვკითხულობთ: „სული პირისა ჩვენისა ქრისტე უფალი... აჩრდილსა მისსა შორის ვცხოვრობდით წარმართთა შორის“ (გოდ.4.20) — და ერთი აჩრდილიდან გადავინაცვლოთ მეორე აჩრდილში: რადგანაც ვინც „სოფელსა შინა და აჩრდილთა სიკვდილისათა“ დამკვიდრდა, იმათთვის „ნათელი განბრწყინდა“ (ეს. 9,2), რომ „სიკვდილის აჩრდილიდან“ „ცხოვრების აჩრდილში“ გადავიდეთ.

წინსვლები, როგორც წესი, იმგვარად ხორციელდება, რომ დასაწყისში ვცდილობთ, თავი მაინც სათნოებათა აჩრდილს შევაფაროთ. ჩემის აზრით, ქრისტეს დაბადება აჩრდილით ამიტომ დაიწყო და დასრულდა არა აჩრდილით, არამედ ჭეშმარიტების ნათელით. ნათქვამია: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისა გფარვიდეს შენ (ფრ. თარგმ. „თავის აჩრდილით“ (ლკ.1,15).

მაშასადამე, ქრისტეს დაბადება „აჩრდილით“ დაიწყო. მაგრამ არა მხოლოდ მარიამში დაიწყო ეს დაბადება „აჩრდილით“. ღვთის სიტყვა შეიძლება შენშიც იშვას, თუ კი ამას დაიმსახურებ. ისე მოიქეც, რომ შეძლო მისი „აჩრდილი“ მოიხელთო, და თუკი „აჩრდილის“ ღირსი გახდები, შენამდე მოვა, ასე ვთქვათ, მისი სხეულიც, ის სხეული, აჩრდილს რომ წარმოშობს, რადგანაც „სარწმუნო იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედა სარწმუნო არს“ (ლკ. 16,10).

„საგრისა ქუეშე მისსა გულმან მითქუა, და დაეჯედ“ (ქბ. 2,3). როგორც ხედავ, იგი საძულამოდ არ დარჩება აჩრდილში, არამედ აჩრდილიდან უკეთეს გარემოებაში გადავა და იტყვის: „და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა“ (ქბ.2,3). მე, ამბობს იგი, მის „აჩრდილქვეშ“ განსვენება ვისურვე, მაგრამ თავისი აჩრდილის მფარველობის ქვეშ ამიყვანა თუ არა, მისი ნაყოფებით აღვივსე და წარვსთქვამ: „და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა“ (ქბ. 2,3).

სძლის მარანი

7. „შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა“ (ქბ. 2,4). გარეთ მომლოდინე სიძე მიიღო სძალმა; მან „განისვენა მის ქუძუთა შორის“. ძალიან ბევრი ქალწული არ არის მზად საამისოდ, თავის ჭერ-ქვეშ სიძის სტუმრად მიღება დაიმსახუროს: ერს იგი გარეთ ელაპარაკება ივაგებით. (შდრ.მთ. 13,23). როგორ ვშიშობ, ცოტანი არ აღმოვჩნდეთ, ვინც ქალწულობას ვიტვირთავთ. „შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა“. ასე ხანგრძლივად რატომ დავრჩი გარეთ? „აჰა ესერა, ვჰსდგა კარსა ზედა, და ვრეკ. უკეთუ ვინმე ისმინო ხმისა ჩემისა, და განადოს კარი, შევიდე მისთანა, და ვჰსჭამო მისთანა სერი, და მან ჩემთანა“ (გამოცხ. 3,20). „შემიყვანეთ მე“. ღვთის სიტყვა აქაც იმავს იმეორებს. აჰა, ქრისტე ამბობს: „შემიყვანეთ მე“. კათაკმეველნო, თქვენი მისამართითაც ამბობს იგი: „შემიყვანეთ მე“ არა უბრალოდ სახლში, არამედ „სახლსა ღვინისასა“. ადავსეთ სული მხარულელების ღვინით“ (ეკლ. 10,19), ადავსეთ იგი სული წმიდის ღვინით, და ამგვარად შეიყვანეთ სიძე, სიტყვა, სიბრძნე, ჭეშმარიტება თქვენს სახლში. ვინც ჯერ არ არიან

სრულყოფილნი, იმათ გასაგონადაცაა ნათქვამი: „შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა“.

მარიამული სიყვარული

8. „განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული“ (ქბ. 2,4). რაოდენ ჯეროვანია აქ ამ სიტყვის მობობა: „განაწესეთ“, რადგან ხშირად კაცთა უმრავლესობის სიყვარული უწესრიგოა. რაც პირველ რიგში უნდა უყვარდეთ, უყვართ მეორე რიგში; რაც მეორე რიგში უნდა უყვარდეთ, უყვართ პირველ რიგში, რაც მეოთხე რიგში უნდა უყვარდეთ, მესამე რიგში უყვართ, და პირიქით — მეოთხე რიგში უყვართ ის, რაც მესამე რიგში უნდა უყვარდეთ — უმეტესობასთან სიყვარულის წესი და რიგი გაუკუღმართებულია. „მოწესრიგებულია“ მხოლოდ წმინდანთა სიყვარული. რამდენიმე მაგალითი მოვიხმოთ შემდეგი სიტყვების ნათელსაყოფად: „განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული“.

ღვთის სიტყვას სურს გიყვარდეს მამა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი; ღვთის სიტყვას სურს, ქრისტე გიყვარდეს და შვილის ან შშობლის მიმართ უსიყვარულობისაკენ არ მოგიწოდებს. რას გეუბნ ბა იგი? — ნუ იქნება შენი სიყვარული უწესრიგო, უმართებულო, ნუ გეყვარება ჯერ დედ-მამა, და შენ მათ შემდეგ; ნუ განიცდი უფრო დიდ სიყვარულს შენი ქალ-ვაჟის მიმართ, ვიდრე ჩემს მიმართ. „რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“. (მთ. 10,37). სინდისის შუქზე გამოატარე სიყვარული, დედ-მამისა თუ ძმის მიმართ რომ გამოძრავებს, დაუკვირდი, როგორია შენი სიყვარული ღვთის სიტყვისა და იესოს მიმართ; მაშინვე მიხვდები, რომ სიტყვაზე მეტად და-ძმა გიყვარს და ქრისტეზე მეტად — დედ-მამა. შენი განსჯით ჩვენ შორის ვინ მიაღწია იმას, ღვთიური სიტყვის სიყვარული უპირველეს და მთავარ სიყვარულად რომ გაეხადა, ხოლო საკუთარი შვილი მეორე რანგში დაეყენებინა? გიყვარდეს ცოლიც, „რომელსა უყვარდეს ცოლი თვისი, თავი თვისი უყვარს“, ხოლო „არა ვინ სადა თავი თვისი მოიძულოს“ (ევ. 5,29), მაგრამ კაცს ცოლი უყვარს როგორც „ხორცი“; „იყუნენ ორნივე იგი ერთ-ხორცი“ ნათქვამია, და არა — ერთსულ. გი-

ყვარდეს ღმერთიც, მაგრამ შეიყვარე იგი არა როგორც „სისხლი და ხორცი“, არამედ როგორც სული: „რომელი შეეყოს უფალსა ერთსულ არს უფლისა თანა“ (1 კორ. 6,17). მასხადამე, სიყვარული მართებულია და კეთილ—მოგვარებული იმათში, ვინც სრულყოფილია. ღვთის შემდეგ წესრიგი ჩვენ შორისაც რომ არსებობდეს, პირველი მცნება მოითხოვს, გვიყვარდეს შობლები, მეორე მოითხოვს შვილების სიყვარულს, მესამე — მსახურებისას. ხოლო თუ ქე ცუდია და მსახური კარგი, სიყვარულში მსახურმა ძის ადგილი უნდა დაიკავოს. მხოლოდ ამგვარად მოხერხდება, რომ „წმიდათა სიყვარული მოწესრიგებული იყოს“. ჩვენმა მოძღვარმა და უფალმა სახარებაში სიყვარულის მცნებათა გამოთქმისას, სიყვარულის თითოეული ფორმა დაახასიათა კერძო ნიშნით და ამ შეგონების აზრი: „განაწესეთ სიყვარული ჩემ ზედა“, გაამჟღავნა იმათთვის, ვისაც წმიდა წერილის გულისხმისყოფის უნარი აქვს; „შეიყვარო უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა. შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მთ.22, 37—39). მას არ უთქვამს: „შეიყვარო ღმერთი შენი, ვითარცა თავი თვისი“ ან „შეიყვარო მოყვასი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“. ამის გარდა მან თქვა: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი“ (მთ. 5,44), მაგრამ არ დაუმატებია: „ყოვლითა გულითა თქუენითა“. ღვთიურ სიტყვას წესრიგი არ აკლია. იგი შეუძლებელს არაფერს გვთავაზობს და არ გვეუბნება: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი, ვითარცა თავი თვისი“, არამედ ამბობს: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი“. საკმარისია გიყვარდეს ისინი და სიძულვილს არ განიცდიდე მათ მიმართ. მაგრამ, მოყვასი უნდა გიყვარდეს „ვითარცა თავი თვისი“, და უფალი „ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა“. თუკი ამას გაიგებ და გაგებულს კი სრულყოფ, შენ განახორციელებ სიძვის სიტყვით მოწოდებულს: „შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა, განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული“. შენის აზრით, ვინ არის ჩვენ შორის მართებული სიყვარულის მქონე?

სიყვარულის ჭრილობა

„დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ“ (ქბ.2,5). ერთ-ერთმა მთარგმნელმა არჩია „ენ ოფნაბთეა“-ვაზის ყვავილში. მაგრამ აი რას პასუხობს სძალი: „გარემომასხთ მე ვაშლი“. რა ვაშლი? „ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მადნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა“. ამიტომაც: „გარემომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყულელ ვარ მე სიყვარულითა“. რა ამაღელვებელია, და რა მართებული, სასიყვარული ჭრილობათა მიღება! ზოგი ხორციელი სიყვარულის ისრით იკოდება, ზოგი — ამა თუ იმ მიწიერი ვნებით. ხოლო რაც შეგეხება შენ, განიშიშვლე სხული და გამოეჩვენე საუცხოო ისარს, ისარს მოხდენილს, რადგანაც ღმერთთა მოისარი. ყური დაუგდე წმიდა წერილს, რომელიც ამავე ისარზე ლაპარაკობს. მეტიც, მოისმინე რას ამბობს თვით ისარი, უფრო მეტ ალტაცებაში რომ მოხვიდე: „დამდვა მე, ვითარცა ისარი რჩული, და კაპარჭსა შინა მისსა დამფარა მე. და თქვა ჩემდამო: დიდ არს შენდა ესე წოდება შენი“. გულისხმაჰყავ რას ნიშნავს ისარი და თავისთვის როგორ გამოარჩია იგი უფალმა. რა ბედნიერებაა ამ ისრით დაჭრა! სწორედ ამ ისრით დაიჭრნენ ისინი, საუბრისას ერთმანეთს რომ განუცხადეს: „ანუ არა გულნი ჩუენნი განხურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა, და ვითარ იგი გამოითარგმანებდა ჩუენ წიგნთა? (ლკ.24,32). თუ ვინმე დაიჭრება ჩვენი სიტყვით, თუ დაიჭრება საღვთო წერილის გაკვეთილებით და შეძლებს, თქვას: „დაწყულელ ვარ მე სიყვარულითა“, ალბათ შეძლებს თავისთვის ამის შემოწმებას; მაგრამ, რატომ — ალბათ? გამოვთქვამ ცხად დასტურს.

სვეპნა

9. „მარცხენე მისი თავსა ზედა და მარჯუენე მისი გარემომეხუია მე“ (ქბ. 2,6). ღვთის სიტყვას მარჯვენა და მარცხენა ხელი აქვს. სიბრძნე, გააზრებათა ნაირგვარობის მიხედვით, მრავალსახოვანი ერთია თავის არსში. სიბრძნის მარჯვენასა და მარცხენაზე თვით სოლომონმაც მოგვცა სწავლება, როცა თქვა: „სიგრძე ჟამთაი და წელი ცხოვრებისანი მარჯუენით მისსა, ხოლო მარცხე-

ნით მისსა დიდებაი და სიმდიდრე“ (იგ.3,16). მაშ, „მარცხენა მისი თავსა ზედა ჩემსა“, რათა დავისვენო ისე, რომ სიძის მკლავი სასთუმლად მედოს და ჩემი სულის უმთავრესი ნაწილი ღვთის სიტყვაზე განისვენებდეს. „მარცხენე მისი თავსა ზედა ჩემსა“. შენთვის არ არის მომგებიანი იმ „სასთუმალთა“ შექმნა, რომელთაც მოჰყვება კვნესა—გოლება. ესეკიელთან წერია: „ვაი, რომელნი შეაკერვენ სასთუმლებსა ყოველსა ქუეშე იდაყუსა ხელისასა“ (ეხ. 13,18). ნუ შეიკერავ მსგავს სასთუმალთ, სხვაგან ნულარ ეძებ თავის მისადებს, სიძის მარცხენა ხელი გქონდეს თავქვეშ ამოსადებად და თქვი: „მარცხენა მისი თავსა ზედა ჩემსა“. როცა ეს ხელი გექნება თავქვეშ, ყველაფერი, რაც ამ ხელშია, მოგეცემა და ჭეშმარიტად იტყვი: „მარცხენით მისსა დიდება და სიმდიდრე“ (იგ.3,16). ხოლო სიძის მარჯვენა ხელი, დაე, სრულად შემოგეხვიოს. „სიგრძე უამთაი და წელი ცხოვრებისანი მარჯვენით მისსა“; ამიტომაც „გრძელ უამ იყო ქუეყანასა ზედა კეთილსასა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ (გამოსვ. 20,12).

სიძის თვლვა

„გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა“. ხვეწნით რატომ მიმართავს სძალი იერუსალიმის ასულთ? „უკეთუ აღსდგეთ და განადვიძოთ სიყვარული“ (ქბ. 2,7). რა ხანია, თქვენში სძინავს სიყვარულს, ო, ქალწულნო იერუსალიმისანო, იმ სიყვარულს, ჩემში, „სიყვარულით დაჭრილში“, რომ გამოღვიძებულა. მაგრამ თქვენში, რომელნი მრავალრიცხოვანი ხართ და ყმაწვილნი, რომელნიც იერუსალიმის ასულნი ხართ, სიძის სიყვარულს სძინავს. მაშ, „გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო“, „განადვიძოთ“ და არა მხოლოდ განადვიძოთ, არამედ გაადვივოთ თქვენში არსებული სიყვარული. თქვენი შექმნისას სამყაროს შემოქმედმა თქვენს გულებში ჩათესა სიყვარულის მარცვლები. მაგრამ ამჟამად, როგორც ნათქვამია სხვაგან: „სიმართლემან დაიძინა მის შორის“ (ეს. 1,21) „თქვენში თვლემს სიყვარული“. კიდევ სხვაგან იგივე აზრითა ნათქვამი: „განისუენა ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომი-

სამან“ (რიცხ. 24,9). ღვთის სიტყვაჯერ კიდევ მთვლემარეა ურწმუნოებში და მათში, ვინც გულით ეჭვს ატარებს; იგი ფხიზლობს წმინდანებში, სძინავს იმათში, ვისაც ქარიშხალი არყვეს, მაგრამ იღვიძებს იმათ ყვირილზე, ვისაც გამოღვიძებული სიძის მეოხებით ხსნა მოსურვებია. როცა ღვთის სიტყვა იღვიძებს, მაშინვე სიმშვიდე ისადგურებს, მაშინვე წყნარდებიან წყლის ზვირთები: იგი შერისხავს ქარებს და ტალღათა სიცოფეც ღვება. როცა მიძინებულია — ქარიშხალია, სიკვდილია, სასოწარკვეთილებაა. „გაფუცებ“, მაშ, „ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა“. რომელ აგარაკებზეა აქ ლაპარაკი? იმ აგარაკებზე, რომელთაც აქვთ „სულნელები ველისა სვესისა, რომელი აკურთხა უფალმან“ (დაბ. 27,27).

ძმისწულის კვლავ გამოჩენა

10. „უკეთუ აღსდგეთ და განადვიძოთ სიყვარული, ვიდრემდისცა ინებოს ხმაი ძმისწულისა ჩემისაი: აჰა ეგერა მოვალს ვლდომით მათათა ზედა“ (ქბ. 2,7—8). ამ სიტყვებს ისევ ეკლესია ამბობს, რომელიც ქალწულებს მოუწოდებს, სიძის მისადებად მოემზადონ, თუკი სიძე მათთან მოსვლასა და გაბაასებას იკადრებს. სძლის საუბრისას სიძე გამოჩნდება. თითოთ აჩვენებს მას და ამბობს: „აჰა ესერა, მოვალს ვლდომით მათათა ზედა“. ყური დაუგდე სძლის სულს, ნეტარსა და სრულყოფილს, რომელსაც ხელეწიფება ასე ერთბაშად იხილოს სიძის მოსვლა, შეიგრძნოს მასთან მოსული სიბრძნე, „სიყვარული“ და უთხრას იმათ, ვინც მას ვერ ხედავს: „აჰა ესერა, მოვალს“. ილოცეთ, რათა მეც შევძლო, ვთქვა: „აჰა ესერა, მოვალს“. თუკი შევძელი ღვთის სიტყვის წარმოჩენა, გარკვეულწილად მეც ვამბობ: „აჰა ესერა, მოვალს“. მაგრამ, სად „მოვალს“? არა იქ, სადაც ხეობაა, ან სადაც დაბლობები იშლება. მაშ, სად? — „ვლდომით მათათა ზედა, და მორბის ბოცვთა“. თუკი მთა ხარ, ღვთის სიტყვა „ხტება“ შენზე. თუ არ ძალგიძს, მთა იყო, მაგრამ მთაზე პატარა ბორცვი ხარ, მაშინ შენზე „გაღმობრბეს“. როგორი მშვენიერია ეს სიტყვები და სინამდვილეს კარგად მისადაგებული. იგი ხტება მთებზე, რადგანაც მთა მეტად მაღალია, და „გაღაირბენს ბორცვებს“, რადგანაც

ბორცვი ნაკლები სიმაღლისაა. იგი მთებს არ გადაირბენს და ბორცვებზე არ დახტის: „აჰა ესერა, მოვალს ვლდომით მათათა ზედა, და მორბის ბორცვთა“.

ირემი და ქურციკი

11. „მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირმისასა მათათა ზედა ბეთელისათა“ (ქბ. 2,9). საღვთო წერილი ამ ორ ცხოველს არა ერთხელ ახსენებს, და, აღსანიშნავია, რომ მათ, ხშირ შემთხვევაში, ერთად მოიხსენიებს. „აი, რას შეჭამ“ — ნათქვამია, და შემდეგ, ცოტა მოშორებით, დასახელებულია „ქურციკი“ და „ირემი“ (შდრ. 2 შჯ.14,4). ამ წიგნშიც, ქურციკი და ირემი ერთად არის ნახსენები. მართლაც, ეს ცხოველები რაღაცით ენათესავებიან და უახლოვდებიან ერთმანეთს: ქურციკს (ბერძნულად — აქვს გამჭოლი მხერა. ირემი გველების მკვლელია. ჩვენ შორის ვინ არის ღირსი, რომ ამ ნაწვევტის საიდუმლო მისი ღირსების შეუღლებვლად გაამჟღავნოს? ვილოცოთ, რომ ღმერთმა მოგვანიჭოს მადლი „საღვთო წერილის გახსნისა“ და იხეობს, რომ თქვენ გეთქვათ: „როგორც იესომ აგვიხსნა საღვთო წერილი“ (შდრ. ლკ.24,32). ვიტყვი, რომ ფიზიოლოგიების მიხედვით, რომლებიც ყველა ცხოველის ბუნებას იკვლევენ, ქურციკმა თავისი სახელი მიიღო თანდაყოლილი უნარიდან გამომდინარე: მას დაერქვა ქურციკი (დორკას) იმის გამო, რომ აქვს გამჭოლი მხერა, ე.ი. პარა ტო ოქსიდერკესტრონ ირემი, თავის მხრივ. გველების მტერია და დევნის კიდევ მათ; ნესტოებიდან გამოწაფს ჰაერით ისინი ხვრელებიდან გამოჰყავს და იმარჯვებს რა ამ ქვემძრომთა შხამიანობაზე, სიამოვნებით შეეძევება მათ. იქნებ ჩემი მაცხოვარი „ქურციკია“ „თეორია“-ს მიხედვით, და „ირემი“ „ქმედების“ მიხედვით. რაში მდგომარეობს მისი ქმედება? იგი კლავს გველებს, აშთობს მტრულ ძალებს; ამიტომაც ვეტყვი მას: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპთა წყალთა ზედა, შენ შეჰმუსრე თავი ვეშაპისა მის“ (ფს. 73,13—14).

ღვთის სახლი

12. „მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა. ანუ ნუკრსა ირმისასა მათათა ზედა ღვთის

სახლისა“. (ქბ. 2,9) მართლაც, ბეთელ ითარგმნება როგორც „ღვთის სახლი“. ყველა მთა არ არის ღვთის სახლი; ღვთის სახლი მხოლოდ ის „მთებია“, რომლებიც ეკლესიისაა. მართლაც, სხვა მთებიც არსებობს, ეგვიპტისა და ალოფილების მთები, აღმართული და დადგმული „ღვთის მეცნიერების წინააღმდეგ“. გინდა იცოდე, რატომ არის მისი ძმისწული მსგავსი „ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მათათა ზედა ბეთელისათა?“ (ქბ. 2,9). იყავ მთა, რომელიც ეკლესიისაა. „მთა ღვთის სახლისა“ და სიძე მოვა შენთან, მსგავსი „ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირმისასა მათათა ზედა ბეთელისათა“. სძალი ხედავს მოახლოებულ სიძეს, მანამდე მთებსა და ბორცვებზე რომ იმყოფებოდა, ხედავს მას იმგვარადვე „მტომარეს და მორბენალს“. შემდეგ ცნობს, რომ სიძე წამოსულა მისკენ და მისი თანმხლები ქალწულებისკენ და ამბობს: „აჰა ესერა, ესე დგას უკუანა ზღუდესა ჩუენსა“ (ქბ. 2,9). თუ ზღუდეს აღმართავ და ღვთის სახლს ააშენებ, იგი მოვა „უკუანა ზღუდესა შენსა“ და „იხედავს სარკმლით გამო“ (ქბ. 2,9). ყოველი სარკმელი ჩვენს რომელიმე გრძნობას შეესატყვისება. მათგან „იხედება“ სიძე. მართლაც, რომელი გრძნობიდან არ იხედება ღვთის სიტყვა? სარკმლებიდან ყურება რას ნიშნავს და მათგან სიძე როგორ იხედება, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. სადაც სიძე არ იხედება, იქ სიკვდილი აღწევს, როგორც ამას იერემიასთან ვკითხულობთ: „რამეთუ აღმოვიდა სიკვდილი სარკმელთა თქუენთათ“ (იე.9,21). როცა ქალს გულისთქმით უყურებ, „სიკვდილი შემოდის შენ სარკმელთაგან“.

„და გარდმოხედავს არდაბავთათ“ (ქბ. 2,9). გულისხმაყავ, რომ მახეებს შორის დაღიხარ და ყოველი მხრიდან საფრთხე გემუქრება (იხ: ეკლ:9,13). გარემო სავსეა მახეებით; მაცდურმა ყველაფერი დაიპყრო თავისი ბაღებით. თუ ღვთის სიტყვა მოვა და, დაიწყებს ბაღეთა მიღმა გამოჩენას, იტყვი: „სული ჩვენი ვითარცა სირი განერა მახისა მისგან მონადირეთასა; საფრთხე შეიმუსრა, და ჩვენ განვერენით. შეწვენაი ჩვენი სახელითა უფლისათა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაი“ (ფს.123, 7—8). სიძე გამოჩნდა ბაღეთა მიღმა. იესომ გზა გაგვიხსნა. იგი ჩა-

მოვიდა ქვეყნად; დაექვემდებარა ამქვეყნიურ მახეებს. ნახა რა ამ ბაღებში გაბმული კაცთა სიმრავლე, თვით წამოვიდა მათ გასარღვევად, რაკი მეტს არავის შეეძლო ამის აღსრულება; იტვირთა მტრულ ძალთა მიერ შებორკილი აღამიანური სხეული და განხეთქა შენთვის ბორკილნი. ამგვარად შეგიძლია თქვა: „აჰა ესერა, ესე დგას უკუანა ზღუდესა ჩუენსა, და იხელავს სარკმლით გამო, და გარდმოხელავს არღაბათით“ (ქბ. 2,9).

სიძის ხმოვა

როცა ის „გამოჩნდება“, გუნებაში იტყვი: „მომიგებს ძმისწული ჩემი და მეტყვის მე: „აღდგე, მახლობლო ჩემო“; განგიზხადე გზა, გავარღვიე ბაღები, „მოვედ, მახლობლო ჩემო, შეუნიერო ჩემო, ტრედო ჩემო“. რატომ ამბობს „აღდგე“, რატომ ამბობს „ისწრაფე“? აი, ამის პასუხი: „შენთვის ავიტანე ქარტეხილთა სიცოფე, შვეყენე შენს წინააღმდეგ აღმართული ზვირთები (შდრ. მთ.8,23). შევმუსრე სიკვდილის საწერტელნი, აღვდექი მკვდრეთით (შდრ. 1 კორ. 15,20,20,55) და გავსენ ჯოჯოხეთის კრულება. ამიტომაც გეუბნები: „აღდგე, მოვედ, მახლობლო ჩემო, შეუნიერო ჩემო, ტრედო ჩემო, რამეთუ აჰა, ესერა, ზამთარი წარხდა და წვიმა დასცხრა და წარვიდა გზასა თვისსა და ყუაილი გამოჩნდა ქუეყანასა ჩუენსა“ (ქბ. 2,10-12). მკვდრეთით აღმდგარმა ქარიშხალი დავაცხრე და სიმშვიდე დავამყარე; ქალწულისაგან და მამის ნებით შობილი, რაკი, ხორცის მიხედვით, ვსრულდებოდი „სირძნითა და პასაკითა“; „ყუაილი გამოჩნდა ქუეყანასა ჩუენსა, ჟამი სხლვისა მოიწია“.

სხლვა ცოდვათა შენდობაა. მართლაც, ნათქვამია: „ყოველმან რტომან, რომელი ჩემთანა არს... და მოიღის ნაყოფი, განწმიდოს იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოიღოს“ (ი.15, 2). მოიღე ნაყოფები და აღრინდელი უნაყოფო რტოები მოგეშორება. რადგანაც „ჟამი სხლვისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქუეყანასა ჩუენსა“. უსაფუძვლოდ არ იღებდნენ მსხვერპლად ერთ წვეილ გვრიტს და მტრედის ორ პატარას (ლევ. 5,7). მართლაც, მათ ერთი და იგივე ღირებულება აქვთ; ამიტომაც ასახელებდნენ არა მხოლოდ „ერთ წვეილ გვრიტს“ ცალკე, არამედ „ერთი წვეილი გვ-

რიტი და ორი მტრედი“. „მტრედი“ სულიწმიდაა (შდრ. მკ. 1,10). მაგრამ, როცა სულიწმიდა ლაპარაკობს დიდ დაფარულ საიდუმლოებებზე, მიუწვდომელი რომ რჩებიან კაცთა უმრავლესობისათვის, მაშინ მას აღნიშნავენ სიტყვით „გვრიტი“, ე.ი. იმ ჩიტის სახელით, რომელიც მუდამეამ მთათა მწვერვალებსა და ხეთა კენწეროებზეა. სამაგიეროდ, „ხეობებსა“ და ყველასათვის განკუთვნილ ადგილებში სულიწმიდის აღსანიშნავად მტრედი გამოიყენება. ბოლოს, რადგანაც მაცხოვარი დამდაბლდა და მოვიდა ქვეყნად, და რაკი იორდანის მახლობლად ბევრი ცოდვილი იყო, სულიწმიდა გარდაისახა არა „გვრიტად“, არამედ „მტრედად“; ადამიანთა სიმრავლის გამო სწორედ იგი დარჩა ჩვენს სიახლოვეში როგორც უფრო ნაზი ფრინველი. მაგალითად, იგი „გვრიტის“ სახით გამოცხადდა მოსეს და ყოველ წინასწარმეტყველს, ვინც კი მთებსა და უდაბნოებში განმარტოვდა და იქ მიიღო ღვთის სიტყვა. „ხმა გვრიტისა ისმა ქუეყანასა ჩუენსა. ლელუმან გამოუტყვა გაგა თვისი“ (ქბ. 2,12,13). „ხოლო ლელვისაგან ისწავლეთ იგავი, ვითარცა იგი რაჟამს რტონი მისნი დაჩჩვიან, და ფურცელნი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“. (მთ.24,32). ღვთის სიტყვას სურს, გაამცნობს, რომ ზამთრის შემდეგ, სულის ქარტეხილთა შემდეგ მოსავლის აღების დრო ახლოვდება და ამბობს: „ლელუმან გამოუტყვა გაგა თვისი, ვენახნი ჰყავიან, მოსცეს სულნელები თვისი“. ისინი ყვავილებად იფურჩქნებიან; დადგება დრო, როცა იქნება ყურძენი.

კლდის ქვაბული

13. „აღდგე, მოვედ მახლობლო ჩემო, შეუნიერო ჩემო, ტრედო ჩემო“ (ქბ.2,13-14). რაც ზემოთ განვიხილეთ, სძლის მიერ წარმოითქვა ისე, რომ ქალწულებს მისი არ ესმოდათ. სიძის ხმა მხოლოდ მას ჩაესმის. მაგრამ ჩვენც გვინდა, გავიგოროთ სიტყვები იმისა, ვინც სძალს ეუბნება: „აღდგე, მოვედ, მახლობლო ჩემო“. იგი არ უხმობს ქალწულებს, არ ეუბნება მათ „ადექით“, არამედ ამბობს: „აღდგე, მოვედ, მახლობლო ჩემო, შეუნიერო ჩემო, ტრედო ჩემო, და მოვედ, თავით შენით, საგრილსა ქუეშე კლდისასა“

(ფრანგ. თარგ.-ში კლდის ქვაბულში“). მოსეც გამოქვაბულში შედის, რომ ზურგიდან იხილოს ღმერთი (გამოსვ. 33,23). „წინა ზღუდის გამოქვაბულში“ მიუახლოვდი ჯერ იმას, რაც „ზღუდის წინა ადგილია“ და მერე შეძლებ შესვლას იქ, სადაც ზღუდე თავად „კლდეა“. „მაჩვენე პირი შენი“. „ამ დღემდე“ მსგავსი სიტყვებით მიმართავდნენ სძალს, მაგრამ მას არ ჰქონდა საკმარისი ნდობა იმისთვის, რომ „პირისპირ ეჭვრიტა ღვთის დიდება“ (შდრ.2 კორ.3,18). ხოლო ეხლა, როცა იგი მორთულია და მოკაზმული, ეუბნებიან: „მაჩვენე პირი შენი“. არც მისი ხმოვანება იყო საკმაოდ ტკბილი საიმისოდ, რომ მისთვის დამსახურებულად ვთქვათ: „მასმინე მე ხმაი შენი“. როცა ისწავლა მან

ლაპარაკი — დადუმდი ისრაელ და ისმინე (შჯ. 27,9) — და ახლა როს იცის, რა უნდა თქვას, მისი ხმა „ტკბილი“ ხდება სიძისთვის, წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ: „ტკბილ ეყავნ მას გალობა ჩემი“ (ფს. 104,34). მაშინ მიუგო სიძემ: „მასმინე მე ხმაი შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმაი შენი“. თუ გააღებ პირს ღვთის სიტყვისათვის, სიძე გეტყვის: „ტკბილ არს ხმაი შენი და პირი შენი შუენიერ“. ამიტომაც, ავდგეთ და ვილოცოთ, რომ ღმერთმა ღირსი გაგვხადოს სიძისა, სიტყვის, სიბრძნის, იესო ქრისტესი, „მისა დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე“ (1 პ. 4,11). ამინ.

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაფარიძე

შუალოდეთი შუალსა გალობითა ახლითა

თამარ ჩაჩიბაია

ჩიდა ჩა...

პოეტმა მავშკა სალუქვაძემ

წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ლეონტი
პროველისეული აღწერის მიხედვით შექმნა ლექსების ციკლი.
გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

**წმიდა ნინოს ჩამოსვლა დელაქალაქად
სამეფოდ მცხეთად**

„დღესა ერთსა შეიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით
წარმაველნი დედა ქალაქად სამეფოდ, მცხეთად, ვაჭ-
რობად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა; და წარჰყვა წმი-
და იგი თანა. და მიიწივნეს ქალაქად მცხეთად წიად
ხილსა ზედა, და დადგეს მუნ, და ზედვიდეს ცეცხლის
მსახურთა მით ერთა მოგუებასა და ცთომასა; და იგლო-
ვდა უცხოებასა თუისსა.“

ლეონტი მროველი

დღესა ერთსა,
სადღეობოდ,
ან უკეთუ საღრეობოდ,
მით ქალაქით წარმართულსა წარმართ ერსა
ნინოც გაჰყვა;
ნეტარს მცხეთის სურდა ნახვა,
არმაზობის სურდა ნახვა,
ლხინისა და დარბაზობის სურდა ნახვა,
ჰოდა, გაჰყვა.
მწუხრის პირზედ, არ მისული ზედაზენთან
მუნვე დადგეს ერთსა დიდსა ხილსა ზედა.
და რა გაღმა გაიხედა,
შესაყარზედ ორთა ხევთა
მედგარად მდგარი,
მოზღუდული, ბჭემაგარი
გაღეშალა თვალწინ მცხეთა.
გაჰყურებდა.
ქალაქს დიდხანს გაჰყურებდა,
სინანულით გაჰყურებდა,
სიბრალულით გაჰყურებდა,
ნაწყენი და გულნატკენი გაჰყურებდა.
ხედავდა რა იგი ერი,
იაფეტის ნაშიერი,
თუ ვით ცეცხლსა მსახურებდა
სადიდებლად არმაზ ღმრთისა.
ხედავდა და იგლოვიდა უცხოებას მათნი
თუისსა.

მოქცევა ქართლისა

„მოიწია იოვანე ეპისკოპოსი, და მის თანა მდღელ-
ნი და დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად, აღივსნეს
სიხარულითა მეფე და დედოფალი და ყოველი ერი მათი.
რამეთუ სურვიელ იყუნეს ნათლისღებისათუის. მა-
შინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყო-
ველთა თანა ერისთავთა, სპასხალართა და ყოველთა
პირთა სამეფოსათა, მოწოდებად, წინაშე მისსა: და
მსწრაფლ მოიწივნეს ყოველნი ქალაქად.

„მაშინ ნათელ ილო მეფემან კელსა ქუეშე წმიდი-
სა ნინოსა და შემდგომად დედოფალმან და შვილმან
მათმან კელთა ქუეშე მათ მდღელთა და დიაკონთასა.
შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი და...
ორგან ორნი იგი მდღელნი და დიაკონნი ნათელ-სცემ-
დეს ერსა.“

ლეონტი მროველი

მას ჟამსა შინა მოვიდოდეს ცისა მხედარნი;
ეპისკოპოსი იოვანე, მის თანა მდღელნი,
დიაკონნი და მოციქულნი, სხვანიც ნეტარნი,
უფლის წინაშე ვალის თვისის პირნათლად
მხდელნი.

მაშინ შეკრიბა მირიანმა სამეფო კაცნი:
სპასხალარნი და ერისთავნი, ერის რჩეულნი;
მცირე ფარათა წინამძღოლნი ვერძნი და
ვაცნი
ცხოვართა ველად დაფანტულთა მწყემსვას
ჩვეულნი.
მთელს საქართველოს მოიხმობდა და მოიწ-
ვევდა,


საყოველთაოდ მსურვიელი ნათლის-ღებისა,
ერიც უმაღვე მოვიდოდა, მსწრაფლ მოიწვევდა,
ქმინოდა რა უფლისა მის განრიხებისა.

და თუქცა მრევლი სიხარულით აღივსებოდა,
სიხარულის წილ სინანულის ცრემლიცა
ღვარეს,
ვით აქამომდე საქართველოს, ამ ბედკრულ
მხარეს

წყალობა მსგავსი არაოდეს არ ღირსებოდა.
 მაშინ მირიან უწინარეს ერის ყოვლისა,
 მან, თავად მხუშტან შომნათველემან შუქით
 ხომლისა,
 ნათელი ილო ქალწულისა ნინოს ხელისგან,
 მის წმიდისა და ნეტარისა ღმრთისა მხველი-
 სგან.

მკვთის შემდგომად დედოფალმა და შვილმა
 მათმა,
 პირმშვენიერმა უფლისწულმა, უფლისა
 ხატმა,
 იღეს ნათელი მღვდელთაგან და ნათელღე-
 ბულნი
 ღმერთს მადლს სწირავდნენ მაღლიურნი, მი-
 რონცხებულნი.
 კვლად ნეტარმა იოვანემ აკურთხა მტკვარი,

სიცოცხლესავით მდინარე და აროდეს მღვა-
 რი;
 და შთახდებოდნენ მდინარესა - ერნი, ვით
 ოდენ
 განზანილნი და განწმენდილნი გამოვიდოდნენ.
 მაშინ ღმრთისა მადლს შეესუღად მოფენა
 ეწყო,
 და მოჰფენოდა ჩვენს ქვეყანას სიმშრით
 ნათესსა.
 და ჩვენც რამეთუ ნინოსაგან მირონი გვეცხო,
 გვემართებს მარადეჟამს თაყვანს ვსცემდეთ
 ჩვენსა მნათესა.
 აქ აღესრულა ნაამბობი ესე, რომელი
 ითქმის წმიდისა ნინოსაგან მოქცევად ქარ-
 თლის.
 ღმერთო, აცხონე აწ ლეონტი იგი მროველი,
 მთხრობელი შენდა სადიდებლად ამბისა მარ-
 თლის.



ღარიბებანი საქალსიო მრავლისათვის

(გამოკრებილი წმ. ბაბათაგან)

1. სათნობათაგან არაფერი ისე არ ახარებს ღმერთს, როგორც გაჭირვებისა და განსაცდელის მაღლობით მოთმენა: უფალი ავადმყოფისაგან არ გამოეძიებს მარხვასა და ხორციელ ღვაწლს (როგორცაა მეტანიების აღსრულება, მუხლზე ღვთისთა ღოცვა და სხვა), არამედ მისგან ითხოვს მხოლოდ მოთმინებას, მაღლიერებას და გონისმიერ ღოცვას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გონება ყოველთვის მიმართული გვექონდეს ღვთისკენ. მარხვა და ხორციელი გარჯა საჭიროა არაწმიდა ვნებების დასათრგუნად, ხოლო ხორციელი ავადმყოფობა ამათხე უფრო მაღლა დგას. ამიტომ უძღურს არ მოეთხოვება მარხვა და ხორციელი ღვაწლი, ის გაჭუდებით უნდა მაღლობდეს ღმერთს და სთხოვდეს, მოთმინება მიანიჭოს.

2. ძილისაგან აღდგომილმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სიტყვებით აღიდევ ღმერთს. შემდეგ მიყსეულად აღასრულე შენი ღოცვის კანონი. ღოცვა დაიწყე მშვიდად, იყავი ყურადღებით, განიცადე ღოცვის სიტყვათა ძალა, ილოცე გულის შემუსვრილებითა და ღვთის შიშით, თითქოს უფლის წინაშე იდგე და მას ეზრახებოდე. გონებას დილიდან რაც დაიპყრობს, მთელი დღე ისაა დაუფლებული — წისქვილის ქვას ჰგავს, რომელიც მთელი დღე იმას ფეკავს, რასაც დილიდან ჩაყრიან — ხორბალი იქნება, თუ ღვარძლი. ვეცადოთ, დილიდანვე ჩავეყაროთ ხორბალი, რათა მტერმა არ შეურიოს ღვარძლი.

თუ დამე გეზმანება ქალური სახე — დღე ეცადე არ იფიქრო განცდილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულს შეამწიკვლებ და მოუტანს სიკვდილს. როდესაც დაწვები სარეცელზე, მოგონე კუბო შენი, რომელშიაც ოდესმე განისვენებ და უთხარი შენს თავს: არ ვიცი, ავდგები თუ არა ხვალ ცოცხალი და ვიდრე ძილად მიხვიდოდე, თავმდაბლობით და გულის აჩუყებით შევედრე უფალს. ყურადღება

მიაცქიე, ძილად მისვლამდე რაიმე უწმინდურზე არ იფიქრო; საერთოდ არ წარმოიდგინო დედაკაცი, თუნდაც წმინდანი, დაიძინე ღოცვით და ფიქრით განკითხვის დღეზე, რომელზეც შენ უნდა წარდგე და აუო პასუხი ყოველგვარი საქმის, სიტყვის და გულისთქმისთვის. რაზეც ფიქრობს ადამიანი ძილის წინ, მასვე ხედავს ოცნებით ძილთაშორის, ბოროტი იქნება თუ კეთილი.

არსებობენ ისეთი არაწმიდა სულებიც, რომელნიც ადამიანს ცთუნებას უწყებენ მხოლოდ მაშინ, როცა სარეცელზე დაწვება მოსასვენებლად, მოაქვთ რა მისთვის მოგონებები საწინააღმდეგო საქესზე. ღვთისმოსავს დასტრიალებენ ასევე წმ. ანგელოსებიც, რომელნიც სწორედ მისთვის მოუვლინა ღმერთმა, რათა მაცდურის ამგვარი ხრიკებისაგან იხსნან იგი.

როდესაც გული გეტყვის: ადექი და ილოცე — დღე იქნება ეს თუ დამე — გულისხმაჰყავ, შენი მფარველი წმ. ანგელოსია და ის გეზრახება უხილადად. წამოდექი და ილოცე — ადგები თუ არა, ისიც შენთან ერთად დადგება ღოცვად, რათა გაგამხნევოს ღვაწლში და განსდევნოს ბოროტი სულები, შენს შეცდენას რომ ფიქრობენ და მყვირალი ღომივით გარემოგდგომიან. თუ არ წამოდგები და არ ილოცებ, მაშინვე დაგტოვებს წმ. ანგელოსი და აღმოჩნდები მტრების (სუპოსტატების) ხელში.

3. თუ ვისმეზე გაიგებ, რომ განგიკითხა და მასთან ერთად მოხვდები სადმე, ნუ ამხილებ, არამედ განმხიარულდი, რათა კადნიერება მოიპოვო პირად ღოცვაში.

4. საკუთარი თავის დამდაბლებამ მრავალი იხსნა შრომის გარეშეც, რისი მოწამენიც არიან მეხვერე და უძღვები შვილი. წარსთქვეს რა რამდენიმე სიტყვა უფლის წინაშე — მიიღეს ცხონება. ღვაწლი ადამიანს, თუკი მას არ გააჩნია თავმდაბლობა, დაღუპავს: მრავ-

ვალნი ფიცხელი შრომით ჩავარდნენ სიამაყეში და წარწყმდნენ, ვითარცა ფარისეველი.

5. დახვეწილი და გამოცდილი საუბრები ღმერთზე და ასეთივე თხზულებების კითხვა აშრობენ ცრემლს (სინანულისა) და ადამიანისაგან განსდევნიან გულის შემუსვრილებას. წმ. მამათა ცხოვრებისა და გამონათქვამების მკითხველი კი განანათლებს თვის სულს (SIC! — ამ კრებულის ზედწარწერა).

6. მარხვა თრგუნავს სხეულს, მღვიძარება გონებას განსწმენდს, მღუმარებას მოაქვს ცრემლი: ცრემლი კი გზაა სრულყოფილებისა და უცოდველობისაკენ.

7. თუ ლოცვის დროს იგრძენი რაიმე ვნების დაუფლება (ვთქვათ მრისხანების ან სიძვის გულისთქმათა), განართხე ხელები ჯვარის სახედ, მაგრამ არა ისე, რომ სხეული მეტისმეტად დაგეძაბოს და არცა ზედმეტად ზევით, რათა არ მოიხიბლოს. ეს მოგიტანს ლოცვისას გულის შემუსვრილებას და სიფიზიზეს, რადგან იღებს რა სხეული ჯვრის სახეს, სულიც ამგვარსავე მდგომარეობაში დგება, რაც განსაკუთრებულად აძრწოლებს არაწმიდა სულს.

8. თუ გსურს ძმის (მოყვასის) შეცოდებაზე ლაპარაკი, ილაპარაკე ყოველგვარი ვნებების გარეშე (ვთქვათ, არ განრისხდე), ან მისთვის, რომ გამოასწორო, ანდა, რათა სხვას მოუტანო სარგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაექცევი ღვთის სასჯელს: თვითვე ჩავარდები ან მსგავს, ან უარეს ცოდვაში, დაკარგავ ღვთის შეწევნას და შერცხვენილი მხილებული იქნები სხვათაგან.

9. ადამიანი, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობს. მაგრამ უსაქმოა, ჰგავს ფოთლებით შემოსილ უნაყოფო ხეს. ნაყოფით დახუნძლულ ხეს ამშვენებს სიმწვანე ფოთლისა: ასევე ადამიანისაგან, რომელიც კეთილ საქმეებს აკეთებს, თავისთავად მოდის სულის აღმაშენებელი სიტყვები.

10. განკითხულ ვიქნებით არა იმისთვის, რომ ჩვენში ცოდვიანი გულისთქმები შემოდინან, არამედ — მათი აყოლისათვის. გულისთქმათა მიხეზით განვიცდით კატასტროფას, მათზე მიხეზით ვიღებთ გვირგვინებს.

11. არაწმიდება არის საკუთარ და სხვის სხეულზე ვნებიანი შეხება, ზგრეთვე სარკას-

ტული სიცილი და თავისუფალი დამოკიდებულება სხვებთან.

12. ძმამ ჰკითხა ბერს, როგორ მოვიქცე, მრავალი გულისსიტყვა მაწუხებს და არ ვიცი, რა გზით მოვიშორო. ღირსმა მამამ უპასუხა: ნუ შეებრძოლები ყველას, არამედ — ერთ მათგანს, რადგან მორწმუნესთან ყველა გულისთქმას ერთი ფესვი აქვს. საჭიროა ამ ფესვს მივაკვლიოთ და გადავჭრათ, ყველა დანარჩენი, რაც მისგან საზრდოობს, მასთან ერთად გახმება.

13. რომელიდაც ძმამ ჰკითხა ბერს: როგორ მოვიპოვო ღმერთი? მარხვით, ხორციელი გარჯით, მღვიძარებით თუ მოწყალებით? ღირსმა უპასუხა: შენგან ჩამოთვლილი სათნოებებით და გონიერებით. ჭეშმარიტად გეუბნები: მრავალთ დაამძიმეს სხეული ღვაწლით, მაგრამ სწადიოდნენ რა ამას ყოველგვარი განსჯის გარეშე; დატოვეს დედამიწა უნაყოფოდ და უსარგებლოდ. პირი ჩვენი ყარსდა მარხვისაგან, წმ. წერილი სულ ერთიანად ზეპირად ვიცით, დავითის ფსალმუნები იმდენად შევითვისეთ, რომ თითქმის ჩვენად მივიჩნევთ. მაგრამ არ გაგვაჩნია ის, რასაც ყველაზე მეტად მოითხოვს ღმერთი: თავმდაბლობა.

შენიშვნა: სათნოებანი, რომელთაც არ მოაქვთ თავმდაბლობა, უსარგებლონი არიან და ღვთის წინაშე არც ითვლებიან სათნოებად.

14. ძმამ უთხრა ერთსა მამასა: ზოგჯერ, როცა ძილი დამამძიმებს ხოლმე და ლოცვის დროსაც გადავალ, სირცხვილით მოცულ ჩემს სულს აღარ სურს ჩვეული ლოცვითი კანონის აღსრულება. ბერმა ამაზე მიუგო: თუ მოხდა ისე, რომ გათენებამდისაც კი იძინე, მაინც წამოდექ, დახურე კარ-ფანჯარა და აღასრულე ჩვეული ლოცვები, რამეთუ წერილი ღვთისადმი ადამიანის პირით ამბობს: შენი არს დღე და შენი არს ღამე. ღმერთი იდიდება ყოველსა ჟამსა.

15. ზოგიერთ ადამიანში, მიიღებს რა ბევრ საკვებს, კვლავ რჩება ნდომა ჭამისა, ზოგი კი მცირედითაც მაძღრისად გრძნობს თავს: უმეტესი სახლაური მიეცემა მათ, რომელნიც მართალია, ბევრს ჭამენ, მაგრამ ბოლომდე არ დანაყრდებიან, ვიდრე მათ, ვინც მცირედითაც მაძღარია.

შენიშვნა: თითოეულმა ადამიანმა საზრდელი უნდა მიიღოს ინდივიდუალური მონა-

ცემებისდა (მოთხოვნების) მიხედვით, მაგრამ ნაყოფანებაში არავინ არ უნდა ჩავარდეს.

16. თუ ჩვენი შინაგანი ადამიანი ფხიზლობს, სასიკეთო გავლენას ახდენს და იცავს გარეგან ადამიანსაც; ხოლო თუ შინაგანი მღვიძარება (გონისმიერი ლოცვა) არა გვაქვს, მაშინ ვეცადოთ ყურადღება მივაქციოთ ენას.

17. ქრისტიანები საუბრობდნენ. ერთმა უთხრა მეორეს: ვერავითარ ბრძოლას ვერ ვხედავ ჩემს გულში, რაზეც მიუგეს: შენ გავხარ მრავალკარიან სახლს; ყველა, ვინც კი მოისურვებს, შედის და როცა მოინდომებს, გამოდის, რომელი კარიდანაც ინებებს; შენ კი ვერ ხვდები, რა ხდება შენში. კარები რომ იხურებოდეს და ირაზებოდეს და ცოდვიან გულისთქმებს არ აძლევდე მათი გავლით შესვლის უფლებას, მაშინ დაინახავდი გარეთ მდგომსა და შენთან მებრძოლებს.

18. რომელიდაც ბერს ეტყოდნენ გულისსიტყვანი მისნი: დღეს ნუ მიეცევი სინანულს, ხვალე მოინანიებ. ბერი კი პასუხობდა: არა, დღეს შევინანებ, ხვალე კი იმას გავაკეთებ, რასაც ღმერთი ინებებს.

19. თუ არ ვეცდებით ფრთხილად მოვიქცეთ გარეგანი ადამიანით, ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ შინაგანი ადამიანი.

20. ყოველგვარ ცოდვას სამი სატანური ძალა უსწრებს წინ: პირველი — დავიწყება, მეორე — მცონარება (სიზარმაცე), მესამე — ცოდვიანი გულისთქმა. გულმაგიწყობა ბადებს მცონარებას, მცონარება — დანაშაულებრივ გულისთქმას; ცოდვიანი გულისთქმით წარტაცებული ადამიანი კი ეცემა. თუ გონება იმდენად ფხიზლად იქნება, რომ დაუპირისპირდება გულმაგიწყობას, მაშინ შესძლებს კაცი აღარ ჩავარდეს მცონარებაში და ამ გზით აღარ დაემონება ბოროტ გულისთქმებსაც, ანუ აღარ შეემთხვევა ცოდვით დაცემა გაძლიერებულს ქრისტეს მადლით.

შენიშვნა: გულმაგიწყობაში იგულისხმება ღვთის მცნებათა დავიწყება, დავიწყება საკუთარი სიკვდილისა და საშინელი განკითხვისა.

21. მორწმუნეს თუ ექნება სულიერი მამის ნდობა და შევა მის მორჩილებაში, ასეთს აღარ მოეკითხება ღვთის მცნებათა აღსრულება საკუთარი ნებით; მან სრულებით უნდა

უარყოს თავისი ნებელობა სულიერი მამის წინაშე: დაუჯერებს რა ყველაფერს, ვეღარ შესძლებს შესცოდოს ღვთის წინაშე.

სულიერ შვილთაგან თუნდაც ერთი თუ მოხვდება ჯოჯოხეთში, ქრისტეს მიერ სულიერი მამაც უფლის ბრძანებით მასთან იგზავნება, პირადად პატიოსნადაც რომ ეცხოვრა. ამიტომ დავფიქრდეთ, როცა ვირჩევთ სულიერ მოძღვარს და მღვდელიც სერიოზულად მიუდგეს მრევლიდან რწმენისმიერი სულიერი შვილის შერჩევას.

22. ღვთისმორწმუნე, ნუ დაგაიმედებს მხოლოდ შენი კეთილი საქმეები, არამედ დაემორჩილე შენს სულიერ მამას და თუ რაიმეს გირჩევს უფლის მცნებათა მიხედვით, დაიმახსოვრე და ეცადე, ყოვლითა გულმოდგინებითა აღასრულო, რათა ახდეს შენზედ მოციქულისაგან თქმული: დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა.

პირიქით, თუ გვაკურთხებს რაიმე ისეთზე, რაც ეწინააღმდეგება ღვთიურ დადგენილებებს, მაშინ მოაგონე მოძღვარს: მორჩილება ჯერ — არს ღმერთისა უფროს, ვიდრე კაცთა. გვახსოვდეს სიტყვები მაცხოვრისა:

ცხოვარნი ჩემნი უცხოა არა შეუდგენ, არამედ ივლტოდიან მისგან, რამეთუ არა იციან ხმა უცხოასა მის. მსგავსადვე ამისა ზეციური პავლე შეგვაგონებს და იტყვის: დაღაცათუ ჩვენ, გინა თუ ანგელოსი ზეცით გატარებდეს თქვენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარებდეს თქვენ, შეჩვენებულ იყავნ... უკეთუ ვინმე გახარებდეს თქვენ მისსა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩვენებულ იყავნ.

23. ის, ვინც მრისხანების ვნებას დაემონება, მკვდარიც რომ აღადგინოს, ღვთისთვის უცხო დარჩება.

24. ძმამ ჰკითხა ბერს: კარგია თუ არა გამუდმებით სინანულში ყოფნა? ღირსმა მამამ უპასუხა: ვხედავთ, რომ როცა ისო ნავეს ძე პირქვე დაემხო მიწაზე, მაშინ გამოეცხადა სწორედ ღმერთი.

25. ბერმა კითხვაზე, თუ რად გვაწუხებენ ასე ეშმაკები, უპასუხა: მისთვის, რომ დავტოვეთ იარაღი ჩვენი: თვითმხილება, მორჩილება, უპოვარება და მოთმინება.

26. ერთ-ერთ ბერს ჰკითხეს, თუ რა არის თავმდაბლობა. ბერმა განუმარტა: თავმდაბლობა მდგომარეობს იმაში, რომ გაუკეთო

სიკეთე მას, ვინც ბოროტებას სწადის შენს მიმართ. ერთი, იქ მყოფთაგანი, კვლავ დაუკითხა: და ვისაც სულიერების ასეთი საფეხურისათვის არ მიუღწევია, როგორ მოიქცეს?

— დე, გაუბოროდეს ადამიანებს და სულიერ გამირობად დუმილი ამოირჩიოს.

27. როცა განსაცდელში ვვარდებით, უფრო მეტად უნდა დავიმდაბლოთ თავი, რამეთუ იცნობს რა უფალი ჩვენი ბუნების უძღურებას, შეგვეწვევა; ხოლო თუ ავმადლებით ჩვენს თავში, ღმერთი აიღებს მადლს თვისას და დავიღუპებით.

28.— რა არის თავმდაბლობა? — ჰკითხეს ბერს.

— უდიდესი და ღვთიური საქმეა თავმდაბლობა, — უპასუხა ღირსმა მამამ, — ხოლო გზა მისკენ არის ხორციელი ღვაწლი და ის, რომ თავს თვლიდე ცოდვილად და უკანასკნელ ადამიანად. ეს კი ნიშნავს, არ აქცევდე ყურადღებას სხვის ცოდვებს, მუდამაჟამ განიცდიდე საკუთარ შეცდომებს და მარად ილოცვიდე ღვთის მიმართ.

29. მამაო, უთხრა ძმამ ერთ-ერთ ბერს, მიმითითე ერთ ისეთ საქმეზე, რითაც ცხოვრებას დავიმკვიდრებ.

— შვილო ჩემო, — მიუგო ბერმა, — თუ შეგიძლია, სულგრძელად გადაიტანე ყველა შეურაცხყოფა. გამირობა ესე ყველა სათნოებაზე მაღლა დგას.

30. რომელიღაც ბერს აუწყეს, ზოგიერთი ღირსი მამა ანგელოსებსა და ჩვენებას ხედავსო, რაზედაც მან მიუგო: ნეტარ არიან არა ისინი, ვინც ანგელოსებს ხედავენ, არამედ — ვინაც ხედავენ ცოდვებს თვისას.

31. ის, ვინც სულში გულძვირობას ასაზრდოებს, თივაში ცეცხლს მალავს.

32. წმ. წერილში ღაზარეზე არაა ნათქვამი, რაიმე სათნოება ჰქონოდა, ის კი ჩანს, რომ მდიდარზე არასოდეს წუწუნებდა და სიღატაკის ტვირთს მადლობით იტანდა, რის გამოც, ღაზარე აბრაამის წილში შევიდა.

33. — რა არის თავმდაბლობა, — ჰკითხეს წმ. მამას.

— ხე ცხოვრებისა, ცამდე აზიდული, — უპასუხა მან.

34. — სული როგორ მოიპოვებს თავმდაბლობას?

— თუ მხოლოდ საკუთარ ცოდვებს უყურებს.

35. ძმამ უთხრა ბერს: გულისსიტყვანი ჩემნი მეუბნებიან, რომ კარგი ვარ. ბერმა მიუგო: ის, ვინც ვერ ხედავს თავის ცოდვებს, ფიქრობს, რომ კარგია; ხოლო ვინც ხედავს, არასოდეს მოუჯა მსგავსი გულისსიტყვა (აზრი), რამეთუ იგი თავის თავს აღიქვამს ისე, როგორც სინამდვილეშია. დიდი გარჯა მართებს თითოეულ ჩვენგანს, რათა დავინახოთ ჩვენი თავი: მცონარება, უმეცრება და მოღუნება გვიკარგავენ გულისყურს.

36. წარუმატებლობა ახლავს და ვერ მოიპოვებს ჭეშმარიტ სინანულს ის ქრისტიანი, რომელიც რამდენიმე დღე ღვაწლს ეძლევა და შემდეგ დუნდება, კვლავ იღვწის (ქრისტიანულ სარბიელზე) და ისევ სიზარმაცე იპყრობს.

37. გზაზე, რომელზედაც დადიან, თუნდაც თესონ მარცვლი, არანაირი ბალახი არ გაიხარებს, რადგან ფეხქვეშ გაითილება. ასევე ჩვენშიც სათნოებას არ ექნება ზრდა, თუ მივეცემით გართობას, თუკი სულს განცხრომა გასთელავს, რასაც გამხრწნელი ვნებები წარმოქმნიან.

38. თუ ხშირად იღება სახლის კარები, საკმაოდ დიდი სიბოლო გამოდის იქიდან და სახლი ცივდება. ასევე სულიც, თუ ბერს ილაპარაკებს, თუნდაც კეთილად, კარგავს თავის სიბოლოს ენის კარებით. ამიტომ სასარგებლოა გონიერი დუმილი, რომელშიც ბრძნულ და სულისმხსნელ გულისსიტყვათ ვეძლევი.

39. როდესაც სინანული დაისადგურებს გულის სიდრმეში, მაშინ ის გარდაისახება ტირილად. ტირილი ესე — სულის ტირილია და იგი ამავე დროს ლოცვაა. გონება ლოცულობს სიტყვებით, გული — ტირილით. არ ატირდება გული, ვიდრე არ აწყდება ლოცვითი სიტყვებით; ვერ მოიპოვებს გონება ფხიზელ ლოცვას, თუ გული არ შეეწია მას ტირილით.

40. ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს ის, ვინც ჯერ კიდევ მიწაზე არ მოიპოვებს სულიერ სასუფეველს, რომელიც გულშია, ხოლო გზა მისკენ ტირილი და სინანულია.

41. უნდა ვიცოდეთ, რომ ხორციელ გულისთქმათა აღზნება ჩვენში სამგვარია: ერთი ბუნებრივი და ორი გარედან მოსული. პირველი ამათგან, რომელიც თვითონ სხე-

ულს ახლავს, არას მოქმედებს ჩვენში, თუ სული არ დაეთანხმება; ხოლო ორიდან ერთის მიზეზია მამდრისად ჭამა-სმა, რაზედაც უფალი გვასწავლის: კერძალენით თავთა თქვენთა, ნუუკუე დაძმოდნენ გულნი თქვენნი შებითა და მთვრალობითა; პავლე კი იტყვის: ნუ დათვრები ღვინითა, რომლითა არს სიბილწე. მესამე სახის გულისთქმათა მიზეზი არის შური ეშმაკისა, რადგან ჩვენ ვებრძვით ბოროტ გულისსიტყვათ და არ ვცოდავთ.

42. მართალია, ძილის წინ განსაკუთრებული ძალით მოვუხმობთ მზარველ ანგელოსს და გამოვისახავთ პირჯვარს, მაგრამ იგივე უნდა მოვიმოქმედოთ, როცა გამოვკვლევებთ ღვინით, თუნდაც ერთი წუთით. სიძვის ოცნებანი ძილში სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: ნაყოფანებით, სიმთვრალით, მოყვასის განკითხვით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ეშმაკის მანქანებით, მისი შურით: მტერი გვიდარაჯებს. თუ ღვინით გამოვკვლევთ, მაგრამ არ მოვუხმეთ უფალს, არ გადავიწერეთ პირჯვარი და ისევ დავიძინეთ, ამით ისარგებლებს სატანა და მოგვეგვრის მრუმე ოცნებას ძილთაშორის, ანდა ძილში დაცემასაც კი შეგვამთხვევს.

თუ დაცემა შეგვემთხვება, გამოვდივებისას აუცილებლად უნდა წარვსთქვათ „ლოცვა ძილსა შინა დაცემისა“, რომელიც თავისი შინაარსით სინანულის გამოხატველია.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ასეთი შეცოდება მისგან დამოუკიდებლად მოხდა და იგი არაფერ შუაშია, რადგან მას ეძინა და ვერ ფლობდა თავის თავს, ავიწყდება რა, რომ ძილი სიკვდილი არაა და ამ დროს სული სხეულს არ ტოვებს, ანუ: ძილში გამოიცადა მისი სული და თავის უფალი ნება აჰყვა ცთუნებას „იმრუშა გულსა შინა“, ხოლო მრუმეობა კი, პავლე მოციქულის მიხედვით, ერთადერთი ცოდვაა სხეულის წინააღმდეგ, რის გამოც დაცემა ხდება სხეულითაც.

43. მართალია, უნდა ვტყროდეთ ცოდვებს, მაგრამ ამ დროს ცინცხლად არ უნდა მოვიგონოთ ჩადენილი ცოდვები, რათა ცოცხლად არ აღსდგეს ის განცდები, რაც მათ ახლდათ და ამ გზით კვლავ განხურვებაში არ ჩავვარდეთ.

44. საკუთარ გულისთქმებს ნუ გაუხსნი ყველას, არამედ მხოლოდ მას, ვინც იხსნის შენს სულს.

თუ დაინახე, რომ შენმა მოყვასმა შესცოდა, ნუ დაბრკოლები მის მიმართ, ნუ მოიძულე, ნუ განიკითხავ. თუ არა და — ჩავარდები მტრების (სუპოსტატების) ხელში.

46. იძინე ზომიერად და ანგელოზები გაგიწვევენ ზედამხედველობას.

47. ნუ გააკიცხავ ნურავის მოკვდავთაგან, რათა ღმერთმა არ მოიძაგოს შენი ლოცვა.

48. ხუმრობას, დროის ტარებას, სიცლისა და გართობებს ყოველნაირად მოერიდე.

49. წმ. მამამ თქვა: თუ დავინახე, რომ ჩემთვის თუნდაც ყველაზე საყვარელი ადამიანი სულიერ ვნებაში მადგებს (ცხოვრების გზაზე მბრკოლებს), დაუყონებლივ მოვიშორებ, ანუ შევწვევტ მასთან ნაცნობობასა და ურთიერთობას.

50. რა უფრო მეტია: ხორციელი გმირობა, თუ სულიერი საქმის კეთება? მოღვაწე შეიძლება შევადაროთ ხეს, სადაც ხორციელი გმირობა (ვთქვათ მარხვა) ფოთლებია, ხოლო სულიერი საქმე (როგორცაა გონისმიერი ლოცვა, გულითადი ტირილი, ხსენება სიკვდილისა, თვითგანკითხვა, თვისთა ცოდვათა აღმსარებლობა და სხვა) — ნაყოფი. წმ. წერილი გვასწავლის: ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოკვეთოს და ცეცხლსა დაეღვას. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ ნაყოფი და ამასთან გვახსოვდეს, რომ ფოთლებიც საჭირო და ბუნებრივია ხისათვის.

ბერებისათვის უფრო ხელმისაწვდომია სულიერი საქმე, ხოლო ჩვენთვის, ერისკაცთათვის, — გარჯანი, ანუ ხორციელი სათნოებანი (გარდა ზემოთხსენებულისა, აგრეთვე: მშვიერთა ჭმევა, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომება, სხეულთა მოკითხვა, მიხედვა პატიმართა, მიცვალებულთა დამარხვა). უფალი თითოეულს თავის ადგილზე აცხოვნებს.

ძველ ქრისტიანთა ცხოვრება

IV თავი

წარმართთა ზნეობასთან და
წესჩვეულებებთან დამოკიდე-
ბულება

წარმართთა ყოფა, რომელთა შორისაც ძველი ქრისტიანები ცხოვრობდნენ, პატივმოყვარეობაზე, ბატონკაცობასა და უხეშობაზე იყო დაფუძნებული. იესო ქრისტე არ მბრძანებლობდა თავის მოწაფეებს, პირიქით, ფეხებს ბანდა მათ ნიშნად იმისა, რომ ვისაც პირველობა სურს, იგი ყველას უნდა მსახურებდეს.

ქრისტიანები ცდილობდნენ ყველაფერში თავიანთი მასწავლებლის რჩევას დაჰყოლოდნენ და მისთვის მიეხდნენ. ცხადია, წარმართულ სამყაროში ღვთის მსახურება მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანთა თვინიერ და სიყვარულით აღსავსე ცხოვრების წესს. მათ არ შეეძლოთ წარმართთა მსგავსად, ყოველგვარი დანაშაულისათვის ადამიანის სამართალში მიცემა, მკაცრად დასჯა ან წამებით სიკვდილი. ამის გამო, ისინი ერიდებოდნენ წარმართული სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღებას. ამის მიუხედავად, ისინი კეთილი სურვილებით იყვნენ გამსჭვალულნი იმ ხალხის მიმართ, რომელთა შორისაც ცხოვრობდნენ. ძველი ქრისტიანები არანაირი თანამდებობისკენ არ მიიღტვოდნენ და სახელმწიფოს უფრო სულიერ სფეროში მოღვაწეობით ეხმარებოდნენ, სახელდობრ, ისინი საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებაზე, განწმენდასა და ამაღლებაზე ზრუნავდნენ, ყველას მაღალი ზნეობის მაგალითს უჩვენებდნენ.

წარმართულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან გამუდმებული მტრობა ჰქონდათ. უფრო ძლიერი სახელმწიფოები სუსტების დამონებას ცდილობდნენ და ამ მიზნით დიდძალ ჯარს აგროვებდნენ. ქრისტეს მცნების ერთგული ძველი ქრისტიანები, რომლებიც ყვე-

ლას მშვიდობიანი ცხოვრებისა და ურთიერთ სიყვარულისკენ მოუწოდებდნენ, ამ ჯარებში სამსახურისგან თავს იკავებდნენ.

ამასთან დაკავშირებით ტერტულიანი ამბობს: „როგორ შეიძლება მახვილი აღვიდოთ ხელში, რამეთუ უფალმა ბრძანა, მახვილის აღმმართველი თავად განიგმირება ამავე მახვილით? მშვიდობიან შვილთ არ ძალუძთ ომი. ვისაც საკუთარი წყენისთვის არ შესწევს უნარი შურისძიებისა, არ უნდა გაუსწორდეთ დაჭერით, ციხეებითა და ცემით. ნუთუ ქრისტიანი სხვას უფრო მოუსმენს, ვიდრე ქრისტეს? ნუთუ დადგება ის საგუშაგოზე მახვილით ხელში, რომლითაც ქრისტე განგმირეს და დაიცავს იმას, რაც მან უარყო?“

წარმართი მწერალი ცელსი მოითხოვდა, ქრისტიანებს მონაწილეობა მიეღოთ სისხლისმღვრელ ომებში, რომელთაც წარმართები ერთმანეთს შორის ეწეოდნენ. ორიგენმა მას უპასუხა:

„ჩვენ მეფეებს ღვთის იარაღით ვეხმარებით. ჩვენს შორის ღვთისმოსავი უფრო მეტად ეხმარება მეფეებს, ვიდრე ის, ვინც ომში მიდის საბრძოლველად და ხალხს ჟლეტს. თქვენი სამღვდელეობაც ხომ წინააღმდეგია ყოველგვარი მკვლელობისა, მით უმეტეს, ამის ჩადენა არ შეჰფერის ქრისტიანს. ჩვენ შევთხოვთ ღმერთს დალახვროს ყოველი, რაც თრგუნავს და არად აგდებს სიმართლეს, მაშასადამე, ყოველივე ის, რაც ომს იწვევს, არღვევს მშვიდობას და ადამიანთა ურთიერთკავშირს.“

ჭაბუკმა მაქსიმილიანემ, დიოკლეტიანეს მეფობის უამს უარი თქვა წარმართთა ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვასა და სამხედრო წოდების მიღებაზე, მან განაცხადა, რომ იგი ღვთის გულისათვის სულიერი იარაღით იბრძვის, ქრისტეს დროშა უჭირავს და მას მსახურებს. ამისათვის მაქსიმილიანე მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

ეპისკოპოსი თეოგენი ამბობდა: „მი ქრისტიანი ვარ და უკვე შემღვარი ვარ მსახურად

დგთისად, რომელიც მეფეა ყოველთა მეფეთა ზედა. მე თუ ღმერთს ვმსახურებ, მაშინ როგორ უნდა ვემსახურო იმათ, რომელნიც ღვთის საწინააღმდეგო საქმის ჩადენას მაიძულებენ?”

წმ. იუსტინეს სიტყვებით, ქრისტიანები არ იყვნენ იმგვარად განსწავლულნი, ვითარცა სხვანი, მაგრამ უღინებისა და ბარბაროსების ქალაქებში რომ დასახლდნენ, მათ წახედეს იქაურ მცხოვრებლებს ჩაცმაში, ჭამა-სმაში და სხვა დანარჩენში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გასაოცარი და ჭეშმარიტად საკვირველი მოკვლევებით მათი კეთილშობილური მოქცევა.

ქრისტიანებს აღანაშაულებდნენ, თითქოს ისინი ხალხისთვის უსარგებლონი იყვნენ, რამეთუ ერთთავად უარს ამბობდნენ ამქვეყნიურ საზრუნავზე.

ამ აზრს ტერტულიანი არ იზიარებს: „უნდა ვადიარო, რომ ზოგიერთი მართალს ამბობს, თითქოს მათ ქრისტიანები არ ეხმარებიან. ქრისტიანები არ ეხმარებიან ქურდებს, მკვლელებს, მომწამვლელებს, მუცლით მუხლაპრეებს და ამგვარი ჯურის ხალხს.

ჩვენის აზრით, ძალიან კარგია, თუ ამგვარ ხალხს ზემოთ აღნიშნულ საქმეებში ჩვენგან არავითარი მხარდაჭერა არ ექნებათ.

თქვენ, ყოველდღიურნო მსაჯულნო ხალხისა, დანაშაუვითა მწვალებულნო, გვაძცნეთ გულახდილად, არიან თუ არა მათ შორის ქრისტიანნი? ციხეები სავსეა წარმართებით, მათი ლეშით კვებავენ მხეცებს, მათი კვნესა ისმის კატორღაში, — და მათ შორის არცერთი არაა ქრისტიანი. თუკი აღმოჩნდა რომელიმე, მაშინ მთელი მისი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ იგი ქრისტიანია. თუკი ის რომელიმე სხვა დანაშაულშია მსჯავრდებული, მაშინ, ცხადია, იგი ქრისტიანი არაა“.

წარმართებს შორის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის დროს ადგილი ჰქონდა უპირობასა და სიცრუეს, რაც ძალზე სძაგდათ ძველ ქრისტიანებს.

„წარმართთა ვაჭრობა, — წერს წმ. კიპრიანი თავის მგობარს, — შეუძლებელია უდანაშაულო, უწყინარი და მიძიდველი იყოს. კარგად რომ დაუკვირდე, მახში მრავალ სისაბავლეს დაინახავ, რაც შენ სამარცხვინოდ მიგაჩნია და მაშინვე შეგეზიზღება იგი. ერთი

კანონის დახმარებით მეორე კანონს თრგუნავენ, ზოგიერთ უფლებას ფეხქვეშ თელავენ სხვა უფლებათა გამოისობით, უდანაშაულო ადამიანი თავს ვერ იცავს და ურთიერთანხეთქილებას გახელებამდე მიჰყავს ისინი.

ძველი ქრისტიანები ხელოსნობასაც, მისდევდნენ, მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც, მაგრამ ისეთს არაფერს ქმნიდნენ, რაც ხალხისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა. ქრისტიანთა აზრით, წარმართული ხელოსნობა, მეცნიერება და ხელოვნება მხოლოდ მდარე ნაწარმოებებს ქმნიდა. მაგრამ როცა ისინი წარმართებთან ნახულობდნენ იმგვარ ნამუშევრებს, რომლებიც ქრისტეს მცნებასთან ახლოს იდგა, სიხარულით იყენებდნენ მათ თავიანთ საქმიანობაში.

ორიგენი, მაგალითად, წერს, რომ მის დროს ქრისტიანები დიდი გულმოდგინებით სწავლობდნენ ბერძენი ფილოსოფოსის პლატონისა და რომაელი ბრძენის ეპიკტეტეს ნაშრომებს. განსაკუთრებით ეპიკტეტეს კითხულობდნენ და მისი გონიერული რჩევა-დარიგებიდან ბევრ სასარგებლოს ითვისებდნენ, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა ქრისტიანული რწმენის სიღიადეს.

წარმართებს მრავალი სახის გასართობი ჰქონდათ, რომლებიც უწინააღმდეგობოდა ქრისტიანული მოძღვრების არსს და ამიტომ, ძველი ქრისტიანები თითქმის არასოდეს მონაწილეობდნენ მათში: ისინი არ დადიოდნენ სისხლიან თამაშებზე, სადაც აღამიანები მხეცებს და ერთმანეთს ებრძოდნენ, ვრიდებოდნენ მაცდუნებელ სანახაობებს, ქრისტიანებს არ შეეძლოთ ყურება, თუ როგორ ხოცავდნენ ძმები ერთმანეთს მაყურებელთა თავშესაქცევად და გასამხიარულებლად.

შეხედეთ წარმართთა სანახაობებს, — წერდა კიპრიანი თავის მგობარ-დონატს, — აღამიანებს იმიტომ ხოცავენ, რომ კმაყოფილება მოჰგვარონ მაყურებელთა სისხლმონყურებულ თვალებს! მკვლელთა ჩვეულებრივი საქმე კი არ გახდა, არამედ ასწავლიან, როგორ მოკლან ადამიანი უფრო სწრაფად და უკეთესად. რა უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი: ასწავლონ როგორ მოკლან და შეაქონ მკვლელები! რა არის ეს, მითხარი? რატომ სურთ ადამიანებს მხეცებს მიბადონ, როცა იციან, რომ ისინი ადამიანები არიან და არა მხეცები.

ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანები იმოსებიან მასხარას სამოსელით, ირთვებიან ვითომდა საკუბოვედ, რითაც საბრალონი ხოტბას ასხამენ მათსავე აღსასრულს. მამები უყურებენ საკუთარი შვილების დაღუპვას, და-ძმანი და დედაც კი ყიდულობენ თავიანთთვის აღვილებს, რათა უყურონ და უსმინონ საკუთარი შვილების კვნესა-ვაებას! მამურებლები ვერც კი ხვდებიან, რომ სისხლისღვრა და მკვლელობა ხშირად იმის გამოც ხდება, რომ ხალხს ამგვარ სანახაობებს აყურებინებენ“.

„შესაძლოა მითხრა-წერდა ტერტულიანი, რომ ბოროტმოქმედნი უნდა დაისაჯონ! მე კი ვიპასუხებ: როგორ შეიძლება კეთილმა კაცმა არა მარტო სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს ბოროტ კაცს, არამედ უყუროს კოდეც მის დასჯას? გარდა ამისა, ნუთუ შენ არ იცი, რომ ხშირად უდანაშაულოებისთვის სხვადასხვა სასჯელი გამოაქვთ ან მოსამართლის ბოროტგანზრახვით, ან ვეჭილის დაუდევრობით, ან ბიწიერ კანონთა გამოისობით?“

წარმართებს ძალიან უყვარდათ თეატრალური სანახაობანი, რომლებშიც ხშირად უხნეო და ამორალური შინაარსის კომედიები თამაშდებოდა. ქრისტიანები არ ესწრებოდნენ ამგვარ სანახაობებს. აი, რას წერს ამის თაობაზე წმ. კიპრიანი:

„ამ სანახაობებზე შენ დაინახავ იმას, რაც სირცხვილსა და მწუხარებას მოგგვრის. იქ ლამაზი სიტყვებით მოუთხრობენ უძველეს მკვლევლებსა და უხამსობებზე, რათა ოდეს-დაც ჩადენილი ბოროტმოქმედება ხალხის მახსოვრობაში დარჩეს. ამგვარად, დროსაც კი არ ძალუძს მახსოვრობიდან ამოშალოს ბოროტმოქმედება, ისინი გადაეცემიან თაობიდან თაობას, და კარგა ხნის წინანდელი სისაძაგლეცოცხალ მაგალითებად იქცევა. წარმოდგენებზე ერთნი იმ მანკიერებათა საყურებლად მოდიან, რომელსაც თავად კარგა ხანია ეწევიან, მეორენი—იმის სასწავლად, როგორ გახდნენ არამზადები; მესამენი უყურებენ მრუშობას და თვითონაც ამ გზას ადგებიან. როგორ შეუძლია გონიერ და მოკრძალებულ ქალს, ამგვარ წარმოდგენებს უყუროს? რამდენი მაცდუნებელი მოძრაობაა სხეულისა, რამდენი ურცხვობა, გადამდები სენი და გარყვნილება ამგვარ სანახაობებში?“

ჯვარი ვახია. № 4. 1989

„ეს შეკრებები, — ამბობს კლიმენტი ალექსანდრიელი, — საბაბს იძლევიან ურცხვობისათვის. როცა ქალები და კაცები იკრიბებიან იმისათვის, რომ ერთმანეთს უყურონ, მაშინ მათ ავხორცული ჟინი ეძალებათ. ამიტომ ქრისტიანებმა არ უნდა უყურონ ამგვარ სანახაობებს, რომლებიც აღსავსეა უაზრობით, ფუჭი და უხამსი სიტყვებით, თანაბრად სცოდავენ ისინი, ვინც თავს მასხარებად და კომედიანტებად ასაღებენ, და ისინიც, ვინც მათ სიამოვნებით უყურებს. განა ადვილია სიმშვიდის შენარჩუნება, როცა ენიძლავები ერთერთ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანზე? განა შეიძლება უბიწოების შენარჩუნება, როცა უყურებ ქალის მაცდურ მოძრაობას? შეიძლება გაიხსენო, რომ ბოროტების წილ ბოროტების მიგება აკრძალულია, როცა ორი გააუბული მებრძოლის მუშტი-კ ივს უყურებ? ჩვენ არ ძალგვიძს ამგვარ თეატრში სიარული, სადაც მხოლოდ იმის სწავლა შეიძლება, რაც არცერთი კეთილად მოაზროვნე ადამიანისათვის მოსაწონი არ არის.“

„რა უნდა თეატრში ქრისტიანს, — კითხულობს წმ. კიპრიანი, — როცა მას იმ მანკიერებებზე გაფიქრების უფლებაც კი არა აქვს, რომლებსაც იქ აჩვენებენ“.

არ იფიქროთ, თითქოს ქრისტიანები საერთოდ უარს ამბობდნენ ხელოვნებაზე. პირიქით, ისინი ხელოვნებას უფრო მნიშვნელოვან და მაღალ დანიშნულებას ანიჭებდნენ, ვიდრე წარმართები. წარმართები ხელოვნებას უყურებდნენ, როგორც ფუჭი გართობის საგანს. მუსიკას, ფერწერასა და ხელოვნების სხვა დარგებს ისინი თავშესაქცევად და ვნების გასაძლიერებლად იყენებდნენ. ქრისტიანები კი ხელოვნებას უყურებდნენ, როგორც მათი სულის გამაძლიერებელ საშუალებას ღვთისა და მოყვასის მსახურებისათვის: თავიანთ შეკრებებზე ისინი მღეროდნენ სიმღერებს, რომლებიც მათს სულს აღამაღლებდა და ნუგეშს სცემდა მწუხარების ჟამს. შენობები, სადაც ისინი იკრიბებოდნენ, მოხატული იყო სურათებით, რომლებიც მოაგონებდა მათ ცხოვრების დანიშნულებას. ამ სურათებზე გამოსახული იყო კეთილი მწყემსი გზააბნეული ბატონით ხელში, ცისკენ მსწრაფველი ხომალდი, ღუზა, მებაღური და სხვა ამადლებული აზრების გამომხატველი წმინდა სიმბოლოები.

წარმართების აზრით, ხელოვნების რომელიმე დარგში მოღვაწეობა თავისებური გარჯა იყო და მოცლილი ხალხი მთელ თავის დროსა და ენერგიას ხშირად ამგვარ საქმეებს ახმარდა. ქრისტიანები კი, პირიქით, თვლიდნენ, რომ ხელოვნება დამხმარე საშუალება იყო მათი ცხოვრების მთავარი და ერთადერთი მიზნისათვის, — ღვთისა და ხალხის მსახურებისათვის. და ამიტომაც ქრისტიანები დევნის პერიოდში, როცა მათ მუსიკაზე, ფერწერასა და ხელოვნების სხვა დარგებზე, ფიქრისათვის არ ეცაღათ, არ ნაღვლობდნენ, სულით არ ეცემოდნენ და მხარდაჭერასა და ნუგეშს ხელოვნებათა შორის ყველაზე დიდ — ქრისტეს ქადაგების აღსრულების ხელოვნებაში პოულობდნენ.

ტერტულიანი ამბობს: „ღმერთმა მოგვმადლა ჩვენ საკმარისი სიამოვნებანი, ბევრად უკეთესი, ვიდრე წარმართთა სიამოვნებანი არიან: ვაკეთოთ ის, რაც ღმერთმა ინება, შევიცნოთ ჭეშმარიტება, უარი ვთქვათ ჩვენს შეცდომებზე, დავგმოთ ყოველდღიურობა, ვიყოთ ჭეშმარიტად თავისუფალნი და არა მონები საკუთარი სხეულისა, ვიყოთ მშვიდნი და არ გვეშინოდეს სიკვდილისა—განა არის ამ ქვეყნად ამაზე დიდი ბედნიერება?“

V თ ა ვ ი

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა დ მ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წმ. პოლიკარპ სმირნელი წარმართ მსაჯულთა წინაშე ამბობდა: „ჩვენ გვმოძღვრავენ, რათა მორჩილ ვეყოთ ხელისუფალთ, ვითარცა მათ ეჭირვებათ, ისე რომ არა ვავნოთ რა რწმენას ჩვენსას“.

ტერტულიანი წერდა წარმართებს:

„ჩვენ ბრალს ვდებენ, რომ რომის იმპერატორს არ ვეთაყვანებით, მაგრამ ყურადღეთ ის გარემოება, რომ ქრისტიანთა შორის აროდეს ყოფილან არცა შეთქმულნი და არცა მეამბოხენი. არ ძალუძს ქრისტიანს ამბოხი, რამეთუ მას არავის მტრობა არ სურს. შესაძლოა, ჩვენ იმდენად არ ვცემთ თაყვანს თქვენს იმპერატორს, რამდენადაც თვითონ სურს იყოს პატივდებული, ან რამდენადაც გვაქვს უფლება, თაყვანი ვცეთ მას“.

წარმართებისადმი თვინიერი დამოკიდებულების მიუხედავად, ბევრს ძველი ქრის-

ტიანები რომის იმპერატორის ხელისუფლების მტრებად და მეამბოხეებად მიანხნდა. სინამდვილეში ამგვარი მოსაზრება უმართებულო იყო. რომის იმპერატორებს ამ გაუგებრობაში ხელს უწყობდა მათი მრჩეველთა ეჭვიანობა, რომელთაც ქრისტეს მოძღვრების ჭეშმარიტება და ქრისტიანთა აღამიანური მოქცევის არსი არ ესმოდათ. თავად ქრისტიანები არასოდეს ყოფილან არც იმპერატორების მტრები და არც საზოგადოების სიმშვიდის დამრღვევნი. ტრაიანეს პროკონსულმა, წარმართთა პლინიუსმა, რომელიც ქრისტიანთა ქცევას საგანგებოდ აკვირდებოდა, აღიარა, რომ ისინი არაფერს სწადიოდნენ რომის კანონთა საწინააღმდეგოს.

„ქრისტიანები, — წერდა იგი იმპერატორს, — ცხოვრების წესად თვისად თვლიან არ შეკვრან ბოროტს, არ იპარონ, არ იყაჩაღონ, არ იმრუშონ, არა კაც ჰკლან, არა მიითვისონ შესანახად მიბარებული“.

ტერტულიანი ამგვარად პასუხობს წარმართთა ეჭვიანობაზე: „ჩვენ არ ხელგვეწიფება ბოროტება მივავთ ვინმეს, ჩვენ არამცთუ ლაპარაკი, ფიქრიც არ გვსურს ბოროტებაზე. რასაც სხვათა წინააღმდეგ არ ჩავიდნეთ, იმას არც იმპერატორს შევკადრებთ“.

ქრისტიანები არასოდეს არც ფარულად და არც აშკარად არ იარაღდებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა შეეძლოთ ამის გაკეთება.

„წინააღმდეგობის გაწევა რომ გვსურდეს, წერს ტერტულიანი,—მაშინ, ცხადია, ჩვენ არ დავგჭირდებოდა არც გარემე ხალხის და არც ჯარის მხარდაჭერა. ჩვენ რომ უსიტყვოდ და ვაჟკაცურად ვწირავთ სიცოცხლეს, თქვენ გგონიათ ბრძოლის უნარი არ შეგვწევს? მაგრამ გვიჯობს დავიხოცოთ, ვიდრე სხვათ მოვუსწრაფოთ სიცოცხლე. ჩვენ რომ გვინდოდეს, იარაღისა და ამბოხის გარემეც გძლევდით, თუნდაც იმით, რომ გაუეცლებოდით“.

პირველი სამი საუკუნის განმავლობაში რომაელთა მმართველობის წინააღმდეგ მრავალი ამბოხება და შეთქმულება მოეწყო, მაგრამ ქრისტიანებს მათში არასოდეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. თვითონ რომის იმპერატორები აღრიანე, ალექსანდრე, სევერიუსი, ანტონიუსი, მარკ ავრელიუსი ინანიებდნენ თავიანთ საქციელს და აღიარე-

ბდნენ, რომ სახელმწიფოსადმი უდანაშაულო ქრისტიანებს, მათი ცხოვრების წესის ცოდნის გარეშე ამაოდ აწამებდნენ და სდებდნენ ბრალს.

ძველ ქრისტიანებს სასჯელზე მეტად საკუთარი სინდისისა ეშინოდათ, ამიტომ იკავებდნენ ისინი თავს შფოთისა და უკმაყოფილებისაგან და არა ხელისუფალთა რისხვის გამო. ამით ისინი სხვა ხალხებზე მეტად უწყობდნენ ხელს საზოგადოებრივ წესრიგს.

„რაც შეეხება საზოგადოებაში სიმშვიდის დამკვიდრებას,—წერდა წმ. იცსტინე წარმართებს, — ყველაზე მეტად ჩვენ გეხმარებით. გახსოვდეთ, ვერც ბოროტმოქმედებით, ვერც პატივმოყვარეობით, ვერც ბოროტგანზრახვით და ვერც კეთილშობილებით ღვთის განკითხვას ვერავინ წაუვა, ყოველი თქვენგანი ეწამება ან ცხონდება მისთა საქმეთა მიხედვით.

ბოროტმოქმედნი სხადიან დანაშაულს და ჰგონიან, რომ მათ ძალუძთ როგორც თქვენ, ისე სხვებსაც დაემალონ. მათ რომ უწყოდენ, ღვთის წინაშე შეუძლებელია როგორც საქმის, ისე აზრების დამალვაც, მაშინ ისინი ღვთისნიერად მოიქცეოდნენ, რაზედაც თანახმა იქნებოდით“.

ქრისტიანები არა მარტო ქედს იხრიდნენ რომის ხელისუფალთა წინაშე, არამედ უსიტყვოდ მორჩილებოდნენ მათ ყველაფერში, რაც კერპთაყვანისმცემლობასთან არ იყო დაკავშირებული და ღვთის ნება-სურვილს არ არღვევდა. ისინი მორჩილად იხდიდნენ გადასახადს და ამაზე ფარულადაც კი არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, მოვალეობად ყოფნას ისინი უკანასკნელი ქონების მიცემას ამჯობინებდნენ. მათ სწამდათ იესო ქრისტეს სიტყვები, ებოძათ კეისრისათვის კეისრისა.

„უპირველეს ყოვლისა, — წერს წმ. იუსტინე, — ვცდილობთ თქვენთა მოხელეთა მიერ შეწერილი გადასახადი და ბეგარა შევიტანოთ, — ასე გვასწავლა ქრისტემ“.

ძველ ქრისტიანებს არავითარი შესაწირი არ მიჰქონდათ წარმართთა ტაძრებში; თუმცა რომის იმპერატორს ერთგულად უხდიდნენ ხარკს.

ქრისტიანებს მიაჩნდათ, რომ ამ ქვეყნად არაფერი არ ხდება ღვთის ნება-სურვილის გარეშე, ამიტომ უწყურებდნენ ყოველგვარ ძალაუფლებას, როგორც ღვთის მიერ ბოძებული და ხელისუფალთ მონურად კი არ

ჰმორჩილებდნენ, არამედ თავისუფლად, ნებაყოფლობით და გულწრფელად.

ქრისტიანები იმპერატორებს ჰმორჩილებდნენ არა მლიქვნელობის, პირფერობის ან შიშის გამო, რომელიც მხოლოდ ღვთის მიმართ გააჩნდათ, არამედ წმინდა გულით, ნიჟადაც იმის შეგნებით, რომ ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ხელისუფალთ ყველაფერში, რაც ქრისტიანულ რწმენას არ ეწინააღმდეგებოდა.

ტერტულიანი მიმართავდა წარმართებს: „ნაიხედეთ ჩვენს წიგნებში და დარწმუნდებით, რომ ისინი ჩვენი მტრებისადმი ლოცვად და ჩვენს მდევნელთათვის სიკეთის მიგებისკენ მოგვიწოდებენ. ქრისტიანები ლოცულობენ როგორც ჩვენთა სასტიკ მდევნელთათვის, ისე თქვენთა იმპერატორთათვის და ნიჟადაც მზად არიან სიკეთის ქმნისათვის!!“

ქრისტიანები წუხდნენ, რომ ისეთი ძლიერი ხალხი, როგორც იმპერატორები იყვნენ, კერპთაყვანისმცემლებად რჩებოდნენ, არ ცნობდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, რომელმაც ძალაუფლება მისცა მათ და თავყანს სცემდნენ მათზე დაბლა მდგომ ღმერთებს.

„მე მსურს, — განაცხადა მოწამე რომნიმ სასამართლოს წინაშე, — რომ იმპერატორმა შეიცნოს ნათელი ჭეშმარიტებისა.“

მოწამეები იპარხი და ფილოფეი, იმპერატორ მაქსიმილიანეს მიერ დაკითხვების დროს, ძალიან წუხდნენ მის ხვედრზე. რომ იგი ქვებს და ხეს ღმერთებს უწოდებდა.

ქრისტიანები ღმერთს ევედრებოდნენ, რათა იმპერატორები ჭეშმარიტებისკენ მოექცია. თუმცა ქრისტიანთ ეს არ მოეთხოვებოდათ, რის შესახებაც სამართლიანად შენიშნავს მოწამე იუსტინე: „ქრისტიანები ემორჩილებოდნენ დადგენილ კანონებს, თუმცა თავიანთი ცხოვრებით თვითონ კანონებსაც კი აღემატებოდნენ“.

ამ აღწერიდან ჩანს, როგორ განსხვავდებოდნენ ძველი ქრისტიანები თავიანთი ყოფაქცევით წარმართებისაგან. ეს განსხვავება უფრო ნათელი იყო მაშინ, როცა წარმართი ხელისუფალნი რომის სახელმწიფოს კანონების მიხედვით მოითხოვდნენ წარმართთა წესჩვეულებების შესრულებას, რაც ღვთის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ამგვარ შემთხვევებ-

ში ქრისტიანები იესო ქრისტეს მოძღვრებას მისდევდნენ, რათა კეისრისათვის მხოლოდ კეისრისა ებოძებინათ და არა ღმერთისა. ისინიც მოციქულთა მსგავსად, უფრო მეტად უსმენდნენ და მორჩილებდნენ ღმერთს, ვიდრე ხალხს“.

ტერტულიანი წერს: „იესო ქრისტემ მოითხოვა ჩვენება ფულისა და ოდეს იხილა მასზედ კეისრის გამოსახულება, უბრძანა ებოძებინათ კეისრისათვის საკუთარი გამოსახულება ე.ი. მისთვის ხარკი ეძლიათ მონეტებით, ხოლო ღმერთისათვის მიეგოთ ადამიანის ხატება, ე.ი. მიეცათ სული და გული ადამიანისა, ან უბრალოდ რომ ვთქვათ: „ფული კეისრისა ყოფილიყო, ადამიანი კი ღვთისა.“

ამასვე ეუბნებოდა დიონისე ალექსანდრიელიც ეგვიპტის პრეფექტ ემილიანეს, „უფრო მეტად უნდა მორჩილებდე ღმერთს, ვიდრე ადამიანთ“.

ნეტარი ავგუსტინე ქადაგებდა, რომ „თუ წარმართი ხელისუფალნი გიბრძანებენ, არ შეასრულოთ ის, რაც ღმერთს ნებას, მაშინ ყველასთვის ნათელი იქნება, რომ ღმერთი ამგვარ ხელისუფლებაზე უფრო მაღლა დგას. მიეცი ხელისუფლებას ის, რაც მისგან გაქვს, ყურნი კი მხოლოდ ღვთის ნებას მიაპყარ, რამეთუ ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ შენი სხეულის დაღუპვა ძალუძს, ხოლო ღვთის ნება-სურვილის შეუსრულებლობა კი ღუპავს სულს შენსას.“

ქრისტიანები თვლიდნენ, რომ ღვთის ნებაზე უწინარეს იმპერატორის ბრძანების დაყენება ნიშნავს, აწყენინო და დასცინო ღმერთს, ხოლო იცრუო იმპერატორის წინაშე.

„ჩვენ არ ვათანაბრებთ იმპერატორს ღმერთთან“, — წერს ტერტულიანი, — არ ვუწოდებთ მას ღმერთს, რადგან ჯერ ერთი, რომ ტყუილის თქმა არ ძალგვიძს, მეორეც—არ გვინდა, იმპერატორს დავცინოთ, და მესამე—თავადაც არ ისურვებს, ღმერთად რომ აღიარონ, რადგან ადამიანია და მისთვის იმპერატორის წოდებაც კმარა“.

თეოფილე ანტიოქიელი წარმართ განმგებელ ავტოლიკეს წერდა: „შენ მგკითხები, რად არ ვეთაყვანები რომის იმპერატორს? იმიტომ რომ იგი თაყვანისცემისათვის არ დაუნიშნავთ—იგი ადამიანია და არა ღმერთი. თაყვანისცემა კი არავისი გვმართებს, გარდა ერ-

თისა, ღმრთისა“.

ამასვე იმეორებდნენ წარმართებიც. ისინი ამბობდნენ, რომ ქედს იხრიდნენ იმპერატორის წინაშე, როგორც მბრძანებლის, მაგრამ მორჩილებას და თაყვანისცემას მხოლოდ ღმერთს მიაგებდნენ.

ძველი ქრისტიანები თავს იკავებდნენ ყოველგვარი ფიცისა და მსხვერპლის შეწირვისაგან.

„ჩვენ, — ამბობს ტერტულიანი, — მსხვერპლს არავისთვის არ ვწირავთ, რადგან ამას საკუთარი თავისთვისაც არ ჩავდივართ“.

„ჩვენ, — წერს წმ. იუსტინე, — არ ვწირავთ მსხვერპლს და არ ვეთაყვანებით იმ კერპებს, რომლებიც წარმართებმა თავიანთ ტაძრებში დადგეს და ღმერთები უწოდეს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ისინი უსულონი, მკვდრები არიან და ღვთის სახე არ გააჩნიათ“.

ძველი ქრისტიანები იმპერატორის პატივსაცემად განკუთვნილ საზეიმო დღეებს თავაშვებულ მხიარულებაში არ ატარებდნენ. მათ გულით და სინდისით ზეიმი სწამდათ და ამიტომ მას მოკრძალებულად, ფხიზლად და გონივრულად ატარებდნენ და არა წარმართებით განუკითხავ მხიარულებასა და ღრეობაში.

„ნუთუ, — ამბობს ტერტულიანი, — ხალხის სიხარული უხამს მოქმედებებში უნდა ვლინდებოდეს? ნუთუ რისი გაკეთებაც სხვა დროს უგვანოა, დასაშვებია საზეიმო დღეებში?“

ხელისუფლებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას მკაცრი სასჯელის გარდა, ხშირად ქრისტიანთა სიცოცხლაც ეწირებოდა.

ქალაქ პტოლამეიდში იმპერატორმა ავრელიანემ მუქარით მოსთხოვა მოწამე პავლეს, მისი ბრძანებანი შეესრულებინა.

მოწამემ მიუგო: „მე თქვენი უდიდებულესობის ყველა ბრძანებას ვკითხულობ, მაგრამ ვასრულებ მხოლოდ იმას, რომლებიც ჩემი სინდისის ნებას არ არღვევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე მზად ვარ ვეწამო, მაგრამ ქრისტეს მცნებებს არ ვუღალატებ“.

VI თავი

როგორ იქცეოდნენ ქრისტიანები დევნის დროს

ძველი ქრისტიანები წარმართ ხელისუფალთ იმდენად მორჩილებდნენ, რის უფლე-

ბასაც მათ სინდისი აძლევდათ. ისინი არამც თუ საშიშნი არ იყვნენ სახელმწიფოსათვის, პირიქით, თავიანთი მოქმედებით მშვიდობასა და სიკეთეს თესავდნენ ხალხებს შორის, თუმცა ხელისუფლების მრავალი წარმომადგენელი ქრისტიანებს მეტ-ნაკლები სიმკაცრით მაინც ავიწროებდა და სდევნიდა.

ქრისტიანთა წინააღმდეგ ამგვარი მტრობის მიზეზი, ცხადია, თავად ქრისტიანებში კი არა, მათდამი წარმართების დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ.

ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობის შემდგომ, ქრისტეს მოწაფეებს აღარ სწამდათ წარმართთა ღმერთები და თავს იკავებდნენ მათდამი მსხვერპლთ-შეწირვისაგან. ცრუმორწმუნე წარმართები ვერ ურიგდებოდნენ თავიანთი ღმერთებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას, ეშინოდათ მათი რისხვისა და ათვალწუნებით უყურებდნენ ქრისტიანებს. წარმართ ქურუმთა და ხელისუფალთათვის ხელსაყრელი იყო ხალხი ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების წყვედიადში დარჩენილიყო. ისინი ბრბოს განწყობით სარგებლობდნენ და უფრო მეტად რომ აემხედრებინათ ხალხი ქრისტიანთა წინააღმდეგ, მათ შესახებ უხამს ჭორებს ავრცელებდნენ. ისინი ჰყვებოდნენ, ვითომ ქრისტიანები ღამით ფარულად იკრიბებოდნენ სახალშობილი ბავშვების მოსაკლავად და შესაჭმელად. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ქრისტიანებს ბოროტი ხრახვები ამოძრავებდათ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად ამ უაზრო და მკრეხელური ცილისწამებისა, წარმართთა შორის ბევრმა ირწმუნა ეს სიცრუე და უწყინარ ქრისტიანებს, როგორც ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედთ, ისე დაუწყეს ყურება.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. წარმართული ცრურწმენის წყვედიადში ქრისტიანული მოძღვრების წარმოშობის შემდგომ ქრისტეს მიმდევართა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. წარმართთა შორის გონიერებმა იწამეს ქრისტიანობა და ამ მოძღვრების სიწმინდესა და ჭეშმარიტებაში დარწმუნებულება ახლებურად მოაწყეს თავიანთი ცხოვრება და უშიშრად მიჰყვნენ საკუთარი სინდისისა და გონების კარნახს. ცხადია, საუკუნეების განმავლობაში ფესვადგმული წარმართობის მიმდევარნი შეაშინა ახალმა სარწმუნოებამ,

რომელიც გამობდა მათ მანკიერ და მკაცრი ცხოვრების წესს. დაიწყო ქრისტიანთა დევნა, ყველაზე უსამართლო და უმოწყალო, რომელიც შემდგომ ხანმოკლე შესვენებებით, რამდენიმე ასწლეულს გაგრძელდა.

ასობით და ათასობით ქრისტიანი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, რადგან მათ არ უარყვეს თავიანთი ღმერთი. ისინი საზარელი წამებით სიკვდილის ჟამსაც კი, შეუნდობდნენ თავიანთ მწვალებლებს და მათთვის ლოცულობდნენ. მაგრამ წარმართული სულსწრაფობით აღზრდილი და იმუჟამინდელ უმსგავსო სიმკაცრეს მიჩვეული ბრბო კარგა ხანს გულგრილი რჩებოდა ქრისტიან მოწამეთა ნათელი ცხოვრებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პიროვნებები ქრისტიანულ სარწმუნოებას ღებულობდნენ, წარმართთა უმრავლესობას მაინც ეზიზღებოდათ ქრისტიანები და სდევნიდნენ მათ. წარმართებს ერჩიათ დარჩენილიყვნენ იმ რწმენაზე, რომელიც კი არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით მათ მანკიერ და თავაშვებული ცხოვრების წესს იწონებდა.

ბოროტების ჩამდენთ არ სურდათ, ეღიარებინათ ქრისტეს მოძღვრების სამართლიანობა, რომელიც მათ მანკიერ, წარმართულ ცხოვრებას ამხელდა. ისინი ემალებოდნენ სინათლეს, რამეთუ ბოროტი იყო საქმენი მათნი. მათ არ სურდათ ცოდვათა მონანიება და ახლებურად ცხოვრება, ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ წარმართული უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის წყვედიადში დარჩენას, რომელიც ფარავდა მათ ბნელ საქმეებს. ჭეშმარიტების ნათელის მოძულენი ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩაეჭრათ ეს სინათლე და ძირფესვიანად ამოეგდოთ ამ რწმენის მიმდევარი და მისი გამავრცელებელი ხალხი. როგორ იქცეოდნენ ქრისტიანები დევნის დროს?

ისინი დიდსულოვნად და მოთმინებით იტანდნენ დევნას, ჰმორჩილებდნენ იმპერატორის ხელისუფლებას რამდენადაც შეეძლოთ და არასოდეს არღვევდნენ ქრისტეს მცნებებს, არ თვალთმაქცობდნენ და არ პირფერობდნენ დაკითხვების დროს. ამბობდნენ იმას, რაც გულში ედოთ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანად აღიარების შემთხვევაში მათ ზოგჯერ სიკვდილით დასჯაც კი ემუქრე-

ბოლოთ. ქრისტიანებს სწამდათ, რომ მიწიერ ანგარებათა და ცრურწმენათა გამო ადამიანებს არ უნდა უარეყოთ ჭეშმარიტება, რადგან იგი მით უფრო მაღლე იხეიმებდა, რაც უფრო მეტი ხალხი ეწამებოდა მისთვის.

ქრისტიანული გულწრფელობა არ აძლევდა მათ უფლებას, უარი ეთქვათ თავიანთ სარწმუნოებაზე, ეტვირთათ ის დანაშაული, რაშიც არავითარი ბრალე არ მიუძღოდათ. ისინი იძულბული იყვნენ, თავი დაეცვათ წარმართებისგან და თავიანთი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ. წმიდა იუსტინეს გადმოცემით, ქრისტიანები, მართალია, მშვიდად და უყოყმანოდ ეწამებოდნენ, მაგრამ მათ მაინც სააშკარაოზე ეგამოჰქონდათ საკუთარი უდანაშაულობანი და წარმართთა უსამართლობა. წმ. მოწამე ქალმა იულიანამ, რომელმაც წამებისაგან იხსნა თავისი ძმა პავლე, ამგვარად მიმართა იმპერატორ ავრელიანეს: „ო, რატომ აწამებთ ასე უმოწყალოდ ჩემს ძმას? თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც თუ მოუყენებია შეურაცყოფა თქვენი მეფური დიდებისათვის, ან თავისი თანამოქალაქენი თუ გაუნაწყენებია? ჩემი გული თავდებია მისთა საქმეთა, ხალხი კი მოწმეა მისი ზნეუთილობისა. ხელმწიფეო! შეუნდე უდანაშაულოს!“

„ჩვენ გვწვავენ—, წერდა ტერტულიანი, — სხვა არაფრისათვის, თუ არა ჩვენი უდანაშაულობისათვის, ჩვენი ზნეობრივი სიწმინდის, ჩვენი სამართლიანობის, ჩვენი ღვთისმოსაობის, ე.ი. ცოცხალი ღმერთის არსებობის გამო“.

ძველი ქრისტიანები წაყენებულ ბრალდებათაგან თავის მართლებისას არ იფიცებდნენ არც იმპერატორის სახელს, არც წარმართთა ღმერთებს, საერთოდ, ყოველგვარი ფიცისგან თავს იკავებდნენ. კლიმენტი ალექსანდრიელის გადმოცემით, ქრისტიანთა სიტყვა და საქმე ერთი იყო. და რაკილა სამართლიანად იქცეოდნენ, ფიცის ნაცვლად, მხოლოდ ღიახს ან არას ამბობდნენ.

ქრისტიანებს სჯეროდათ, რომ ჭეშმარიტება ყოველგვარ მიწიერ ანგარებასა და ცრურწმენაზე მაღლა იდგა და იგი არასოდეს დარჩენილა განუკითხავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გულისთვის სასტიკად ეწამებოდნენ. „ისინი, — წმიდა იუსტინეს გადმოცემით, — გულწრფელად აღიარებდნენ სიმართლეს, არ

ცრუობდნენ, ჭეშმარიტების გულისათვის სასიკვდილოთაც კი სწირავდნენ თავს, არავითარ შემთხვევაში არ ეცდებოდნენ სიცრუით ფონს გასვლას. „თუ ჩვენ რაიმეს ვამბობთ, — წერდა ტიციანი, — მაშასადამე, ჩვენ არ ვცრუობთ“. ამიტომ წარმართების შკვითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი, ყველა ქრისტიანის პასუხი ერთადერთი, მარტივი და ჭეშმარიტი იყო: „ჩვენ ქრისტიანები ვართ“.

ქრისტიანები წარმართებისაგან განცალკევებით ცხოვრობდნენ, მაგრამ არასოდეს არ დასცილდნენ მათ სარწმუნოებას; მხოლოდ ცდილობდნენ ხელსაყრელი შემთხვევის დროს წარმართული სარწმუნოების სიცრუე ემხილებინათ.

წარმართთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების უდიერად ხსენებისას, ქრისტიანები მათთან კამათს გაუბობდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა კამათის მიზანს ჭეშმარიტების დადგენა კი არა, ქრისტიანთა დაცინვა წარმოადგენდა. ისინი მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების სისპეტაკეზე, ჭეშმარიტებასა და წარმართულ სარწმუნოებასთან შედარებით მის უპირატესობაზე მიუთითებდნენ. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, ისინი დიდი სიამოვნებითა და სიხარულით საუბრობდნენ ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებათა შესახებ.

ლიონის ეპისკოპოსმა პეფინმა მოსამართლის დამცინავ შკვითხვაზე, „ვინ არის ქრისტიანთა ღმერთი?“—საჭიროდ არ ცნო პასუხის გაცემა და მხოლოდ ეს უპასუხა: „შენ თავად შევიძლია გაიგო, თუკი ამის ღირსი გახდები“.

წმ. მოწამე პოლიკარპე კი თავის განმკითხველს ეუბნებოდა: „თუკი გსურს ქრისტიანულ მოძღვრებას ეხიარო, აირჩიე რომელიმე დღე და მომაპყარ ყურნი“.

მოწამე იპარხი ქრისტიანად მოქცევის მსურველ წარმართებს ამგვარად მიმართავდა: თუ თქვენ გსურთ ჩასწვდეთ ქრისტეს მოძღვრებას, ახლავე მოგცემთ რჩევა—დარიგებას!“

იმპერატორ მაქსიმიანეს დროს, მოწამე აგაპიამ იმ ადგილას, სადაც იგი მხეცებს უნდა დაეკლიჯათ, წარმართებს დაცინვასა და ლანძღვა-გინებაზე ასე უპასუხა: „ყველა თქვენგანი, ვინც აქ ჩემი წამების საყურებლად მოხვედით, მოწმენი გახდებით, რომ მე რაიმე

დანაშაულისთვის კი არა; მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ვეწამები, რომ ქრისტეს მოძღვრებას ვქადაგებ. მხოლოდ ერთს გთხოვთ და გისურვებთ, რომ თქვენ ყველამ ირწმუნოთ ჭეშმარიტი ღმერთი და მხოლოდ მას ემსახუროთ“.

ძველი ქრისტიანები მდევნელთაგან მი ენებულ წამებას წინააღმდეგობით, დრტვინვითა და ძალადობით არ ხვდებოდნენ, — მოციქულთა მსგავსად სიამოვნებით, მშვიდად და სიხარულით ჯვრებოდნენ მას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთელი ეს დევნა და წამება მათთვის უბედურების კი არა, ბედნიერების მომტანი იყო. ტერტულიანი ამის შესახებ აფრიკის პროკონსულს წერდა: „თქვენი სიძაბურე წარმოადგენს დიდებას ჩვენსას“.

ძველ ქრისტიანებს საშინლად აწამებდნენ: ჯვარზე აკრავდნენ, ბორბლავდნენ, მხეცებს აგლუჯინებდნენ, შიშხილით ხდიდნენ სულს. წმიდა მოწამე გორდია ამგვარად მიმართავდა თავის მწვალებლებს:

„ღაფლითეთ სხეული ჩემი, დაგლიჯეთ ასონი ჩემი, დაე, გადაიტანონ მათ ყოველგვარი წამება, ვითარცა თქვენ გსურთ! რაც უფრო მეტს მაწამებთ, მით უფრო მოხარული ვიქნები... დათესეთ ჩემში ტკივილი, რომ მეტი სამკალი მოვიძიო“.

მამაც ქრისტიანთა შორის, განსაკუთრებით იმპერატორ დეკიას დროს, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც არ შეეძლოთ ხანგრძლივი, მკაცრი წამების ატანა: ისინი ან მსხვერპლს სწირავდნენ წარმართთა ღმერთებს, ან გუნდრუკს უკმევდნენ კერპებს, ან ქურუმთაგან იძენდნენ წერილობით მოწმობას იმის თაობაზე, რომ მათ შესაწირი მოჰქონდათ. ცხადია, არ შეიძლებოდა ამგვარი ხალხისათვის ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები ეწოდებინათ.

ჭეშმარიტი ქრისტიანები ყოველგვარ წამებას იტანდნენ და იყვნენ მშვიდნი და უწყინარნი თავიანთი მტრების მიმართ.

„ჩვენ, — წერდა აფინაგორი, — გვმოდვრავენ არამც თუ წინააღმდეგობა არ გავუწიოთ ჩვენს მწვალებლებს, არამედ თუ ერთ ლოყაში სილა გაგვაწინეს, მეორეც მივუშვიროთ. ასევე, თუ კაბას წაგვართმევენ, ხიფთანიც მივაყოლოთ ჩვენ თვითონვე უარყოფით სხეულსაც და სიცოცხლესაც ჩვენსას“.

ტერტულიანეს გადმოცემით, ქრისტიანი

არავის არ ემალებოდა. სასამართლოზე დაკითხვისას, იგი გულახდილად პასუხობდა და სასიკვდილო განაჩენის შემთხვევაშიც კი ღმერთს მადლობას სწირავდა. ამასვე ადასტურებს წმ. კიპრიანიც: „როცა მას იჭერდნენ, იგი არ უწინააღმდეგებოდა, არც შურისძიებას მიმართავდა ძალადობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მრავლად იყო ჩვენი ხალხი“. ქრისტიანებს მტკიცედ სწამდათ, რომ მათი ყოველგვარი დევნა დედამიწაზე სიმართლისა და სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებოდა.

წმ. კნატე საკუთარი თავის შესახებ წერდა: „სირიიდან რომამდე გარეულ მხეცებს რომ ვებრძოდი, ათ მეომარს მიეკედლე, რომელნიც ჩემს სიკეთეს ბოროტებით პასუხობდნენ; მათი ბოროტება ჩემთვის ჭკუის სასწავლებელია“.

ზოგიერთი მოწამე ყოველგვარი თავდაცვის გარეშე მიმართავდა თავის მწამებულს: „მეკობარო, რატომ მოდიხარ ჩვენთან? ჩვენ თავად გეახლებით!“ მართლაც, თვითონვე მიდიოდნენ შესახვედრად და მშვიდად ხრიდნენ თავს მახვილის წინაშე. ზოგნი სიკვდილის წინ, დაყინებით თხოვდნენ თავიანთ მგობრებს, რომ შური არ ეძიათ მათ მწვალებლებზე.

წმ. პოლიკარპე სიხარულით შეხვდა და სატყელ-სასმელიც კი უბოძა მის დასაჭერად მოსულ წარმართებს, რომელთანაც უნდა დაეწვებოდა, ან მხეცებისთვის შესატყელად მიეგდოთ იგი. წმ. კიპრიანმა დაიბარა, რომ მისი მკვლელისთვის 25 ოქრო ებოძათ. ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისთვის საპრობილეში მოთავსებულმა ეპისკოპოსმა, გათავისუფლების შემდეგ მამისგან მემკვიდრეობით მიღებული მთელი მამული გაყიდა, აღებული საფასურის ნახევარი მათხოვრებს დაურიგა, ნახევარი კი — თავის მსაჯულებს.

ქრისტიანები ცდილობდნენ თავიანთი მწვალებლების მოქცევას. ჯვარზე გაკრულმა ანდრია მოციქულმა ამგვარად მიმართა კონსულს: „შენი დაღუპვისა მეშინია, ჩემი წამება ერთ, ან სულ დიდი ორიოდ დღეში დასრულდება, შენი წამება კი დაუსრულებელ არს. ნუ გაიმრავლებ უბედურებას და ნუ დაიღუპავ თავს“.

წმიდა იაკობი, სიკვდილის წინ სმირნელ ეპისკოპოსს წმ. პოლიკარპეს მსგავსად, მუხლ-

მოყრილი ევედრებოდა თავის მწვალებლებს.

ხშირად მოწამეთა ამგვარი საქციელი მწვალებლებს ქრისტიანობისკენ მოაქცევდა ხოლმე. მრავალტანჯული მოწამე ფავსტა ამგვარად ლოცულობდა თავისი მწამებლის მაქსიმე უფროსისათვის: „გავედრებ, უფალო იესო ქრისტე, მწვალებელ მაქსიმეს, შეიყვარე და განანათლე იგი რწმენით, და მოაქციე გზასა ხსნისასა“. მაქსიმე უფროსს ისე აუწყა გული მოწამე ქალის ვედრებამ, რომ იგი მუხლებზე დაეცა და წამოიძახა: „შემწე და მფარველო უბიწო ქალწულისაო! მიმიღე მეც მონად შენისად, რამეთუ ხარ მეუფე და მაცხოვარი ერთადერთი!“

ძველი ქრისტიანები არ მიმართავდნენ თვითგვემას და არც სიკვდილს ეძიებდნენ, რამეთუ სახარება არ ქადაგებდა ამას.

პროკონსულ პატერნს, რომელიც დანარჩენი ქრისტიანების მხილებას მოითხოვდა, წმ. კიპრიანმა ასე მიუგო:

— თანახმად ქრისტეს მოძღვრებისა, მე არ ძალმიძს მათი მხილება, და არც თავად შეუძლიათ, აღიარონ თავი თვისი, მაგრამ თუ შენ ძებნას დაუწყებ, ცხადია, ისინი არ დაიმალებიან!

შემდგომ ამისა, ტერტულიანმა აუწყა აფრიკის პროკონსულს ქრისტიანთაგან ჭირთა მშვიდად დათმენის ამბავი და იქვე დასძინა:

„ჩვენი უღრტვინველად წამების შემხედვარემ არ იფიქრო, თითქოს იმიტომ მოვდიოდეთ თქვენთან, რათა გიჩვენოთ, როგორ არ გვეშინია ამგვარი წამებისა, და განახოთ საკუთარი ნებით როგორ ვეღობებით განსაცდელს და ვეძიებთ სიკვდილს“.

მართალია, ქრისტიანები თვითონ არ მოდიოდნენ საწამებლად და ზოგჯერ ემალებოდნენ კიდევ თავიანთ მდევნელთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არ ცდილობდნენ საკუთარი თავის გადარჩენას, მაშინაც კი, როცა ეს შესაძლებელი იყო.

მაგალითად, როცა მდევრები წმინდა პოლიკარპეს ეძებდნენ, მას შეეძლო ერთ-ერთი სახლისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ მან არამც თუ არ ისურვა ეს, პირიქით, გაუძასპინძლდა მდევართ და თავად ჩაბარდა მათ.

წმ. აგაპიას შეეძლო ციხიდან გაქცევა, მაგრამ არ ისურვა. იგი ამბობდა:

„ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემი გულისთვის

ციხის მცველთ რაიმე უსიამოვნება შეხვდეთ!“

წმ. კიპრიანი იწონებდა მოძღვართ საქციელს, რამეთუ მათ, საპრობილეში მყოფთ, მრავალგზის შეეძლოთ გაქცევა და არ ისურვებ, რათა წარმართებს ქრისტიანთა სახელეზი არ შეერაცხეთ.

მხცთა საკბილად რომში მიმავალი წმიდა ეგნატე თავის მგობრებს წერდა: „მეშინია თქვენმა სიყვარულმა რაიმე ზიანი არ მომიტანოს, ნურაფერს იქმთ იმისათვის რომ მოსალოდნელი წამებისაგან მიხსნათ. გთხოვთ, ჩემდამი გულმოწყალებე ნუ იქნებით. მე ღვთით გაჩენილი ხორბალი ვარ და მხეცთა კბილთაგან უნდა გავილეწო, მაშინ ვიქნები ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფე“.

ანდრია მოციქული თავის მგობრებს, რომელთაც მისი ციხიდან დახსნა სურდათ, ასე მიმართავდა:

— „ქრისტიანული სიმშვიდე გერჩიოთ სატანისეულ გულისწყრომას. ნუ გადაუხვალთ ღუმილს, სიწყნარესა და სიმშვიდეს და ნუ მოშლით წამებას ჩემსას“.

ისტორიკოს ევსევის ცნობით, ძველი ქრისტიანები არად ავღებდნენ საფრთხეს და ყოველგვარ წამებას, გაბედულად ქადაგებდნენ ჭეშმარიტი ღმერთის სარწმუნოებას, სიხარულით, ღიმილით და კმაყოფილებით ისმენდნენ უკანასკნელ სასიკვდილო განაჩენს. ფსალმუნებსაც კი მღეროდნენ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ხოტბას და მადლობას აღუვლენდნენ ქვეყნიერების ღმერთს. წმ. ოქროპირის გადმოცემით: ტანჯული გმირობის ჟამს ცემით დასახიჩრებული და მახვილი იარაღით განგმირული მოწამენი მაინც მხიარულნი და ბედნიერნი იყვნენ. ისინი კოცონზე დაწვისას უფრო მეტად მხიარულობდნენ, ვიდრე აყვავებულ ბაღში სეირნობის ჟამს.

ამგვარად იხოცებოდნენ ქრისტეს პირველი მიმდევარნი. მათ არად მიანდოთ სიკვდილი, რამეთუ გონების თვალთ ჩაწვდნენ თავიანთი მოძღვრის ქადაგების ძალასა და სიღრმეს. ისინი უარს ამბობდნენ ამქვეყნიურ დროტარება—გართობასა და მანკიერ ტკობაზე იმისათვის, რათა ყოფილიყვნენ ჭეშმარიტი მსახურნი მამაუციერისა და ხელი შეეწყუთ მისი მეუფების დამკვიდრებისათვის. ვითარცა სანთელი განავრცობს სინათლეს მის ირგვლივ, თავად კი იწვება, ამგვარადვე

პირ ელი ქრისტიანები უარყოფდნენ საკუთარ მეს და მსხვერპლად ეწირებოდნენ ადამის მოდგმას, რამეთუ სურდათ ქრისტიანული ჭეშმარიტების ლამპრად ანთებოდნენ თავიანთ მოძმეთ. ამიტომ მოწამებორივი სიკვდილით აღსასრულისა და მარადისობაში გადასვლის უამს, მათ შეეძლოთ ჭეშმარიტების სულით,

სიხარულითა და მხიარულებით აღვსილიყვნენ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების წილ, რომელიც ნათლად დაანახეს ხალხს თავიანთი ცხოვრებითა და ხორციელი აღსასრულით.

თარგმნა მამია კართველიძე

მღვდელი ნიკოლოზ ინჟირველი

ანგანთქება

ღ დამ პირველ კაცი ღვთისა შექმნილი სამებისაგან, ანგელოზებრ ცხოვრებაში აღკრძალული ხილისაგან, არ დაიცვა მცნება ღვთისა დაყენებულ ჭამისაგან, აღეტყონა რისხვა მისთვის და განიძო სამოთხისგან.

ჲ ეთლემს იშვა მსხნელი ჩვენი ზეგარდამო განგებიდგან, ბუნება კაცთა მიიღო მარიამის ქალწულისგან, ბედი მოგვინა მოწყალემ და გვიხსნა პირველ ცოდვიდგან, ბუნებით ორათ ცნობილმა დაგვიფარა მტერისაგან.

ჲ ამობრწყინდა რა მეუფე წინა ცნობით ვარსკვლავისა, გონიერებთა მოგვებთა ძღვენი მიართვეს ქებისა, გულითა მსასოებელმა წინასწარ ცნობით შობისა, გუნდრუკი, ოქრო და მური ფრიად შესწირეს მსხვერპლისა.

ღ აუსაბამო უფალო ღმერთო ჩვენი და ქებულო, დედავ ევმანულისა მარიამ ღვთისა-შობელო, დიდ ფრიადი მეოხება მოგვიციე საქებელო, დელოფალო ღვთის-შობელო მეონ გვეყავ ჩვენ, უხრწნელო.

ჲ ვას მიერ შეცთომითა ადამ განგარდა ედემით, ელისემ ილიას მაღლი მრწამლი მიიღო ხალხით, ენუქ ილიასთანავე ხორციელად ცხოვრობს ზეცით, ერთ-არსო ღმერთი სამებით ნუ გვაცხოვრებთ იქა კვნესით.

ჲ აება იყო ტყებისა, ოდეს ბუბუნი სკდებოდეს, ვალიდა გამომძიებლას, პეტრე ქრისტეს უვარ ჰყოფდეს, ვალი აქვს ქრისტეს მორწმუნეს, რბმ ღვთისა ნებას სრულყოფდეს, ვებით ხავსე ეშმაკნი არა იხსნების არ ოდეს.

ღ ეგარდამო განგებითა მარჯვენით მჯდომი მამისა, ზესშთა არსთა მეუფეო, შობილო მარიამისა, ზესკნელს ქვესკნელის განმსჯელო, სთრგუნე პაზრი ეშმაკისა, ზრახვა მისი შენ დაანთქენ ოორდანის მდინარესა.

ღ ეროდენ ზაკით ინება თავგანის ცემა მსხნელისა, ცესრეთ მათ მოგვთა იუწყეს ჩვენებით ანგელოზისა, ცეგვიპტელნი ზღვით დაინთქა წინააღმდეგ ქრისტეს ღვთისა, ცერთ მფლობელო ღმერთო, გვიხსენ გვენიც ცეცხლისა.

ღ აყვანსა ვსცემ სამებასა ერთ-არსებით ქებულ ღმერთსა, თანა დაუსაბამოსა ჭეშმარიტად ღმერთსა ერთსა, თაბორს ფერის ცვალებულსა მაცხოვარსა ქრისტე ღმერთსა, თორმეტ მისთა მოციქულთა: პეტრე, პავლე და თომასა.

ჲ ყო კაცი მოვლინილი, წინამორბედი იოანე, ილიამაც პელო ქვეყანა და განაპო ოორდანე, იორდანეს ნათლის ღვბით უფალმან მოგვცა ხსნა არე, იესო ქრისტე ნუ წაშწმედ ცოდვილი ვარ შემეწენარე.

ღ აცთ-მოყვარებით განკაცდა იესო ქრისტე ძე ღვთისა, კაცთა ბუნების მიძებმა მარიამის ქალწულისა, კერბთა საცთური დაგვიხსნა წყვეისაგან ადამისა, კაენებრ ცოდვის შემთხვევით გვიხსენ უფალო, სისხლისა.

ღ აზარე დაყოლებული აღადგინა მეუფემან, ლმობიერებით მტირალთა დათა: მართა, მარიამან, ლახვართ გულთა განგმერილნი ანუგეშა მოწყალემან, ლოცვითა და ბრძანებითა აღუდგინა მაცხოვარმან.

ღ აშინ ყოველნი აღვსდგებით მოსვლისა დროს მეუფისა, მარადის მომლოდინე ვართ განსჯად მკედართა ცხოველისა, მამასა ვსთხოვთ წყალობა, ხე რომ ვიქმნეთ ნაყოფისა, მან გვიწოდოს მარჯვენის მხრით რიცხვთა შორის ცხოვარისა.

ღ ინუქ ქალაქის ცოდვამან აღაწია ღვთის წინაშე. ნოე თვისის სიძარბოთა სდგა სიძარბოთ ღვთის წინაშე, ნათანაელს პრქვა უფალმან, გიხილე შენ ლეღვის ქვეშე, ნავთხადგურმა მეუფემან დაიფარა მის წინაშე.

ღ რ ბუნებით სამ პიროვან გიდალაღებ ერთსა ღმერთსა, ორითავე ბუნებითა შეგვაერთე მამა ღმერთსა, ორთავე სოფლებთა გვაცხოვრე და უზბინე სულსა ჩვენსა ისანას მსხნელის დედაო, შეგვავედრე ძესა შენსა.

ღ ირველი კაცი ადამი, გარდასცთომილი მცნებათა, პირუტყვ გველთაგან ცთომილი და მერე სიტყვათ ვვასთა, პირველი ხელით წერილი მისცა ადამმა ეშმაკსა, პირებით სამად ცნობილმა განხეთქა ნათლის ღვბითა.

ღ ამიერ პჟინე წყალობა ქრისტე, შენთა მორწმუნეთა, ეამთა და ჭირთა შენ გვიხსენ და ბოროტ მოწვევებათა, ეამიერ კეთილ ცხოვრებით ვკლტვოდეთ ნაყოფენებათა, ელოვილ-ტირილთა დაგვიხსენ და ბოროტთაგან ენებათა.

ღ ომელნი ვართ მორწმუნენი აჲ ვიქმნენით მხიარულნი, რათაჲ მქონე ვიქმნეთ ღმერთს შევსწორედეთ მოხარულნი, რომელმანცა შეიწირა ოქრო, გუნდრუკი და მური, როდესაც ღმერთო, განგვსჯიდე, ცოდვა ჩვენი ჰყავ დაფულული.

ს აფლავად ხორცილა შეხვედ, ხოლო ჯოჯოხეთს სულითა, სამარადისოი ხსნილ ვიქმნენით შენ მიერთია ჯვარცმითა, სამოთხისა წილ მოგმადლე სასუფველი ზეცისა, სამებაო ღმერთო, გმადლობთ, მაცხოვარო, ძეო ღვთისა.

რ რფილებით განსვიდველმა უგურმა იუღამან, ტარტაროი აღზეხულა შეიძოსა უბადრუკმან, ტანჯვა მოძღვრის განიზრახა ხელი მიყო პინაკამან, ტვირთი ცოდვითა თავს იღვა და ვაება შიშთეაღიმა.

ო უბირველეს ყოვლისა, ანი და შოე ქებული, უფალი ცა და ქვეყნისა, დიდებითა დიდებული, ურიებთაგან ჯვარცმული, პილატეს მიერ გვემული, უბადრუკით აღსაგეს იუღა შიშთეაღიუელი.

პ არისველი ზეაგობით მოქალაქე დამდაბლებული, ფრიად მემარხვე მოქალაქე ცუდილა აღზეხებული, ფრიად აღმფთობულ იქმნა ისკარიოტელის გული, ფასი ღვთისა მან მიიღო ოც-და-ათი ვეცხლის ფული.

† აღწული ხარ, დედა ღვთისა, მარიამი, მაცხოვრისა, ქანანელთა შთამოება იოაკიმ ასულისა, ქრისტე ღმერთი შენგან იშვა დამთრგუნველი ეშმაკისა, ქმენ წვენთვის შუამდგომლობა ზეციერის სამოთხისა.

ი მერთო, მიღხინე ცოდვილსა, მსგავსად სიტყვის მუხეერისა, ღონე კეთილი მომეცი და გულისთქმა ვედრებისა, ღამე ნათლად განმინათლე და სიმართლე გონებისა, დედა და შფოთი დამიცხვე და სიცრუე გულისთქმისა.

კ რამათა სახმილი შეუტრვე უფალო ღმერთო, ქებული, ჯვავილთა ანგელოზთაგან წინეთ ზეცისა სახულო, ვრამათა გმეტველეს ოსანნა თვით კოესა ზედა შესხმული, ჯვადრება წვენი აღზოცე იესო ქრისტე ჯვარცმული.

ე ენ გიგალობ და გადიდებ ქრისტე ღმერთო მაცხოვარო, შგვიწვალენ წვენ ცოდვილნი სამებაო ქრისტეს ჯვარო, შენ შგვედრებ მეფეს წვენსა, მამარძოლთაგან დაიფარო, შემუსროს მტერნი მისი, ვითარ ვევიტელთ ფარაო.

ი ვენებით ღამემ ღამესა მიუთხრა მეცნიერება, წინებულ პაზრი პილატეს, მაგრამ ჰყო უგურება, წვენსა მსხნელს ღმერთსა იესოს მისცა დასჯაა, ჯვადრება, წვენება მათი უფარ ვეცხ და დაიმტყიცეს ვაება.

ს ანი დიდებას უთხრობენ ქმნულსა მისთასა სამყარო, ცადა ქვეყნისა მტვრითელო დედავ ღვთისა დედოფალო, ცრუთა ბოროტ მანქანთაგან გთხოვ; გვეწიო, დაგვიფარო, ცთომა წვენი რომ აღზოცო ძისა შენის ჯვართათაო.

ძ ლიერო ღმერთო, შენ იხსენ ისრაილნი ვევიტისგან, ძალნი ვევიტელთ შემუსრე და იხსენ მონებისაგან, ძლიერებითა განაპე ზღვა მწამული კვერთხიდან, ძლევა ბარბაროსთ დასთრგუნე, როგორც ფარაო ერიდან.

წ მინდავ წმინდაო სამებავ, სამპიროვანო ქებული, წმინდავო ღმერთო მაცხოვარ ზეციდან მამის ცხებული, წმინდავ ძლიერო იესო, მსხნელო წვენო, დამსჯელოლო, წმინდავ უკვდავო მეუფე, გოლგოთასხედა ჯვარცმული.

ს ურსა რჩეულსა ვაქებდეთ პავლე მოციქულს შეწვესა, ჭეშმარიტებით აღსაგეს პირველ მოციქულს პეტრესა, ჭირიდან წვენსა დამსხნელსა სასუფველის კლიტესა, ჭეშმარიტებით ვსასოებთ ზოგად მოციქულთ ქრისტესა.

ე ვევიდა რა ავაზაკი ქრისტეს ჯვარცმულსა მისთანა, ხადოდა ღმობიერებით მეტველი მოხსენებითა, ხილულად მსასოებელი ღირს ჰყო ცხოვრებად ზეცისა, ხერუვით უზეზთაგის პირველ აღთქმულს სიტყვისა.

კ არ ღმერთი სამ-პიროვანი უხილავ მიუწითმელი, კორციითა ჯვარსა ვნებული, სისხლისა გარდმოწითმელი, კელწიფებითა შემუსრე სატანა და სამოელი, კელთა აღმპყრობით მთხოველი აწ ცხოვრებასა მოველი.

ს ვარი მაქეს შეწვედ საჭურვლად და მით დაგსთრგუნებ ეშმაკთა, ჯვარცმული ქრისტე მეუფე ამაღლდა ქვეყნით ზეცათა, ჯოჯოხეთიცა შემუსრა ადამ იხსნადა სისხლითა, ჯერ-არს მომავალ განკითხვათ კელწიფებითა დიდითა.

ს აზრი ბოროტი შემუსრა ეშმაკთა მიერ შეთხული, პაერთა სვლა აღუკრძალა ძლევა მისი ჰყო დაფლული, მსთქვა და იქმნა ბნელსა შინა ტარტაროზთაგან სტანჯული, პესწერ და ვუწვი ღმერთი ჩემი მკვდართა და ცხოველს-მსაჯული.

შ ი, ოსაო ადამისა, დამსხნელო მორწმუნეთაო, ში, ტომო, ქრისტე ღმერთო, აბრაამ დავითისაო, ში, რაბამ ღირს ვიქმნენით წოდებად ღვთისა მამისაო, ში, ღმერთო დიდებული, ანგელოზსთა და კაცთაო.



ჩემარ დედოფლის პაქის სახელი

მეტი პრობლემის გარკვევისათვის

მრავალ ადამიანს ცნობისწადილს აღუძრავს თამარ მეფის ძის სახელი: ლაშა — გიორგი.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, თამარ მეფის ვაჟის დაბადებისას ქართულმა მხედრიონმა ახალშობილს მიუძღვნა ერთ-ერთი ლაშქრობა — „ბედსა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფხართა ენითა“ (ქ.ც.ტომი 2. 1959 წ. გვ.58). მაშასადამე, ლაშა აფხართული სიტყვაა და ქართულად განმანათლებელს ნიშნავს.

ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ „აფხარები, რომელთა ენიდანაც სახელი ეწოდა მეფის ვაჟს? „აფსნი“ და „აფსუა“ — თანამედროვე აფხაზეთსა და აფხაზებს ეწოდებათ აფხაზურ ენაზე, ასევე „ა-ლაშა-რა“ ჩირადდანს (განმანათლებელს) ჰქვია თანამედროვე აფხაზურად, მაშასადამე „ლაშა“ აფხაზური სიტყვაა, მაგრამ რატომ მიიჩნიეს ჩვენმა მემატრიანებმა „ლაშა“ არა აფხაზთა, არამედ აფხართა სიტყვად?

ჩვენი ძველი მემატრიანნი და მეისტორიენი კარგად ცნობდნენ აფხაზებსა და აფხაზეთს, „ლაშა“ მათ დროს აფხაზური სიტყვა რომ ყოფილიყო აფხართულ სიტყვად არ მიიჩნევდნენ.

საქმე იმაშია, რომ ძველ დროს აფხაზებს სხვა ხალხს უწოდებდნენ, ხოლო აფხარებს სხვას, აფხაზებს უწოდებდნენ აფხაზეთის მკვიდრ ქართველურ ტომს, ხოლო აფხარებს მის მეზობლად კავკასიაში დამკვიდრებულ ჩერქეზულ-ადიდურ ენაზე მოლაპარაკე ტომს.

ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილი დასახლებული იყო ჩერქეზული ტომებით. იმ დროს ჩერქეზთა საერთო რიცხოვნება თურმე საკმაოდ დიდი ყოფილა. ჩერქეზული იყო აფხართა, აბაზთა, ადიღეთა, ყაბარდოელთა, უბიხთა და სხვა ტომები. ყველანი ისინი

ენათა ერთ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ და მათი საერთო სახელი ჩერქეზები იყო.

იმ დროისათვის სულ სხვა ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდა აფხაზური ენა. პავლე ინგოროვამ გამოარკვია, რომ თანამედროვე აფხაზეთში აფხართული ანუ ჩერქეზული ტომების დამკვიდრებამდე ცხოვრობდა აბასების ქართულენოვანი ტომი, აღსანიშნავია, რომ აბასების ტომი აგრეთვე სამხრეთ საქართველოშიც — ბასიანშიც მკვიდრობდა. მართლაც, ბერძენი მეისტორიენი წერენ, რომ ჰენიოხების ტომი იმ დროს მკვიდრობდა აფხაზეთსა და სამხრეთ საქართველოში (იხ. პინგოროვამ, გიორგი მერჩულე, თბ. 1954 წ.). ჰენიოხებს ქართულად აბასები ეწოდებოდათ, საიდანაც მომდინარეობს ბერძნული ტერმინი — აბაზგია (აფხაზეთში) და ქართული ტერმინი — ბასიანი. აბასიდან არის ნაწარმოები (ბერათა გადანაცვლების გზით) — აფხაზი. პ. ინგოროვამ დამაჯერებლად გამოარკვია უძველესი ქართული და უცხოური წყაროების მოშველიებით, რომ აფხაზთა ეს ტომი ქართულენოვანი ყოფილა. ამას სხვა მონაცემებთან ერთად უზენებეს აფხაზეთის უძველესი ტოპონიმებიც (დაფიქსირებული უცხოურ რუკებსა და წყაროებში), რომელთაც მხოლოდ ქართულენოვანი ახსნა აქვთ.

მართლაც, სოკიერთი ტოპონიმის ჟღერადობა თანამედროვე მეითხველისთვისაც კი გასაგებია. მაგალითად, ბიჭვინთასთან ახლოს გამდინარე მდინარე კაპოეტისწყლის ხეობის ბუების — (ბუიფის — ბუა მრავლობით რიცხვში მეგრული ფორმით) — უწოდებდნენ, ამჟამად ამ მდინარესაც ბუიფი ეწოდება, მისი უძველესი სახელი კაპოეტისწყალი ნაწარმოებია თევზის — კაპოეტის სახელისაგან. საერთოდ, აფხაზეთის ტოპონიმიკა ადასტურებს, რომ ძველქართული აბასების ტომი

თავიანს სცემდა მცენარეებს, მაგალითად. ისევე როგორც ბზიფი ბზით დაფარულ ხეობას ეწოდა, ასევე სოჭი (ამჟამად ქალაქის სახელწოდება) სოჭნარს — სოჭიან ადგილს, ბიჭვინთა — ფიჭვნარს (ძველქართულად ფიჭვს — ბიჭვი ერქვა), ხოლო ცხუმი — (გრემლნარს — ცხომელა, რცხილა) ერქვა; ტოპონიმი ცხუმარი სვანეთსა და ქართლშიც (ლიახვის ხეობაში) დასტურდება. ასევე ქართულენოვანი ახსნა აქვს აფხაზეთის უამრავ უძველეს ტოპონიმს — მაგალითად „კრისისწყალი“ — დღევანდელი ერისწყალი. „კლისურა“ (კელასური). კოდორი (ეს ტოპონიმი კახეთშიც დასტურდება). ქართული დაბოლოებები თაა ნაწარმოები ძველი ტოპონიმები — ბედია, ილორი, მოქვი, დრანდა, წებელდა, ანაკოფია და სხვა.

აბასხები ანუ აფხაზები ქართული ტომი რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ ამ ტომმა დაუღო საფუძველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, დაშლილი საქართველოს შეკრებასა და გაერთიანებას VIII—X საუკუნეებში (ცხადია, ქართული სახელმწიფოს შექმნა არაქართულ ტომს არ შეეძლო, ისევე როგორც ვთქვით ინდოელებს ჩინური სახელმწიფოს შექმნა არ შეეძლოთ, სლავებს — გერმანიისა და ფრანგებს ინგლისის სახელმწიფოებისა), ყოველი ერი თვითვე ჰქმნის თავის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულს. აბასხები ანუ აფხაზები არაქართული ტომი რომ ყოფილიყო, ის არა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნიდა, არამედ საკუთარს.

ძველი აფხაზების ქართველობას ისიც მიუთითებს, რომ ამ ტომმა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთანავე თავისი ქვეყნის მიწა-წყალზე აკრძალა ბერძნულ-ენოვანი წირვა-ლოცვა, ღვთისმსახურება და მის ნაცვლად დააწესა ქართულენოვანი (ე.ი. მშობლიურენოვანი) ღვთისმსახურება. ცხადია, აფხაზების დედა-ენა თუკი აფხაზური იყო, მათ ბერძნულის ნაცვლად აფხაზურენოვანი წირვა-ლოცვა უნდა დაეყენებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა აზრი ექნებოდა ერთი უცხო ბერძნული ენის მეორე უცხო ქართული ენით შეცვლას, მაგრამ ქართული ენა აფხაზებისათვის იყო არა უცხო, არამედ მშობლიური ენა. სწორედ ამიტომ გაიმარჯვა ამ ენამ „აფ-

ხაზეთის სამეფოში“. აქ ქართული ენა იყო ერთადერთი ენა კულტურისა, მწერლობისა და ადმინისტრაციისა, ის ხალხის ენა იყო. ბიჭვინთაში თითქმის ათასი წელი იჯდა დასავლეთ საქართველოს ქართული ეკლესიის მეთაური აფხაზეთის კათალიკოსის ტიტულით. აქ მერვე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე მთიელი წარმართი-ჩერქეზული ტომების შემოსვლამდე მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და საგალობლები გაისმოდა. „აფხაზეთის საკათალიკოსოს — დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებას ზოგი ძველკვარი VIII საუკუნეს, ზოგი კი X ს-ის II ნახევარს მიაკუთვნებს. აფხაზეთის საკათალიკოსო განასახიერებდა ქართულ ეროვნულ და ცენტრალიზებულ ეკლესიას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს ქართული სახელმწიფო — „აფხაზეთის სამეფო“ (დასავლეთ საქართველო) წარმოადგენდა“ (ქსე ტ. 2. გვ. 31).

ისმის კითხვა, აქვთ თუ არა ძველ აფხაზებთან (ქართველურ ტომთან) გენეტიკური მემკვიდრეობითი კავშირი თანამედროვე აფხაზებს (აფსარულ-ჩერქეზულ ტომს). ამ კითხვას სხვადასხვაგვარად პასუხობენ მეცნიერები, შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ მოსაზრებათა შორის საშუალოა აზრი ცნობილი მეცნიერის დ. მუსხელიშვილისა: „... მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გვიან საუკუნეებში მთელი კავკასიის მასშტაბით, არის კავკასიის მთის მოსახლეობის მოძალება და თანდათანობით ჩამოსახლება პოლიტიკურად დასუსტებულ (ზოგან აყრილ-აოხრებულ) ბარში. ასე იყო კახეთში, ასე იყო ქართლში, ასე იყო აფხაზეთში. აწინდელი აფხაზი მოსახლეობა ზემოხსენებულ მთიელთა და აბორიგენტთა შერევის შედეგია. (გაზ. „კომუნისტი“ 5 აპრილი, 1989).

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, XVI—XVIII საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის მთიანეთში თანდათანობით ესახლება ჩრდილოკავკასიელი ტომები. ადმოსავლეთ კახეთში (თანამედროვე საინგილოში) ლეკები და დაღესტანელები ჩასახლდნენ, იმიერკავკასიიდან ქსნისა და ლიხვის ხეობებისაკენ გადაინაცვლეს აღიანურმა ტომებმა, აფხაზეთში თანდათანობით ჩასახლ-

დნენ ჩერქეზული ტომები, ინგუშური ტომების (ქისტების) მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა აღკვეთეს ხეცსურებმა და სხვა ქართველმა ტომებმა, ასევე ყაბარდოელები სვანებმა შეაკავეს.

ჩერქეზების (ანუ აფსარების) მიერ აფხაზეთის დაკავება გაგრძელდა თითქმის სამი საუკუნე (XVI—XVIII სს). სამეგრელოს სამთავრო მდგარ წინააღმდეგობას უწევდა ამ პროცესს, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დროისათვის ჩერქეზები ჩრდილო კავკასიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი იყო, მათი შეკავება შეუძლებელი გახდა. იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს გაერთიანებულმა ძალებმაც კი ვერ შეძლეს შეკავებინათ ჩერქეზების (აფსარების) აფხაზეთში ჩამოსახლება ამ საუკუნეებში. ასევე, მსგავსადვე ვერ შეძლეს ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ძალებმა დაღესტნური ტომების შეკავება და ამიტომაც მოახერხეს ლეკებმა კახეთის დიდი ნაწილის დაჭერა — თვით კახეთის სამეფოს დედაქალაქებიც კი — ძეგამი და ბახარქალაქი დაღესტნური ტომების ხელში აღმოჩნდა (დღევანდელი საინგილო).

ჩრდილოკავკასიელ ტომთა აფხაზეთში დამკვიდრების შედეგად აღვილობრივმა ქართველურმა მოსახლეობამ (ე.ი. აფხაზებმა) თანდათან ასიმილაცია განიცადა ჩერქეზებთან (აფსარებთან), მიუხედავად ამისა, ამ ახალ ეთნოჯგუფს ქართველებმა აფხაზური უწოდეს, ხოლო თვით ეს ხალხი კი თავის თავს არასოდეს არ უწოდებდა აფხაზებს, არამედ აფსუებს ანდა ჩერქეზებს. ამჟამადაც კი ჩერქეზებად მიიჩნევენ თავიანთ თავს აფხაზეთიდან XIX ს-ში გადასახლებული „აფხაზები“.

1866 წლის აჯანყების შემდეგ თურქეთსა და სირიაში გადასახლებული იქნა იმ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ აფხაზებს, აღსანიშნავია, რომ ისინი და მათი შთამომავლები თავიანთ თავს არ უწოდებდნენ არც აფხაზებს და არც აფსარებს, არამედ ჩერქეზებს. ისინი არც არასდროს მიიჩნევენ თავიანთ თავს აფხაზებად.

ერთ პერიოდში როგორც ჩერქეზეთი, ისე აფხაზეთი თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა შავი და აზოვის ზღვისპირეთთან ერთად. თურქებს აქ თავიანთი

წარმომადგენლები, სამხედრო ნაწილები, ნავსადგურები და ქალაქები ჰქონდათ, სწორედ თურქებმა შეუწყეს ხელი ჩერქეზების აფხაზეთში ჩამოსახლებას. თურქები აფხაზეთის იმ მოსახლეობას, რომელსაც ჩვენ ამჟამად აფხაზებს ვუწოდებთ — ჩერქეზებს უწოდებდნენ, ამიტომაც თურქეთში იქნა გადასახლებული 1866 წ. აფხაზეთიდან თურქების მოტრფივალე ანტირუსულად განწყობილი მემბოხენი.

თურქეთის ოფიციალური სტატისტიკით ისინი აღირიცხნენ არა აფხაზებად, არამედ ჩერქეზებად. მოსკოვში ეთნოდემოგრაფიული ცნობარი „ნასელენია მირა“ საერთოდ არ ასახელებს თურქეთში ამჟამად მცხოვრებ აფხაზურ-ადიღეურ ხალხთა შორის აფხაზებს, სამაგიეროდ ასახელებს ჩერქეზებსა და აბაზებს. თურქეთში ცხოვრობს 150 000 ჩერქეზი და 10 000 აბაზი („აბაზინი“), (ს.ბრუკ. „ნასელენიე მირა“. მ. 1981, გვ. 526). ცნობილია, რომ ამ 150000 ჩერქეზიდან 100 000 აფხაზეთიდან გადასახლებულთა შთამომავალნი არიან. მხოლოდ ქართველები უწოდებენ აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულთ აფხაზებს. თურქეთში მცხოვრებ ამ აფხაზების რიცხვს ქართული ენციკლოპედია 100 000-ით საზღვრავს (ქ.ს.ე.ტ.2. სტატის. — აფხაზები“), მაშინ როცა მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სტატისტიკით (მათ შორის მოსკოვში დაბეჭდილი „ნასელენიე მირა“) აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებული მოსახლეობა აფხაზებად არ აღირიცხება. ყველგან მათ ნამდვილი სატომო სახელი ჩერქეზები ეწოდებათ. მსგავსად თურქეთისა, სირიაში აფხაზეთიდან გადასახლებულ მოსახლეობას ჩერქეზები ეწოდებათ. იქ 35000 ჩერქეზი ცხოვრობს. საერთოდ მრავალი გაუგებრობისა და უხერხულობის წყაროა ის, რომ ქართველები აფხაზეთში დამკვიდრებულ მოსახლეობას თავიანთ ეთნოსახელს აფსუებს, აფსარებს ანდა ჩერქეზებს არ უწოდებენ. ამ საკითხს კი სიცხადით აღრიცხავს აზიისა და მსოფლიო სხვა ქვეყნების ეთნოსტატისტიკა.

ძველქართულად სიტყვა „აფხაზი“ წარმოდგენდა მაჩვენებელს მოსახლეობის კუთვნილებისა განსაზღვრულ ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქისადმი (ე.ი. აფხაზეთისადმი) და ისეთივე მნიშვნელობით გამოიყე-

ბოლა როგორც კახელი, ქართლელი, იმერელი, მესხი და სხვ. ამიტომ ქართველებმა ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქში — აფხაზეთში დამკვიდრებულ ჩერქეზებს (აფხარებს) „აფხაზები“ უწოდეს. როგორც აღინიშნა, დღევანდელი აფხაზებიც თავიანთ თავს უწოდებენ არა „აფხაზებს“, არამედ „აფსუებს“, რასაც შეესიტყვება ქართული „აფსარი“. თანამედროვე „აფხაზებს“ (ანუ ჩერქეზ-აფსარებს) არაფერი არა აქვთ საერთო ძველ-ქართულ ტომ აფხაზებთან.

ძველქართული ტომის აფხაზების ეთნოსაზღვარი ისტორიულად ანაკოფიასთან გადიოდა (ახლა გუდაუთის რაიონში მდებარეობს ისტორიული ანაკოფია). თვით ლეონ-აფხაზთა მეფის დროსაც კი, VIII საუკუნეში, აფხაზეთის საერისთაოში არ შედიოდა ცხუმი და ბეღია, მათ თავიანთი ერისთავები ჰყავდათ. „ბოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ვერისი, არამედ აფხაზეთი განყო ესე ვერისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი... 2. დასვა ცხომს და მისცა ვერის-იქითი ანაკოფია ალანითურთ 3. დასვა ბეღიას და მისცა ვერისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე...“ (ქ.ტ.4. გვ.796). ვახუშტის დროსაც ე.ი. XVIII საუკუნეში საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის კლისურასთან გადიოდა. „ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლეჰან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმ. არს. ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასიის თხემიდან ზღვაამდევე, და მეორე — ვერისის წყლიდამ ანაკოფიამდე“ (იქვე, გვ. 782). აქედან ჩანს, რომ ოდიში ვიწრო მნიშვნელობით ეწოდებოდა ტერიტორიას ვერისწყლიდან ანაკოფიამდე, ე.ი. დღევანდელი ერისწყლიდან ახალ ათონამდე (თანამედროვე აფხაზეთის დიდი ნაწილი ისტორიული ოდიშია). ფართო მნიშვნელობით კი ოდიში ეწოდებოდა ტერიტორიას ანაკოფიიდან ცხენისწყლამდე.

აფხაზეთი, როგორც ვთქვით, ანაკოფიის დასავლეთით მოქცეულ ტერიტორიას ერქვა — „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ვერისი, რამეთუ ვინათგან წილი ვერისისა არს ზღვაამდე, მის გამო ეწოდა ვერივე“ (იქვე, გვ. 784). მა-

შასადაძე, ანაკოფიისა და დასავლეთით მოქცეულ ტერიტორიას აფხაზეთი კი ეწოდება, მაგრამ ის ვეროსის წილია — ვერისი ანუ ვერია. რას ნიშნავს ეს? „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლოსი, კახოსი, ვეროსი (და ასე შემდეგ) ეწოდებოდათ ქართველური ტომების ეთნარქებს. „ქართლის ცხოვრება“ მათ იმ ტერიტორიებს უსაზღვრავდა, რომელზეც შესაბამისი ტომები იყვნენ დასახლებულნი. მაშასადამე, ვეროსს მიკუთვნებული აქვს ის ტერიტორია, სადაც მეგრელების ტომი იყო დასახლებული; და რადგანაც ვეროსს აღნიშნული წყაროს თანახმად, მიკუთვნებული აქვს ტერიტორია ანაკოფიის დასავლეთითაც ისტორიულად ეს მიწა-წყალიც ქართველთა (მეგრელთა) სამკვიდრებლად მიიჩნევა, ანუ „ქართლის ცხოვრება“ მიიჩნევს, რომ ისტორიულად აფხაზთა ტომი ქართველური ტომია — ის ვეროსის შთამომავალია, ვეროსი მათი ეთნარქია.

როგორც ჩანს, ჩერქეზ-აფსარების თავიანთ მამულეში ჩასახლებას თვით თავად-აზნაურები უწყობდნენ ხელს. ცნობილია, რომ XVI—XVIII საუკუნეებში შინაური აშლილობის დროს ქართული სამეფოები, სამთავროები და სათავადოები აქტიურად იყენებდნენ უცხოელთა დაქირავებულ რაზმებს. მრავალ მაგალითთა შორის ერთ-ერთია თავად ჩხეიძისა, რომელმაც ოსმალთა ძალით ქართველებს ქუთაისის ციხე წაართვა და შემდეგ კი ოსმალებს გადასცა. „მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთაისისა და შეაყენა ოსმალნი 1666 წელს (იქვე, გვ. 838). სამეგრელოს მთავარი მთიელ ტომთა ძალახ იყენებდა (ლევან I დადიანი): „ემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სვანთა... მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა. იქმნა ბრძოლა ძლიერი. იძლია მეფე გიორგი“ (გვ. 826. იმერეთის მეფე, 1621 წ.). ჩერქეზების ჩამოსახლებას არ შეეძლო მთლიანად შეეცვალა სახე აფხაზეთის ეთნიკისათვის, აქ მრავლად დარჩნენ ადგილობრივი ქართველები, თუმცა მრავალი ჩერქეზული ელემენტი შეითვისეს. ქართული სახე შერჩა აფხაზეთის თავად-აზნაურთა ძირითად ნაწილსა, პირველ რიგში ეს იყო მათი ქრისტიანობა, ქართული გვარები, ქართული ენის

ცოდნა და, რაც მთავარია, თავიანთი თავის მიკუთვნება ქართული კულტურისა და ეთნოსისადმი, ამის დამამტკიცებელი მაგალითის მოტანამდე, უნდა ითქვას, რომ მართალია ჩერქეზ-აფსარებს უჭირდათ თავიანთი თავადების გრძელი ქართული გვარების წარმოქმნა და თავიანთი ენის ბუნების შესაბამისად მათ ამოკლებდნენ, მაგრამ თავად-აზნაურებმა ბოლომდე შემოინახეს თავიანთი ქართული გვარები: შარვაშიძე (აფსარულად შემოკლებული — ჩაჩბა), მარშანია, ანჩაბაძე (ანბა), ეშუხვარი (ეშხაა), ჩხოტუა, მარდანი და სხვა თავადობის ინსტიტუტის ქართველობას აფხაზეთში ადასტურებს ისიც, რომ აფხაზურად (აფსარულად) თავადს — ათაულ-ქართული სიტყვა ჰქვიოდა.

არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ აფხაზეთის წარჩინებულებსაც დიდხანს შეუნარჩუნებიათ ქართული ენის ცოდნა. ვახუშტი წერდა თავისი დროის აფხაზების შესახებ: „ენა საკუთარი თვისი აქვსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ქ.ც.ტ.4, გვ. 786).

როგორც ჩანს, აფხაზეთის თავად-აზნაურობა სულ ბოლო დრომდე (ე.ი. რევოლუციის მიერ მათ განადგურებამდე) თავიანთ თავს ქართველებად მიიჩნევდნენ. ასეთი იყო მაგალითად აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე — გიორგი შერვაშიძე. არ შეიძლება ის მივიჩნიოთ გამოწვევისად, რადგანაც ის იყო მთავრის ძე და იცოდა, თუ რა საპასუხისმგებლო იყო მისი ყოველი გამოსვლა, სიტყვა თუ საქმე. ფაქტიურად ის გამოხატავდა თავის სამთავრო ოჯახში დაცულ საუკუნოვან ტრადიციებს ჯა აგრეთვე აფხაზეთის წარჩინებულთა იდეებსაც. გიორგი შერვაშიძე საქართველოს „ჩვენს სამშობლოს“ უწოდებს (ს.ჯანაშია, ტ. VI. 1988, გვ. 18), ქართულ ენას უწოდებს „სამშობლო ენას“ (იქვე, გვ. 20), „ჩვენს ენას“ (გვ. 21), „ქართულ მუსიკალურ ენას“ (გვ. 19), ქართულ კულტურას უწოდებს „ჩვენს კულტურას“ (გვ. 18). ის ზრუნავს „ივერთა დაკუწული ხალხის“ ერთობისათვის, „უუღმართად დატრიალებული ერის არსება“ მისი ზრუნვის საგანია. „...კვამათება იმით, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიის იდეას, „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა“. ეს

შეგნება არის გიორგის მოქალაქეობრივი პიროვნების საძირკველი“ (იქვე, გვ. 19).

მსგავსი იდეები გააჩნდათ აფხაზეთის წარჩინებულებსაც. სწორედ ამიტომ იცოდნენ მათ ქართული ენა, ჰქონდათ ქართული გვარები, უფრო მეტიც, მათ არა თუ იცოდნენ ქართული ენა, არამედ სწორედ ქართული ენა იყო მათი მშობლიური ენა, დედა ენა. ისინი დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ქართულ ენას. თვით ჩვენ საუკუნეშიაც კი აფხაზი თავადაზნაურების ოჯახებში ბავშვი დედას ქართულად მიმართავდა. „რუსი მკვლევარი სელენსკი, რომელიც 1841 წ. იყო აფხაზეთში, წერს, რომ ამ წრის წარმომადგენელმა ბევრმა იცის ქართული და ოსმალური წერა-კითხვა.

აფხაზეთი აფსარ-ჩერქეზული ტომების შემოსვლის შემდგომ XVI—XVIII საუკუნეებში კულტურული თვალსაზრისით დაშორდა ქართულ კულტურას, გაუქმდა ქართული კულტურის მძლავრი კერების — ბიჭვინთის საკათალიკოსო, დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, მრავალი სხვა ქართული კვლესია-მონასტრები, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთისა მოექცა აფსარულ-ჩერქეზული ენობრივი დაფენების ქვეშ. ამ დროსაც კი ქართული ენის ცოდნა შეინარჩუნეს არა მარტო აფხაზეთის თავადაზნაურულ ოჯახებში, არამედ თვით აფხაზეთის (ე.ი. ქართველური ტომის) დაბალ ფენებშიც. ამის მაგალითი სულხან-საბა ორბელიანმა აღწერა. მან 1714 წ. კუნძულ მალტაზე (ხმელთაშუა ზღვაში) საქართველოდან დიდი ხნის წინათ გატაცებულ სხვა ტყვეთა შორის აფხაზიც ნახა და გაკვირვებით აღნიშნა: „აფხაზმა რატომ იცოდა ის გამიკვირდა ქართული“ (იქვე, გვ. 27). ს.ჯანაშია წერს: „ქართული ენის ცოდნა, სჩანს საერთოდ გავრცელებული ყოფილა აფხაზეთში...“ (იქვე, გვ. 27).

მაღე ქართული ენის ადგილი აფხაზეთში ძირითადად ჩერქეზულ-ადიღეურმა (აფსარულმა) ენამ და მისმა დიალექტებმა დაიჭირეს, მაგრამ ამ დროსაც ქართულ ენას კვლავ თავისი ღირსეული ადგილი უჭირა. „თვით XIX ს-ში, როგორც ეს ქვემოთ უფრო დავფრილებით იქნება წარმოდგენილი, აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობს, რუსული ოფიციალური ცნობებითაც,



უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს (იქვე, გვ. 26). „...ამ პერიოდშიც ქართული ენა კულტურის მთავარი ენაა, როგორც სამთავროსათვის, ისე თვით მიხეილისთვის. ამას მოწმობს, მაგალითად, საკმაო რაოდენობით მოღწეული ქართული მემორიალური წარწერები... ოფიციალური მიწერ-მოწერა რუსული ხელისუფლების ორგანოებთან და მის წარმომადგენლებთან ქართულად წარმოებს... ყურადღებას იქცევს ის, რომ მთავრის სამდივანში მწიგნობროს მიერ დამზადებული ქართული დოკუმენტები მართლწერის გარკვეულ სისტემას მისდევენ...“ (იქვე, გვ. 33). „მთავრის ოჯახის წევრების მიწერ-მოწერის ენაც

ქართულია“ (გვ. 34). ასე იყო არა მარტო XIX საუკუნეში, არამედ ყოველთვის. „მაგალითად, ყვაბუ შარვაშიძისა და მისი ძმის ქერქემის დოკუმენტი XVII ს. მეორე ნახევრისა... სოლომონ, არზაყან, საუსტან შარვაშიძეების მინაწერები ბიჭვინტის ერთ ხელნაწერზე და სხვა. აგრეთვე ლუხუნის (ლიხინის) წარწერა მხედრული ვერცხლის ფეშხუმზე, რომელიც იხსენიებს სოლომონ შარვაშიძეს და მის შვილს არზაყანს“ (იქვე, გვ. 26, შენიშვნა). აქედან ჩანს, რომ მართალია აფხაზეთის ქართველ თავად-აზნაურთა მამულებში მათივე ნებით ჩასახლდნენ ჩერქეზ-აფხაზი მოახალშენენი, რომელთაც იყენებდნენ როგორც მეომრებს, მაგრამ ამით თავად-აზნაურებს არ დაუკარგავთ ეროვნულ-

ქართული თვითშეგნება და არ გაუწვევტიათ კულტურული კავშირი ქართველობასთან. თუმცა რევოლუციის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეებში ქართული საზოგადოებრიობა აფხაზებს ეროვნებით ქართველებად მიიჩნევდა. ანტონ კათალიკოსი ვახუშტიზე წერდა: „ამან დაწერა ქართველს ისტორია — კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სვან, კავკასთა აღწერა...“ (გვ. 55).

ვითარება იცვლება XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში. ამ დროს აფხაზეთში ყალიბდება ახალი ერთიანი ეთნიკური ერთობა-აფხაზი ხალხი. ახლა უკვე ეს ხალხი არის არა ქართველური ტომი, არამედ ჩერქეზ-აფსარული ტომი, რადგანაც მისი საფუძველი გახდა აქ XVI—XVIII საუკუნეში ჩასახლებული ჩერქეზ-აფსარები და გააფსარებული ადგილობრივი ქართულ-ქართველური მოსახლეობა (როგორც თავად-აზნაურობა, ისე დაბალი ფენები).

არსებობს მოსაზრება, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან სახლობდნენ ჩერქეზულ-აფსარული ტომები. არსებობს თუ არა ამის დამამტკიცებელი წყაროები, ან მატერიალური ძეგლები? ძველავტორთა მიერ მოხსენიებული აფსილები, აბაზგები და სანიგები ჩერქეზული ტომები იყვნენ თუ ქართველური?

ამჟამად ოფიციალური წრეების მიერ მიღებულია თვალსაზრისი, რომ აფსილები იყვნენ აფხაზური (გულისხმობენ ჩერქეზულს) ტომი. გააჩნდათ მხოლოდ ერთადერთი მამტიციტებელი საბუთი, ეს არის ის, რომ სახელწოდება „აფსილ“ და თანამედროვე აფხაზების თვითსახელწოდება „აფსუა“ თითქმის იდენტურია. „აფსილისა“ და „აფსუა“ სახელების გარეგნული მსგავსების გარდა არავითარი სხვა საბუთი არ არსებობს ამ ტომების იდენტურობისა. ამის საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი აბსოლუტურად სხვადასხვა წარმოშობის ერს და ტომს მსგავსი სახელები ჰქონდათ. მაგალითად „პრუსები“ და „რუსები“ და ა.შ.

სახელების მსგავსება დამამტკიცებელი საბუთი არ არის. არიანე, რომელიც მოგვითხრობს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ლაზების, აფსილების, აბაზგების შესახებ, აფსილებს მოიხსენიებს ლაზებთან კავშირში,

ლაზების დაქვემდებარების ქვეშ და, რაც ძთავარია, ის არ წერს, რომ აფსილებს საკუთარი ენა აქვთო, მაშინ როცა ლაპარაკობს ენების შესახებ, ის მიიჩნევდა, რომ აფსილების ენა არის ლაზური. მნიშვნელოვან მამტიციტებელ საბუთად მიაჩნიათ ის, რომ დასავლეთ საქართველოს მრავალი ტოპონიმის ფუძეში გვხვდება თანხმოვნები „ფს“, „ფშ“. აღსანიშნავია, რომ ჩერქეზულ ენას მართლაც ახასიათებს ამ თანხმოვნების სიჭარბე, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ თვით ჩერქეზული ენა არის არა განყენებული ენა, არამედ შედის იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახში და „ფს“, „ფშ“ თანხმოვნები ქართველური

ენებისათვისაც არის დამახასიათებელი, უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ ფუძექართულ ენაში (ე.ი. ქართულ-ლაზურ-სვანურ ენობრივი ერთობის დროს) „თანხმოვან“ „ფშ“, „ფს“-თი, აღინიშნებოდა ყოველი გამდინარე წყალი, ჭაობი, ამ ადგილების ღმერთები და სულები. ახლაც კი პატარა მდინარეს „ფშა“ ჰქვია გუბე („გურ.დიალ) „ფსორი“, „ფსლ“ აღნიშნავს დისიმილაციას პროდუქტთან დაკავშირებულს და ა.შ. „აფსათი“ სვანურ მითოლოგიაში ნადირთა და ფრინველთა ღვთაებაა. „ფსიტის ციხე“ კახეთში მდინარის ნაპირზე მდგარ ერთ ციხეს ჰქვია. „ფშატი“ მცენარის სახელია და ა.შ. ბერძნული მითის გმირის მედეას ძმას — აფსირტე ჰქვია, „აფსირტე“ დრმა სულიერ კავშირს ამყარებს სვანურ ღვთაება „აფსართთან“, ხოლო ჩერქეზულ თანხმოვნებთან „ფს“, „ფშა“-სთან მხოლოდ გარეგნული მსგავსება აქვს და ა.შ. ქართულ ეთნოგრაფიულ „ფშავლების“ დაკავშირება შეიძლება „აფსილებთან“.

ასე, რომ დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნემდე ჩერქეზული ტომების ცხოვრების არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს.

ცნობილია, რომ VIII საუკუნემდე აბაზგიაში ბერძნული ეკლესია ახორციელებდა თავის იურისდიქციას და აქ ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა იყო, თუკი ეს მხარეები მართლაც ჩერქეზ-აფსარებით იყო დასახლებული, მათ ენაში ჭარბად უნდა დამკვიდრებულიყო ბერძნული ქრისტიანული ტერმინოლოგია, როგორც ვთქვათ მეგრულში დამკვიდრდა, მაგრამ არავითარი მსგავსი მოვლენა თანამედროვე აფხაზურში არ აღინიშნება.

ა.ბაქრაძე წერს: „გორნოვი, თუ იგი ჭეშმარიტი მეცნიერია, მოვალეა საბუთების მოშველიებით ლოგიკურად აუხსნას მკითხველს როგორ მოხდა, რომ ხალხმა, რომელმაც მე-ნ საუკუნეში ბიჭვინთა ააშენა, მე-10-11 საუკუნეებში მოქვი, ბეღია და ა.შ. პირველი წიგნი მშობლიურ ენაზე მხოლოდ XX ს. დასაწყისში დაწერა? ბ. როგორ მოხდა, რომ ბიჭვინთის კათედრალის შემქმნელს მშობლიურ ენაში არ მოეპოვება მღვდლის შესატყვისი და ან ქართულ „მამას“ (მამა-დან) ხმარობს ან — ა — „ა-პაპს“ ბერძნულიდან მეგრულ მეტყველებაში დარჩენილი „პაპ“-იდან? საერთო გავრცელებული ბერძნული წარმომავლობის ეპისკოპოსის მაგიერ მეგრულ „ჭყონდარს“ (ჭყონდიდელიდან) იყენებს, საკმეველს ეძახის „ა-საკუმალს“, ბერს, მონაზონს — „ა-ბერს“, ხარს „ა-სარკიალს“ (სარკელიდან), ჯვარს — „ა-ჯარს“) და ა.შ. ძველმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ „აფხაზი“ ქართული ტომის სახელი იყო, ხოლო მის მეზობელ ჩერქეზულ ტომს „აფსარები“ ერქვათ. აღსანიშნავია, რომ ჩერქეზული ტომების თვით სახელწოდებები ძალზე წაბავდნენ ქართველური ტომის „აფხაზის“ სახელს, მაგალითად, — „აბძახ“, „აბაზახა“, ერქვათ ჩერქეზული ტომის ერთ ჯგუფს (აბძახებს ანუ აბძახებს“ ს.ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 227), უთუოდ სახელების ამ მსგავსებით იყო გამოწვეული ის, რომ აფხაზეთში დასახლებულ ჩერქეზულ ტომებსაც ქართველებმა აფხაზები უწოდეს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათ ერთმანეთისაგან კარგად არჩევდნენ... მემბტიანეს დასჭირდა ეხმარა ეთნიკური ტერმინი, რომელიც საკუთ-

რიც „აფხაზურ“ (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით) ე.ი. ჩერქეზულ-ადიღურ ტომს აღნიშნავს: მას დასჭირდა აფხსნა, რას ნიშნავს თამარის ვაჟის გიორგის ზედსახელი „ლაშა“. ...ავტორი წერს, რომ ეს სახელი — ...განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა... „მან არ დაწერა „აფხაზთა ენითა“, რადგან მაშინდელი ქართველი მკითხველისათვის ეთნონიმი „აფხაზი“ არსებითად მაინც უფრო ქართველს ნიშნავდა და გაუგებარი იქნებოდა რა ენაზე ნიშნავს სიტყვა „ლაშა“ — „განმანათლებელს სოფლისა“, (ნ. ლომოური, „როგორ უნდა გვესმოდეს ეთნონიმი აფხაზი“, გაზ. „ლიტ. საქ.“). მაშასადამე „აფხაზი“ სხვაა, „აფსარი“ სხვა. აფხაზი — ქართველის სინონიმია, აფსარი კი ჩერქეზადიღა. სწორედ ამის გამო უწოდებდნენ ჩვენი მეზობელი ხალხები თავისი დროის ცნობილ ქართველ მეფეებსა და მოღვაწეებს „აფხაზს“, ცხადია გიორგი მთაწმინდელის „აფხაზობა“ არ ნიშნავს მის „აფსარობას“, გიორგი ქართველია, ქართველს კი მის საუკუნეში — „აფხაზსაც“ უწოდებდნენ და ა.შ. აფსარები (ჩერქეზები) თამარის დროს ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ ოსების მეზობლად, ამიტომ, როცა ოსთა მეფეს დაეით სოსლანს ვაჟი გაუნდა — გიორგი თამარის ძე, სამეფო კარმა ჩანს გადაწყვიტა ოსთა მეზობლად მცხოვრები ჩრდილო კავკასიის უდიდესი ხალხი აფსარები დაემოყვრებინათ და მეფის ძის მამამძუძე აფსარ წარჩინებულთა შორის გამოერჩიათ. ჩანს მამამძუძემ უწოდა კიდევ სახელი ლაშა თამარის ვაჟს. ქართველთა და ჩერქეზ-აფსართა შორის ამით საუკუნოვანი სიყვარულის ხილი გაიღო.



საღვთისმეტყველო განათლება პატრისტულ და ბიზანტიურ ეპოქებში და მისი გაკვეთილები ჩვენი დროსათვის

ახალი აღთქმის ტექსტები შეიცავენ პირველ და ყველაზე ავტორიტეტულ ნიმუშებს ქრისტიანული შემეცნების ბუნებისა და მიზნების შესახებ. თავისი მიწიერი მოღვაწეობის დროს უფალი ღმერთი იესო ქრისტე მოქმედებდა როგორც „რაბი“, ანუ მოძღვარი და მის მიმდევრებს უწოდებდნენ „მოწაფეებს“ არა მარტო მისი მიწიერი ცხოვრების დროს, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთში სახარების გადმოცემის პირველ პერიოდშიც. არსებობს მრავალი მაგალითი ტერმინ „მოწაფის“ გამოყენებისა, როგორც სინონიმისა ტერმინისა „ქრისტიანი“ („და მოვიდეს ჩუენთანა მოწაფენი კესარიაჲთაცა, მოვიყვანეთ იგიცა, რომლისა თანა ვიყვენით მნასონ კვიპრელი, პირველი მოწაფე“. საქმე 21,16; აგრეთვე მრავალი მაგალითი საქმე 9 და 10). ადრეული ქრისტიანული თემი განიხილავდა თავის თავს, როგორც სკოლას, სადაც ის იღებდა სწავლებას ერთიანი მოძღვრისაგან. მაგრამ იესოს მოძღვრება განსხვავდებოდა მწიგნობრების მოძღვრებისაგან, რადგანაც მას ჰქონდა ავტორიტეტი (მათე 7,29). რასაც განაპირობებდა მისი მოღვაწეობის მიზანი და ის ფაქტი, რომ იგი იყო მოძღვარი. იესო ქრისტე არ იყო უბრალოდ დამაბარებელი ახალი ფილოსოფიური ან ზნეობრივი მიმართულებისა; ის იყო ძე ღვთისა, რომელმაც მიიღო ადამიანური სახეობა, რათა დაებრუნებინა ის საუკუნო ცხოვრებისათვის ღმერთში, რომელსაც ჩამოშორდა ადამიანთა მოღვაწეობის ცოდვის გამო. სწორედ ამიტომ იესოს მოწაფენი მოწოდებულნი იყვნენ არა მარტო დაემახსოვრებინათ ან შეეცნოთ მისი სწავლება, არამედ იმისთვისაც, რათა გამხდარიყვნენ მოწმენი მის მიერ შესრულებულ ყოვლადძლიერ საქმეთა: მისი სიკვდილისა, მისი აღდგომისა, მისი ზეცად ამაღლებისა. მისი ქმედებანი ბევრად უფრო გადაჭყვები იყო, ვიდრე ნებისმიერი მისი ცალკეული სწავლება, სწო-

რედ ამიტომ თვით ქრისტეს მიერ განსაზღვრული ფუნქციები მისი მოციქულებისა „რამეთუ თქვენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა“ (ლუკა. 24,48) აღმატება უბრალოდ ღირსებას იესოს „მოწაფისა“.

მართლაც, სამოციქულო სწავლება, რაზედაც დაფუძნებულია კელესია, დაკავშირებულია იმასთან, რაც მოახდინა იესომ და რაც ნახეს მოწაფეებმა: „რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და კელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა“ (1 იოანე 1,1). მოციქულები იყვნენ გამორჩეულნი, რათი გამხდარიყვნენ მოწმენი ისტორიული მოვლენებისა და, უპირველესად ყოვლისა, ცარიელი აკლდამისა და აღდგომისა. ეს მოვლენები არიან მაცხოვრებელი, და ჩვენ, იესოს შემდგომი ასწლეულების მიმდევრებმა, ვიცით მათ შესახებ მოციქულების მოწმობიდან. მართლაც, იესო ქრისტეს არაფერი დაუწერია, მის დროს არ არსებობდა ჩვენთვის კარგად ცნობილი ადამიანის ხმის ფიქსაციის ტექნოლოგია; იესოს, მისი საქმეების, მისი მოძღვრების შესახებ ჩვენ ვიცით მოწაფეთა წყალობით, რომლებიც მან გამოიჩინა, ე.ი. ადამიანური შუამავლობის წყალობით, დამტკიცებული სულიწმიდის გარდამოსვლით, რომელიც „გარდააქცევს მეთევზეებს ღვთისმეტყველებად“ (სტიქირა). ჩვენ აგრეთვე ვხედებით „მოწაფენი“ წმიდა კელესიის მეშვეობით, რომელიც თვით იესოს მიერ არის დაწესებული, როცა მან მოუწოდა თვის მოწაფეებს და სული წმიდის ძალით, რომელიც აგრძელებს თავის ყოფიერებას კაცობრიობის ისტორიაში.

ეს წინასწარი შენიშვნები ქრისტიანთა პირველ თაობაზე აუცილებელია ჩვენთვის, რათა გავიგოთ, თუ რეალურად რას ნიშნავს და რა მიზნებს ისახავს საღვთისმეტყველო სწავლება. როგორც მოციქულების მაგალი-

თებიდან ჩანს, მასწავლებლობა ვარაუდობს არა მარტო ინფორმაციის მიწოდებას ქრისტესთან დაკავშირებულ სწავლებასა და მოვლენებზე, არამედ მათ განმარტებას ისე, რომ მისაწვდომი იყოს აღქმისათვის სხვადასხვა საზოგადოებებსა და კულტურებში. წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „ვიქმენ ჰურიანთა თანა ვითარცა ჰურიანა, რაათა ჰურიანი შევიძინენ, სჯულსა ქვეშე მყოფთა თანა, ვითარცა სჯულსა ქვეშე მყოფი, რაათა სჯულსა ქვეშე მყოფი შევიძინენ; უსჯულოთა თანა, ვითარცა უსჯულო, არა უსჯულო ვიყავ ღმრთისა, არამედ სჯულიერი ქრისტესი, რაათა უსჯულონი შევიძინენ; ვიქმენ უძღურთა ვითარცა უძღური, რაათა უძღური იგი შევიძინენ; ყოველთა ვიქმენ ყოვლად, რაათა ყოველნი ვაცხოვნენ“. (1 კორინთელთა. 9,20,21,22).

ასე რომ, თვით პირველწყაროები ქრისტიანული სარწმუნოებისა გარდააქცევენ ყველა ქრისტიანს „მოწაფედ“ ერთი მოძღვრისა, მაგრამ ეს მიზნად ისახავს, რომ ისინი, და პირველ ყოვლისა — რომელნიც ფლობენ განსაკუთრებულ ქარიზმას მასწავლებლობისა, — გამხდარიყვნენ სხვების მასწავლებლნი. თვით ეკლესიის ბუნებას გააჩნია გარკვეული მსგავსება სკოლის ბუნებასთან. სული წმიდით ქრისტე ასწავლის და ამავ დროს გადასცემს ძალას სწავლებისას. ის ნიშნავს მოციქულებს, წინასწარმეტყველებსა და მოძღვრებს (1 კორინთელთა. 13,28), რომელთაც ავალებს გადმოსცენ არა თავისი საკუთარი იდეები ან საკუთარი სიბრძნე, არამედ „სამოციქულო“ ტეშმარიტება ქრისტეს აღდგომის შესახებ, ისეთი ფორმებითა და საშუალებებით, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ ქრისტეს სხეულის აღშენებას.

1. მოციქულთა შეგდგომი კვლევა

ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაზე პირველ და მეორე ასწლეულებში, მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებლობა ასრულებდა ძირითად როლს ყოველი ადგილობრივი თემის ცხოვრებაში და განისაზღვრებდა ეკლესიის საიდუმლოებრივი ან ექპარისტული გაგებით. ნათლისღების კანდიდატებს ან კათაკმეველებს უნდა გა-

ველოთ მოშადება, რათა გამხდარიყვნენ ქრისტიანული თემის წევრი, ეს წარმოადგენდა მასწავლებლობის პირველ არსებით სტადიას. მოციქულები, ანუ ქრისტეს პირველი მოწმენი უკვე გარდაცვლილნი იყვნენ, მაგრამ თემი შედგებოდა „მოწაფეებისაგან“, რომელთაც სწავლება ესაჭიროებოდათ. მასწავლებლობა ხორციელდებოდა ექპარისტის შესრულების დროს იმით, რასაც თემის საკრებულოში ეკავა თვით უფლის ადგილი: მასწავლებლობა მდგომარეობდა წმიდა წერილის კითხვაში და მის პომილეტიურ კომენტარებაში, რომელთაც ასრულებდა „წინამძღვარი“ (proistamenos), ან ექპარისტის შემსრულებელი, რომელსაც ყველგან უწოდებდნენ „ეპისკოპოსს“, სულიწმიდის გარდამოსვლა გრძელდებოდა ეკლესიაში: ტეშმარიტების სული მოწოდებული იყო და სუფევდა, როგორც „ნუგეშისმცემელი“ და ასწავლიდა მოწაფეებს ყველაფერს (იოანე 14,26).

ადრეულ ეკლესიაში, როგორც ჩანს, კათაკმეველთა დარიგებას (აგრეთვე ყველა გარეშე პირთათვის ქრისტიანული სარწმუნოების გაცნობას) ახდენდნენ არა ეპისკოპოსები, არამედ განსაკუთრებული „მასწავლებლები“, ანუ didaskalos, რომლებიც ფლობდნენ ქარიზმას და ასრულებდნენ როლს, მსგავსს თანამედროვე პროფესიონალი ღვთისმეტყველის როლისა. ქადაგება, მიმართული ექპარისტული თემისადმი ლიტურგიის დროს, შედიოდა ეპისკოპოსის ფუნქციებში, მაშინ როდესაც მასწავლებლები მიმართავდნენ იმათ, ვინც არ იყო თემის წევრი. ხშირად ვარაუდობენ, რომ ისეთი თხზულებანი, როგორებიცაა „ბარნაბას ეპისტოლენი“ და „ეპისტოლენი დიოგენეტისადმი“ შედგენილი იყო „მასწავლებელთა“ მიერ. მართლაც, თავისი შინაარსითა და სტილით მეორე ასწლეულის ეს დოკუმენტები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ისეთი „შინაგანი“ დოკუმენტებისაგან, როგორიც არის წმიდა კნატე ანტიოქიელის ეპისტოლენი. „ეპისტოლენი დიოგენეტისადმი“-ს ავტორი (რომელიც შეიძლება იყო ალექსანდრიაში კატეხიზისური სკოლის დამაარსებელი, Pantainos) თავის თავს უწოდებს „წარმართების მასწავლებელს“ (თავი II).

ეს განსაკუთრებული სამასწავლებლო ფუნქციები, რომლებიც ჰქონდათ didaskaloi-

ებს, განსხვავდებოდა იმ სახეიმო ქადაგებუბისაგან, რომლებითაც ეპისკოპოსი მიმართავდა ევქარისტულ თემს. წმიდა იუსტინე წამებული წერდა, რომ „იმ დღეს, რომელსაც უწოდებენ შხისას, ეწეობა ყველას კრება... და როგორც დრო იძლევა საშუალებას, იკითხება მოციქულთა მოგონებანი, წინამძღვარი (Proistamenos) გვარიგებს ჩვენ და მოგვიწოდებს მივბაძოთ ამ ბრწყინვალე მაგალითებს (აპოლოგია 1,67).

ასე რომ, მასწავლებლობა განუყოფელია ევქარისტის შესრულებისაგან: ყოველი ეკლესია ყველა სხვა ეკლესიებთან ურთიერთობისას ინარჩუნებდა სამოციქულო რწმენას და ეს რწმენა ეპისკოპოსობა ეპისკოპოსის მიერ მთელი ეკლესიის ევქარისტული შეკრების დროს. ეპისკოპოსს მინიჭებული ჰქონდა „ტეშმარიტების გარეული ქარიზმა“ (წმიდა ირინეოსი, ერესების საწინააღმდეგოდ, IV, 26, 2), მაგრამ ეს იყო არა უცოდველობის პირადი პრივილეგია, არამედ ფუნქცია, რომელიც სრულდებოდა ეკლესიაში და ეკლესიისათვის, რადგან მხოლოდ ეკლესია, როგორც მთლიანი, ითვლებოდა სამოციქულო რწმენის დამცველად. წმიდა ირინეოსი წერს: „მოციქულებმა ეპისკოპოსებს დააბალეს ეკლესიაზე ზრუნვა, ეკლესიაზე, რომელიც სუფევს ყოველ ადგილას, რომელიც მოვიდა ჩვენს დრომდე და შემოინახა ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტის გარეშე (იქვე IV, 33, 8). სამასწავლებლო ფუნქცია განუყოფელი იყო ეპისკოპოსისაგან და უაზრობა იქნებოდა „სამოციქულო მემკვიდრეობითობის“ გაგება მექანიკურად, მოციქულების სწავლების ერთგულების გარეშე. ეპისკოპოსი ბრძანდებოდა პეტრეს კათედრაზე (Cathedra Petri), წმიდა კიპრიანე კართაგენელის ცნობილი გამოთქმის თანახმად: ტეშმარიტი სწავლების კათედრაზე. ის არ იყო უცოდველი, და მასზე ვრცელდებოდა მისი კოლეგებისა და მთელი ეკლესიის განსჯა და აზრი, მაგრამ ის ბრძანდებოდა სწორედ იმისთვის, რომ განეხორციელებინა თავისი სწავლების ქარიზმა, რომელიც ითვლებოდა განუყოფელად მისი, როგორც ევქარისტის შემსრულებლის როლისაგან.

ასეთი ურთიერთდაკავშირებული წარმოდგენა ქრისტიანულ მასწავლებლობაზე გვევ-

ლინება არსებით მემკვიდრეობად, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ადრეულმა ეკლესიამ. საღვთისმეტყველო მასწავლებლობა მართლმადიდებელ ეკლესიაში არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერულ მუშაობას, ეს არის გადაცემის, განმარტების და მოძღვრების შემოქმედებითი აქტი. სწორედ ამიტომ წმიდა ირინეოსი, აღწერს რა ეპისკოპოსის ქარიზმას, როგორც ნიჭს განაგდოს ცრუ გადმოცემები, დამახინჯებები და მწვალებლობანი, დაუყოვნებლივ შეგვახსენებს „სიყვარულის განსაკუთრებულ ნიჭზე, რომელიც შექმენებაზე ძვირფასია, რომელიც უფრო დიდებულია ვიდრე წინასწარმეტყველობა და სჯობნის ყველა სხვა სულიერ ტალანტებს“ (იქვე VI, 33, 8). სწორედ ამიტომ, მასწავლებლობის ყველაზე სრულყოფილი ჩარჩოები იყო ევქარისტული კრება, „სიყვარულის კავშირი“. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ ეკლესიაში შესამე ასწლეულში შეიმჩნეოდა გარკვეული დაძაბულობა საიდუმლოებრივ სტრუქტურა ecclesia-სა და ზოგიერთი didaskaloi ანუ „მასწავლებლის“ მოღვაწეობას შორის.

უკვე კლიმენტი ალექსანდრიელის ხელმძღვანელობით კატეხიზისური სკოლა, რომელიც დაარსებული იყო ინტელექტუალურ ცენტრში და ასრულებდა ხიდის როლს ელინიზმსა და ქრისტიანობას შორის, როგორც ჩანს, რამდენადმე დაშორდა ეკლესიის ცხოვრებას იმ ეპოქაში. მისი მასწავლებლობა ნაკლებად „ეკლესიური“ გახდა. ცხადია, მე არ ვაპირებ აქ განვსაჯო კლიმენტისა ან მითუმეტეს მისი დიდი მემკვიდრის ორიგენის მემკვიდრეობა, მათ გარეშე ქრისტიანული ღვთისმეტყველება ვერ შეძლებდა დაეპყრო წარმართული სამყარო, და მეოთხე ასწლეულის ყველა დიდი მამები აღიარებენ, რომ ისინი ბევრით არიან დაჯალებული ორიგენის აზროვნებისაგან. მე მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ყველა დიადი შემოქმედებითი წამოწყება გულისხმობს რისკისათვის მზადყოფნას და ორიგენს არ ეშინოდა წასულიყო გარკვეულ რისკზე. მის დროს ალექსანდრიული didaskaleion გახდა არა მარტო სკოლა კათაკმეველთათვის, არამედ ქრისტიანული უნივერსიტეტი თავისუფალი დასწრებით: „უამრავი ერეტიკოსი და ყველაზე გამოჩენილ ფილოსოფოსთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ყურად-

დებით უსმენდნენ მას და ის არიგებდა მათ არა მარტო ღვთისმეტყველებაში, არამედ, გარკვეულ ხარისხში, საერო ფილოსოფიაშიც“ (ევსევი. საეკლესიო ისტორია, 6,18).

ორიგენის კრიტიკოსებმა ეჭვი შეიტანეს მის უფლებაში ესწავლებინა, რადგანაც ის არ იყო ხელდასხმული პრესვიტერი. დროებანი შეიცვალენ, და ახალი აღთქმის ტიტული „მასწავლებელი“ (didaskalos) უკვე აღარ ითვლებოდა საკმარისად ავტორიტეტულად. სამასწავლებლო ფუნქციები ეკუთვნოდათ ეპისკოპოსებს თუ არა, პრესვიტერებს მაინც. შემდგომში ეს ტიტული სავსებით გაქრება იმ გაგებით, რომ ეპისკოპოსისაგან აღბათ შეუძლებელი იყო მთელი მასწავლებლობის უზრუნველყოფა დიდი ქალაქების ტაძრების მრავალრიცხოვანი მრევლისათვის, ამიტომ პრესვიტერებს, რომლებსაც უკვე ეკუთვნოდათ მმართველობისა და ადმინისტრაციული ფუნქციები, დაევალებათ მასწავლებლობა. ამ ისტორიულ პერიოდში პრესვიტერებმა დაიწყეს ექვარისტის სისტემატურად შესრულება, რადგანაც პირველი ადგილობრივი ეკლესიები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსები, დაიყვნენ „სამსწავლებლად“. ეს ტენდენცია გულისხმობდა ეკლესიაში სამასწავლებლო ფუნქციის გარკვეულ „კლერიკალიზაციას“, თუმცა, როგორც ჩვენ ვნახავთ ქვემოთ, ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო ტენდენციებსაც, განსაკუთრებით აღმოსავლეთში.

მაგრამ ჩვენივე სარგებლობისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დაძაბულობა „ეკლესიურ“ მასწავლებლობასა, რომელმაც სათავე აიღო ექვარისტული შეკრებებიდან, და ალექსანდრიელი didaskaloi-ების თავისუფალ ინტელექტუალურ მისწრაფებებს შორის, ირეკლავდა რეალურ პრობლემებს, მეთოდოლოგიის, ღვთისმეტყველებასთან მიდგომის პრობლემებს. ერთის მხრივ წმიდა ირინეოსი წერდა: „ჩვენი აზრი ორიენტირებულია ექვარისტისაკენ და ექვარისტია ეხმარება ჩვენს აზრს“ (ერესების საწინააღმდეგოდ, IV, 38,5). მეორე მხრივ ორიგენისათვის მნიშვნელოვანი იყო ეპოქა გარკვეული შესაბამისობა ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმს შორის, იმისათვის, რათა გამხდარიყო შესაძლებელი ბერძენი ინტელექტუალის შესვლა ეკლესიაში.

ასეთი დაძაბულობა დამახასიათებელია ქრისტიანული აზროვნებისათვის, როცა ის შეუქცავს ისტორიულ ცვლილებებს, მისიის პრობლემას, რათა თავისი თავი გახადოს გასაკები იმ ადამიანებისათვის, რომელთა კულტურული და იდეოლოგიური წინამძღვრები არ იყვნენ ქრისტიანულნი.

საყურადღებოა, რომ დაძაბულობა და პოტენციური კონფლიქტი ეპისკოპოსებსა და didaskaloi-ებს შორის ისტორიულად გადაიღობა მეოთხე ასწლეულში, როდესაც დიდი კაპადოკიელი მამების სახით, ეპისკოპოსებმა თვით შეიმეცნეს didaskaloi-ების პრობლემები, შეისწავლეს ორიგენის იდეები, შეინარჩუნეს მისი ვალდებულებანი ქრისტიანობასა და თანამედროვე ბერძნულ აზროვნებას შორის სინთეზის მიმართ, მაგრამ უარყვეს ის პუნქტები მისი სისტემისა, რომელიც ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა ბიბლიას, მათ მაგონად მიიღეს ბერძნული წარმართული სიბრძნის სინატოფე. მამებმა შეძლეს დაემყარებინათ ტეშმარიტი სინთეზი სამოციქულო გადმოცემასა, რომელიც შენარჩუნებული იყო ეკლესიის საიდუმლოებრივი ეპისკოპური მემკვიდრეობის ჩარჩოებში, და ბერძნული სამყაროსადმი მიმართული მისიის საჭიროებებს შორის.

დღეს ჩვენი ამოცანა მდგომარეობს მათი ტრადიციების მტკიცე ერთგულებაში. მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ მათი მიბაძვით, ან მამების ნათქვამების განმეორებით, რომლებიც მათ გამოთქვეს მრავალი საუკუნის წინ. რომ ვიყოთ ტეშმარიტად ერთგულნი წმიდა მამების სულისა, საჭიროა სავსებით გავაიგიოთ რწმენის ჩვენეული გაგება ქრისტიანული გადმოცემის შეუცვლელ, მუდმივ შინაარსთან, რომელიც გადმოგვცა მოციქულთა მიერ. მაგრამ ჩვენი მოწმობანი რწმენისა იქნებოდა არაფექტური, თუ ჩვენ აგრეთვე არ მოვმართავთ ჩვენს თანამედროვეებს და ამით არ მოვახდენთ მის ფორმირებას იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომელნიც გააჩნია თანამედროვე კაცობრიობას.

მეოთხე ასწლეულში ეკლესიის მამები შეეხებნენ ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის მიერ ქრისტიანობის მიღების საკითხს. მაღალი იყო ამ ცივილიზაციის ინტელექტუალური და კულტურული მიღწევები, და განათლე-

ბული ადამიანისათვის, რომელიც აღიზარდა ათენის აკადემიაში ძნელი იყო ეძებნა ჭეშმარიტება ბიბლიაში (რომელიც შეიქმნა ებრაელების („მცირერიცხოვანი“, „ბნელი“ და „ბარბაროსი“ ხალხის მიერ), რომლის თითქოსდა უფრო დაბალი დონე თვალსაჩინო იყო. მიუხედავად ამისა, მამები ვალდებულნი იყვნენ აეძულებინათ ბერძნები კეთილხანთ და გაეკოთ წმიდა წერილი, გაეხსნათ მესიანური სასოების უნიკალურობა, და ბოლოს განეძარცათ მათი განხორციელება იესო ნაზარეტელის პიროვნებაში. იოანე მოციქულმა უკვე გააიგივა ებრაელების ბუნდოვანი მესია ლოგოსთან, რომლის საშუალებითაც „ყოველივე... შეიქმნა“. (იოანე 1,3) ე.ი. ცნებასთან, რომელიც კარგად იყო ცნობილი ბერძნებისათვის. მეოთხე ასწლეულის მამებმა შექმნეს ეს საფუძველი და გამოხატეს ბერძნულად და ბერძნებისათვის უდიადესი ბიბლიური ჭეშმარიტებანი სამებისა და განკაცების შესახებ. ისინი ებრძოდნენ ერეტიკოსებს, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში ვერ გაეკოთ წმიდა წერილის შინაარსი და ამოწმებდნენ ქრისტიანულ აზროვნებას ფილოსოფიური კატეგორიებით. მამებმა (ზოგიერთმა მათგანმა მაინც) არ გამოიყენეს ზოგიერთი ქრისტიანის უუნარობა, სათანადოდ გამოყენებისათვის ფილოსოფია, თავისი ეპოქის ინტელექტუალური წრიდან გასვლის საბაბად. ასეთი წასვლა ნიშნავდა ქრისტიანული მისიის დაღატს. პირიქით, მათ მიადწიეს წარმატებას იქ, სადაც სხვებმა ვერ შეძლეს. მათ ჩვენ დაგვიტოვეს თანმიმდევრული ღვთისმეტყველური სინთეზი სამების (Theologia) შესახებ და ცხოვნების მნიშვნელობის (Oikonomia) შესახებ, რომელიც წარმოადგენენ არა დაღატს, როგორც ამტკიცებენ მეცნარამეტე საუკუნის ლიბერალი პროტესტანტი ღვთისმეტყველები, ან „ელიზიზებელი ქრისტიანობის“ ფორმას, არამედ ქრისტიანული აზროვნების რეალურ ზეიმს, რომელმაც მოაქცია ელინური სამყაროს „გონება“ ქრისტესადმი. ეს პატრისტიკული სინთეზი იყო შემოქმედებითი. კელესიის მამების მხრიდან ის გულისხმობდა რეალურ სიყვარულს, რეალურ ზრუნვას სამყაროსადმი, რომლის გადასარჩენადაც მოვიდა ქრისტიკი, ანუ მათი ეპოქის კონკრეტულ სამყაროზე. მართლაც, ქრისტიანთა ყოველი თაობა

წარმოგზავნილია სამყაროში, რომელიც შეიცვალა და რომელიც განსხვავდება ადრეული თაობებისათვის ცნობილი სამყაროსაგან. ამიტომაც ღვთისმეტყველების მასწავლებელთა და შემსწავლელთა ამოცანა უნდა შეიცავდეს ორ აუცილებელ მოთხოვნას. — მიაწოდონ ჭეშმარიტება და უწყვეტობა სამოციქულო სწავლებისა, რომელიც შენარჩუნებულია კელესიის მიერ რაიმე ცვლილებისა ან დამახინჯების გარეშე:

— გამოხატონ ეს სწავლება ისეთნაირად, რომ გასაგები იყოს ადამიანებისათვის, ე.ი. იმათთვის, ვის შორისაც ცხოვრობს კელესია და ვისი გადაარჩენისათვისაც არის მოწოდებული.

თითოეულ ამ მოთხოვნას გააჩნია თავისი სიფათი და ცდუნებანი. კელესიის რწმენის შეუცვლელად შენარჩუნების ყველაზე მარტივი საშუალებაა ბრმა და გაყინული კონსერვატიზმი გამოსახვასა და ურთიერთობაში...

თვით უფალი ღმერთი იესო ქრისტე გვაფრთხილებს ჩვენ ასეთი ტრადიციების მიმდევრობის თვითმიზნად გახდომაზე, ვიციწყებთ რა ამ დროს ღვთის მცნებებს (მარკოზი 7,8). ასეთი ბრმა კონსერვატიზმი აქცევს კელესიას მუზეუმად, არაეფექტურს ხდის მის მისიას კონკრეტული ცოცხალი არსებების მიმართ და ამით შეასრულებს მათ სურვილებს, ვინც სიხარულით შეხვდება მის გაქრობას.

მაგრამ მეორე გულისხმობს ცდუნებას „მოდერნიზმისა“, ანუ მართლმადიდებლური გადმოცემის უწყვეტობის დაზოგვას, უშუალო და წარმატებალი ახირებების დამორჩილებას, რომლებიც — განსაკუთრებით თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში — ხშირად ანადგურებენ ქრისტიანების სულიერ და ინტელექტუალურ სტაბილურობას.

ცვდილობთ რა განესაზღვროთ, თუ როგორია მამათა მექვიდრეობა ჩვენს დროში, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს ორი მოთხოვნა და მათთვის დამახასიათებელი ცდუნებანი. ჩვენ უნდა ერთგულნი ვიყოთ გადმოცემისა და შეგვეძლოს ვაუწყოთ იგი ჩვენს თანამედროვეებს ახლებურად, არა მისდამი დაღატით, არამედ როგორც თავისუფალმა მემკვიდრეებმა და სულიერმა შვილებმა პატრისტიკული საუკუნისა.

„შენ ხარ ვენახი“

ქართული ჰიმნოგრაფიის შედევრია დემეტრე-დამიანეს (1154) ცნობილი იამბიკო: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღფრავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

ესაა ღვთისმშობლის სადიდებელი. როგორც ცნობილია, ამგვარი ციკლი ფართოდაა გავრცელებული მთელს ქრისტიანულ მწერლობაში. არსებობს ვედრების ციკლიც, რომელიც არანაკლებ გავრცელებულია. შეწვევისათვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ანგელოზებზე ხშირადაც კი მიმართავდნენ ხოლმე, რადგან ისაა შუამავალი ადამიანსა და მაცხოვარს შორის (როგორც ეს „ვედრების“ ანუ „ღვისისის“ ფრესკულ კომპოზიციებზეა, სადაც იოანე ნათლისმცემელიც გამოისახება).

დემეტრე-დამიანეს იამბიკოს თითქმის ყველა სახე საღვთო სახელეებადაც გვხვდება, მაგალითად, „ვენახი“; ამიტომ იამბიკოს პირველივე ფრაზა—„შენ ხარ ვენახი“ სახარების სიტყვებს ეხმიანება. „მე ვარ ვენახი და მამა ჩემი მოქმედ არს“ (ი., 15,1), ხოლო „მორჩი კეთილი“—ფსალმუნს, „მზე გაბრწყინებული“ — სახარებას.

შეიძლება გვეფიქრა, რომ „თავით თვისით მზე გაბრწყინებული“ ნიშნავს მზიური ბრწყინვალების თავისთავადობას, არა სხვისაგან მოფენას, არამედ თავის თავში ნათლის ქონებას, „თვითბრწყინვალებას“, მაშინ ეს ღვთის ნიშანი იქნებოდა.

მაგრამ მართებულია თუ არა, რომ ასეთი ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებას მიეწეროს და არა ღვთისმშობელს? როგორც ჩანს — არა!

საამისო მაგალითები როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ მწერლობაში მრავლადაა.

არსებობს წმ. იოანე დამასკელის „სიტყუაჲ შობისათვის ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა“ (ღვთისმშობლის შობის დღის, 8 სექტემბრის საკითხა-

ვი). აქ ნათქვამია:

„ვენახი რქაშუენიერი ანნაისაგან აღმოსცენდა და ტკვანი სიტკბოებისა აღფრავილნა“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის თავის საკითხავები, ნარგიზ გოგუაძის რედ., 1986, გვ. 121). აქ „ვენახი რქაშუენიერი“ გამოხატავს ღვთისმშობლის გენეალოგიას, რომელიც ანასაგან (და—იოაკიმისაგან) აღმოცენდა. იგულისხმება, რომ ივია „მორჩი“ (ანუ ყლორტი), რადგან მან „ტკვანი სიტკბოებისა აღაფრავილა“. დემეტრე-დამიანესთან „ვენახია აღფრავებული“, ვენახი კი (ანუ ვახი) თავისი მტკვნის ყვაილობით ყვაილობს. „ტკვანი სიტკბოებისა“ ღვთისმშობლისაგან შობილი ძე ღვთისაა.

ანდრია კრიტელის (+729) საკითხავშიც — „შობისათვის ღვთისმშობლისა“ — „ვენახი“ სახე ღვთისმშობლისა და „ტკვანი“ მისგან შობილი ძე ღვთაებისა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, საიდუმლო და ღმრთივ დასხმულ ვენახო, რომელი მდიდრად მიმოდაეფინე საზღუართა კკლესიისათა და ტკვანი იგი შვიფე უხრწნელებისა საშოით შენით აღმოგვიტენე“ (იქვე გვ. 147).

„აკათისტოს“ („დაუჯდომელის“) V გალობაში იკითხება: „ხმობდა ღვთისმშობლისა მიმართ: გიხაროდენ, ვახო მორჩისა დაუჭნობელისაო“ (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტურჯურის ისტორია, III, 1973, გვ. 163). აქ „ვახი“ ღვთისმშობლის სახეა, ხოლო „მორჩი“ — მაცხოვრისა. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ხშირად „სახელები“ ღვთისა და ღვთისმშობლისა საერთოა (იხ. დიონისე არეოპაგელის „საღვთოთა სახელთათვის“ და საღვთისმშობლო სახელები ზემოდასახელებული საკითხავებიდან).

იოანე მინჩხი ასე უგალობდა ღვთისმშობელს:

„ღვთისმშობელსა ვადიდებდეთ — მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენა-

სხა გონიერსა, ტაძარსა პირმეტყუელსა, ტაკუკსა მის სულიერსა, საღვურსა მანანაისასა, ღრუბელსა საესესა ნათლითა, მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა, საღმრთოსა ღრუბელსა მტკიცესა, მცველსა ყოვლისა სოფლისასა“ (ლელა ხაჩიძის გამოცემა, გვ. 160).

თითქმის ყველა აქ წარმოდგენილი სახელი ღვთისმშობლისა, და, მათ შორის, „ვენახიც“, არის თეოდორე სტუდიელისა და ანდრია კრიტელის საკითხავებში. ისინი ემყარება „შესაქმის“ წიგნის წინასწარმეტყველურ ხილვას.

„ძილსა შინა ვზედვედ და იუო ვენახი წინაშე ჩემსა და ვენახს მას სამნი ძირნი და იგი აღმოსცენდა და აღმორძნდა მორჩი და შწიფე იყვნენ ტკვანნი იგი ყურძნისანი“ (შესაქმისა, 40, 10).

ასე რომ, „ვენახი“ (ანუ ვახი) ღვთისმშობლის ფრიად გაზრცელებული „სახელია“. მტკვნებიანი ვახი ღვთისმშობელსა და მაცხოვარს გამოხატავს. „აღვჯავებული ვენახი“ მოასწავებს ვახის მტკვნის გამოსვლას, ე.ი. მაცხოვრის ჩასახვასა და შობას, ამიტომაც ამ მტკენიდან გამოსული ღვინო ექპარისტიაში მაცხოვრის დათხუელ სისხლიან ზიარებას გამოხატავს.

ასეთია სახისმეტყველებითი შინაარსი დემეტრე-დამიანეს იამბიკოს პირველი სტრიქონისა. ამასვე გამოხატავს ქართულ ტაძრებზე მტკვნებიანი ვახის ნაქანდაკართა სიმბოლური შინაარსი (მაგალითად, ანანურის ტაძრის დასავლეთის კედლისა). ასეთივე შინაარსი აქვს უმთავრეს ქართულ სიწმინდეს — „ჯვარს ვახისას“.

ღვთისმშობლის სახისმეტყველებითი სახელია „მორჩიც“ და აქედან—„მორჩი კეთილი“. ანდრია კრიტელი ღვთისმშობელს ასე მიმართავდა: „გისაროდენ, კუერთხო აპრონისაო, ძირო იესესო, მორჩო დავითისო“ (დასახელებული კრებული, გვ. 146). ღვთისმშობელი გენეალოგიითაა დავით წინასწარმეტყველის მორჩი, ყლორტი (ან შტო). დავით გურამიშვილი დავით წინასწარმეტყველის შესხმაში ამბობს: „ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა, ზედ გამოიბა კარგი ყურძენიო“ („დავითის შესხმა პირველი“ — „დავითიანი“, ალ. ბარამიძის რედ., 1955, გვ. 113).

ანდრია კრიტელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სხვა საკითხავში ნათქვამია: „მცე-

ნარე უწოდს მორჩსა და მორჩად ვისმცა სხუასა გულისხმა—ჰყოფდ, საყუარელო, ანუ თუ ცხად არს, ვითარმედ საყუარად შედრგინებით მხოლოსა მას წმიდასა და წმიდათა ყოველთა უწმიდესსა ყოვლად ყოვლითურთ წმიდად გამოჩინებულსა მას შორის და დამკვიდრებულისა მისდა უბიწოდ სულით და ხორციოთ, მარიაშს ვიტყვი, დიდსა მას და ნამდვილვე სამსხურებელსა სახელსა სიტყვიტცა და საქმითცა წინასწარმეტყველებრიგსა ძირსა, კუერთხსა იესესსა, შარადის ყვაილოვანსა მორჩსა იუდაისსა“ (დასახ. კრ., გვ. 131).

აქ ღვთისმშობლის გენეალოგია იუდამდე, იაკობის ძემდეა მიყვანილი:

ღვთისმშობელი „წინასწარმეტყველებრივი ძირისაა“.

დემეტრე-დამიანეს სიტყვებით, ღვთისმშობელია „მორჩი კეთილი“, სხვადასხვაგვარად: ძირითვე სიკეთეა მასში და, ამასთანავე, მიმავლითაც მარადიულ ბედნიერებასაა ნაზიარები — „ედემსაა დანერგული“. ამ სტრიქონს შემდეგი გააზრებაც ახლავს: ღვთისმშობელი ქრისტეანულ მწერლობაში უპირისპირდება ვვას, რომლის ბრალითაც პირველი ადამიანი სამოთხეს მოაკლდა, ხოლო ღვთისმშობელი სამოთხის მკვიდრი გახდა.

ამავე აზრს უკავშირდება იამბიკოს III სტრიქონიც („აღვა სულნელი, სამოთხით გამოსრული“).

საერთოდაც, და, ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც, ძალზე ხშირად გვხვდება შემდეგი გააზრება: დემეტრე ყველა დედათა შორის გამოარჩია მარიაში, რათა ის გააზრდარიყო ღვთისმშობელი. განკაცება თვით ღვთაების ნება იყო და ეს სასწაული ღვთისმშობელს ყველას წინაშე აღამაღლებს. ამიტომაც წერდა დემეტრე-დამიანე „დემეტრე შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებულიო“. ეს სტრიქონი კარგად ცხადყოფს, რომ მთელი იამბიკო საღვთისმშობლოა. „დემეტრე შეგამკო“, — სწორედ ღვთისმშობელზე ითქმის, რადგან დემეტრე აქცია იგი ღვთისმშობლად და თავისი შვილობით გააღვთისმშობლა იგი. შვილი გახდა ის, ვინც დაბადებამდეც არსებობდა, და ვინც თავის მშობლამდეც არსებობდა და ყოველთა ქებულთაგან ღვთისმშობელს ამიტომაც ვერვინ სჯობს, რომ დემეტრე „შეგამკო“, ღვთაებრივმა წყალობამ დაამშვენა იგი.

„უფალო მესმისას“ ღვთისმშობლისანის

ძლისპირში ვკითხულობთ:

„ვერ მისწუდების გონებაჲ ჩუენი ჯერისა-
ებრ ქებად შენდა, უზეშთაჲსო დიდებისაო,
ასულო დავითისო, ღვთისმშობელო ქალწუ-
ლო“ (ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი,
ელენე მეტრეველის გამოცემა, თბ., 1971,
გვ. 3.).

ყველა ეს გააზრება სახარების სიტყვები-
დან მომდინარეობს:

„თქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალ-
სა და განიხარა სულმან ჩემსან ღმრთისა
მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა
სიმდაბლესა ზედა მშველისა თვისისა, რამე-
თუ აპა, ესერა, ამიერიდან მნატრიდნენ მე
ყოველნი ნათესავნი“ (ლ. 1, 46—48). ცნობი-
ლია, რომ ამ მოტივის მიხედვით აიგებოდა
ხოლომე საგალობელთა სისტემის ანუ კანონის
მეტრეველობა, ე.წ. „ადიდებდითსა“.

მთელი ეს შინაარსი საყურადღებოა იმი-
თაც, რომ ამ ბოლოსწინა სტრიქონის სტრუქ-
ტურულ ფუნქციას განსაზღვრავს, აქაა ღვ-
თისმშობლის ერთადერთობის მოტივი. ასე
შზადდება, როგორც იტყვიან, დასასრულის
დასაწყისი. ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ
ეს ბოლოსწინა სტრიქონი 11-მარცვლოვანია,
განსხვავებით ყველა სხვა სტრიქონისაგან,
რომლებიც იამბიკოს მეტრის შესაბამისად 12
მარცვლისაგან შედგება. აქ მულავნდება ქარ-
თული ლექსთწყობისთვის ცნობილი იზომეტ-
რულობა, რაც ხან კატრენული რითმების და-
რღვევითაც გამოიხატება (ა—ა—ბ—ა). ასეა
ხალხურ ლექსშიც. (მაგალითად, „სურამისა
ციხეო“) და მწერლობაშიაც (კერძოდ, „ვეფ-
ხისტყაოსანში“: 16—16—17—16; რითმებში:
ა—აა—„და“—ა).

მაშასადამე, შინაარსითაც და ფორმითაც
დემეტრე-დიაშიანეს იამბიკოს მეოთხე სტრი-
ქონი ამზადებს მესუთეს, ვითარცა დასას-
რულს.

დასასრულში კი, როგორც აპოთეოზში,
სწორედ ღვთისმშობლის ერთადერთობის
მოტივია მთელი სიძლიერით გამოხატული. —
„და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებუ-
ლი“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ერთად-
ერთობა გამოხატულია „შიით“.

ანდრია კრიტიკელი ერთ-ერთ ზემომოხმო-
ბილ საკითხავში ჩამოთვლის ღვთისმშობლის
„სახელებს“ („სახელ-დებას“) და მათ შორი-
საა—„მზე“ (გვ. 148). ამასთანავე „მზე“ საღვ-
თო სახელიცაა, რაც მთელს ქრისტიანულ

მწერლობასთან ერთად ხშირად ძველ ქარ-
თულ მწერლობაშიც გვხვდება (იხ. ვ. ნოზაძე,
ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიავო
დე ჩილე, 1957, გვ. 105 და შემდეგ).

ღვთისმშობელი „მზეა გაბრწყინებული“,
რადგან იგი ღვთაებრივი ნათლით ბრწყინავს.
მაგრამ განმარტებას ითხოვს „თავით თვი-
სით“, ამ სიტყვებით „თვითბრწყინება“
ხომ არაა გამოხატული (მსგავსად ღვთაების
თავისთავში განსაზღვრულებისა? შევადა-
როთ, მაგალითად, „თვითურთი“). როგორც
ირკვევა, ასეთი ვარაუდი არ მართლდება.
ილია აბულაძე განმარტავს: „თავი თვისი —
„სული თვისი“, „გული თვისი“; გული, გონე-
ბა, „სული“ (ძველი ქართული ენის ლექსიკო-
ნი, 1973, გვ. 172). ამ განმარტებიდან ჩანს,
რომ „თავით თვისით“ გულისხმობს არა მა-
ინცდამაინც იმანენტურ ბუნებას, არამედ
სულს, გულს, ან გონებას, თუმცა ცნობილია
ისეთი შემთხვევებიც, როცა „თავით თვისით“
ნიშნავს — „თავისთავად“, „თავისი ნებით“
(ე. ჭელიძე). მარკოზის სახარების (5,30)
სხვადასხვა რედაქციებში ერთმანეთს ენაცვ-
ლება ორგვარი სიტყვახმარება: „იესუ გული-
სხმა ყო თავით თვისით და „ცნა იესუ გულსა
თვისისა“. სწორედ ამნაირად უნდა გავიგოთ
„თავით თვისით“ დემეტრე-დიაშიანეს იამბი-
კოს დასასრულს. ამიტომ მთელი სტრიქონი
შემდეგ შინაარს იძენს: თავისი გულით (ან
სულით) მზე ხარ გაბრწყინებული.

იამბიკოს დასაწყისი და დასასრული ერ-
თმანეთს აშინაარსიანებს. ღვთისმშობელია
„ვენახი“ და ღვთისმშობელიცაა „მზეც“. სიმ-
ბოლურად „ვენახი“ და „მზე“ ერთმანეთს გუ-
ლისხმობს. სახისმეტყველებით, „ვენახი“
„სისავსის სიჭარბეს“ მოასწავებს. „ვენახს“ ამ
სისავსეს „მზე“ ანიჭებს. „ვენახი“ მზითაა
აღვსილი, როგორც ღვთისმშობელი—ღვთაე-
ბრიობით. ამიტომ ყოვლადწმიდა მარიამი თავ-
ვისი ღვთისმშობლობით თავისსავე თავს
სჭარბობს. ვენახი ჰყვავის მზის ბრწყინვალე-
ბით, ღვთისმშობელი — ღვთაებრივი ნათლით.

ასეთი ფუნქციის მატარებელია პირველი
და ბოლო სტრიქონის სტრუქტურული სიმე-
ტრია: შენ ხარ ვენახი და შენ ხარ მზე. ეს
ფუნქცია მნატრულია, მაგრამ არა ოდენ-მნა-
ტრული, არამედ ზე-მნატრულიც. ღვთის-
მშობლის წარმოდგენა ისეთი სახეებით, რომ-
ლებიც საღვთო სახელებადაც გვხვდება, ყო-
ვლისმომცველ უნივერსალიტეტთან ზიარებას
გულისხმობს.

ღარიბებსა

ძმებო, თუმცა სახელით ქრისტიანები ხართ და საქმით კი არაფრით ემსგავსებით ქრისტიანებსა. განა ვინც ნამდვილი ქრისტიანებია, ეგრე იქცევიან, როგორც თქვენ იქცევით. ჩვენ ქრისტიანებს იმათ გვეძახიან, ვინც სწორედ ვასრულებთ ქრისტეს სჯულსა.

ძმებო, ქრისტეს სჯული არის შვიდი საიდუმლო. ეს შვიდი საიდუმლო ვისაც არა სწამს და არც ასრულებს—არც ნამდვილი ქრისტიანია. საიდუმლოები იმათა ქვიან, რომლებშიაც თითონ სული წმინდა ჩვენი თვალის უნახავად მოქმედობს და ასრულებს. ეს შვიდი საიდუმლო არის ჩაბარებული თვით ქრისტესაგან არქიერისა და მღვდლებისათვის. უმათოდ ამათი აღსრულება არავის არ შეუძლიან, რაც უნდა კარგი კაცი იყოს და რაც უნდა ნასწავლიცა.

მღვდლებს ხო გვხვდავთ, ვინცა ვართ და არქიერი იმასა ქვიან, ვინც ჩვენ გვაკურთხებს და მოგვცემს ნებას მღვდლობისასა. ჩვენ, მღვდლებს, ნება გვაქვს მარტო აღვასრულოთ ექვსი საიდუმლო და მეშვიდე საიდუმლოს აღასრულებს თვით არქიერი.

აბა, ესლა კარგა ყური დამიგდე და ჩამოგიტოვლით იმ საიდუმლოებებსა, რომლებსაც თითონ მღვდელი აღასრულებს: პირველი საიდუმლო არის ნათლისღება, მეორე—პირონცხება, მესამე—ზიარება, მეოთხე—სინანული, მეხუთე არის ქორწინება, მეექვსე—ზეთის კურთხევა და მეშვიდე—თითონ მღვდლის კურთხევა. ესლა ამ საიდუმლოებში მღვდელი მარტო აღასრულებს ექვსსა და მეშვიდეს კი ვერა—ამისათვის რომელ მღვდელი მღვდელს ვერ აკურთხებს. მღვდელს აკურთხებს არქიერი და მისცემს ნებას მღვდლობისასა. მღვდელი განათლავს, მირონს სცხებს, აზიარებს, აღსარებას ათქმევინებს, ცოლ-ქმართ ჯვარს დაწერს, სხეულს ზეთს უკურთხებს, სწირავს, ილოცავს ღმერთსა და ხატებს ადიდებს და ხალხსაც ახვეწებს, მკვდარს დამარხავს და ყოველიფერს ქრისტიანობის კანონს თავის მრევლს ასწავლის, რაც ან ცოდვა არის და ან მადლი, ღმერთს რას ვაამებთ ან ვაწყვით, და ან ხატებსა. როგორც თითონ ქრისტეს დაწერილი სახარება ბრძანებს: თუ ვისმე ღვთისთვინი ღვთის მირთმევა უნდა ან ხატებისთვინ, მღვდელს უნდა დააბალოს და თითონ მღვდელი შესწირავს, როგორც კანონი აქვს მიცემული. ფერი მღვდლის საქმე არის ქრისტიანობაში და არა უბრალო კაცებისა, რომლებიც არც ნასწავლებია და არც არქიერისაგან ნაკურთხებებია.

ძმებო, ესლა ხო შაიტყვეთ ღმერთს როგორ ყოველიფერი კარგად დაუწყვია? მაშ, უნდა დაისხომოთ კიდეცა, რასაც გასწავლით, რაც მთელი ჩვეულებები გაქვთ თქვენის ხუცებისაგან ჩაგონებული, ყველაფერი მაიკვეთეთ და ისე მაიქვეთი, როგორც მე გასწავლით. აბა, მიიხარით, ეს როგორი ქრისტიანობა არის, კაცები დაბერდებით და ზოგი არც კი მონათლულხართ და ქრისტიანი ვართ, კი იბახით? ქრისტიანთ ყმაწვილი რო განდებდა, მერვეს დღეს უნდა მინათლოს და, თუ ავით არის, უფრო ადრეცა, რო გაუნათლავი არ მოკდეს და მისი ღმერთს არ დაეკაროს.

მე შეგიტყვე თქვენში ბევრები ყოფილან დიდის ხნისები მოსანათლავები. უთუოდ ყველამ მაიყვანეთ და დავნათლავ. და ამასთანავე ესეც შეგიტყვე, თურმე მუნათლავი რომ მოკდეს, თქვენი ხუცესი თურმე ნათლავს. აბა, ეს რა ქრისტიანთ წესია? მკდრის მონათლვა როგორ შაიძლება, როდესაც მონათლვა არის უფრო სულისათვის და არა ხორცისათვის? და თუნცა კიდევ შაიძლებოდეს, თქვენს ხუცესს ან მირონი ვინ მისცა და ან რა იცის, როგორ მონათლოს ერთმა უბრალო, უსწავლელმა კაცმა, თუ მონათლვა შაიძლებოდეს, ჩვენ განა ვერ მოუნათლავდით? მარამ არა, ძმებო, სუ ტყუილია. თავი დაანებეთ მაგისთანა ცრუმორწმუნეობასა.

მოდვრება

მართლმადიდებელნი ქრისტიანებო, გაიარა ექვსმა კვირიაკემა, დიდ მრხვისამა. ესე იგი, ორმოცამა დღემა, რომელიც იმარხვა თვით იესო ქრისტემა და უჩვენა მაგალითი თავის მორწმუნეთა და ვალით დასდებს ამის აღსრულებას; და ესლა ესდევნებოთ მეშვიდეშია, რომელსაც ვეძახით ვნების კვირიაკესა; დღევანდელს დღევ ვეძახით დიდს ხუთშაბათს, არათუ იმისთვისა, რომე დღევანდელ დღე იყვეს სხვა დღეებზე მეტი ხნითა და ჯამითა, არამედ იმისთვისა, რომელ დღევანდელს დღეს განამზადა თავი იესო ქრისტემა ჩვენი გულისათვის სასიკვდილოდა, რომლითაც უნდა დაისხნას ყოველი ადამის ჩამოშავლობის სულელები ეშმაკის ტუსალობიდან და შეიყვანოს იმავე სამოთხეშია, რომელიც დაკარგეს პირველად მშობელთა ჩვენთა ეშმაკის რჩევითა. ეგრეთივე დაწერა დიდი ესე საიდუმლო ზიარებისა და ბრძანა—ყოველი ქრისტეს მორწმუნე კაცი, ანუ დედაკაცი, ანუ ყმაწვილი, ვინც კი მოინათლება, ყოველს წელიწადს უნდა ეზიაროს სინანულითა და აღსარებითა. რომელიც განსწმენდს ცოდვისაგან, მოაშორებს ეშმაკსა, შეაერთებს ქრისტესთანა, გაუნათლებს გულსა და გონებასა, დაუმშვიდებს სინდისს, განაღონიერებს და გაამხნევეს სულსა კაცისასა ცოდვისაგან დაღალულსა და დასუსტებულსა, როგორათაც გაგახნევეს ზორცსა კაცისასა კარგი სასმელ—საჭმელი და ლოგინი საქმისაგან დაღალულსა, ამისათვის, რომელ ზიარება არის სულის საჭმელი და სასმელი თვით იესო ქრისტე ბრძანებს: „უკეთო არა სჯამოთ ზორცი მისა კაცისა და სვით სისხლი მისი, არა გაქენდეთ ცხოვრება თათთა თქვენთა“.

ამისთვის გვედრებით, ძმანო ქრისტიანენო, ყოველს წელიწადს იარეთ ეკლესიაში და ატარეთ თქვენი ცოლ-შვილიცა; ილოცეთ, აღსარება სთქვით და ეზიარენით, რათა მიიღოთ განწმენდა ცოდვისაგან უფლითა ჩვენისა იესო ქრისტესი.

პავლე რაზიკაშვილი ვაჟა-ფშაველას მამაა. წინამდებარე ქადაგებებიდან თვალნათლივ ჩანს ის ქრისტიანული გარემო, სადაც იზრდებოდა გენიალური ქართველი პოეტი, რომლის შემოქმედება ჭეშმარიტად რელიგიური სულისცვეთებითაა განმსჭვალული.

სადღიურო ჩანაწერები

(II ნაწილი)

არის გზა ოჯახისა და გზა მონაზვნობისა. მესამე მდგომარეობა — ქალწულთა, ერში ფრიად საშიშია, საცთურია და ყველას როდი ხელწიფება. გარდა ამისა, ასეთები გარშემო მყოფთათვისაც ჰქმნიან საშიშროებას: ბრწყინვალეობა და სილამაზე ქალწულობისა, რაც გარკვეული აზრით „საქორწინო მოყვინწულობაა“ — თუკი პირდაპირ რელიგიურ აზრს არ ატარებენ, იწვევენ და აღვიძებენ უბედურ გრძნობებს.

ქორწინება — განმანათლებლობა, მისტერიაა. მასშია სრული ფერიცვალება ადამიანისა, მისი ბიროვნების გაფართოება, ახალი ხედვა, სიცოცხლის ახლებური შეგრძნება, მისი მეშვეობით ხელახლა შობა ამქვეყნად სრული სისავსით.

მაგრამ ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი ქორწინებაში განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის. მათი გადალახვა — ორის შეგნებულ ძალდატანება ქორწინების აგებისათვის (აღმშენებლობისთვის?) ღვთის წინაშე „სიარულით“ (მხოლოდ ეკლესია აგვარებს ნამდვილად ყველა პრობლემას) და კიდევ ერთი — თითქმის და ყველაზე იოლი, მაგრამ ამავე დროს ყველაზე რთული — გაბედულება, ქორწინებაში თითოეულმა დაიკავოს თავისი ადგილი. ცოლი მორჩილად დადგეს თავის მეორე ადგილზე, ქმარმა კი იტვირთოს სიმძიმე და პასუხისმგებლობა, იყოს თავი ოჯახისა. თუ გაბედულება და სურვილი — ღმერთი ყოველთვის შექმნის ამ მძიმე, მოწამებრივ („წმინდანო მოწამენო“... ნეფე-მატარძლის ანალოგიის გარშემოვლისას), მაგრამ იმავე დროს ნეტარ გზაზე.

ქორწინებაში არც მამაკაცს და მით უფრო არც დედაკაცს, არა აქვთ ერთმანეთზე აბსოლუტური ხელშეწყობა. ძალადობა სხვის ნებელობაზე, თუნდაც სიყვარულის სახელით, კლავს თვითონ სიყვარულს; და მაშინ იბადება კითხვა — საჭიროა დავუმორჩილოთ ასეთ ძალადობას, რაკი მასში საშიშროებაა ყველაზე ძვირფასისათვის? უბედურ ქორწინებათა უსაზღვრო რაოდენობა სწორედ იმითაა გამწვეველი, რომ თითოეული მხარე მის შესაკუთრედ თვლის თავს, ვინც უყვარს. ქორწინების ყველა სირთულე თითქმის აქედანაა. ქორწინების უდიდესი სიბრძნე — მისცე სრული თავისუფლება მას, ვინც გიყვარს; ჩვენი მიწიერი ქორწინება — მსგავსი ზეციური ქორწინებისა (ქრისტე და ეკლესია), იქ კი სრული თავისუფლებაა.

„არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისა ზმნით; არცა მსთქუან: აბა აქა, ანუ იქი; და აბა ვგერა, სასუფეველი ღმრთისა შორის თქვენსა არს.“ (ლუკა, 17, 20—21) განა იგივე არ შეიძლება ითქვას ცეცხლოვან გვენიზე? ნუთუ მრავალად ადამიანისთვის უკვე დედამიწაზე არაა ჯოჯობეთი?

უნდა იცხოვრო არა „იოლად“, არამედ მთელი ძალების, როგორც ფიზიკურის, ისე სულიერის, შესაძლო დაძაბვით. ვხარჯავთ რა მაქსიმალურად ძალებს, ჩვენ

როდი „ვითანგავთ“ თავს, არამედ განვამრავლებთ წყაროს ძალებისას.

დედაკაცი, „რომელსაც ჰქონდა სული უძღურებისა“, ქრისტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეპკრა სატანამ“. აქ ავადმყოფობის კიდევ ერთი წყაროა ნაწევნები — ეშმაკი. აი, რა შეიძლება უბასუხო მათ, ვინც ამბობს (და მათ შორის მე), რომ უნდა გინაროდეს ავადმყოფობა, ისევე, როგორც ნებისმიერი უბედურება და არაა საჭირო ითხოვდეს განკურნებას.

ჩვენ სამყაროს ვხედავთ არა ისეთად, როგორც ის სინამდვილეშია, არამედ იმეკარად, როგორადაც მას ჩვენი ფანტაზია, ჩვენი ნებელობა წარმოგვჩვენებს; და თითოეული ჩვენთაგანი მას სხვაგვარად, თავისუფრად ხედვს და თავისი სამყაროს ცენტრად ხდის უნიშვნელო საგნებს, არ უთმობს რა ადგილს ერთადერთს, ყველაზე მნიშვნელოვანს.

იმაში, თუ როგორ გაურბიან ადამიანები მარტოობას, მე სიკვდილის დაფარული შიში მეჩვენება.

ვეითხულობ ახლა ისააკ ასურს და დიდად შეეკებო იგი ჩემს გულს. დიდი ხანია მინდოდა მისი წაკითხვა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ იგი მხოლოდ სრულყოფილ-თათვის არის. აღმოჩნდა, რომ მრავალი ბრძნული რჩევა აქვს დაწვევითათვისაც, როგორებადაც, როგორც სწავლის, სიკვდილამდე დაზრებით.

დაარწმუნო ვინმე ღმერთის არსებობაში სრულიად შეუძლებელია. იმდენად, რამდენადაც ყოველივე ის, რაც სიტყვებით შეიძლება ითქვას სარწმუნოებაზე, ვერანაირად ვერ გადმოსცემს იმას, რაც საერთოდ გამოუთქმელია და რაც მასში ყველაზე მთავარია. სარწმუნოების დასკვნები გონების წინააღმდეგე კი არაა, არამედ მისთვის გვერდის ავლაა. მხოლოდ სიყვარულის ნათელში ძალუმს გონებას რწმენის ხილული აბსურდების მიღება.

რატომაა ძნელი რწმენა? ცოფით დაცემამდე ადამიანებმა იცოდნენ: ცოფამ ღმერთი დაფარა მათგან და რწმენა სწორედ ამ ცოფის საბურავის ახდაა ჩვენსა და ღმერთს შორის.

ცოფისაგან განწმედას ადამიანი რწმენიდან ცოლამდე მიჰყავს.

ვერცხლისმოყვარეობა თითქმის და მეორეხარისხოვანი ცოფება; სინამდვილეში ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ცოფება — მასში ერთდროულადაა ფაქტური უარყოფა ღმრთისა, კაცთადმი სიყვარულისა და მდაბალი სტიქიებისადმი მიკერძობება. იგი ბადებს სიბოროტეს, გულქვაობას, ამოთებას. მისი გადალახვა ყველა ცოფის ნაწილობრივ გადალახვაა.

რაშია ცთუნება და მაკვდინებლობა თეატრალიზმისა მაყურებლისთვის და უპირატესად კი მსახიობისთვის? — ჩვევა იცხოვრო და ამასთან იცხოვრო დაძაბულად და სიმწკვირით, ილუზიური ცხოვრებით, სწორად ბერად უფრო მწკვირედ, ვიდრე ნამდვილი ყოველდღიუ-

რი ცხოვრებით. საკუთარ თავში „პარაზიტულ“ პიროვნებათა შექმნა (ეპიზოდურიდან მეფე თევდორე იოანემდე მოსკვიანთან), პატრიმოფარეობა, ამისთვისაცაა თეატრი საშიში სუსტი ადამიანებისთვის — ის მათ სულერთიანად ულის, თუმცადა, ყოველ ადამიანურ საქმიანობას აქვს ესა თუ ის შხამი და მხოლოდ ძლიერი პიროვნებები არ მარცხდებიან, არამედ რჩებიან თავისთავადნი.

სიბრძნე საკუთარი ცოდვებისადმი — მიკრობებისაგანაა. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, ბევრს ვხედავთ, მაგრამ ვაფასებთ არასწორად, შეფასებას ვაძლევთ: გრძნობა თითქმის ინსტიქტური, გადაწყვეტი მნიშვნელობისაა „... ვიხილოთ ცოდვანი თვისნი“. გივერდეს ჭეშმარიტება საკუთარ თავზე მეტად, უარყოფდე შენს თავს — ხსნის დასაწყისია.

საკუთარი შინაგანი ცხოვრებისადმი ყურადღება, რომელსაც რელიგიური თვალთახედვა გვიჩვენებს, შედეგებს ვვაძლევს, აგრეთვე, წმინდა ფსიქოლოგიური შეხედულებითაც — ყურადღების ძალის განვითარება, ცნობიერების კონცენტრირება, ახალი ფსიქიკური შესაძლებლობების გამოვლინება.

თუ ჩვენ მოღვაწეთა და წმ. მამათა ნაშრომებს დავუკვირდებით, ფსიქოლოგიური ანალიზის როგორ სიღრმეს შევხვდებით იქ, რაოდენ დახვეწილობას ფსიქიკურ მდგომარეობათა განჩენვაში, რამდენსა სიზუსტესა ვნახავთ ყველა შეგრძნებათა განსახლვრებასა და კლასიფიკაციაში.

არ მახსოვს, მამათაგან რომელი ადარებს ყურადღებას ლოცვისას პატრუქს კანდელში. თუ შედარებას განვათარებთ, მაშინ „ხეთი“ ლოცვის დროს, ანუ აუცილებელი ბირობა წვისათვის, იქნება — სინანულის განუწყვეტელი გრძობა, სიმდაბლე, გულის სიწმინდე, განურისხველობა.

ერთი ტიპური შეცდომათაგანი, რომელსაც მიყვართ განკითხვასა, უდებებასა და მცდარ შეფასებაში — „რუსსოიზმი“ რელიგიაში, აზრი, რომ საყოველთაო სამსჯავროსა და განკითხვამდე აქ, ჩვენს დედაშიწაზე, შეიძლება იყოს უნაკლო მოვლენები — თვითონ ჩვენში, სხვა ადამიანებში, ადამიანურ ურთიერთობებში.

მაშინ საკუთარი თავისგან მოითხოვ სრულ სიწმინდეს და სასოწარკვეთილებასში ვარდები, ამნვე რა შენს გულში ყველაზე უფრო წმინდა წუთებში არაწმინდებას, პატრიმოფარეობას, გაორებას; ავდები მაშინ, როცა ადამიანებში, რომელთაც უნაკლოდ თვლიდი, ხედავ სულმოკლეობას, ცბიერებას, სიცრუეს; სასოწარგაკვეთება, ოდეს ღმრთის ეკლესიაში ხედავ განხეთქილებებს, დავას, ეჭვიანობას, შურს — ადამიანურ ვნებათა განავარდებას.

ამასობაში კი „ყოველივე ეს უნდა იქმნეს“, მთელი ქვეყანა ცოდვითაა განკეთრუნებული; სვიდან ქვეყნითამდის გასდევს საშინელი ბზარი — სიკვდილისა და გახრწნის წყლული, და არავინ და არაფერი არაა შესუვალი. თუ ყველაზე უფრო სრულყოფილ თემში — ქრისტეს მოწაფეთა შორის იყო იუდა, მაშინ ჩვენ რაღაზედ ვძრწუნდებით, რომ რუსულ ეკლესიაში არის ყვედენსკი, ხოლო ყოველ საწყისოში — საკუთარი პატარა იუდა ისევე, როგორც მშვიდი, მადლმოსილი იოანე და

ერთგული, ენერგიული პეტრე.

ხატთაყვანისცემის სიხარული, იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი, „გარეშეშეშეშეშე სიტყვა“ გარდამოსდა ზეცით, ხორცი შეისხა, ადამიანური ხატი მიიღო და ჩვენს შორის იქცეოდა „საჯსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“, ისე რომ ჩვენ მას ჩვენთვ ყურით ვუსმენდით, საკუთარი თვალთ ვხვდებოდით, ჩვენი ხელები ეხებოდა მას. (1 იოანე, 1,1)

ჩვენი რელიგიურობის მთავარი ნიშანი — სიწმინდისაკენ ღრულვა კონკრეტულ, ხელშესახებ ხატში, წყურვილი მისდამი; ჩვენ გვიყვარს შევეხოთ მას, ვეამბოროთ მას, ვატაროთ მკერდზე, მით ვაკურთხოთ სახლში ჩვენი. ამ სიწმინდის მოსპობა უნდოდით ჩვენთვის ხატმებრძოლებს და ხატთაყვანისცემის აღდგენით განვიცადეთ სიხარული. დაუკვირდით, როგორი ცივი და უსახურია რწმენა აღმსარებლობებში, სადაც უარყოფენ ხატებს. ამჟამად უკლებელყოფენ არა ხატებს, ქვეცნობიერად განკაცებებსაც უარყოფენ, როგორ სხვაფერდება მათთან ქრისტიანობა. ისევე, როგორც ქრისტიანული ცხოვრების თავი და თავი ევქარისტია ხდება მათთვის უსხეულო და უმნიშვნელო. ჭეშმარიტად თუ ჩვენთან სიტყვა² გახდა ხორცი, მათთან პირიქით, ხორცი შეიქმნა სიტყვად — ღვთაებრივი ხორცი, რომლის ზიარებაც მარადიულ ცხოვრებას გვანიჭებს (იოანე 6), მწველებლებთან დაყვანილია სიტყვებსა და მსჯელობებამდის.

ქრისტიანობის სახეები: 1) გონებრივ-მჭვრეტელობითი, 2) ნებელობითი, ქმედითი (კათოლიკობა), 3) გონებრივ-ეთიკური (პროტესტანტობა და 4) ქრისტიანობა გაგებული, როგორც უდიდესი სილამაზე — მართლმადიდებლობა. ამგვარ ჭვრეტას ეძღვება მორწმუნის ყველა ძალა. ქრისტიანობის ყველა დანარჩენი სახეობანი ამგვარს გაგებას ეჭვმდებარება, ზოგიერთი (სტარობრიადცის) შეხედულება, თითქოსდა მართლმადიდებლობა ღვთისმსახურებაა. ეს ნაწილობრივ მართალია — იცხოვრო მაქსიმალურად თეურგიულად, ტაძრიდან გამოსვლელად. მაგრამ აქვე საშიშროებაცაა — როგორც კი ფერმკრთალდება ეს იდეალი, ადამიანი ნებელობის კულტურის, მორალის, გონებრივი გაჯარჯიშების გარეშე რჩება. მართლმადიდებელში ადამიანური საწყისი ნაკლებადაა აღზრდილი — განსაკუთრებით მისი სტარობრიადული გადახრით, რის გამოც რწმენის გარეშე იგი ამ სოფლის ტყვეობაში ვარდება. და მინც ჩვენ არ მივდივართ არანაირი სახის დაქვეითებულ ქრისტიანობასთან — გონებრივი იქნება, ნებელობითი თუ ეთიკური. ჩვენ ვსაჭიროებთ რელიგიური ნებელობის აღზრდას, კულტურული და ზნეობრივი დონის აწვეას, რათა გახვდეთ ღირსნი ჩვენდა რწმუნებული ძვირფასი ნიჭისა.

მართლმადიდებლობა მრავალთათვის ჯერ კიდევ „მსოფლმხედველობა“.

სულ უფრო ცხადი ხდება ჩემთვის, რომ მართლმადიდებლობა — ესაა აბსოლუტური თავისუფლების სტიქია, მოშიშრობა წესდებებისა, წესებისა, შიშნეუ-

1. იგულისხმება მაცხოვრის განკაცება
2. ლოგოსი ანუ ძე ღმრთისა

ლობა, როგორც შეზღუდო საკუთარი თავი, ზიზღი პროპაგანდის მიმართ, ყოველგვარი ძალადობისა, იდეური იქნება ის თუ ფსიქიკური, მოშიშარობა—დაარწმუნო, რწმენა შილოდ სასხე არსებული რელიგიური ცხოვრებისა — ყველაფერი დანარჩენი თავისთავად მოვა.

... რამდენიმე დღე გავიდა და ძლივსა შემიძლია მოვიგონო — ისიც გარკვეულად და არა შინაგანად — ის უწვეულო შერძენება, რაც მავანის კუბოში ჩასვენების დროს შეიქმნა.

ეს ყოველთვის შემზარავი და საძაგელი მომენტია: დამკრძალები ბიუროს მუშაკები, ვისთვისაც გარდაცვლილ ადამიანთან ურთიერთობა საშინაურის მხოლოდ მომბეზრებელი მოვალეობაა, საწოლიდან გვამს ჩამოათრევენ, სხეული უსუსურად გადმოვიდება, თავი ქანაობს და ტენიან კუბოში. ახლობლები ამ დროს ითახილან გაყვით და კარგადაც იქცევიან.

ახლა კი სულ სხვაგვარად იყო. უცხო არავინ იმყოფებოდა, მღვდელი ანთებული სანთლით ღოცულობდა თავისთვის, ახლობლებმა ასწიეს განსვენებული და ფრთხილად ჩაასვენეს სასახლეში.

რამდენიმე წაბით სრულიად უწვეულო მდგომარეობაში ვიყავი: მე გარკვევით გამოვუდი ჩემგან და გარედან და ამავე დროს როგორც მონაწილე, განვიცდიდი ყოველივეს. როგორც უკვეკლად სწორს, როგორც რაღაცა ხატს, რომლის რომელიმაც ნაწილი მეც ვიყავი. ვშიშობ, ახლა რაიმე არასწორად რომ გადმოვცე ეს სამყაროს წმინდად აღქმას ჰგავდა. ასე აღიქვამენ ბავშვები და მართლნი კვლევისას — ტაძარსა და ღმრთისმსახურებას, როგორც რაღაც ისეთს, რომელიც ერთდროულად ორ სამყაროში აღესრულება (ერთი ბიჭუნას ნათქვამი — „ღმერთი თითქოს მოეხვია და თავის ხელებში უპყრია მთელი ტაძარი“).

უფრო ნაკლებ ესაა სამყაროს ესთეტიკური აღქმა, როცა მას სამოთხისებურად გარდასახულს ხედავ.

დარწმუნებულობა, რომ ყველა წინასწარმეტყველება ახლა, რომ დრონი აღივსნეს და რომ ადამიანები მიუხელოდნენ იმ მოვლით მომენტს, რომელიც ერთ-თათვის შემადარწმუნებელი კატასტროფა იქნება, ხოლო სხვებისთვის უსახლვრო სიხარული — ვგონებ ეს დაჯერება გარდაუვლად წარმოიქმნება ყოველი დამაბული რელიგიური ცხოვრების ფაშს, უცრად გამოჩენილი დასრულებადი უსასრულობის შვერძების სახით და შესაძლოა, დამახასიათებელია ნებისმიერი ძლიერი გრძნობისთვის, როგორცაა: სასოწარკვეთილება, სიყვარული, სარწმუნოებრივი აღტაცებისა თუ წინასწარმეტყველური ექსტაზისთვის.

დაბადება მისტერია — ჩვენთვის მოდის მაცნე სხვა სამყაროდან. ახლობლის სიკვდილი უფრო მეტად აღვიძებს მისტიკურ გრძნობებს ჩვენში — მიდიან რა ჩვენგან, ჩვენივე სულის ქსოვილიდან მიიქვთ უხილავი ძაფები და ჩვენ მხოლოდ ამ სამყაროთი ცხოვრება აღარ შეგვიძლია — ჩვენს თბილ, მუდრო სახლში უსასრულობის აპარატია დადგმული.

მე ყოველთვის სვედა მეუფლება ადღმომის შემდგ სულიერი ცხოვრების თანდათანობით კლების გამო. თავდაბირველად სულიერი ძალების ზრდა დიდ მარხვაში ჩაღრმავებისად მიხედვით. ყველაფერი შინაგანი უფრო მეტად ხდება მსუბუქი, სუფთა და სულშიც მეტი სიმ-

ყუდროება, მეტია სიყვარული, უკეთესი ღოცვა. შემდგ ყოველთვის არაჩვეულებრივი დღეები ვნების შეიდეულისა, შემდგომ ადღმომის სიხარული. არ ვიცი, ღმერთს როგორ გადავუხადო მადლობა, რომ დაუშვა, მე როგორც მღვდელმა, მაქსიმალური მონაწილეობა მივიღო ყოველივე ამასში. მაგრამ აი, დგება ბრწყინვალე შეიდეულის შაბათი, აღსავლის კარი იხურება, თითქოს ხეცური კარი დახურულიყოს და სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, სული სუსტდება, სულმოკლეობაში ვარდება, ზარმაცდება, ყოველგვარი სულიერი ძალდატანება ძნელდება.

სულის შთანთქმელ თავმოყვარეობაში, ოჯახებს რომ ანგრევს, ყოველგვარ საერთო საქმეს რომ ღუპავს, როგორ ვგრძნობ ეშმაკის ნამდვილ სუნთქვას. ქრისტიანისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა მოციქულებრივი სიტყვები: „რაისთვის არა უფროსად თქუენ გვენების?“ (1 კორ. 6,7); მაგრამ ცბიერი ადამიანური გონება აქვე პოულბს გასაძროშს, რომ ვითომცდა იგი თავის თავზე კი არ ცხარობს, არამედ სამართლიანობაზე და ა.შ. საერთოდ, რაოდენ ძნელია ღმრთისთვის ადამიანებთან, რა უიქურ ამუხებენ ისინი უჯოხეთს, როგორ არ უნდათ მათ სინათლე და ნეტარება, რაც უფრო მეტს ცხოვრობ, მით უფრო დამაჯერებლად ხედავ რა ძლიერია ხატანა.

ვინც ნებას მისცემს თავისი გულის კეთილ მოძრაობებს, ის პირველ ყოვლისა თვითონ მდიდრდება — მის სულში შედის ნათელი განმეურნებელი ძალა, სიხარული, მშვიდობა — ჩვენი სულის ყველა ავადმყოფობასა და წყლულებს რომ აშუშებენ. გულმგირი პირიქით — იგი ხუთავს თავის გულს, უშვებს მასში სიცოცხეს, მტრობას, სიკვდილს.

ჩვენი უმოწყალობა, უღმობლობა, შეუბრალებლობა ადამიანებისადმი, ჩვენსა და ღმერთს შორის აღმართული კედელია. ეს იმას ჰგავს, მცენარე შავი საბურავით რომ შეგვეფუთა და ჩივილს მოვეყოლოდით უსინათლობით იღუპებო იგი.

ბოროტება სულელური ჩვევაა, არასწორი განწყობა სულისა — ის სწორედ სატანური ძალის მოვუნაა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ სიბოროტის გრძნობის განცდისას ჩანს.

„ნუ შეპკრებთ... ნუ ზრუნავთ“ (მათე 6, 19—34) — რატომ?

- 1) მიწიერი საუნჯე განრწნადია.
- 2) ის უსარგებლოა — ადამიანური სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე არაა დამოკიდებული.
- 3) ზრუნვასა და დავიდარაბას მოითხოვს და ამდენად, ერისკაცული თვალსაზრისითაც კი მავნება.
- 4) ის ჩვენს გულს ატყვევებს: „სადაც იყოს საუნჯე შენი, მუნ იქნება გული შენი“.
- 5) საზრუნავი და მღვლეარება მათზე არაღვთიურია, იმდენად, რამდენადაც საღმრთო განგების არ არსებობას გულისხმობენ: იგავი მდიდარზე.
- 6) ისინი ჩვენ გვასუსტებენ.
- 7) ის (სიმდიდრე) ამტკიცებს საწინააღმდეგო პერსპექტივას — „უპირველესად ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა“.
- 8) ქონება განსაზღვრავს ჩვენს მიწიერ და იმქვეყნიურ ბედს.

წერილები ქრისტიანთა მიმართ

წერილი № 28

რა შწარე და გულსატკეპნი სანახავია: ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან, რა არის ქრისტიანობა? არადა, ირგვლივ თითქმის ყველგან ეს მდგომარეობაა; იშვიათად თუ ნახავს ადამიანი ამის საპირისპირო, სანუგეშო მაგალითს! გამონაკლისად იქცა ერთდროულად სახელითა და საქმით ქრისტიანი, იმ ხალხს შორისაც კი, ვინც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს.

თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას ახლა განუწვევებოდა იმეორებენ: „რატომ არ უნდა სცხონდნენ წარმართები, მაჰმადიანები, და ეგრეთ წოდებული შწალებლები? მათ შორის ბევრი კეთილშობილი ადამიანია, მათი წარწყმედა ღმერთის მოწყალე ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა!... დიახ, სწორედ რომ მოუღებელია ეს აზრი ადამიანის საღი აზროვნებისათვის! — ხოლო რაც შეეხება შწალებლებს, ისინი ხომ იგივე ქრისტიანები არიან“. ჩვენ, მართლმადიდებელნი, ვსცხონდებით, ხოლო სხვა სარწმუნოების მიმდევარნი წარწყმდებიან, — ამის თქმა უგუნურებაცა და უკიდურესი ამპარტავნებაც“.

სათქმელის სიცხადეს მრავლისმეტყველებით რომ არ ვაგვრო, ამიტომ ვეცდები მოკლედ ვიპასუხოთ:

ქრისტიანებო! ცხონებაზე მსჯელობთ და იცით კი, რა არის ცხონება? ანდა რისთვის სჭირდება იგი ადამიანს? და ბოლოს, იცით კი ქრისტე-ცხონების ერთადერთი საშუალება.

წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის სწავლება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი გახლავთ: ხსნა სულისა (ცხონება) მდგომარეობს ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენაში. ეს კავშირი კაცობრიობამ ადამის პირველ ქმნულ ცოდვით დაკარგა. მთელი მოდგმა ადამისა დაღუპულ არსებობაა წყება. წარწყმედა ყველა ადამიანის ხედვრია, კეთილისა თუ ბორბისა.

„უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოტებათა შინა მშვა მე დედაჲს ჩემჲს“ (ფს. 50.7), წმ. მამათმთავარი იაკობი თავის მშვენიერ, უმანკო იოსებსა და თავის თავზე ასე ამბობს: „მთავიდე მისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთად“ (დაბ. 37,35) მიწიერი ცხოვრების შემდეგ ჯოჯოხეთში ჩადიდდნენ ძველი აღთქმის არა მარტო ცოდვილნი, არამედ მართალნიც. ასეთი ძალა აქვს ჩვენს ადამიანურ სიკეთეს. ასეთი ფასი აქვს ჩვენი ცოდვილი ბუნებიდან შობილ სათნოებებს! ცხონებისათვის, ანუ ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენისათვის აუცილებელი გახდა გამოხსნა, გამოსყიდვა ცოდვისა. კაცობრიობის ხსნა მოხდა არა ანგელოზის, ან მთავარანგელოზის, ან კიდევ რომელიმე სხვა, უმაღლესი მაგრამ სასრული და შექმნილი არსების მიერ, არამედ თვით უსახლდრო ღმერთის მიერ. უფალმა თავს იდგა კაცთა მოდგმის კუთვნილი სასჯელი. ჩვენი ღვაწლის ყველა ნაკლი მისმა უდიდესმა ღირსებამ დაფარა, შეავსო. ადამიანური, უწყო კეთილი საქმეების ნაცვლად მოგვცა ერთი, ყოვლის

შემძლე კეთილი საქმე: რწმენა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ. ჰკითხეს იუდეველებმა ქრისტეს: „რაი ვყოთ, რაითა ვიქმოდეთ საქმესა ღმრთისასა? მიუგო იესო და პრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისა, რაითა გრწმენეს, რომელი — იგი მან მოავლინა“ (ინ. 6;28,29).

ცხონებისათვის ერთი კეთილი საქმე გვესაჭიროება: სარწმუნოება, მაგრამ სარწმუნოება საქმეცაა. სარწმუნოებით, მხოლოდ სარწმუნოებით და უფლისაგან ბოძებული ეკლესიური საიდუმლოებების მეშვეობითაა შესაძლებელი ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენა. ამოდ ფიქრობთ და ამბობთ, რომ კეთილი ხალხი, თუნდაც წარმართი ან მაჰმადიანი იყოს, მაინც ცხონდება, ანუ ღმერთთან იქნება ურთიერთობაში. ცდებით! ჭეშმარიტი ეკლესია, როგორც ძველი აღთქმისა, ისევე ახლისა, ყოველთვის აღიარებდა, რომ სულის ხსნის ერთადერთი საშუალება არის მაცხოვარი. ადამიანი თავისი დაცემული ბუნების გამო, უდიდესი სათნოებებითაც რომ იყოს დაჯილდოებული, მაინც ჯოჯოხეთისათვისაა განწირული.

გაიხსენეთ, რომ ძველი აღთქმის მართალნი, მნათობნი, გაბრწყინებულნი სულითა წმიდითა, წინასწარმეტყველნი და საკვირველთმოქმედნი, რომელთაც სწამდათ მაცხოვრის მოსვლა, მის განკაცებად მაინც ჯოჯოხეთში ხვდებოდნენ. მამ როგორდა გინდათ, რომ ცხონდნენ წარმართნი და მაჰმადიანები, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ისინი კეთილნი გეჩვენებოიან, თუკი მათ არც შეიცნეს და არც იწამეს მაცხოვარი? ცხონება ხომ ერთადერთი, ვიმეორებთ ერთადერთი საშუალებითაა შესაძლებელი — იესო ქრისტეს რწმენით.

ქრისტეანებო! შეიცანით ქრისტე! — გაიკეთ, რომ არ იცნობთ მას, აღიარებთ, რომ უარყოფდით მას, თუკი თვლიდით, რომ ცხონება მხსნელის გარეშე, რაღაც კაცობრივი სიკეთების გამოც მიეცემა კაცს. ის, ვინც შესაძლებლად თვლის ცხონებას იესო ქრისტეს რწმენის გარეშე იგი უარყოფს ქრისტეს და შესაძლოა უნებლიეთ, ღმრთის გამოის ცოდვაში ვარდება.

„რამეთუ ვიტყვიტ განმართლებასა კაცისასა სარწმუნოებითა თვინიერ საქმეთა შჯულისათა, სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა ყოველთა ზედა მორწმუნეთა, რამეთუ არა არს განწვალება. ...ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გამოხსნითა მით იესო ქრისტესითა.“ (რომ. 3:22,24) თქვენ მიპასუხებთ, რომ წმიდა მოციქული იაკობი მოითხოვს უსათუოდ კეთილ საქმეებს; იგი ვგასწავლის, რომ სარწმუნოება საქმეების გარეშე მკვდარია: „ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ-არს.“ (იაკობ. 2:26); მაგრამ აბა კარგათ დააკვირდით, რას მოითხოვს წმიდა მოციქული იაკობი, და თქვენ ნახავთ, რომ იგი, როგორც

ყველა ღვთიესულიერი შვერალი წმიდა წერილისა, მოითხოვს სარწმუნოებრივ საქმეებს, და არა კეთილ საქმეებს. ამის მაგალითად მას პატრიარქ აბრაამის რწმუნის დადასტურებული საქმე მოჰყავს: აბრაამს ერთადერთი შვილი უნდა შეეწირა მსხვერპლად უფლისათვის. ეს იყო ამ ამბის შინაარსი. საკუთარი შვილის მსხვერპლად ეწირა ადამიანური გონების მიხედვით სრულებითაც არაა კეთილი საქმე. ეს საქმე იმდენად კეთილი, რამდენადც ღვთის ნების აღსრულებას, სარწმუნოების საქმეს წარმოადგენს. ჩაიხედეთ ახალ აღთქმაში, ან მთელ წმიდა წერილში და ნახავთ, რომ იგი ღმრთის მცნებების აღსრულებას მოითხოვს და მათ აღსრულებას ეწოდება საქმე. უფლის მცნებების დაცვით ხდება სარწმუნოება ცოცხალი. ამის გარეშე იგი მკვდარია. ნახავთ იმასაც, რომ ჩვენი დაცემული ბუნების ნამოქმედარი კეთილი საქმეები, გამოძღვინარე გრძნობებიდან, ენებებიდან, გულის ნაზი განცდებიდან და აღტყინებიდან, აკრძალულია და დაგმოხილი. თქვენ კი სწორედ ეს კეთილი საქმეები მოგწონთ წარმართებასა და მამადიანებაში და გსურთ, რომ ისინი ცხონდნენ ამ საქმეების წყალობით, თუნდ არც კი სწამდეთ ქრისტე. უცნაურია თქვენი მსჯელობა საღი აზროვნების შესახებ. საიდან, რატომ ფიქრობთ, რომ გაქვთ ეს საღი აზროვნება? თუ კი თქვენ ქრისტიანი ხართ, მაშინ წარმოადგენს ქრისტიანული უნდა გქონდეთ ამ საკითხის შესახებ და რაღაც ყურმოკრულ სწავლებებს არ უნდა გამოედევნოთ. სახარება გვასწავლის, რომ დაცემით ადამიანმა ცრუ აზროვნება შეიძინა და ეს ყაღბი აზროვნება, მიუხედავად მისი ღირსებებისა და ამსოფლიურ მეცნიერებებში მისი განსწავლულობისა, მაინც ინარჩუნებს დაცემული ბუნების ყველა თვისებებს. უნდა უარყოთ იგი და სარწმუნოება გაიხადოთ წინამძღოლად. თავის დროზე ასეთებს ღმერთი მიანიჭებს ჭეშმარიტ ანუ სულიერ აზროვნებას. აი ასეთი აზროვნება შეიძლება და საჭიროცაა, რომ ვაღიაროთ საღ გონებად. იგია განცხადებული სარწმუნოება, ასე შშვენიერად აღწერილი წმ. მოციქულ ბავლეს მიერ ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში. სულიერი აზროვნების საფუძველი ღმერთია, ამ მტკიცე ლოდზე დაშენებული, იგი არ ირყევა და არც ეცემა, ხოლო იმას, რასაც თქვენ საღ აზრს უწოდებთ, ჩვენ, ქრისტიანნი ცდომილებად, სიბნელედ და ავადმყოფობად შევრაცხავთ. იგი კი მხოლოდ სარწმუნოების მახვილით, ჩვენი ცრუ აზროვნების მიერ დაგროვებული მთელი ცოდვის მოკვეთით განიკურნება. და თუკი მას მაინც საღ აზროვნებად მიიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი რაღაც მერვევ, განუსაზღვრელ, გაუგებარ და მუდმივად ცვალებად საფუძველზე დგას, იცოდეთ, სწორედ ეგ აზროვნება იქნება, ქრისტეს უარყოფამდე რომ მიგიყვანთ. თქვენ კი რას გუუბნებთ თქვენი საღი აზრი? იმას, რომ კეთილი ხალხის წარწმედა, რომლებსაც არა სწამთ ქრისტე, ეწინააღმდეგება თქვენს საღ აზროვნებას! უფრო მეტიც, თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი კეთილი ხალხის წარწმედა ეწინააღმდეგება ღმრთის მოწვევას! თქვენ უსათუოდ ზეციდან გექნებოდათ გამოცხადება იმის შესახებ, თუ რა ეთანხმება და რა არა ღმრთის მოწვევას! — არა? — კი მაგრამ, თქვენი საღი აზრი

რომ ამას გუუბნებთ? — ოჰ, ეს თქვენი საღი აზრი!... კი, მაგრამ თქვენი საღი აზროვნების იმედად როგორ ასკვნით, რა ეთვისება და რა არა ღმრთის მოწვევას? საიდან მოიტანეთ, რომ ძალგიდთ საკუთარი, შეზღუდული, ადამიანური გონებით განსაჯოთ, თუ რა არის ღმრთისათვის სათნო? ნება მიბოძეთ, ჩვენი აზრი გითხრათ: სახარებამ, იგივე ქრისტეს სწავლებამ, იგივე წმიდა და კიდევ სხვაგვარად წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიამ, ღმრთის მოწვევასთან დაკავშირებით, რისი დატყენაც კი შეეძლო კაცის გონებას, ყველაფერი გვაუწყა. რა ამაოა და ფუჭი ადამიანის ტვინის ჭკელტა, როცა იგი განუსაზღვრელი ღმრთის განსაზღვრას ლაშობს, როცა ცდილობს, აუხსნელი თავისი წარმოადგენის მიხედვით ახსნას.

ახსნას ვინ?... ღმერთი? ასეთი წამოწევა სატანური წამოწევაა!... შენ, რომელიც თავს ქრისტესს უწოდებ, და ამავე დროს არ იცნობ ქრისტეს მოძღვრებას! თუკი ამ მდღმოსილი, ზეციური მოძღვრებიდან ვერ გაგიგია, რომ ღმერთი კაცის გონებისათვის შეუცნობელია და მოუწვდომელი, — წადი სკოლაში, ყური დაუგდე, რას ასწავლიან ბავშვებს. მათემატიკის მასწავლებელი მათ უხსნის, რომ უსასრულო განუსაზღვრელი სიდიდე, არ შეიძლება ემორჩილებოდეს იმ კანონებს, რომელსაც ემორჩილება განსაზღვრული სიდიდეები — რიცხვები, რომ მისი შედეგები, შესაძლოა, სრულიად საწინააღმდეგო იყოს რიცხვთა შედეგებისა... შენ კი ვინდა, კანონები დაუწესო ღმერთის კულმოწევაებს და ამბობ, ეს ეთანხმება მას, ეს ეწინააღმდეგებაო, — იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეთვისება იგი შენს საღ აზრს, შენს წარმოდგენებსა და შეგრძნებებს! რატომ გგონია, რომ ღმერთს ყველაფერი ისე უნდა ესმოდეს და ისე გრძობდეს, როგორც შენ გრძობ და გესმის? არადა სწორედ ამას მოითხოვს ღმრთისაგან. აი, ყოვლად განუსაზღვრელი და უდიდესი სიამაყით აღსავსე წამოწევა! მაშ საღი აზრისა და სიმდაბლის არქონაში მაინც ნუ სდებ ეკლესიას ბრალს, ეგ შენი, საკუთრივ შენი ნაკლია! წმიდა ეკლესია კი განუსრულად მიჰყვება თავად ღმრთის მიერ განცხადებულ სწავლებას ღვთაებრივი ქმედების შესახებ. მას მორჩილად მისდევს რწმენით განათლებული მისი ჭეშმარიტი შვილები, რომელთაც დადრიკეს ღმერთთან მორჩინალი, მზობარნი გონება. ჩვენ გვწამს, რომ ღმრთის შესახებ მხოლოდ იმის ცოდნა ჩვენთვის შესაძლებელია, რაც თავად უფალმა გამოგვიცხადა! რომ იყოს სხვა გზა ღმრთის შემეცნებისა, რომელსაც საკუთარი ძალისხმევით გავუკვლევდით ჩვენს გონებას, მაშინ ადამიანს არ მიეცემოდა ზეციური გამოცხადებანი. აუცილებელია ისინი ჩვენთვის და ამიტომაც გვეძლევა. რა ამაოა და მცდარი კაცობრივი ნააზრევი, ადამიანური გონების მიმოკვეთება!

თქვენ ამბობთ, მწვალებლები იგივე ქრისტიანები არიანო, საიდან მოიტანეთ? თუ არა უკიდურესად უმეცარი, ქრისტიანი რომ ჰქვია და არაფერი იყოს კი ქრისტეს შესახებ, სხვა ვინ გაბედავს და იტყვის, თითქოს ისეთივე ქრისტიანია, როგორც რომელიმე მწვალებელი, ხოლო წმიდა ქრისტიანული სარწმუნოება არაფრით განიხრევა წვევის შვილთა ღმრთის მგობი მწვალებლობისაგან! ჭეშმარიტი ქრისტიანები სხვაგვარად

მსჯელობენ ამის შესახებ! წმიდა მოწამეთა ურიცხვმა საკრებულომ დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი მწვალებლობასთან ბრძოლაში. მათ უსასტიკესი, ხანგრძლივი ტანჯვა-წამება და სატუსაღოები არჩიეს ღმრთის მგობი სწავლების გაზიარებას. მსოფლიო ეკლესია ყოველთვის აღიარებდა, რომ მწვალებლობა მომაკვდინებელი ცოდვება, რომ ადამიანი, რომელიც ამ ს შინელ სენითაა დაავადებული, - მკვდარია სულით, - განშორებულია ღმრთის მადლისა და ცხონებისაგან, თანაზიარია ეშმაკისა და მისი დამღუპველი საქმეებისა. მწვალებლობა გონების ცოდვება, იგი უფრო სატანისეულია, ვიდრე ადამიანური. იგი ასულია ეშმაკისა და მის მიერ გამოგონილი უსჯულოება ესე ახლოა კერპთაყვანისმცემლობასთან.

წმინდი № 54

ეკლესიის წმიდა მამები კერპთაყვანისმცემლობას - უსჯულოებას, სოლო მწვალებლობას - ბოროტის მსახურებას უწოდებენ. კერპთმსახურებისას ეშმაკი თვითონ იღებდა ღმრთის კუთვნილ პატივს დაბრმავებული ადამიანებისაგან, სოლო მწვალებლობით იგი მათ თავისი უმთავრესი ცოდვის, ღმრთის გმობის თანაზიარად იზღის: ის ვინც ყურადღებით წაიკითხავს „საკეკლესიო კრებათა შესაქმეს“, ადვილად დარწმუნდება, რომ მწვალებელთა ხასიათი მთლიანად სატანურია. დაინახავს მათ საშინელ თვალთმაქცობას: განუზომელ სიამავეს, მათ საქციელს, რომელიც მუდამ სიცრუითაა განმსჭვანულელი, დაინახავს მათ ბილწ ვნებებს, იმას რომ თუკი მიეცათ შესაძლებლობა, ყოველთვის მზად არიან ჩაიდინონ საზარელი ბოროტმოქმედება. განსაკუთრებით თვალში საცემია მწვალებელთა შეურიგებელი სიძულვილი ჭეშმარიტი ეკლესიის შვილების მიმართ, რომელთა სისხლიც მათ მთელი არსებით სწყურიათ! მწვალებლობა გულის განბინებობასთან, გონების საშინელ დაბნელებასა და დაზიანებასთანაა დაკავშირებული. იგი მყარად მკვიდრდება მის მიერ მოწამულ სულში და მეტად ძნელია ადამიანის განკურნება ამ მიმე სენისაგან. ყოველი მწვალებლობა შეიცავს სული წმიდის გმობას: იგი ან სული წმიდის დოგმატს გმობს, ანდა სული წმიდის მოქმედებას, მაგრამ აუცილებლად გმობს სული წმიდას. ყოველგვარი მწვალებლობის არსი არის გმობა ღმრთისა. წმ. ფლავიანემ, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომელმაც საკუთარი სისხლით აღბეჭდა ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებლობა, კონსტანტინოპოლის ადგილობრივი კრების განჩინება ერესიარს ეპტიქიზე ამგვარად გადმოსცა: „ეპტიქი, აქამომდე ხუცესი, არქიმანდრიტი, სავსებით მხილებულია, როგორც თავისი წარსული მოქმედებით, ასევე - აწინდელი ახსნა-განმარტებებით, ვალენტინისა და აპოლინარის ცდომილებაში და მათი ღმრთის გმობის ჯიუტად დაცვაში, - მითუმეტეს, რომ მან არ შეიწყენარა ჩვენი რჩევა-დარიგებანი - მიედო ჭეშმარიტი სწავლება; ამიტომაც ვტყობთ და მოვთქვამთ მის დაღუპვასა და საბოლოო წარწყმედას, და სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ვაცხადებთ, რომ იგი ღმრთის გმობაშია ჩაყარდნილი; რომ მას ჩამორთმეული აქვს სამღვდლო წოდება, აღკვეთილი აქვს ჩვენთან ერთობა და ეკრძალებ

ბა მონასტრის განმგებლობა. ამით ჩვენ ვაუწყებთ ყველას, რომ ვინც კი ამიერითგან ისაუბრებს მასთან ან ინახულებს მას, თ ვადაც განკვეთა ელის. ეს განჩინება მიიღო მთელმა ეკლესიამ, ესაა მსოფლიო ეკლესიის მოკლე განჩინება მწვალებელთა თაობაზე, იგი დაამტკიცა ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრებამ. ეპტიქის მწვალებლობის არსი ის იყო, რომ იგი უარყოფდა ეკლესიის სწავლებას მაცხოვრის ორი ბუნების შესახებ - იგი აღიარებდა მასში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას. თქვენ მეტყვით: - ეგ არის და ეგ, მეტი ხომ არაა ფერიო?! სასაცილოა, ერთის მხრივ, თავისი უმეტრების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი არსით და შედეგებით მეტად სავალალო ის პასუხი, რომელიც ერთ-ერთმა ძლიერმა ამა სოფლისამ გაუგზავნა ალექსანდრიის პატრიარქს, წმ. ალექსანდრეს, არიონის მწვალებლობის შესახებ. ეს პიროვნება ურჩევს პატრიარქს შეინარჩუნოს მშვიდობა, არ წამოიწყოს დავა, რომელმაც შეიძლება ქრისტიანული სულისათვის ეგზომ მიუღებელი განხეთქილება გამოიწვიოს. იგი წერს, რომ ვერ ამჩნევს არიონის სწავლებაში რაიმე საძირახისს; მხოლოდ სიტყვებშია განსხვავება და მეტი არაფერი! „ეს განსხვავება სიტყვებში“ - შენიშნავს ისტორიკოსი ფლერი, - რომელშიც თითქო არაფერია „საძირახისი“, უარყოფს იესო ქრისტეს ღვთაებრიობას, ძირს ამოზბს მთელს ქრისტიანულ სარწმუნოებას. აღსანიშნავია, რომ ყველა ძველი მწვალებლობა, მიუხედავად თავისი სხვადასხვაობისა, ერთი მიზნისაკენ ისწრაფოდა - ისინი უარყოფდნენ ქრისტეს ღვთაებრიობას და ამახინჯებდნენ მისი განკაცების დოგმატს. უახლესი მწვალებლობები კი უარყოფენ სული წმიდის მოქმედებას. მწვალებლებმა საშინელი გმობით უარყვეს საღმრთო ლიტურგია, ეკლესიის ყველა საიდუმლო, ყოველივე ის, რაშიც მსოფლიო ეკლესია სული წმიდის მოქმედებას აღიარებს: ყველაფერ ამას მათ კაცობრივი დადგინებანი უწოდეს, უფრო კდნიერად კი - ცრურწმენა, შეცდომა! რა თქმა უნდა, მწვალებლობაში თქვენ ვერ ხედავთ ქურდობას და ძალადობას. იქნებ ამიტომაც არ მიგაჩნიათ იგი ცოდვად? მაგრამ აქ უარყოფილია ძე ღმრთისა, უარყოფილია და დაგმობილია სული წმიდა, ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი! ღმრთის გმობის სწავლების მიმღებელი და დამმარხველი, ის ვინც წარმოთქვამს ღმრთის გმობას, არც ავაზაკია და არც მპარავი, თავისი დაცემული ბუნების შესაბამისად კეთილ საქმეებსაც იქმს - ის მშვენიერი ადამიანია! როგორ იქნება, რომ ღმერთმა ასეთი კაცი არ აცხონოს!... მიზუნი თქვენი უკანასკნელი ცდომილებისა, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენისა, ქრისტეანობის ჯეროვანი არცოდნა გახლავთ!.

ასეთი უმეტრება უმნიშვნელო ნაკლი როდია! მას შეიძლება დამღუპველი შედეგებიც მოჰყვეს. მითუმეტეს ახლა, როცა ასე მომრავლდა წიგნები ქრისტიანული სათაურითა და სატანური შინაარსით. სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლების არცოდნის შედეგად შეიძლება, რომ მცდარი და ღმრთის მგმობი აზრი სიმართლედ მიიღოს, შეითვისოს იგი და მასთან ერთად მარადიული სიკვდილიც. ღმრთის მგმობი არ ცხონდება! წერილში გამჟღავნებული თქვენი ყველა მიუხედავლობა უკვე საშიშ შემსემნლად ევლინება თქვენივე ცხონებას. მათი არსი ქრისტეს უარყოფაა! ნუ ეთამა-

შებით საკუთარ ცხონებას, ნუ ეთამაშებით! თორემ მარადიული ტირილი იქნება თქვენი ხვედრი. შეუდგით ახალი აღთქმის და მართლმადიდებელი კვლევის წმიდა მამათა კითხვას (და არა ტერუზასი, ფრანცისკისა და სხვა დასაუღლები შეშლილებსა, რომელთაც მათი მწვალებლური კვლევისა წმიდანებად ასალებს!); შეისწავლეთ მართლმადიდებელი კვლევის წმიდა მამებისაგან, როგორ გაეივით სწორად წმიდა წერილი, როგორი ცხოვრება, აზრები და გრძობები შეჰყურის ქრისტეანს. წმიდა წერილითა და ცოცხალი სარწმუნოებით შეიცანით ქრისტე და ქრისტეანობა. უცადეთ, სანამ დადგებოდეს საშინელი ეპი ღმრთის სამსჯავროს წინაშე წარდგომისა, მოიპოვოთ განმართლება ღმრთისა მიერ, რომელიც უსასყიდლოდ ეძლევა უფლისაგან ყოველთა კაცთა, ქრისტეანობის მეშვეობით.

მშვენიერია თქვენი სურვილი — გამოცდილი მოძღვრის სრულ მორჩილებაში ყოფნა. მაგრამ ჩვენს დროში აღარ არის ეს ღვაწლი — არათუ ერში, არამედ მონასტრებშიც კი. აზროვნებისა და ნების მოკვდინება არ ძალუძს მშვენიერ კაცს, რაგინდ კეთილი და სათნო არ უნდა იყოს თავისთავად ეს კაცი. ამ საქმისთვის აუცილებელია მადლმოსილი მამა: მხოლოდ მას ძალუძს მოწაფის სულის ხედავა, მხოლოდ იგი ჰვრეტს, საიდან საით მიემართებიან სულიერი მისწრაფებანი წურთვნილში. მოწაფე მოვალეა საკუთარი სინდისის სიწმინდისათვის ზუსტად და დაწვრილებით აღიაროს თავისი გულისთქმები, მაგრამ მოძღვარი მოწაფის სულიერი მდგომარეობის შეფასებისას ამ აღსარებით როდი უნდა ხელმძღვანელობდეს, იგი სულიერი ხედვით უნდა ჩაწვდეს მოწაფის სულს და აუხსნას მისი მდგომარეობა. ასე იქცეოდნენ პაპები დიდი, თეოდორე განწმენდილი და ბერ-მონაზონთა სხვა წმიდა მასწავლებლები. „მამხილე, მამაო!-სთხოვდნენ თეოდორე განწმენდილს მისი მოწაფეები, და იგიც, შთაგონებული სულითა წმიდითა, თვითუელს გამოუცხადებდა მათში დაფარულ სულიერ წყლულებებს. ეს დიდი მამები „მონაზონურ მორჩილებას“ სული წმიდის განსაკუთრებულ ნიჭად მიიჩნევდნენ, ამას ამოწმებს მათი თანამედროვე; დირსი კასიანე. მორჩილება „სასწაულია რწმენისა“, და მისი აღსრულება მხოლოდ ღმერთს ძალუძს. ამიტომაც სწადიოდნენ ამ სასწაულს მარტოოდენ ის ადამიანები, რომელთაც ნიჭი მორჩილებისა ზეგარდმო ჰქონდათ მომადლებული. მაგრამ როდესაც კაცნი განიზრახავენ საკუთარი ძალისხმევით მიაღწიონ იმას, რასაც მხოლოდ ღმერთი იძლევა, მაშინ მათი შრომა ფუჭია და ამაო, ისინი ჰგებან სახარებაში ნახსენებ მშენებლებს, რომლებმაც შესაფერისი მასალის გარეშე წამოიწყეს სვეტის შენება. ვეღა გამგებელი, ანუ დემონები და ვნებები, სასაცილოდ აიგდებს ამგვარ მშენებლებს, რამეთუ ერთი შეხედვით ისინი კეთილ საქმეს სწადიან, სინამდვილეში კი მწარედ ტყუვდებიან, საკუთარ ვნებებს ემონებიან და ეშმაკის ნებას მისდევენ. მრავალს ეგონა, მოძღვრის მორჩილებაში ვიმყოფებიო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკუთარ ვინს იმყოფილებდნენ და გულის განხურვებით იყვნენ ცთუნებულნი. ბედნიერია იგი, ვინც სიბერეში მაინც მოასწრებს სინანულის ცრემლის ჩა-

მოგდებას სიყრმის გატაცებების გამო. ბრმა წინამძღოლებსა და მათ მიმდევრებზე ბრძანა უფალმა: „ბრმა ბრძანა თუ წინა-უძღვინ, ორნივე მოხრებულსა შთაცვივიან“ (მთ. 15,14).

სხვაგვარი ღვაწლი ხედა წილად ჩვენს დროს, შეერთებული მრავალ სიძნელესა და წინააღმდეგობასთან. მოგზაურობა გვიხდება არა დღისით, შვის სინათლეზე, არამედ ღამით, მთვარის და ვარსკვლავების მკრთალ შუქზე, სახელმძღვანელოდ მოგვცა წმ. წერილი — ამას პირდაპირ ამბობენ ბოლო დროის წმ. მამები. საღმრთო წერილით ხელმძღვანელობისას სასარგებლოა ჩვენთა მოყვასთა რჩევებიც, იმათი, ვინც თვითონ ცხოვრობს მამათა ნაწერების მიხედვით. ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩვენი ღვაწლი მოკლებული იყოს მწუხარებებსა და გვირგვინებს — არა! იგი მოწამეობასთანაა შეერთებული. ეს მოწამეობა ჰგავს ღმრთის ტანჯვას სოდომში: მართალი ღმრთის სული იტანჯებოდა გარშემო გამგებელი გაუთავებელი და დაუკებელი მრუშობით. ჩვენც ვიტანჯებით, ყოველი მხრიდან გარემოცულნი ადამიანებით, რომლებმაც უღალატეს ჭეშმარიტებას, ცოლევი კავშირით შეეკრნენ სიცრუეს, შეიძულეს ღმრთივ შთაგონებული წმ. წერილი, ჯოჯოხეთური ლანძღვა-გინება, ცილისწამება და დაცინვა დაატყვეს მას. ჩვენი ღვაწლი სათნოეუფაა ღმერთს: მის სასწორზეა აწონილი ჩვენი უძლურებაც, შესაძლებლობებიც, გარემოებებიც, და თვით ჩვენი დროც. ერთ დიდ მამას ასეთი გამოცხადება ჰქონდა: იხილა ამსოფლოური ცხოვრება ზღვის სათით. ძველი დროის მოღვაწეებს ცეცხლოვანი ფრთები მიეცათ და მათ ელვასავით გადაუარეს ვნებათა ზღვას. ბოლო დროის მოღვაწეებს ფრთები არ მიეცათ, ისინი ზღვის პირას ისხდნენ და ტიროდნენ. მაშინ მათაც უბოძეს ფრთები, მაგრამ ცეცხლოვანი კი არა, სხვაგვარი, სუსტი. მათაც აიწყეს ზღვის გადალახვა, მაგრამ რადგანაც ძლიერი ფრთები არ გააჩნდათ, სწორად ცვიოდნენ წყალში, ძლივსძლიობით აღწევდნენ თავს ტალღებს და ფრენას განაგრძობდნენ. ბოლოს, მრავალი გაჭირვებისა და დიდი წვალებისა, ნაპირს მიაღწიეს.

ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას. განუსჯელად ნუ მოვიდომებთ თავს ვიღოთ დიდი მოღვაწეობა, რომელიც აღემატება ჩვენს ძალებს: მოიწვიებთ მივიღოთ მცირე ღვაწლი, თითქოსდა ხილულად რომ გვაძლევს ღმერთი: სწორედ ისაა ჩვენი უძლურების შესაფერი. აღვასრულოთ ეს ღვაწლი წმ. ჭეშმარიტების ერთგულებით და ამა სოფლის ხმაურთან, უზარმაზარი ბრბოდან, რომელიც ფართო და ვრცელი გზით მიჰყვება რაციონალიზმს, გადავიდეთ ეკლესიის და წმ. მამების მორჩილების ვიწრო გზაზე, რომელიც ღმერთისაკენ მიდის. ცოტანი მიდიან ამ გზით? მეგრე რა! უფალმა ბრ ანა: „ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო — იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი. შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაი, რომელსაც მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვუენან მას ზედა. ვითარ — იგი იწრო არს ბჭე და საჭირველი გზაი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოუებენ მას.“

(ლკ. 12,32; მთ.7,13-14).

საღვთისმეტყველო და სამოღვაწეო თაყნი

(გაგრძელება)

12. ძმარ, ერიდე მუდამ ნაყოფანებას, თვითგვემასა და უკიდურეს განდგომას. თუკი ამას გაითვალისწინებ, ყოველთვის და ყველაფერში ნამარხულვე იქნები, თავშეკავებული და შენს ნება-სურვილს უარყოფ; და არა მარტო ამას მიაღწევ, არამედ, ოდეს გულში დანთებული ცეცხლიც მიინაველება, დალუპავს რომ გიქაძვდა, ყველაფერი დაიმსხვრევა, რასაც ეჭვის თვალით უშურდი.

13. ოდეს დემონები ყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ დაიპყრობენ, ვერ მოასწრებენ ოღონდ ღმერთზე ჩვენი შეხედულების შებღალტას, ან დაბრკოლებას მცნებათა აღსრულებაში, მაშინ მიმართავენ მოჩვენებითად ღვთისმოსავთ და მათი საშუალებით ექნებათ მცდელობა დააბრკოლონ ახლადამწყვებთა მოღვაწეობა სათნოებაში. უპირველეს ყოვლისა, თითქოსდა სიყვარული და თანაგრძნობა ამოძრავებდეთ, ურჩევნ მათ არ იუცხოონ ხორციელი სიტკბოებანი, რათა სხეული, როგორც ამბობენ, არ დაძაბუნდეს და ერთობ არ აღმოჩნდეს დაღრევილობაში. შემდეგ, აბამენ უსარგებლო საუბრებში, მთელი დღეების მანძილზე აიძულებენ, რომ მხოლოდ ილაყბონ. არც ამას აკმაყბენ; თუ ვინმე ეჭვიანი მოისმენს მათ რჩევებს და შესაბამისად მოიქცევა, მაშინ ისეთ სიცილს დააყრიან, თითქოსდა უხაროდეთ მისი დაღუპვა. ხოლო მათ ნათქვამს თუ ყურად არ იღებ მავანი და საქმეებს წარმართავს გარეშე პირთა ჩაურევლად, მაშინ აღივსება შურით და ამხედრდება მის წინააღმდეგ, მიმართავენ ყველანიარ ხრიკს, რათა გააძეონ იგი მონასტრიდან. რამეთუ პატივმოყვარისათვის აუტანელია თავმოწონედ ცქერა იმისა, თუ როგორ უქებენ თვალწინ ჭეშმარიტ მორჩილებას.

14. ავადმყოფურად იტანჯება პატივმოყვარე, რომელიც ხედავს, თუ როგორ ღვრის ცრემლებს მორჩილი, ღმერთს შეწყალებას შესთხოვს და ხალხსაც აქეზებს უნებლიედ ღვთის სადიდებლად.

15. ოდეს მიანდობ შენს სულიერ მამას ყველაფერს, იცოდე, რომ მსგავსად უცხოელისა, უცხო ხარ ყველაფრის მიმართ, რასაც იგი დააბატონე, როგორც ამბობენ, ადამიანების, ნივთებისა და ფულის მიმართაც.

16. შენი ღვთისმთავარი სულიერი მამის ნებართვის გარეშე არც იფიქრო მოწყალების გაღება შენს მიერ დაგროვილი ქონებიდან. არც ვინმე შუამავლის საშუალებით შეეცადო რაიმეს აღებას იქიდან. რადგან უმჯობესია იყო ღარიბ-ღატაკი და უცნაურადაც ითვლებოდე, ვიდრე გაფლანგო და მისცე გლახაკთა საჭურჭლე, როდესაც თავად ახლადფუხადებული ხარ ჯერ კიდევ. უნიხლო რწმენა შენი სულიერი მამის სურვილით, როგორც ღმერთის ხელიდან, ყოველივეს გაგაცემინებს.

17. ყლუბი წყლის დაღუპვაც არ ითხოვო, თუნდაც წყურვილით იხრჩობოდე, ისე, რომ შენმა სულიერმა მამამ თავად არ განსჭვრიტოს და ნება არ დაგართოს ასე მოიქცე. მოიხლდე თავი და განკურნალე ამ სიტყვებით შთაგონებული: იყავნ ნება შენი, ღმერთო, და ღირსი-

ქმნები შესხად წყლისა, ანუ იგი ჩააგონებს შენს სულიერ მამას რომ გითხრას: შესვი. და მისვე დაქაფები წყალს სუფთა სინდისით, თუმცაღა შესაძლოა შენთვის არ იყოს ეს ხელსაყრელი და არც დროული.

18. ვისაც გამოცდილებით შეუცვნი სიკეთე სულიერებისა, მოუპოვებია უტყუარი რწმენა, დაუსახავს ღმერთი მოწმედ ჭეშმარიტებისა, უთქვამს: მე განზრახული მაქვს არასოდეს მოვიწადინო არც ჭამა, არც სმა, არც ვთხოვო რაიმე ჩემს სულიერ მამას, და საერთოდ, არაფერი ვაკეთო ისე, რომ ღმერთი არ შთააგონებდეს მას მე დამაველოს ეს. და მეც, ასერიად მოქმედს, არც არასოდეს, — ამბობს, — გამცრუებია იმედი.

19. ნამდვილი რწმენის მომხვეჭელი, როდესაც ხედავს თავის ღვთისმთავარ მამას, თავად ქრისტეს ხედავს პერონია და მის გვერდითაა თუ მას მისდევს, უკვლად სწამს ქრისტესთან თანახიარობა და სვლა მისი გზით. ასეთი ადამიანი არასოდეს ისურვებს საუბარს ვინმე სხვასთან და უპირატესობასაც არასოდეს მიანიჭებს რაიმეს საერო ნივთებიდან, ნიშნად მისი ხსოვნისა და სიყვარულისა. განა იქნება რაიმე იმაზე კარგი და სასარგებლო აწყო და მომავალ ცხოვრებაში, ვიდრე ქრისტესთან თანახიარობა? რა იმაზე უღამაზესი და უტკბესი, ვიდრე მისი ჭვრეტა. თუკი ღირსებია ვისმე მაინც მასთან საუბრები უცილობლად მიუღია მისგან საუკუნო ცხოვნება.

20. შემწვარებლურად მოუვარული მამაკეთელთა, მოძულეთა, მატორებელთა და მლოცველი მათთვის უმოკლეს დროში მიაღწევს უდიდეს ნეტარებას. რამეთუ, ოდეს ამგვარი გრძობა დაისადგურებს გულში, იგი ამ გზით უბიძგებს კეთილად განწყობილს მორჩილების უწყურებისაკენ და იქიდან ცრემლთა ნაკადულებში ჩაძირული სულის სამივე ნაწილი გამოაქვს (ე.ი. გონითი, ნატვრითი და ემოციური) ასტვორცნის გონს უნებობის ცაში და გადააქცევს ჭვრეტითად. იქაური მადლის გემება კი განაწყოებს მას არად შერაცხოს ყველა სიკეთე აწყო ცხოვრებისა და აღარც სასმელ-საჭმელი მიიღოს ისე დაგემოვნებითა და ხშირ-ხშირად.

21. მოღვაწე ბოროტ საქმეებს როდი უნდა განვიდოს მხოლოდ, არამედ მართებს ზრახვათაგან და საწინააღმდეგო აზრთაგან განთავისუფლებაც; მუდამაჲ მოცული უნდა იყოს სულის აღმაფრენი და ჰაეროვანი მოვლენებით, რათა არ გაერთოს ყოფითი ნივთების მოვლამრუნველობაში.

22. იმ ადამიანის მსგავსად, რომელმაც მთლიანად გაიშოშვლა ტანი, თვალბზე კი საბურველი აიფარა და არ მისურვებ მისი თავიდან მოცილება და გადაგდება, ვერ შეძლო სინათლე დაეხანჯებინა გაშოშვლებული სხეულის მხოლოდ ამ ერთი ნაწილისათვის. ასევე დამტყვევებული მთელი თავისი ქონებისა, ფულისა და თავისუფალი ამასთან დაკავშირებული ყოველგვარი ვნებისაგან, თუ ყოფით მოვლენებსა და ავ ზრახვას არ მოცილებს

და სულის თვალს არ აჩვენებს, ვერ დაინახავს ვერასოდეს გონით ნათელს—მეუფესა ჩვენსა იესო ქრისტეს და ღმერთს.

23. რასაც წარმოადგენს აფარებული საბურველი თვალებისათვის, იგივეა საერო ზრახვანი და ყოფითი მოგონებები გონებისათვის და სულის თვალისათვის. ვიდრე მათ არ ჩამოეცილებოთ, ვერაფერს დაინახავთ. როდესაც მათ აღვხვდებით, მხოლოდ მაშინ შევაძენვეთ ჭეშმარიტ ნათელს, რომელიც იმქვეყნად მიმავალ ყოველ ადამიანს აბრწყინებს.

24. ვინც უსინათლოა დაბადებიდანვე, იგი ვერც შეიკნობს და ვერც ირწმუნებს დაწერილის ძალას. მაგრამ თუკი ოდესმე ეღიროს თვალის ახელა, ზემოთ ნათქვამის სრულ ჭეშმარიტებაში დაგვემოწმება.

25. ვისაც მხედველობა აქვს თვალებით ხედავს და უწყის როდის დღეა და როდის ღამე; უსინათლომ არც ერთი იცის და არც მეორე. სულიერად თვალახელილი და გონების თვალთ მხირალი, თუკი ჭეშმარიტსა და დაუსაბამო ნათელს იხილავს და დაუდევრობასა და გაუფრთხილებლობას გამოიჩინებს, კვლავ დაუბრუნდება თავდაპირველ სიბრძნევას და ნათელს დაჰკარგავს. მაშინ შეიკნობს ამ დანაკარგის ფასს და მიხვდება, თუ რა გასაკვირიც დაატყდა თავს. ხოლო დაბადებიდანვე უსინათლომ არაფერი უწყის არც გამოცდილებით, არც მოქმედებით. ნუთუ მონაჭორის ყურისმოკერით და მხოლოდ იმის ცოდნით, რაც თვალთაგან არ უხილავს არასოდეს, დაიწყებს იგი მოყოლას სხვებთან ამის თაობაზე? მათ ხომ არ ეცოდინებათ დანამდვილებით არაფერი იმ ამბებზე, რაზეც საუბრობენ.

26. შეუძლებელია ერთდროულად მუცელიც ამოიყურო მაძღრისად სასმელ-საჭმელით და სულიერადაც ნეტარებდე გონებრივი და ღვთაებრივი მადლის მფლობელი. რამეთუ, რაოდენცა იღწვის მავანი მუცლისათვის, იმდენადვე განეშორება სულიერ მადლს და პირიქით, რაოდენცა სხეულს გვემს, იმდენადვე აღივსება სულიერი საზრდოთი და სიმშვიდით.

27. დაუტკოთ ყოველივე მიწიერი, მხოლოდ სიმდიდრე, ოქრო, ყოველდღიური სახმარი კი არა, არამედ განვდექნით ჩვენი სულებიდან მათდამი ავხორციული მისწრაფებანიც. შევიძაგოთ არა მარტო ხორციელი სიტკბოებანი, არამედ მათი გამოუთქმელი მოძრაობებიც და ვეცადოთ ჩაკვლათ ისინი შრომით და გარჯით. რამეთუ ეს არის თავი და თავი ავხორციობისა და საქმეებშიც განცხადდება. ვიდრემდე იგი არსებობს, ძალაუნებურად, გასატვირთი მყოფი ჩვენი სულიც მკვდარია და ძნელად ემორჩილება, ანდა სრულიად უძრავია ღვთის მცნებათა მიმართ.

28. როგორც ცეცხლის ალი ყოველთვის მიიღტვის ზევით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საწვავს ამობრუნებს, რომელშიც ცეცხლი ღვივის და ანთია, ასევე პატრიმყოფარე გულსაც არ ძალუძს და მოშინება. როგორც კი ეტყვი, თუ რა არის მისთვის სასარგებლო, მაშინ უფრო და უფრო აღენთება. საკმარისია ამხილო ან ჭკუა დაარიგო, რომ გაზულქმდეს, ხოლო ქების ან მოფერების შემთხვევაში, გაებღინძოს ბოროტს.

29. შევაძათებას დაჩუქული ადამიანი თავისი თავისთვის არის ბასრი ორღესული ცული: სულს ანადგურებს შეუცნობლობით და ამასთანავე უცხოს ხდის მისთვის

საუკუნო ცხოვნებას.

30. მოკამათე ჰგავს საკუთარი მეფის მტრებს დანებებულ ადამიანს თავისი ნებით. კამათი არის ანკისი, რომელსაც ფალიად მართალი სიტყა აქვს, მისი გამოისობით მოხიბლულნი ცოდვების ანკესს შეეცქერიან. ცოდვილი სულიც ასევეა მიტაცებული ბოროტი სულები-საგან ენით და ხორხით,და ხან იფეთქებს ვაება, ხანაც ცოდვის ქაოტურ უფსკრულში ჩაინთქმება და გასამართლება ციდან ჩამოცვენილთა მსგავსად.

31. ვინც პატივყრილი და განაწყნებული ყოფილა, ძლიერი გულისტკივილი უგრძენია და აქედან გამოდინარე, იცის, რომ გულ-გვაშში გველი მყოლია ჩაბუდებული. თუკი შეეცდება მღვმარედ აიტანოს ის, რაც მის თავს ტრიალებს, ანდა ხმას ამოიღებს დიდი მოთმინების შემდეგ, მაშინ გველი ხდება არაქათაცელი და უძღური. ხოლო, თუკი გაცხარდება და მოურიღებელ კამათს ასტეხს, მაშინ გადასცემს გველს სიძლიერეს, გულში შხამს ჩაიდვრის და უწყალოდ გამოიჭამს გულ-გვაშს. ასე რომ, ეს გველი, ამგვარად მომძლავრებული დღენიადაგ, შთანთქავს მას, და ბოლოს, როდესაც უბადრუკი სული თავად გადაწვევტს მღვმარობის გამოსწორებას და შეეცდება წესისამებრ მიჰყვას ცხოვრებისეულ კეთილ საქმეებს, ძალა გველს უნდა გამოგლიჯოს. ასეთი გახდება მას შემდეგ, რაც ცოდვიან ცხოვრებას დაიწყებს და მკვდარი იქნება მისთვის სამართლიანობა.

32. თუკი ამქვეყნიდან განდგომას მოისურვებს, და მიეჩვევი სახარებით ცხოვრებას, ნუ დაემოწაფები გამოუცდელ და ნურც ისეთ მასწავლებელს, ვისთვისაც უცხოა ვნებები, რადგან ნაცვლად სახარებისმიერისა, ეშმაკულ ცხოვრებას არ მიჰყო ხელი. რადგან კარგ მასწავლებლებს გაკვეთილებიც კარგი აქვთ, ხოლო ცუდებს — ცუდი. ბოროტი თესლიდან აღმონაცენი კი ყოველთვის ბოროტია.

33. ლოცვითა და ცრემლებით ვედრე ღმერთს უვნებო და წმინდა მოძღვარი მოგივლინოს. მიჰყევ თავად საღვთო წერილს, განსაკუთრებით, წმინდა მამათა სამოღვაწეო წიგნებს, რათა შეადარო იმას, რასაც გასწავლის მასწავლებელი და მოძღვარი და შესძლო, როგორც სარკეში, ისე დაინახო რამდენად მისაღებია იგი შენთვის. შემდგომ, როცა წმინდა წერილთანაც შეაჯერებს, ეცადე ისინი გაითავისო და განიმტკიცო რწმენა. ხოლო რაშიც არ ეთანხმები, ჯერ ჯეროვნად განსაჯე და მერე უარუავი, რათა არ შეცდე. რამეთუ, იცოდე, რომ დასაბამითგანვე უთვალავი მჩხიბავი და ცრუმასწავლებელი გამოჩნდნენ.

34. სულით ბრმა, თუკი სხვების განსწავლას დაიწყებს, მჩხიბავია და მისი მიმდევარნიც დასალუბავად არიან განწირულნი. უფლის სიტყვით: „ბრმა ბრმასა თუ წინა-უძღუნ, ორნივე მთხრებლსა შთაცვია“ (მათე. 15,14.)

35. ვინც ბრმა ღმერთთან მიმართებაში, მთლიანად ბრმა ვეღლასთან და ვეღლაფერთან ურთიერთობაშიც. და პირიქით, ვინც ხედავს იმ ერთს, ხედავს ვეღლაფერს. ვისაც მხედველობა დაკარგული აქვს, ვერაფერს ხედავს და უძღურია. ვინც იმყოფება ღმერთში, ხედავს ვეღლაფერს და ვინც ღმერთის მიღმა დარჩენილი, ვერაფერს ხედავს ვეღლაფერში. ვინც ღმერთში იმ ერთადერთს ხედავს და თანამყოფობს მასთან, ვეღლაფერს

ხედავს და თავის თავსაც. ღმერთში მყოფი არაფრი-
დან ხედავს ყველაფერს.

36. ვინც უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს, ზეციური ადამიანის და ღმერთის ხატებას გონებასა და სულში ვერ გაიშინაგნებს შერგნებითა და ცნობიერებით, იგი მხოლოდ სისხლია და მხოლოდ არ ძალუძს სულიერი დიდების შერგნება სიტყვის მეშვეობით, მსგავსად დაბადებიდანვე ბრძებისა, რომლებიც შხის სინათლეს ვერ შეიცნობენ მარტოოდენ სიტყვების მეშვეობით.

37. ვისაც ამგვარად ესმის, ხედავს და გრძობს, მან უწყის ძალა „ძისა ღმრთისასა მამაკაცად სრულად, საზომად პასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4.13) — როგორც ნათქვამია. ასეთი ადამიანი კარგად მოშვეშავს ღმერთის მცნებების გზით შემდგობთ და ქრისტეს ფარას. ხოლო ვინც ეს არ იცის და არც ასეთია, ცხადია, გრძობა სულისა სინათლესა მოკლებული და არაჯანსაღია. გაცილებით უმჯობესია მისთვის თავად მოიშვეშოს, ვიდრე უწინამძღვროს და საფრთხეში ჩაიგდოს თავისი თავიცა და სხვებიც.

38. ვინც გულმოდგინედ უსმენს თავის მოძღვარსა და წინამძღვარს, როგორც ღმერთს, შეპასუხება არ შეუძლია. ვინც ფიქრობს და ამბობს, რომ ერთიც შეუძლია და მეორეც (ე.ი. რომ იგი უსმენს თავის მოძღვარს, როგორც ღმერთს, და ეპასუხება კიდევ), თუ ხვდება, რომ გზას არის აცდენილი: ანდა არ სმენია, ღვთისნიერადამიანთა მოწიწება ღმრთისადმი.

39. ვისაც სწამს, რომ მოძღვრის ხელშია მისი სიკვდილ-სიცოცხლე, ის არასოდეს გაუწყვეს წინააღმდეგობას მოძღვარს. სწორედ უმეცრება ბადებს სიტყვის შებრუნების სურვილს, რაც ხდება მიზეზი სულიერი და საკუნო სიკვდილისა.

40. ვიდრე დამნაშავეს განაჩენს გამოუტანდნენ, მას ეძლევა თავის გასამართლებელი სიტყვის თქმის უფლება: აღიაროს სასამართლოს წინაშე, რაც ჩაიდინა. მისი საქმის გამომჟღავნებისა და სასამართლოს განაჩენის წაკითხვის შემდეგ, იგი წინ ვერ აღუდგება განაჩენის სისრულეში მოყვანას.

41. ასეთი სამსჯავროს წინაშე წარდგომამდე და თავისი გულისხმადობის გამოუმჟღავნებამდე ბერი იქნებ საწინააღმდეგოს ლაპარაკობდეს, ნაწილს — უმეცრების გამო, ნაწილს კი, — საკუთარი აზრისა და საქმეების სხვათათვის დამალვის მიზნით. მაგრამ, გულისგახსნისა და გულისთქმითა გულწრფელი აღიარების შემდეგ, უკვე შეუძლებელია ოდესმე წინაღუდგეს თავის ღვთისმირმსაჯულსა და მეუფეს სიკვდილამდეც კი. რადგან, ბერი ამგვარი სამსჯავროს წინაშე წარმდგარი, როდესაც გაამიშვლებს თავის გულისხმადებს, იმთავითვე ირწმუნებს, თუკი გააჩნია ჯანსაღი აზრი, რომ იგი მრავალგზის სიკვდილს იმსახურებს, მაგრამ მორჩილებისა და თვინიერების გზით ყოველგვარი სატანჯველიდან და სასჯელისაგან თავისდაღწევასაც იწამებს, თუკი, რასაკვირველია, ჭეშმარიტად იცის ამ საიდუმლოს ძალა.

42. ვინც გონებაში წარუშლელად აღბეჭდა ყოველივე ეს, დამოდგრილს, გაფრთხილებულსა და მხილებულს არაფრის მიმართ გულისთქმისი აღარ აღუძვრის. რადგან, მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდნილი თავის სულიერ მამასა და მოძღვართან შესიტყვებისა და დაუჯერებლობის გამ ისობით ცოცხლადვე იძირება საცოდავად ჯოჯოხეთის სიღრმეში და ხდება სატანისა და არაწმიდა სულთა სამყოფელი, როგორც ურჩი და დასალუბად განწირული შვილი.

43. შენ გვედრები, მორჩილო, ოდეს მორჩილების უღელს დაიდგამ, მუღამეამ მისი გავლენის ქვეშ იყავი და გულმოდგინედ ეცადე არ ჩაიგდო თავი, როგორც ნათქვამია, ჯოჯოხეთის საკუნო სატანჯველში; დღესიად გულმხურვალედ ვეედრე ღმერთს და თქვი: ღმერთო და მეუფო ყოველთაო, რომელი ყოველ საფშინველსა და სულსა განაგებ, შენ, მხოლოო, განმკურნებელო ჩემო, შეისმინე ვედრება ჩემი და გველი, ჩაბუდებული ჩემს წიღში, სული წმიდის მიერ მიკვლეული, მოაკვინე და დითრგუნე და მე, უბადრუკსა და განძარცვულს ყოველგვარი სათნოებისგან, მასწავლე, რათა ვიდოდე ჩემი სულიერი მამის წმიდა ნაკვალევზე და გარდამოავლინე ემზედა სული წმიდა შემბრალებელი და შემწყნარებელი ჩემი. მიწყალე, მეუფეო, რომ მორჩილგქმნე გულითა და გონებითა მე, მუხლმოყრილი მონაწილი ცოდვილი წინაშე შენსა. და ნუ განმაგდებ სულთი ხორცამდე ერთგზის შენთან შერწყმულს და აღმსარებულს, ამქვეყნად ვველასგან გამორჩეულს და თავყვანისცემულს.

44. მათ, რომელთაც უმშვენიერესი ქვაკუთხედი რწმენისა და იმედისა ღვთისმოსაობის კართან დადევს სულითა და ძრწოლით, მტკიცედ დააყრდნეს ფეხნი სულიერ ამათა მორჩილების ქვას, შეისმინეს მათი შერგნებები, როგორც ღმერთის ბაგეებიდან წარმოთქმული, და დამშვიდებულ სულში უყოყმანოდ იწყეს აღსრულება მორჩილების საჯილდაო ქვაზე დაყრდნობილებმა, მალეც მიაღწიეს წარმატებას — მათში საფუძველი ჩაყვარა უდიდესსა და უპირველეს საქმეს — საკუთარი თავის უარყოფას. რამეთუ, აღსრულება სხვათა და არა ბირადი ნებისა, არა მარტო სულიერ თავგანწირვას ნერგავს, არამედ მთელს ქვეყნიერებაზე და მანგრეველად მოქმედებს.

45. ის, ვინც სიტყვას შეუბრუნებს თავის სულიერ მამას, ეშმაკებს ახარებს. ხოლო, ის, ვინც სიკვდილამდე მორჩილებს მას, თვით ანგელოსებსაც განაცვიფრებს. რამეთუ, ასეთი ადამიანი ღვთის საქმეს სწადის ძე ღვთისას მსგავსად, რომელიც თავისი მამისადმი მორჩილებას სიკვდილამდე, ჯვარცმამდეც კი აღასრულებდა.


(გაბრ მძლუპა იქნება)

ქველბერძნულიდან თარგმნა
მაია ივლიანაშვილი.



ნეტარ იყვნენ ღვწულნი სიმართ- ლისათვის, რამეთუ მათი არს სა- სუფიველი ცათა.

მერაბ კოსტავა



ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გვღვ-
ნიღუნ და გყვედრიღუნ, და თქვან
ყოველი სიტყვა გოროტი თქვენდა
მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხა-
როღუნ და მხიარულ იყვნით, რა-
მეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს
ცათა შინა.

შენ გვედრები სულით გლახაკი
ვინმე ღვწილი სიმართლისათვის,
თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო ხარკი
ვეღარ გავიღე თავი ღვთისათვის.
გამოუთქმელო წმინდა საბაოთ,
თვალაპურობილი მოგმართავ ზენარს.
მასმინე სიტყვა დაუსაბამო
ნუ ამარიდებ მშობლიურ მშერას.
არ მიიხოვია შავი დღისათვის
თვალის წილ თვალი, კბილის წილ კბილი,
არ განმიკითხო ცოდვებისათვის,
არ განმიტეო უძღები შვილი.
ოღეს ვირეკდე, განმიღე კარი,
ელვაჲ; ღრუბლებში შემოპარულო
და განმიხსნე სულის საყდარი
სასოებაო და სიხარულო.
როდესაც წართქვი: „იყავნ ნათელი“,
აღუნთო ჭალი შიანი ღამის,
აქლდა თვალი, ტამრის სარკმელი,
განმმარტებელი სანთელი გვამის.
შენ მიანიჭე ნათელი იმ მუეს,
რადგან გწაღია ჩვენც გავიმხევედეთ,
რომ იმავ თვალთ, რომლითაც გვიმზერ,
შენვე გზედავდეთ, შენვე გიმზერდეთ.
მამ რაღას ვაქნევ წელთა სიბერეს,
რაღას დამაკლებს ვამთა დინება,
თუკი მეოხად ხმა შენმეორი
და შენი მადლი მომეფინება.
სული მარტვილი აღვაპყარ შენდა
ოდიოგან ქმნილი შენეულ ხატად,
გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ
დაფარულთათვის მომაგებ ცხადად.
და დაფარული თუ გაცხადების
იმ პირველსიტყვის მადლით მთოვარო,
ღირსად მუავ შენი გამოცხადების
დამბადებულო და მაცხოვარო.
თუ სიღიად იმ პირველთქმულის
საღეთო სინედლის არის პირობა,
მომმადლე ლექსით აღვსებულ გულის
დაუშრეტელი ოქროპირობა
ცდაში მარჯვენა არ მომიცარო,
აბჯრად ამასხი ძალი თმენისა,
უკვდავებისა შთამასვი წვარო
შემასხი ფრთენი აღმაფრენისა.
და მაშინ ვიტყვი, რომ მსხვერპლი შენთვის
ეკლიან გზებზე ავათავთავე,
რადგან ვით სულის, ჭეშმარიტ ლექსის
სასუფიველი არის სათავე.
იმედი იგი, ყოვლის მძლეველი
მეოხად ჩვენდა შენგან ისახვის,
რადგან კაცთაგან შეუძლებელი
შესაძლებელი არის ღვთისათვის.
ჭეშმარიტების მიჯნურთა მწეო,
ბჭეთა დახშულთა ლოცვაჲ ფარულო,
მარადი მამის მარადო ძეო —
რწმენავ, იმედო და სიყვარულო.

ეპისტოლე დიოგენესადმი

ⴒ ⴒ ⴒ ⴒ ⴒ ⴒ ⴒ ⴒ

თხულება, რომლის თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთი უადრესი ძეგლია. იგი მიმართულია ვინმე დიოგენესადმი, რომელსაც სურს ჭეშმარიტება გაიგოს ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. ავტორი „ეპისტოლისა“ უცნობია, თუმცა თვით ძეგლიდან ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს მოციქულთა უშუალო მოწაფის შრომასთან. თხულების ბოლო ნაწილში ავტორი ასე მიმართავს დიოგენესს: „არა ვქადაგებ რაიმე უცხოთ, არც უგუნურად ვეძიებ რასმე, არამედ რადგანაც მოწაფე ვიქმენ მოციქულთა, ვარ მოძღვარი ხალხთა. რაც გადმომეცა, გადავცემ იმათ, რომლებიც ღირსეულად დაემოწაფნენ ჭეშმარიტებას“ (ბერძნული ტექსტი იხ. PG. 2, col.1181 A). მკვლევარები ნ. ბონვეჩი და რ. კონოლი მიიჩნევენ, რომ ეპისტოლის ავტორი არის ძველ ქართულ შწერლობაში კარგად ცნობილი წმ. იპოლიტე რომელი, რაც თხულებას III ს-ში შექმნილ ძეგლად წარმოაჩენს. პ. ანდრისენის აზრით, ავტორი უნდა იყოს ქრისტიანული აპოლოგეტიკის პირველი წარმომადგენელი კოდრატე (II ს-ის 1 ნახევარი), რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის IV ს-ის ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი ვესები კესარიელი (იხ. მისი „საკვლეპიო ისტორია“, 4,3,1-2). პ. ანდრისენი ფიქრობს, რომ ხსენებული ეპისტოლე გულისხმობს სწორედ კოდრატეს მიერ დაწერილ „აპოლოგის“, რომელიც დაკარგულად ითვლება. ყურადღებას იქცევს ის, რომ კოდრატე ტრადიციულად მოციქულთა მოწაფედ არის მიჩნეული. მოგვაქვს ვესების სიტყვები: „(ტრადიციულად) აილიოს პადრიანემ მიიღო ხელისუფლება. სწორედ მისდამი წარმოთქვა სიტყვა კოდრატემ (ლათ. Quadratus), რომელმაც შეთხზა აპოლოგია ჩვენი დუთისმსახურებისა, რადგანაც ზოგმა უკეთურმა ადამიანმა ქრისტიანთა (სიტყვ. „ჩვენიანების“) ვენბა განიზარაზა. ეს შრომა დღესაც გავრცელებულია მრავალ ძმათა შორის და ჩვენთანაც. [შრომაში] განიჭვრიტება ამ კაცის (ე. ი. ავტორის, ე. ჯ.) გონებისა და მოციქულბერივი მართლმკვეთელობის აშკარა ნიშნები. თვითვე ასახინოებს თავის სიძველეს, როდესაც ამგვარი სიტყვებით გვაუწყებს იგი: „ჩვენი მაცხოვრის საქმენი ყოველთვის იყო, რადგანაც ჭეშმარიტი იყო. ისინი, რომლებიც განკურნა მან და რომლებიც ალაღვიანა მკვდრეთით, არა მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც განიკურნენ და აღდგნენ, არამედ მარადის თანამყოფნი არიან, და არა მხოლოდ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც დიდხანს იყვნენ ისინი, ისე, რომ თვით ჩვენს დრომდეც მოაღწია ზოგმა მათგანმა“ (საკვლ. ისტ. IV, III, 1-2). მართალია, ევსების

მიერ ციტირებული სიტყვები კოდრატეს „აპოლოგიიდან“ შემოსხენებული ეპისტოლეს ტექსტში არ გვხვდება, მაგრამ რადგანაც ის ერთადერთი ხელნაწერი, რომელმაც „ეპისტოლე დიოგენესადმი“ შემოგვინახა, შუა ნაწილში ნაკლულია, შესაძლოა, შემოციტირებული სიტყვები სწორედ ამ ნაწილში ყოფილიყო. ძეგლის ატრიბუციის თაობაზე არის სხვა მოსაზრებანიც: პ. ი. მარუს მტკიცებით, ავტორი კლიმენტი ალექსანდრიელია (II—III სს.); ძველად, ბარატერიუსი ეპისტოლეს ავტორად კლიმენტი რომელს (I—II სს.) მიიჩნევდა (იხ. pg. II, col. 1165). საგულისხმოა გალანდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ავტორი იყოს მოციქულთა მოწაფე აპოლონი, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის „საქმე მოციქულთა“ (XVIII, 24—28): „პურიამ ვინმე, აპოლო (ძველი რედაქციით „აპელ“) სახელით, ალექსანდრიელი ნათესავით, კაცი სიტყვა-მეცნიერი, მოვიდა ეფესოდ, ძლიერ იყო წიგნთაგან. ესე იყო სწავლულ გზათა უფლისათა და მდღეარე სულითა, ეტყოდა და ასწავებდა ჭეშმარიტად იესუმსთვს და იცოდა ნათლისცემა ხოლო იოვანესი. ამან იყუო განცხადებად შესაკრებელსა შორის; ესმა მისი აკვლას და პრისკილას და მოიყვანეს იგი და უჭეშმარიტესად-რე უთხრეს მას გზამ უფლისამ; და ვითარი იგი ეგულებოდა მას აქაჲდ წიადსლვად, უბრძანეს მამათა და მოუწერეს მოწაფეთა მათ შეწყნარებაჲ მისი, რომელი მივიდა და შეეწეოდა მორწმუნეთა მათ ფრიად მადლისა მის მიერ“ (PG. II, col. 1165). პ. ლიცმანის აზრით, დიოგენესი, რომლისადმიც მიმართულია ეპისტოლე, შესაძლებელია ყოფილიყო მარკუს აველიუსის მასწავლებელი

თხულება, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია ერთადერთ ხელნაწერში, XIII—XIV ს-ისა, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. საშუაზაროდ, თვით ხელნაწერი დღეისათვის უკვე მოუწოდომელია, რადგანაც იგი 1870 წ.-ს დაიწვა ბიბლიოთეკასთან ერთად. საყურადღებოა, რომ ამ ხელნაწერში „ეპისტოლე დიოგენესადმი“ შეტანილი იყო წმ. იუსტინე მარტვილის (II ს.) შრომათა შორის.

რამდენადაც ხსენებული ეპისტოლე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია აპოსტოლურ-აპოლოგეტური პერიოდის ქრისტიანული შწერლობისა, იგი, ვფიქრობთ, ქართველი მეთოხველის ჯეოვან ყურადღებასაც მიიქცევს, რაც თავისთავად იქნება გამართლებს ამ ძეგლის ახალ ქართულად თარგმნისა. თარგმანი შესრულებულია ჟ. მინის გამოცემის მიხედვით (იხ. I. Migne, Patrologiae Graecae Cursus Completus, T.2. col. 1168—1185).

ეპისტოლე დიოგენესადმი

ვხედავ, რომ მეტად მოსურნე ხარ, რჩეულო დიოგენეტე, შეისწავლო ქრისტიანთა ღვთისმსახურება. გულმოდგინედ ეძიებ, რომ მთელი სისრულით გაიგო მათ შესახებ ყოველივე, თუ რომელ ღმერთს ერწმუნენ ისინი, ანდა როგორ მსახურებენ მას, რამეთუ ქრისტიანები ამ სამყაროს განეკრძალვიან, ხოლო სიკვდილს არარად რაცხენ. არც ელინთა ცრუ ღმერთებს თვლიან ისინი ღმერთებად, არც იუდეველთა ღვთისმოშიშებას¹ იწყნარებენ. გინდა გაიგო იმ წრფელი სიყვარულის² შესახებ, მათ შორის რომ სუფევს. იმასაც ეძიებ, თუ რა არის ეს ახალი ტომი ანდა ახალი წესი ცხოვრებისა, რომელიც აღრე არ იყო და ამჟამად გაჩნდა.

ვიწყნარებ შენს ამ სურვილს და ვითხოვ ღვთისაგან, რომელიც გვანიჭებს ყველას მეტყველებისა და სმენის უნარს, მოგვმადლოს ორივეს — მე ნიჭი იმგვარად თქმისა, რომ უმეტესად გარგოს ჩემს მსმენელს, ხოლო შენ იმგვარი გულისყური, რომ ცუდად არ დაშვრეს ჩემი ენა.

დროა, განიწმიდო თავი ყველა იმ აზრისაგან, წინააღმდეგ რომ დაუპყრია შენი გონება; უკუბრუნდე მცდარი ჩვეულება და იქმენ ახალი კაცი, როგორც ეს იყო დასაბამიდან, რომ ამ გზით გახდე (როგორც თვითვე აღიარებ) მსმენელი ახალი სიტყვისა; ჯერ კი იხილე (არა მხოლოდ თვალთ, არამედ გონებითაც), თუ რა არის არსება და გვარი მათი, რომლებსაც თქვენ ღმერთებად თვლით და სახელდებთ ასე. განა ქვა არ არის ზოგი მათგანი, მსგავსი იმ ქვისა, ფეხს რომ ვაბიჯებთ, სხვა კი განა სპილენძი არ არის, არაფრით უმჯობესი იმ სპილენძისა, რისგანაც ჭურჭლებს ვაშაადებთ? ასევე, ზოგი მათგანი ხეა, თანაც უკვე დაბპალი, ზოგი ვერცხლია, რასაც სჭირდება ვინმე მცველი, რომ არავინ მოიპაროს. ზოგი რკინაა, ჟანგისაგან შეჭმული, ზოგიც თიხაა, არაფრით უკეთესი იმ თიხისა, რისგანაც უმეტესად შეურაცხი საჭიროების ჭურჭელს აშაადებენ.

ნუთუ ყოველივე ეს ხრწნადი ნივთისაგან არ არის ქმნილი? ნუთუ რკინისა და ცეცხლისაგან არ გამოქმედეს ისინი? ნუთუ ქვისმთლელობა არ გამოაქანდაკა ერთი მათგანი, მეორე

კი — სპილენძის ოსტატმა, მესამე — ვერცხლისმჭედელმა, ხოლო მეოთხე — მექონემ? ნუთუ ყოველი ნივთი, რომელიც ხელოსანმა ამგვარად გამოკვეთა, სხვა სახით არ იყო შექმნილი? ნუთუ იმავე ნივთისაგან დაშაადებულ ჭურჭლებს ხსენებული ხელოსნები ღმერთთა მსგავსად ვერ გარდაქმნიან? ნუთუ არ ძალუძს ადამიანის ხელს, კვლავ ჭურჭლად აქციოს თქვენი სათაყვანო კერპი? განა არ არიან ისინი ყრუ, ბრმა, უსულო ან უგრძობელი, უძრავი თუ ყოველითურთ ლაბობადი და ხრწნადი? მათ თქვენ ღმერთებად უხმობთ, მათვე ემონებით და ეთაყვანებით, ემსგავსებით კიდევ სავსებით. ქრისტიანებიც იმიტომ გაბატო, რომ ღმერთებად არ რაცხენ მათ, თუმცა თავად თქვენ, რომლებიც ამგვარ კერპებს ღმერთებს უწოდებთ, ქრისტიანებზე მეტად შეურაცხყოფთ მათ, მეტად დასცინით და აბუჩად იგდებთ, რადგანაც ქვისა თუ თიხის კერპი დაუცველად გაქვთ და ისე სცემთ თაყვანს, ხოლო ვერცხლისას და ოქროსას ღამით ჩაკატავთ, დღისით კი მცველებს დაუსვამთ წინ, რომ არავინ მოიპაროს. თუ ეს კერპები რაიმეს გრძნობენ, თქვენეული მსხვერპლშეწირვა სატანჯველია მათთვის, ხოლო თუ უგრძობელნი არიან ისინი, მაშინ მართლაც რომ შეურაცხყოფთ მათ, როდესაც სისხლითა და ცემლით ადასრულებთ თქვენს მსახურებას. განა ვინმე თქვენგანი გაუძლებს ამას, განა აიტანს ვინმე ამგვარ მოპყრობას? ადამიანთაგან არავინ იქნება, ნებით რომ იტვირთოს მსგავსი სასჯელი, რადგანაც გრძნობა აქვს მას და გონება, ხოლო ქვა იტვირთებს, რადგანაც ვერაფერს გრძნობს იგი.

ამგვარად, თქვენვე ამხილებთ, რომ უგრძობელნი არიან თქვენი კერპები, ქრისტიანები კი ამგვარ ღმერთებს არა ჰმონებენ; ამის შესახებ კვლავაც შემეძლო ბევრი მეთქვა, მაგრამ მათთვის, რომლებიც ზემოთქმულს არ იკმარებენ, კიდევ მეტის თქმა ფუჭი იქნება.

ვფიქრობთ, უფრო მეტად ის გსურს გაიგო, რატომ არ არის ქრისტიანული ღვთისმსახურება ისეთივე, როგორც იუდაური: თუმცა იუდეველნი ზემოთქმულ მეკერპეობას უარყოფენ, თუმცა ერთ ღმერთსა სცემენ თაყვანს და თვლიან, რომ ყოველთა უფალს გულისხმა-

ყოფენ, მაინც ისინიც მეკერპეთა მსგავსად აღასრულებენ ღვთისადმი მსახურებას და ცთომილებაში ვარდებიან. თუკი უგრძობელთა და ყრუთა მიმართ ელინური მსხვერპლშეწირვა უგუნურების მაგალითია, იუდეველთა თაყვანება სისულელე უფროა, ვიდრე ღვთისმსახურება, რადგანაც იმგვარად მიაქვთ შესაწირავი, თითქოს ღმერთს რამე ეჭირვებოდეს. ვინც შექმნა ცა და მიწა და ყოველივე მათ შორის, ვინც ჩვენ გვანიჭებს ყოველივეს, რასაც ვითხოვთ, ცხადია, მას არაფერი ეჭირვება იმდაგვარი, რასაც თავად უბოძებს მათვე; რომლებიც თვლიან, რომ თვით უძღვნიან!

იუდეველნი ფიქრობენ, რომ სისხლით, ცმელითა და ყოვლადდასაწველთა მიერ აღსრულება მსხვერპლშეწირვა და რომ ამგვარი ძღვენი თაყვანისცემაა უფლისა; ამიტომაც, ვგონებ, არაფრით განირჩევიან მათგან, რომლებიც ყრუ კერპთა მიმართ ავლენენ მსგავს პატივდებას; თუკი, ერთი მხრივ, კერპებს სწირავენ, რომლებსაც არ ძალუძთ ამგვარ პატივთან ზიარება, მეორე მხრივ, მას უძღვნიან, ვისაც არაფერი არ ეჭირვება.

თუმცა იუდეველთა სიფრთხილე საჭმელთა გამო, აგრეთვე შაბათისადმი მათი რწმენა, წინადაცვეთის ნიშნით ქაღილი, მარხვისა და ახალძივარის შესახებ მათეული წარმოსახვანი სასაცილოა მხოლოდ და სათქმელად არ ღირს, მაინც ვფიქრობ, რომ გმართებს მათ შესახებაც ისწავლო ჩემგან. როგორ არ არის ურჯულოება, ქმნილებათა შორის, რაც კი ადამიანებს შეუქმნა ღმერთმა, რომ ერგო მათგან, ერთნი მიიღო, ვითარცა კე ილად ქმნილნი, სხვა კი უარყო, როგორც ზედმეტი და უსარგებლო? როგორ არ არის უღვთოება ფიქრი იმისა, რომ კრძალავს ღმერთი კეთილის ქმნას შაბათისათვის? როგორ არ არის დაცივნის ღირსი, ვინც სხეულის დაკლებულ ნაწილს რჩეულობის ნიშნად მიიჩნევს⁴, ისე, თითქოს ამგვარნი პირნი გამორჩევით უყვარდეს უფალს? ნუთუ ვინმე ღვთისმსახურებად ჩათვლის (თუ არა უმაღ უგუნურების ს ხედ) მათ მცდელობას, რომ ვარსკვლავებსა და მთვარეზე თვალის დევნებით თვეთა და დღეთა შესახებ დაკვირვებანი აწარმოონ, შემდეგ კი ღვთის განგებანი და ჟამთა ცვლანი სურვილისამებრ განაწესონ დღესასწაულებად და გლოვის დღეებად.

ვფიქრობ, საკმაოდ გაუწყე იმის შესახებ, რომ მართებულად უარყოფენ ქრისტიანები როგორც საერთოდ ყოველგვარ ფუჭ საქმესა და ცთომილებას, ასევე იუდეველთა ცნობისმოყვარეობასა და ამპარტავნებას. თვით ქრისტიანთა ღვთისმსახურების საიდუმლო კაცთაგან არ ისწავლება; ნურც შენ მოელი.

ქრისტიანები არც საცხოვრებელი ადგილით, არც მეტყველებით, არც ჩვეულებებით არ განირჩევიან სხვათაგან. ისინი არც საღმეკერძო ქალაქებში სახლობენ, არც სხვა ენაზე მეტყველებენ, არც რაღაც უჩვეულო ცხოვრების წესს მისდევენ, თუმცა მათი მოძღვრება ცნობისმოყვარე კაცთა გონებისა და გულმოდგინების ნაყოფი როდია! არცთუ ადამიანურ სწავლებებს იმარხავენ ისინი ზოგთა მსგავსად.

ქრისტიანები ელინთა ქალაქებშიც მკვიდრობენ და ბარბაროსთა შორისაც, შესაბამისად თითოეულის წილხვედრისა. ადგილობრივ ჩვეულებებსაც იცავენ ისინი ტანსაცმლით, ყოფით, მთელი დანარჩენი ცხოვრებით, თუმცა, ამასთან ერთად, მოქალაქეობის საკვირველ და ჭეშმარიტად უჩვეულო წესსაც ავლენენ: თითქოს საკუთარ მამულებში მკვიდრობენ, მაგრამ მკვიდრობენ, როგორც უცხონი. მოქალაქეთა მსგავსად ერთგვიან ყოველ საქმეში, მაგრამ დაითმენენ ყოველივეს, როგორც სტუმარნი. ყოველგვარი უდაბურება მამულია მათი და ყოველი მამული—უდაბურება. იქორწინებენ, როგორც სხვები, შვილებსაც შობენ, თუმცა შობილთ უპატრონოდ როდი ტოვებენ. ტრაპეზს ზიარად დააგებენ, მაგრამ არათუ—სარეცელსაც. ხორციელნი არიან, თუმცა ხორცის მიხედვით არ ცხოვრობენ. მიწაზე მკვიდრობენ, მაგრამ ცასა შინა მოქალაქეობენ. არ ეურჩებიან დადგენილ კანონებს, მაგრამ მათივე ცხოვრების წესით იმარჯვებენ კანონებზე. უყვარ ყველანი და ყველასაგან იღვენებიან; შეურაცხყოფენ მათ, სჯიან და კლავენ, ისინი კი ცხოველდებიან; გლახაკნი არიან და მრავალს განამდიდრებენ. ყველაფერი აკლიათ და უზვად აქვთ ყოველივე; უპატიო—ჰყოფენ მათ და უპატიობათა წიად იდიდებიან; ბრალს დებენ მათ და ისინი მართლდებიან: აძაგებენ, ისინი კი აკურთხებენ; შეურაცხყოფენ, ისინი კი პატივს მიაგებენ; კეთილს იქმნ და ისჯებიან, როგორც ბორო-

ტნი, დასჯილნი კი იხარებენ, ვით ცხოველ-
ქმნილნი. უცხოტომელთა მსგავსად ებრძვიან
მათ იუდეველნი, ელინები კი ღვენიან, თუმცა
მიზეზად მტრობისა მოძულენი ვერას ამბობენ.

მარტივად რომ ვთქვათ, რაც არის სული
სხეულში, ქრისტიანებიც იგივე არიან ამ სამ-
ყაროში და როგორც სული განეფინება სხეუ-
ლის ნაწილთა შორის, ასევე ქრისტიანებიც —
ქვეყნიერების ქალაქებში. სული თუმცა ხორ-
ცში მკვიდრობს, არ არის ხორცისაგან, ქრის-
ტიანებიც თუმცა ამქვეყნიად სახლობენ, ამქვე-
ყნისანი არ არიან. უხილავია სული, ხილულ
სხეულში შეკრძალული; ქრისტიანებიც თუმ-
ცა ამქვეყნიად იმყოფებიან, უხილავად ჰგვიეს
მათიერი ღვთისმსახურება. სძაგს სული
ხორცს და ებრძვის მას, თუმცა ვერაფერს აკ-
ლებს, რადგანაც სული სიამეთავან განაკრ-
ძალებს თავს. ქრისტიანებიც სძაგს ქვეყნიე-
რებას, მაგრამ ვნებას ვერ მოაწვეს მათზე, რა-
დგანაც ისინიც განუდგებიან სიამეებს. უყ-
ვარს სულს მისი მოძულე სხეული და სხეუ-
ლის ნაწილები. ქრისტიანებსაც უყვართ მათი
მოძულეები; დახშულია სული სხეულში, მაგ-
რამ სწორედ სული შეამტკიცებს იმავე სხე-
ულს; ქრისტიანებიც პერობილნი არიან ამ
სამყაროში, როგორც ციხეში, მაგრამ სწორედ
მათ უპყრიათ ეს სამყარო. უკვდავი სული მო-
კვდავ კარავში მკვიდრობს; ქრისტიანებიც
მოკვდავთა შორის სახლობენ, მაგრამ ცათა
შინა უკვდავებას მოელიან. საჭმელსა და სას-
მელს მოკლებული სული აღორძინდება; ქრი-
სტიანებიც, რომლებიც დღემუდამ იგვემები-
ან, შეტად და შეტად მრავლდებიან. ასეთი
ხვედრი განაწესა მათთვის უფალმა, რისგან
განდგომაც არ ეგების.

როგორც უკვე ვთქვი, არათუ ამქვეყნიური
რამ მოძღვრება გადაეცათ მათ, არათუ იშას
იღწვიან ისინი, რომ კვდომადი აზრები და-
იშარხონ, არცთუ კაცობრივ საიდუმლოთა გა-
ნგებულებას ერწმუნებიან; თავად ყოვლის-
მპყრობელმა, ყოვლის შემოქმედმა და უხი-
ლავმა ღმერთმა, თავად მან, ცათაგან დააფუძ-
ნა კაცთა შორის ჭეშმარიტება — წმიდა და
გონებით აღუქმელი სიტყვა; მათ გულეში
დაამტკიცა მან იგი. არა ისე, როგორც შეიძ-
ლება იფიქროს ზოგმა, თითქოს კაცთათვის
მოავლინა მან ვინმე მსახური, ან ანგელოზი,
ან არქონტო, ანთუ ერთ-ერთი გამგებელი ქვე-

ყნიერებისა, ანდა თუნდაც ვინმე ისეთი, ვი-
საც ერწმუნა ცათა შინა განმგებლობა, არამედ
ის მოავლინა, ვინც თავად არის ყოველივეს
შემოქმედი და დაბადებელი, რომლის მიერაც
ცანი შექმნა მან, რომლის მიერაც ზღვა მოაქ-
ცია თავის საზღვრებში; ის მოავლინა, ვისი
საიდუმლონიც საიმედოდ დაპარულია ყველა
სტიქიონში, ვისი ძალითაც იცავს ჰე სა-
ზომს დღეთა ხანგრძლივობისა, ვინც უბრძანა
მთვარეს ღამით ამოსვლა, ვისაც ჰმორჩილე-
ბენ ვარსკვლავნი, მთვარის სრბოლას მიდევ-
ნებულნი, ვინც განაწესებს, განსაზღვრავს და
განაგებს ყოველივეს: ცას და ცის წიადს,
მიწას და იმას, რაც მიწაშია, ზღვას და ზღვის
სიღრმეს, ჰაერს, უფსკრულს, — ყოველივეს მა-
ღალთა შინა, სიღრმეებში და მათ შორისაც.

ეს მოავლინა მან კაცთა შორის, თუმცა არა
იმიტომ (შეიძლება ასეც იფიქრონ) თითქოს
მძღვრებას ანდა ვინმესათვის შიშისა თუ
ძრწოლის მოგვრას განიზრახავდა, არამედ —
მხოლოდ მოწყალებისა და სიმდაბლის გამო.
მან, თვით მეუფემ, მოავლინა ძე თავისი, რო-
გორც მეუფე; მოავლინა, როგორც ღმერთი;
მოავლინა, როგორც კაცი კაცთა შორის; მო-
ავლინა როგორც მხსნელი; გვარწმუნებს მის-
გან მოვლენილი, არათუ გვემძღვრობს, რად-
განაც მძღვრება უცხოა ღვთისათვის; მოგ-
ვივლინა თავისი ძე, რომ გვიწოდოს მან, არა-
თუ გვევენოს; მოგვივლინა, რომ გვიყვაროს,
არათუ გვსაჯოს; ხოლო მოავლენს მას მსა-
ჯულადაც და ვინ იქნება, რომ იტვირთოს
მისი ამგვარი მოვლინება?²⁵

მხეცებს მიუგდეს ისინი, რომ უარყოფთ
უფალი, მაგრამ ვერ სძლიეს. ნუთუ ვერ ამწნევ,
რაც უფრო მეტად ტანჯავენ მათ, უფრო და
უფრო მრავლდებიან? ამგვარი საქმენი კაც-
თაგან როდი ხდება. ღვთის ძლიერებაა ყოვე-
ლივე ეს და ნიშნებია მისი მოვლინებისა.

განა საერთოდ იცოდა ვინმემ, რა არის
ღმერთი, ვიდრე მის მოსვლამდე? ან იქნებ
ღირსადსარწმუნო ფილოსოფოსთა ცარიელი
და ფუჭი სიტყვები გესათნობა, რომელთაგან
ზოგი ცეცხლს ამბობს ღმერთად (სწორედ
იმას უწოდებენ ღმერთს, რაშიც მოვლით მათ
შესვლა), ზოგი წყალს, სხვა კიდევ სხვა სტი-
ქიონს, თუმცა ესენი თავად არიან ღვთისაგან
ქმნილნი. თუ სარწმუნოა რომელიმე ამ სიტ-
ყვათაგან, შეიძლება და მსგავსადვე ღმერთად
დაგვესახა ყველა ქმნილება. მაგრამ ეს ყოვე-

ლივე ზმანება და ცთომილება მსახვრალთა. კაცთაგან არავის უხილავს ღმერთი, არცთუ შეუცვნია იგი. თვით გააცხადა თავისი თავი და გააცხადა სარწმუნოების წიად, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი ხილვა.⁶ უფალი ღმერთი, შემოქმედი ყოველთა, რომელმაც შექმნა ყოველივე და მწყობრად შეაწყო, არა მარტოდენ კაცთმოყვარე გვექმნა ჩვენ, არამედ სულგრძელიც. ამგვარი იყო იგი მარადჟამს; არის და იქნება კიდევ ყოველთვის კეთილი და ქველი, ურისხველი და ჭეშმარიტი. მხოლოდ იგია ჭეშმარიტად სახიერი; ამიტომაც განიზრახა მან ზრახვა დიადი, ენით უთქმელი, რაც მარტოდენ ძეს გაანდო. და ვიდრე იგი საიდუმლოდ იცავდა და იმარხავდა თავის ბრძნულ ზრახვას, ისე ჩანდა, თითქოს არად მივაჩნდით, თითქოს არას ზრუნავდა ჩვენთვის, მაგრამ როდესაც საყვარელი მის მოვლინებით გაგვიცხადა და საჩინო გვიყო დასაბამიდან განზრახული, ერთობლივად მოგვამდლა ყოველივე: ვეზიარეთ მის ქველ საქმეებს, ვიხილეთ კიდევ და შევიმეცნეთ. ვინ ელოდა ამას ჩვენგანი? მან კი უწყოდა განგებულად ყოველივე მის ძესთან ერთად.

ბოლო ჟამამდე გვადროვა ღმერთმა, რომ ნებისამებრ მივყოლოდით უწყსო ვნებებს, გულისთქმასა და სიტკბოებას მივცემოდით, თუშცა არათუ იხარებდა ჩვენი ცოდვებით, არამედ დაითმენდა, არათუ სათნო-უნდა ჩვენული უსამართლობა, არამედ ჰბადებდა სიმართლის გონებას, რომ იმუამინდელ საქმეთა გამო მხილებულნი და არადირსნი ცხოვრებისა აწ ღვთის წყალობით ვღირსებოდით იმავე ცხოვრებას, რომ ჩვენ, რომლებსაც თვით ჩვენივე უძლურება მოგვაკლებდა ღვთის სასუფეველს, აწ ღვთის შეწევით ძალმოსილება შეგვეძინა. რაჟამს ბოლომდე აღვასრულეთ უსამართლობა, რაჟამს სრულიად ცხადი გახდა, რომ დავისჯებით და მოგვეგება ცოდვის გამო, რომ სიკვდილია ჩვენს წინაშე, მაშინ დრო დადვა, ის დრო, რომელიც წინდაწინვე განსაზღვრა ღმერთმა, რომ ამიერიდან გამოველინა მას წყალობა და ძალი თვისი.

ზეჭარბი კაცთმოყვარებისა და სიყვარულის გამო არ მოგვიძაბა, არ განგვაგდო უფალმა ჩვენ, არ მოიხსენა უკეთურება ჩვენი, არამედ სულგრძელობით დაითმინა ყოველივე და

ჩვენი ხსნისათვის განსცა ძე თვისი: უჯულოთათვის-წმიდა, ბოროტთათვის-უბოროტო, უსამართლოთათვის-სამართლიანი, ხრწნადთათვის-უხრწნელი, მოკვდავთათვის-უკვდავი. სხვას რას შეეძლო დაეფარა ჩვენი ცოდვები, თუ არა მის სიმართლეს? ვისგან შეგვეძლო ჩვენ, უღვთოებსა და ურჯულოებს, შეგვეძინა განმართლება, თუ არა ოდენ ძე ღვთისას მიერ? ჰოე, უტკბესო ნაცვალგებაჲ! ჰოე, მიუწვდომელო დაბადებაჲ! ჰოე, უჩვეულო ქველისსაქმენო! რამეთუ მრავალთა ურჯულება ერთმა მართალმა დაიფარა და იმ ერთის სიმართლემ მრავალი ურჯულო განამართლა. წინარე დროში ის ცხადყო ღმერთმა, რომ უძლურია ჩვენი ბუნება, თვით მიწვედეს ცხოვრებას, აწ კი მანვე მაცხოვარი გამოგვიჩინა, რომელსაც ძალუმს იხსნას უძლურნი. ორივე მხრივ ის სურდა უფალს, რომ გვერწმუნა მისი სიკეთე და შეგვერაცხა იგი მზრდელად, მამად და მოძღვრად, თანამზრახველად და მკურნალად ჩვენდა, აგრეთვე, გონებად, სინათლედ, პატივად, დიდებად, ძალად, ცხოვრებად, რომ არ გვეზრუნა სამოსისა თუ საზრდელისათვის.

თუ ამგვარ რწმენას დაემურები და შეიწყნარებ, უპირველესად შეიცნობ მამას; რადგანაც ღმერთმა შეიყვარა კაცნი და შეუქმნა მათ სამყარო; მათვე დაუმორჩილა ყოველივე ამქვეყნიური; მიანიჭა მათ მეტყველება და გონიერება, მხოლოდ ისინი ღირს-ყო მისდა საჭვრეტად; შექმნა ისინი საკუთარი ხატი-საგან, მოუვლინა მათ ძე თვისი მხოლოდ-შობილი და აღუთქვა ცათა შინა სასუფეველი, რასაც მიმადლებს მის მოყვარულებს.

შეიცან, რაოდენი სიხარულით უნდა აღივსო, რაოდენ უნდა შეიყვარო უფალი შენი, ვინც უწინარეს აგრერივად შეიყვარა შენ. თუ შეიყვარებ, მის სიკეთესაც უნდა ჰბაძო. ნუ გაიკვირვებ, ვით ძალუმს კაცს ღვთისადმი ბაძვა. თუკი ინებებს, ძალუმს კიდევ!⁸ არათუ ის არის სიკეთე, რომ მოყვასს მძლავრობდე, ანდა გსურდეს, ჰმეტობდე უძლურს, ან სიმდიდრეს ემურებოდე ანდა გლახაკთ აჭირვებდე. ამ გზით ვერავინ გახდება მბაძველი ღვთისა. ეს ყოველივე ვერ ეთვისება მის სიდიადეს.

როდესაც ვინმე მოყვასის ტვირთსაც თვით იტვირთებს და შეეცდება, რომ მასზე

უძლურს თვისი ძალით კეთილი უქმნას, როდესაც იგი ღვთისაგან ბოძებულს გლახაკთ განუყოფს და მათთვის ღმერთად გამოჩნდება, ასეთი ვინმე მართლაც არის მბაძველი ღვთისა. და შენც, როდესაც ჭეშმარიტად შეიმეცნებ ციურ ცხოვრებას, ზმანებულ სიკვდილს არად შერაცხავ, ხოლო შიში გექნება ჭეშმარიტისა, რაც დაეწინადათ საუკუნო ცეცხლში დასჯილებს (ცეცხლი კი ყველას სრულად დასჯის, ვინც მასში შევა), მაშინ იხილავ მიწაზე მყოფი, რომ ღმერთი მოქალაქეობს ცათა შინა, მაშინ შენც იწყებ ღვთის საიდუმლოთა გამოთქმას, შეიყვარებ და თაყვანსცემ ყველას, ვინც არ ინება სასჯელის შიშით ღვთის უარყოფა; მაშინ შენც დაგმობ საწუთროს შხაკვრობასა და ცთომილებას და გაგაოცებს იმათი სიმხნე, ვინც დაითმინა ცეცხლში დაწვა სიმართლისათვის; ნეტარყოფ მათ, რაჟამს შეიცნობ სხვა ცეცხლის ძალას.

არა ვკადაგებ რაიმე უცხოს, არც უგუნურად ვეძიებ რასმე, არამედ, რადგანაც მოწაფე ვიქმენ მოციქულთა, ვარ მოძღვარი ხალხთა. რაც გადმომეცა, გადავცემ იმათ, რომლებიც ღირსეულად დაემოწაფნენ ჭეშმარიტებას. ვინც მართლსწავლება მიიღო და სათაყვანო სიტყვისაგან იშვა, იმას ეძიებს, რომ ცხადად შეიცნოს ყოველივე, რაც თავად სიტყვამ გაუმჟღავნა მის მოწაფეებს. დაუფარავად ეტყოდა მათ და აუწყებდა ყოველივეს ცხადქმნილი სიტყვა, რომელიც ურწმუნობმა ვერ შეიცნეს, მოწაფეებს კი თვით მოუთხრო. ვინც ის ირწმუნა, შეიცნო კიდევ საიდუმლონი მამისა; მოგვივლინა მამამ სიტყვა, რომ სოფელს გაცხადებოდა იგი. ეს სიტყვა ხალხმა შეურაცხყო, მაგრამ მოციქულებმა იქადაგეს მის შესახებ და წარმართებმა ირწმუნეს იგი. დასაბამიდან იყო სიტყვა, აწ კი გამოჩნდა, როგორც ახალი; ჟამიერიქმნა... მარად ახალი იშვება წმიდათა გულებში, ვინც მუდამ იყო, დღეს კი ძედ შეირაცხა, ვინც განამდიდრებს ეკლესიას.

მადლი ივრცობა და მრავლდება წმიდათა შორის, რომლებსაც მისგან ენიჭებათ გონება და უმჟღავნებათ საიდუმლონი. ეგვევ მადლი აუწყებს მათ ჟამთა შესახებ, განიხარებს მორწმუნეთათვის და ენიჭება მის მაძიებელთ, თუ არ გადავლენ ისინი რწმენის სახლ-

ვრებს და თუ მამათა განჩინებებს არ დაარღვევენ.

შემდეგ, მოშიშება რჯულისა იგალობება, წინასწარმეტყველთა მადლი ცნაურდება, სახარებათა სარწმუნოება მკვიდრდება, მოციქულთა გადმოცემა კანონდება და ეკლესიათა მადლი იხარებს.¹⁰ თუ ამ მადლს არ შუაუვრებ, შეიცნობ იმას, რასაც სიტყვა ნებისამებრ გვიქადაგებს, მისგან რჩულთა მიერ. ამავ სიტყვის ნებითა და ბრძანებით გემეტყველებით და რაც გვეუწყა, სიყვარულით თქვენც გაზიარებთ; წადიერად ისმინეთ და შეიწყნარეთ, და შეიცანით, თუ რაოდენს მიმადლებს ღმერთი, რომლებსაც წრფელად უყვართ იგი. სწორედ ისინი არიან „სამოთხე ფუფუნებისა“, რამეთუ ყოვლადნაყოფიერ, კეთილყვავილოვან ხეს აღმოაცენებენ თავის თავში და მრავალფერი ხილით გამშვენდებიან. ასეთ ადგილზე იზრდება ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და ხე ცხოვრებისა (შდრ. შესაქმე, 11.17). ხოლო არა თუ „ცნობადობა“ ანუ „ცოდნა“ წარწყმედს, არამედ — ურჩება. ნათლად ამბობს წერილი, რომ ღმერთმა დასაბამიდან სამოთხის შუაში დანერგა ხე ცნობადისა და ხე ცხოვრებისა; ამით „ცოდნისმიერი“ „ცხოვრება“ ცხადყო მან, რაც არაწმინდად იგემეს პირველმშობლებმა. ამიტომაც, გველისაგან ცთუნებულნი, გაშიშვლდნენ; არ არსებობს „ცხოვრება“ „ცოდნის“ გარეშე და არ არსებობს უცთომელი „ცოდნა“ ჭეშმარიტი „ცხოვრების“ გარეშე. სწორედ ამ მიზეზით იყო ორივე ხე გვერდიგვერდ დანერგილი. ყოველივე ეს განჭვრიტა მოციქულმა, როდესაც გაიციხა იმგვარი „ცოდნა“, რომელიც ჭეშმარიტების მცნების გარეშე ესწრაფვის „ცხოვრებას“. ასე თქვა მან: „ცოდნა განალადებს, სიყვარული კი აღაშენებს“ (1 კორ. 8.1). ვინც თვლის, რომ ჭეშმარიტი და ცხოვრებით შეწამებული ცოდნის გარეშე იცის რამე, ვერ შეუცვნია, რომ გველისაგან არის ცთუნებული, რადგანაც არ უყვარს მას „ცხოვრება“. ხოლო თუკი ვინმე მოშიშებით ეძიებს „ცოდნას“ და „ცხოვრებას“ ესწრაფვის, სასოებაზე ამყნობს იგი მას და ნაყოფს მოელის. დაე, შენი გული იყოს შენივე „ცოდნა“, ხოლო სიტყვა ჭეშმარიტი, რომელიც უნდა შეიწყნარო, „ცხოვრებად“ გექმნეს. იტვირთე ძელი მისი და ეტრფიალე მის ნაყოფს; დღემუდამ მოის-

თველე ის, რაც საღვთოდ სასურველია, რასაც გველი ვერ შეეხება, რის ფერსაც ცოდვა ვერ მიიღებს, რისგანაც ევა არ გაიხრწნება, რაც მოგვანიჭებს რწმენას ქალწულისადმი და გაგვიცხადებს მაცხოვარებას, რაც განაბრძ-

ნობს მოციქულებს, რაც წინამძღვრობს უფლის აღდგომას, შემოკრებს ქოროს და განამშვენებს მას სამკაულით, რაც მოძღვრავს წმინდანთ და იხარებს თვითვე, რომლის მიერ ვადიდებთ მამას. დიდება მისდა. უკუნისამდე, ამინ!

კო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1. „ღეთისმოშიშება“ — „ჰე, დეისიდაიმონია“ ხსენებული ბერძნული სიტყვა, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც „შიში ღეთისა“, ხოლო უარყოფითი აზრით, „ცრურწმენა“ („დეიდო“ — მეშინია; „დაიმონია“ — ღეთიურობა) რამდენადაც ბერძნული სიტყვა „დაიმონ“, რომელიც ანტიკურ პერიოდში „ღმერთს“ ნიშნავდა, ქრისტიანულ ხანაში „ღემონის“, „ცრუ ღმერთის“, „ეშმაკის“ აღმნიშვნელად გარდაიქმნება, ამდენად, ზემოთხილნი კომპოზიტიც მსგავსი შინაარსით იტვირთება. ძველი ქართველი მთარგმნელები მას, ჩვეულებრივ, თარგმნიან, როგორც „მრწობლესმ-მაკეული“ (როგორც ჩანს, კომპოზიტის პირველი წევრი „ღეთის“ გაუგვივს სიტყვას „ღუთის“, რაც „ორის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის მიცემითი ბრუნვაა მრ. რ-ისა).
2. „წრფელი სიყვარული“ — „ჰე ფილოსტორგია“ ხსენებული სიტყვა, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც ფაქიზი, სათუთი სიყვარული, რაც მშობლიურობის განცდას შეიცავს (მაგ. სიყვარული ღეთისადმი, შვილისადმი, სამშობლოსადმი).
3. შდრ. (col. 1160)
4. იგულისხმება წინადაცვეთა, რასაც ებრაელები გამორჩეულობის ნიშნად თვლიდნენ.
5. აქ ტექსტს აკლია. მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ ავტორი ქადაგებს მარტვილთათვის.
6. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველასაგან უხილავია და მისტიკური განცდის უამს მხოლოდ

- სარწმუნოებით შეიძლება მისი წვდომა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოთქვა წმ. გრიგოლ ნოსელმა: „როდესაც დავცილდი მთელ შესაქმეს, როდესაც განველე ყოველივე ის, რაც ქმნილია და შემეცნების ყოველგვარი გზა მივატოვე, მაშინ სარწმუნოებით ვპოვე საყვარელი ჩემი“. იხ. Gregorii Nysseni, In Canticum Canticorum, ed. H. Langerbeck [-Gregorii Nysseni, Opera, t. VI], Leiden 1960, p. 183 [შდრ. PG. 44, col. 893 B]
- შდრ. ძველი ქართული თარგმანი: „რაყამს დაუტყვენ ყოველნი დაბადებულნი და თანაწარუპყვედ ყოველთა აგებულებათა და ყოველთა უხილავთა და ხილულთა არსებათა და ყოველივე მისაწდომელად საკონტეული გამოძიებად დაუტყვე, ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა მ ი ე რ ვ პ ო ვ ე ს ა ყ უ ა რ ე ლ ი ი გ ი“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989, გვ. 258).
7. რამდენადმე სხვაგვარია ლათინური თარგმანი: quos ad imaginem suam formavit („რომლებიც თავისი ხატის მიმართ გამოსახა“).
8. შესაბამისი ბერძნული ტექსტი შეიძლება ორგვარად გავიგოთ: (I) „შემძლებელია (კაცი), როდესაც ინებებს (ღმერთი)“ და II „შემძლებელია (კაცი), როდესაც ინებებს (თვით კაცი)“.
9. იგულისხმება ქრისტიანობაში წვდომის მომდევნო საფეხური.
10. „იხარებს“ — ბერძნული სიტყვა პირდაპირი აზრით ნიშნავს „ხლდომას“, გადატანით კი (აღნიშნულ კონტექსტში) „სიხარულით აღტაცებას“.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და კომენტარები დაურთო შ. ლ. იშვარიანი



„რომელგან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მათე 24,13).

მაცხოვრის ზემოაღნიშნული სიტყვებიდან ჩანს, რომ ცხოვება-გადარჩენისათვის საჭიროა სრული დათმენა, ამიტომ ჩვენ დღევანდელი მოძღვრებაც მოთმინებას შეეხება, როგორც გადარჩენისათვის აუცილებელ პირობას.

როგორც მყუდრო ზღვაში კეთილად მავალ ნავს შემუსრავს უეცარი და სასტიკი ქარიშხალი, ისევე ადამიანის მყუდრო და დამშვიდებულ სულს შეიძლება მიაყენოს დიდი ზიანი მოუთმენლობის ქარიშხალმა. ისააკის შვილი ესავიც მოუთმენლობამ წარწყმედა, რადგან ვერ დაითმინა ცოტაოდენ ხანს წვინანის უჭმელობა და თავისი პირველშობილება დაუთმო ძმას, რითაც განეშორა განსაკუთრებულ მადლს ღვთისას.

მოუთმენლობა არის გამადვივებელი ცეცხლისა საკუთარი თავისა და სულის დასაწველად. მოუთმენლობა თესავს ყოველგვარ ცოდვას ქვეყანაზე, რადგან არ არსებობს ისეთი ბოროტება, რომელსაც მოუთმენლობა არ ჰშობდეს. როგორც თევზი იღუპება, თუკი მას წყალს მოვაშორებთ, ისე ცოდვა შეიძლება შეიმუხროს, ძმანო, თუ განვაშორებთ უთმინობას.

მოუთმენლობა, ძმანო, არის ღვთის უარყოფა. უფალი ყველას მოთმინებას გვიბრძანებს, ხოლო მოუთმენლობა ღვთის მცნებებიდან გადასვლაა. სწორედ მოუთმენლობა ბადებს მოყვასის სიძულვილს, მის გამო ხდება ბრძოლა და კაცის კვლა, ქურდობა და ძარცვა. მოუთმენლობა ბადებს ადამიანში ისეთ მომაკვდინებელ ცოდვასაც, როგორცაა სიძვა და მრუშება. მოუთმენლობა ამრავლებს ქვეყნად შფოთსა და არეულობას.

მოუთმენელ უნებისყოფო ადამიანთა ლოცვას არ ისმენს ღმერთი. არც წმინდანები შეეწვიან ასეთ ადამიანთა ლოცვა-ვედრე-

ბას, რადგან ისინი, რომელთაც ქრისტესათვის დაითმინეს შრომა და გარჯა, გვემა და ტანჯვა, განხერხვა და სხვა საშინელი წამებანი, იმათში ვერ იპოვიან მცირედენ საფასურსაც კი დათმენით მოპოვებულს. მაცხოვარს ვერ იხილავს კაცი მოუთმენელი, ვერ იხილავს მხსნელს ქვეყნიერებისას, რომელმაც ჩვენთვის—ადამიანთათვის დაიმდაბლა თავი, მიიღო უკანასკნელი მონის სახე და დაითმინა გვემა, ნერწყვა, ჯვარცმა და მრავალი სატანჯველი.

მართალია, ძმანო, აქ, ამ წუთისოფელში ძნელია დათმენა შიმშილისა, წყურვილისა, შეურაცხყოფისა და დამცირებისა, მაგრამ განა ადვილი იქნება ჯოჯოხეთში საუკუნო მწუხარების გადატანა? თუ აქ სიცოცხლეში ვერ მოითმინე სიცხე და სიცოვე, როგორ დაითმენ, კაცო, მოუკლებელ ცეცხლსა და აღუდებულ კუბრში წვას? თუ აქ ვერ ითმენ გინებას, დამცირებასა და ცილისწამებას, როგორ გადაიტან ჯოჯოხეთში დაუსრულებელ ოხვრასა და კვნესას?

ჩვენ, ძმანო, ყველანი, ადრე თუ გვიან, ქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ, წარვდგებით მეუფე ღიღების წინაშე, რათა განვიკითხოთ და დავისაჯნეთ. მაშინ ანგელოზებით გარშემორტყმული უფალი გვეტყვის: „ერო ჩემო, თქვენთვის დავმდაბლდი, თქვენთვის მივიღე მოკვდავი ადამიანის სახე, თქვენთვის ტანჯვანი დავითმინე“. შემდეგ გვიჩვენებს თავზე კელიანი გვირგვინისაგან მიყენებულ სისხლიან ჭრილობებს, ურიათაგან ნანერწყვ და ნაგვემ სხეულს, ნალურსმეგ ხელ-ფეხსა და ლახვრით განგმირულ გვერდს და გვეტყვის: „ეს ყოველივე მე თქვენთვის დავითმინე, რათა გადამერჩინეთ ჯოჯოხეთისაგან და აკი გიხსენით კიდევ. ეხლა მი-თხარით, თქვენ რა დაითმინეთ ჩემთვის, რა

გინდათ, მომიძღვნათ სანაცვლოდ?“

ოხ რა ძნელი იქნება, ძმანო, მაცხოვრის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენთვის. მაშინ მეტად მძიმე და სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ისინი, რომელთაც ვერაფერი დაითმინეს ქვეყნად ცხოვრებისას და უსარგებლონი, ცარიელი ხელებით წარდგებიან უფალი ღმერთის წინაშე.

საყვარელნო ძმანო, ჩვენ, რომელთაც ვიცით ქრისტეს ტანჯვანი, არ უნდა გავვიძინელებს ქვეყნიურ დაბრკოლებათა დათმენა. თუ კი მაცხოვარმა ესოდენ დიდი ვნებები იღვა თავს და მოითმინა ჩვენთვის, ჩვენ სიტყვის დათმენა მაინც ვერ უნდა შევძლოთ ქრისტესთვის? ქრისტე ინერწყვებოდა, ივინებოდა და იცემებოდა, შენ კი მცირედენ ჭირსაც ვერ ითმენ და ეძებ დიდებასა და პატივს კაცთაგან? თუ ვინმე გაგინებდეს, ძმანო, გაიხსენე, როგორ ავინეს მაცხოვარს ჩვენსას. თუ ვინმე დაგცინებს, მოიგონე, რომ ქრისტესაც დასცინოდნენ ურიანი. სანაცვლოდ ბოროტი კი არ უნდა მიაგო, არამედ სიმშვიდით უნდა აიტანო იგი. რომელიც მაცხოვარმა თავს იღვა ჩვენთვის, ჩვენ, ჩვენი თავისათვის არ გვინდა დავითმინოთ? რატომ განურისხდები მოყვასს, ძმანო, უსამართლოდ გაგინა? — მაინც არ შეიძლება გარისხება, რადგან შემცდარია იგი, თუ სამართლიანად გაგინა, მაშინ უნდა მოითმინო, რადგან სიმართლეს გეტყვის. თუ სხვების თანდასწრე-

ბით გაგინა ვინმემ და შეგრცხვა ხალხის, ესეც კარგია შენთვის, რადგან სხვები დაინახავენ შენს დიდ მოთმინებას და შეგაქებენ, მას კი გაამტყუნებენ. თუ იქ არავინაა გონიერი, რომ მოთმინება დაგიფასოს, მაშინ კიდევ უფრო მეტად უნდა გიხაროდეს, რადგან ღმერთი და მისი ანგელოსნი ხედავენ შენ მოთმინებას და ქებას ისინი მოგიძღვნიან. გახსოვდეს, ძმანო, და მარად გახსოვდეს, რომ უმჯობესია ქება ერთი ანგელოსისა, ვიდრე მთელი ქვეყანისა.

ამისათვის გლოცავთ და გვევდრებით ქრისტეს მიერ საყვარელნო!

დავითმინოთ მადლობით ყოველნი განსაცდელნი, რომ განგება ღვთისა აღსრულდეს ჩვენზე. მხნე იყავით და განძლიერდით უფლის მიერ. გახსოვდეთ ძმანო, რომ როგორც სხეულს უკან მისდევს თავისი ჩრდილი, ისე ღვთის მცნებათა აღმსრულებელს განსაცდელნი, რამეთუ, როგორც ნეტარი ანტონი დიდი ბრძანებს „თვინიერ განსაცდელსა, ვერვინ შევიდეს სასუფეველში“. გწამდეთ ყველას უფლის კაცთმოყვარეობისა, იგი შეგეწვევთ ყოველგვარ გასაჭირში, რადგან იცის უძღურება ჩვენი. მოწყალე ღმერთი მოგვანიჭებს საჭირო ძალასა და სიყვარულს ყოველივეს კეთილად დათმენისათვის.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს თქვენ ყოველთა თანა, ამინ!

თამარ ჩაჩიბაია





1989 წელი.



ქართლად ფრიალი ქუმეანად აღირაცხების, საცა
ქართულითა უნითა შაბი უეიწირვის და ლოცვაჲ
ყოველი აღესრულების





ბრძოლა სატურია
ძრთული ეკლესია



მიტროპოლიტი ნაომი

(დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან
20 წელი)



მიტროპოლიტი ნაომი 1889 წელს ქუთაისის გუბერნიის ტყიბულის მაზრის სოფელ ოხომირაში დაიბადა, ღარიბი მედავითნის, გრიგოლ (ლუარსაბ) ოქროპირის ძე შავიანიძის მრავალშვილიან ოჯახში.

შესანიშნავი მღებარეობა აქვს სოფელ ოხომირას, განსაკუთრებით კი იმ ეზოს, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა მიტროპოლიტი ნაომი. ამ ეზოს ამფითეატრივით ზეაწეული ადგილი უჭირავს, ნაქერალასა და ხვამლის მთებს შორის მღებარე ქვაბულს გადაჰყურებს და საოცარი სანახაობა იშლება იქედან.

ოხომირას კოლხურად განმარტავენ და მას ბერძნულ უქიმერიონს — სალოცავს უსადაგებენ (ივანე ჯავახიშვილი). აკად. ნიკო ბერძენიშვილი თვლის, რომ უქიმერიონის ციხე ოკრიბაში იყო, ოხომირა „ცუცხვათის ქვეყანას“ შეიძლება რქმეოდა. დოც. მიხეილ ალავეიძე კი ფიქრობს და, იქნებ არც უსაფუძვლოდ, რომ უქიმერიონი ბერძნული კი არაა, კოლხური ოხომირასაგან („ოხვამერი“ — სალოცავი) არის ნაწარმოებიო. ეს თუ ასეა, ოხომირა უძველესი წარმომავლობისაა

და იგი სალოცავი ქრისტიანობის დამკვიდრების გარიჟრაჟზევე ყოფილა.

ოხომირას შემოგარენში მართლაც არის ციხე, უფრო სწორად, ციხის ნანგრევები, რომელიც თავს მეუფე ნაომის ეზო-კარმიდამოს დაჰყურებს და რომელსაც თავისი მღებარეობით უთუოდ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა. ხოლო ის სალოცავი, საიდანაც ოხვამერი—ოხომირა წარმომდგარა, სწორედ შავიანიძეთა ეზო-გარემოში მღებარეობს. „მღებარეობს“ — იმიტომ ვამბობთ, რომ იმ სახით, როგორც ის მიტროპოლიტ ნაომის ბავშვობაში არსებობდა, დღესაც არსებობს, მათი საცხოვრებელი სახლიდან (სახლი დღეს აღარაა) 20-ოდე მეტრის დაშორებით, შემადლებულ ბორცვზე ბხისა და რცხილის კორუმებს შორის. აქ შორეული ადგილებიდან განუწყვეტლივ მოემართებოდნენ და ახლაც მოდიან მომლოცველები.

დასრულებულად რომ ჩავთვალოთ ოხომირა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცნობილი ოხომირის გრანიტის მოპოვება სწორედ აქ, მეუფე ნაომის ეზოში ხდება...

1896 წელს ნაომ შავიანიძე შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მისი მასწავლებელი შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ მესამე გახლდათ. სასულიერო სასწავლებელში მასთან ერთად მერხზე იჯდა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელთანაც მას მეგობრობა და ახლო ურთიერთობა სიკვდილამდე არ გაუწყვეტია.

16 წლისა იქნებოდა, როდესაც მამა გარდაეცვალა (1905 წ) და მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა მთლიანად ნაომს დააწვა და ეს ტვირთი სხვადასხვა სახით გარდაცვალებამდე ვეღარ მოიცილა. თავს იწუგებდა „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოსო უნდა“.

1908 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაბარა სამასწავლებლო გამოცდები და მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

სიღარიბის გამო ერთხანს (1912-1916) სოფელ ცუცხვათში, მედავითნის თანამდებობის პარალელურად, შეთავსებით მუშაობდა პრისტავის (ბოქაულის), ბიბიკოვის კანცელარიაში — სოფელ კურსებში. ბიბიკოვი დიდად აფასებდა თავისი ახალგაზრდა თანამშრომლის განათლებასა და წესიერებას. ამავე დროს თანაუგრძნობდა, რომ გროშების გულისათვის დიდი გზის გავლა უხდებოდა ფეხით, დარს თუ ავღარში — კურსებიდან ცუცხვათში. არაერთხელ ურჩევია კიდევ, დაენებებია თავი მედავითნეობისათვის — შენ ისეთი კაცი ხარ, პრისტავობას მიაღწევო.

— არაო, უბასუხნია, ნაომს,—მე მღვდელი უნდა გამოვიდო.

— რად გინდა ეს მღვდლობა, ერთი დრო დადგება, მღვდლებს დაახრჩობენო, — უთქვამს ბიბიკოვს.

— თუ ასეთი დრო დადგება, მღვდლებზე ადრე პრისტავეებს მისდგებიანო,—არ დაუთმია ნაომს. ბიბიკოვს გასცინებია — შენ მართალი ხარო და ეს საუბარიც ამაზე შეწყვეტილია...

1916 წელს ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილის) მიერ ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად და ამ თანამდებობაზე 1916-1918 წწ. მსახურობდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში. 1918 წელს ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძის) მიერ იკუთხა მღვდლად (გაამწე-

სეს თავისი სოფლის კოკა-ოხოპირის მაცხოვრის ეკლესიაში), 1924-1929 წწ. სოფ. ჭოგნარის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელია. 1929 წელს დეკანოზობა მიენიჭა და გადმოყვანილ იქნა ქუთაისის მწვანეყვავილის მთავარანგელოზთა ეკლესიის წინამძღვრად. 1921 წ. თებერვლის რევოლუციამდე შეთავსებით სამრევლო სკოლების განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა. აქ განათლების ამავე განყოფილების გამგე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი, რუსთველოლოგი პროფ. ვუკოლ ბერიძე იყო. მა უარყო ვუკოლ ბერიძის წინადადება მღვდელმსახურებისათვის თავი დაენებებინა და ხელი მიეყო თავისი ცოდნის გაღრმავებისა და მეცნიერული მოღვაწეობისათვის ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში.

შემდგომ პერიოდში განაგრძობს მღვდელმსახურებას და ხელმძღვანელობს ქუთაისის მთავარანგელოზთა საკათედრო ეკლესიასთან არსებულ სანთლის ქარხანას.

1921 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გელათში სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნდა აერჩია. იგი მხარს უჭერდა ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტის, ნაზარის კანდიდატურას (როგორც ცნობილია, ამ კრებაზე ხმების მცირე უპირატესობით კათოლიკოს-პატრიარქად არჩეული იქნა ამბროსი ხელაია). აქედან მოყოლებული, ვიდრე 1940 წლამდე, 20 წლის განმავლობაში იყო ქუთაისის ეპარქიის უცვლელი მდივანი და მთავარხუცესი, მიტროპოლიტების: დავითის (კაჭახიძის), სვიმეონის (ჭელიძის) და ვარლამის (მახარაძის) უახლოესი და უერთგულესი თანამშრომელი. 1943 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ თბილისში გაიწვია და თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკად დანიშნა. კათოლიკოსმა მას ბინა თავის გვერდით ოთახში მიუჩინა. იყო რა დაახლოებული კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან, მუდამ ერთგულად ასრულებდა ყველა მის დავალებას. ითვლებოდა საკათალიკოსოს მუდმივ წარმომადგენლადაც საქართველოს მთავრობასთან. მისი მონაწილეობითა და დგაწლით გამოვიდა საქართველოს ეკლესიის

პირველი კალენდარი 1947 წელს, რომელსაც ხელს აწერდა, როგორც პასუხისმგებელი კალენდრის გამოშვებისათვის.

კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა ენქერით (1945 წ. იანვარი), შემდეგ კი — მიტრით (1947).

1943 წელს მონაწილეობას იღებს მოლაპარაკებაში რუსეთის პატრიარქის, სერგის ოფიციალურ წარმომადგენელთან, სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოს ანტონთან. ამ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, რუსეთის საპატრიარქო ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ამ ორ ეკლესიას შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა. როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიამ, 1917 წლის 25 მარტს, რევოლუციურად აღიღებინა ავტოკეფალია. რუსეთის ეკლესიამ არ ცნო იგი და ეს ცნობა მხოლოდ ამ მოლაპარაკების შედეგად, 27-ე წელს მოხდა. სწორედ ამ დროიდან კეთილმეზობლური, მჭიდრო კონტაქტები მყარდება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც კიდევ უფრო ღრმავდება პატრიარქ ალექსის დროს. პატრიარქ ალექსის ინტრონიზაციასა და ამასთან დაკავშირებით მოწყობილ ზეიმში საქართველოს დელეგაციას კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე მეთაურობდა, სხვებთან ერთად დელეგაციის წევრი იყო სიონის ტაძრის კანდელაკი ნაომიც.

მოსკოვში ყოფნისას იგი პატრიარქმა ალექსიმ ძვირფასი თვლებით შემკული ჯვრით (1945, თებერვალი) დააჯილდოვა. პატრიარქ ალექსის კურთხევაზე მოწვეულნი იყვნენ კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქები, მეუფე ნაომს ეკუთვნის შთამბეჭდავი, ფრთოსანი გამონათქვამი — „კალისტრატე ამ უმაღლეს საკრებულოში იყო „პატრიარქი პატრიარქთა შორის““.

1945 წელს საქართველოში საპასუხო ვიზიტით, მხლებლებითურთ, ჩამოვიდა პატრიარქი ალექსი. მათ შესახვედრად კათოლიკოსმა კალისტრატემ ბაქოში წარგზავნა ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი და სიონის ტაძრის კანდელაკი დეკანოზი ნაომ შა-

ვიანიძე. ეს ფაქტი აუწყეს იმდროინდელმა გაზეთებმა (6.10.45 „კომუნისტი“), რაც პირველ პუბლიკაციად უნდა ჩაითვალოს მიტროპოლიტ ნაომის საეკლესიო ცხოვრებაში.

თბილისში მოღვაწეობისას მეუფე ნაომს ძალიან სტკიოდა გული, რომ ქუთაისის მწვანეყვავილის ეკლესია უმოქმედო იყო. ამ ეკლესიასთან კი მისი ყველაზე კარგი წლები იყო დაკავშირებული. თბილისში ყოფნა და ურთიერთობები მან კარგად გამოიყენა, რათა ეს ეკლესია ამოქმედებულიყო. მართლაც, 1943 წ. იგი გაიხსნა და თავის საყვარელ ტაძარში დეკანოზმა ნაომმა რამდენიმე თვე იმსახურა. გაბრუნდა თბილისში, ხოლო ქუთაისში მოღვაწეობა „ექსორიდიან“ დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ეფრემმა განაგრძო. მწვანეყვავილის მრევლს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია თხოვნა, მათთვის ნაომი დაებრუნებინათ. ამის საილუსტრაციოდ მრავალთაგან მოგვყავს ერთი საბუთი — „ოვლად სამღვდელო ეფრემ ქუთათელ-გენათელს. ვინაიდან თქვენდამი გამოგზავნილი დეპეშა ნოემბრის თარიღით ვერ მივიღიეთ, რაც ჩანს თანდართული ცნობიდან, გიგზავნით დეპეშის პირს: „მწვანეყვავილის ეკლესია. ეფრემ ეპისკოპოსს. აცნობეთ მთხოვნელებს, ნაომი ჩემთვის საჭიროა, დროებით მაინც. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე“. გთხოვთ, ასევე განუმარტოთ მთხოვნელებს: ჯერ-ჯერობით ნაომს ვერსად ვერ გაუშვებთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, 2.12.1944“. ეს საბუთი იმასაც მოწმობს, თუ რაოდენ აფასებდა მას კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე. ამ წერილის მეორე გვერდზე მ.ეფრემს წაუწერია „კაცმა რომ სთქვას, კათოლიკოსს უფრო სჭირდება იქ, თბილისში, ნაომი, ვიდრე მე აქ, ქუთაისში“.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე სთხოვდა, თბილისი, მისი გული, სიონი არ დაეტოვებინა, უბინაობის გამო იგი იძულებული გახდა 1947 წელს საბოლოოდ წასულიყო თბილისიდან და მოღვაწეობა თავის მშობლიურ ქუთაისში (მწვანეყვავილის ტაძარში) განეგრძო.

თბილისში ყოფნის პერიოდში მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სამღვდელოებასთან, ქართველ მეცნიერებთან: ექვ-

თიქე თაყაიშვილთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, ვუკოლ ბერიძესთან და სხვებთან.

1955 წელს მეუფე ნაომი იმყოფებოდა იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სომხეთის პატრიარქის, ვაზგენ პირველის არჩევასა და კურთხევას დაესწრო. 1956 წელს ქუთაის-გენათის ეპარქიის დაქვერივების გამო, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ მესმის მიერ იგი ინიშნება ამ ეპარქიის მთავარხუცესად ქორეპისკოპოსის უფლებით.

კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა მრავალჯერ სთხოვა მეუფე ნაომს, ამოდგომოდა მას მხარში, როგორც მღვდელმთავარი. მრავალჯერის უარისთქმის შემდეგ ხათრი ვედარ გაუტეხა თავის ყოფილ მასწავლებელს და 1957 წელს ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოსის პატივი მიიღო. მწვემსთავრობის პატივში გამოჩნდა მეუფე ნაომის ბრძნული და ორგანიზატორული საქმიანობა. უგროშოდ დარჩენილი ეპარქია ფინანსურად მომძლავრდა, ეკლესიის ყველა მოღვაწეს საშუალება მიეცა თავისი ნიჭისა და უნარის გამომყვანებისა და განხორციელებისა. მეუფე ნაომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა წმ. დავით და კონსტანტინეს საფანეს, იქნებოდა ეს გზის მიყვანა, ელექტროგანათება, წყალგაყვანილობა, საეპარქიო სახლის აგება თუ სხვა. მისი მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტით დაფიქსირებულია მემორიალურ დაფაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეუფე ნაომის სიცოცხლეში დაუდგა მოწამეთის მონასტრის მადლიერმა კრებულმა.

მიტროპოლიტ ნაომის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ თავის სოფელში, თავისსავე სახლში, სკოლა დაარსა და თავისსავე ასაკის გოგობიჭებს წერა-კითხვასა და სხვა საგნებს ასწავლიდა. ამისაკენ ალბათ მას მამის მაგალითიც უბიძგებდა, რომელმაც ოკრიბაში — ტყიბულის მაზრაში პირველი სკოლა დააარსა.

რევოლუციამდე და მის შემდეგაც მატარებლის გაჩერება მხოლოდ კურსებში ყოფილა. ორპირი კი დასახლებული არ იყო და მატარებელიც არ ჩერდებოდა. მხოლოდ პატივსაცემ პირებს და, მათ შორის, ცნობილ

ექიმს, ნოე მხეიძესა და მღვდელ ნაომ შავიანიძეს უჩერებდნენ მემანქანეები მატარებელს. შემდგომ ექ. ნ.მხეიძისა და ნაომის მეცადინეობით დაჯარსებიათ ორპირში მატარებლის გაჩერება.

1967 წელს ეფრემ მეორემ მღვდელმთავრის ხარისხში ათი წლის ნაყოფიერი, უმწიკვლო სამსახურისათვის მიტროპოლიტის პატივი უბოძა. მანამდე კი (1964 წ.) წმ. ნინოს მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

1958 წლის აგვისტოში მელქისედეკ მესამემ საგანგებოდ მოიხმო ქუთაისიდან ბორჯომში, სადაც კათოლიკოსი ურბნელ და თეთრწყაროელ მღვდელმთავრებთან, დავითთან და ზინობისთან ერთად ისვენებდა. ხანგრძლივი, განმარტოებული საუბრის შემდეგ მეუფე ნაომი ქუთაისში დაბრუნდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მელქისედეკ მესამემ დაბეჯითებით სთხოვა დათანხმებულიყო, მისი სიკვდილის შემდეგ მოსაყდრის ადგილი დაეკავებინა. მან კატეგორიულად უარყო ეს წინადადება და ევედრა, ეს არ გაეკეთებინა, არ დაეტოვებინა ანდერძით მოსაყდრედ, რადგანაც ის არ არის ამის ღირსი, რომ ეს ადგილი ეკუთვნის ეფრემს და თუ კათოლიკოსი მაინც მას დააკისრებდა ამ ტვირთს, ის უყოყმანოდ მას მიტროპოლიტ ეფრემს გადასცემდა. ეს უკანასკნელი ხერხი იყო, რათა საყვარელი მასწავლებლის მიერ შეთავაზებული წინადადებისაგან თავი დაეღწია. კათოლიკოსმა მელქისედეკმა გაანდო, რომ მას კიდევ ჰყავს ერთი კანდიდატურა, რომელიც უარს არ ეტყვის, თან სთხოვა, ეს საუბარი საიდუმლოდ შეენახა.

1960 წლის დამდეგს, როცა მელქისედეკ მესამის გარდაცვალების დეპეშა მიიღო მოსაყდრე დავითის ხელმოწერით, დაუყოვნებლივ გაფრინდა თბილისს და ქვაშვეთის ცქლესიისაკენ იმ მიზნით გაემართა, რათა ეთხოვა მიტროპოლიტ დავითისათვის უარი ეთქვა მოსაყდრეობაზე ეფრემის სასარგებლოდ. მოუხედავად იმისა, რომ მიტროპოლიტ დავითის იგი ძალიან დიდ პატივს სცემდა. საბედნიეროდ, მეუფე ნაომის მისვლაშდის. მეუფე დავის ეს უკვე გაკეთებული ჰქონდა. ეფრემ მეორემ იცოდა ეს და სხვა მრავალი ფაქტები მეუფე ნაომის პრინციპულობისა

და კეთილშობილებისა, უაღრესად დიდ პატივს სცემდა და მოკრძალებულად ექცეოდა მას. ეფრემ მეორეს მისთვის არაერთხელ უთქვამს: „შენ ერთს გაქვს უფლება ცოდვების მოკითხვისა და ბედნიერი ვართ, რომ შენ ამას არ აკეთებ, ბედნიერი ვართ, რომ შენ არ იცი ზედმეტის თქმა, ის, რაც შენ იცი, რომ გეთქვა, ვინ იცის, შეიძლება წარღვნაც მოსულიყო“.

მიტროპოლიტი ნაომი იყო მორჩილი, მეგობარი, თანამებრძოლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების—კალისტრატესი, მელქისედეკ მესამის, ეფრემ მეორისა, თანამებრძოლი ამ სიტყვის სრული გაგებით. ცოდვილთა მოქცევის მისი მეთოდები უნახესი, უაღრესად დახვეწილი, უზუსტესი შტრიხებით გაპოირჩეოდა. მასთან მოხვედრილი ყველაზე საშინელი უღმერთო, ურწმუნო, მხეცურ ინსტინქტებამდე დამდაბლებულიც კი, უმაღვე მის გავლენაში ექცეოდა.

მოქცევის მაცქერალს, შეაგრძნობინებდა ზეგარდმოცემის იმ ღვთიურ მადლს, ძალას, რომელსაც იგი ფლობდა. საამისოდ არავითარ მყვირალა ფრაზებს, გაუგებარ ციტატებს არ იყენებდა. „მოწინააღმდეგე“ ყოველთვის გრძნობდა, რომ მას ჩვეულებრივ ადამიანთან ჰქონდა საქმე, რომ ის სხვათაგან არაფრით განსხვავდება. ამავე დროს, გრძნობდა ამ უბრალოების სამოსელს მიღმა უდიდეს ძალასაც.

მასთან ახლოს მყოფნი ვერ გაიხსენებენ არა თუ საქმეს, თუნდაც ერთ სიტყვას, შეურაცხმყოფელს სულიერისას, თავად სიტყვისასაც. უდიდეს პატივს სცემდა ამ სიტყვას, უაღრესად ფაქიზად ექცეოდა მას და თუ იხმარდა დიალექტურ გამოთქმას, იხმარდა იგი ვითარცა ქართული ენის სამკაულს — „რამეთუ პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“. ამასთანავე, ძირეულად იცნობდა კაცურ ცოდვებს, ტექნიკის ეპოქაში ვირტუოზობამდე აყვანილ, ზოგჯერ კეთილშობილების სამოსელში გახვეულ ცოდვებს. ყოველივე ეს დიდად ეხმარებოდა მოძღვრად და მოძღვართ—მოძღვრად დარჩენილიყო. მან არა მარტო იცოდა მრავალგვარ ცოდვათა ვარიანციები, მასთან ახლომყოფთა, ნაცნობთა თუ მეგობართა ცოდვებიც ზედმიწევნით

უწყოდა.

მას მრავალჯერ უბრძანებია, „ჩვენმა ხალხმა ტყუილად როდი შეარქვა კაცის ცხოვრებას წუთისოფელი, რომელიც ერთი ოთახის ორ კარს შორისაა მოქცეული; ერთიდან შედიხარ, მეორედან კი გადიხარ. კაცად—კაცად მან ეს მცირე მანძილი ტალახიანი ფეხებით არ უნდა გაიარო, რომ ცუდი ნაკვალევი არ დატოვო“.

ჩვეულებრივ, ასეთი მოძღვრების მიმართ შურითა და ღვარძლით განიმსჯვალეობან, სურვილი უნდებათ და უძლიერდებათ შეურაცხყოფის, დამცირების, დაკნინებისა. ასეთი რამ მის მიმართ არავის ახსოვს. მაგრამ იყო ანონიმური წერილები, რომელთა ერთი შეკვრა მის არქივში დღესაც ინახება. ეს იყო წერილები კაცუნებისა, ეშმაკთან წილნაყარი არაკაცებისა, რაც წინააღმდეგ ანონიმთა სურვილისა, კიდევ უფრო მეტი დიდებით მოსავდა აღრესატს. მხოლოდ სულიერად ახლობელ პირთათვისაა ცნობილი, როგორ მოდიოდნენ ეს „მაბეზღარნი“ და პატიებას თხოვდნენ საკუთარი გულბოროტი და უმეცარი ქმედებებისათვის. მარტო ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა მიედო მისგან პატიება, რადგან გვიან შეიცნო თავის ცოდვა—დანაშაული. უკვე სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მეუფე წუხდა და ამბობდა წარსულში თავის ხორციელ და სულიერ ახლობელზე, თუნდაც დაგვიანებით მაინც მოვაო შესანდობელად.

ამ „დაგვიანებულ“ გამოცხადებაში ცოდვათა მოსატყეებლად, შესაძლოა, გულმხმობდა ამა ქვეყნიდან იმქვეყნიურში გადასახლებას, ის კი ფაქტია, რომ ეს ადამიანი მართლაც ეახლა თავის მოძღვარს იმ ქვეყნის მისი სულის ამალგებამდე.

1969 წლის 7 იანვარს, შობას, მეუფე ნაომმა უკანასკნელად იმსახურა ქუთაისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში. ქვემო კიდურების განგრენამ სწრაფი განვითარება მიიღო. სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ ქვემო კიდურების მაღალი ამპუტაციით—მოკვეთით შეიძლებოდა, რაზედაც მან ეჭიშებს კატეგორიული უარი განუცხადა — რა, თქვენ მთავაზობთ, ჩემი საკუთარი ფეხი მოვიჭრა და გადავაგდო. ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ, 1969 წლის 3 მარტს, დიდი მარხვის

პირველ ორშაბათს, საღამოს 23 საათზე, პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრის ზარებმა ქუთაისის მორწმუნეებს ამცნო, რომ მიტროპოლიტი ნაომი გარდაიცვალა. 9 მარტს დაკრძალეს იგი პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში. მწირველნი იყვნენ და წესის აგების საიდუმლო შეასრულეს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ (ამჟამად, კათოლიკოს-პატრიარქმა), თბილისისა და ქუთაისის სამღვდელეუბნებში, მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტობაში.

გარდაცვალების მეორე დღეს ბათუმიდან ეფრემ მეორის ასეთი შინაარსის დეპეშა მოვიდა: „ჩემი უძვირფასესი ნაომის გარდაცვალების გამო ვერ მოგახსენებთ სამძიმარს, რადგან ყველამ მე უნდა მითხრათ სამძიმარი ყველაზე მძიმე დანაკლისით შეწუხებულს. განკარგულება გაცემულია. დროზე ჩამოვალ, ხუთშაბათისათვის, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე“.

დეპეშა გამოეზავნა აკად. აკაკი შანიძემ: „დიდად დამაღონა ჩემი სკოლის ამხანაგის გარდაცვალების ამბავმა. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულწრფელი სამძიმარი მძიმე დანაკლისის გამო. პროფესორი აკაკი შანიძე“.

იყო უამრავი დეპეშა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან, რომელთაც გული დაწყვიტა მიტროპოლიტი ნაომის გარდაცვალებამ. დაკრძალვაზე ვერცელი და მეტად თბილი სიტყვა წარმოთქვა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ. იმავე დღეს, მეუფე ნაომის პატივსაცემად გამართულ სადილზე გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა აწინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ მეორემ. სხვათა შორის, მან თქვა, რომ მიტროპოლიტი ნაომი იყო სინოდის სხდომების უცვლელი მდივანი, მის მიერ დაწერილი ოქმები გამოირჩეოდა შესანიშნავი კალიგრაფიით, კლიდენი სიხუსტიითა და ლაკონიურობით.

მ.ნაომი (მეუფე) მსახურებისას ესაუბრებოდა მრევლს. მისი საუბრების უმთავრესი თემა იყო ბედნიერება, სიკეთე, სიყვარული. თავის სამწყვსოს, ახლობლებს შთააგონებდა, რომ ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, თუ ყველა სურვილი აუსრულდებოდა, მაგრამ უფრო ბედნიერი იქნებოდა, გამოყოფილი რომ

ყოფილიყო ღვთის ნაბოძებით.

თვითონ უბოვარი ასწავლიდა: ფული ძალიან კარგი მსახურია, მაგრამ უკეთუ ბატონად დაგიდგა, ადამიანის სახესაც დაგაკარგვინებსო.

ძალზე აფასებდა გულისხმიერ ადამიანებს, იტყოდა ხოლმე, ეს კაცი მოძღვრადა დაბადებული, ანდა, რა კარგი მოძღვარი გამოვიდოდაო.

უყვარდა კეთილმოქმედი ღირსეული ადამიანები. „დიდი ადამიანები დიდებულ იბადებიან და სიკვდილის შემდეგაც დიდებულნი რჩებიან, სხვები უბრალოდ იბადებიან, უკეთეს შემთხვევაში, იზრდებიან და კვდებიან“. „კაცი, რომელიც არაფერს აკეთებს, ამით უკვე ბევრს აფუჭებს“...

ასწავებდა: მოყვასს უსათუოდ უნდა მისცე სიყვარულის, პატივისცემის, მაღლობის გამოხატვის საშუალება. რაც უნდა უმნიშვნელო ძღვენი მოგართვას, თქვენთვის ზედმეტი და უსარგებლო, იმგვარი სიამოვნებით უნდა მიიღო, პირუკუ მიანიჭო სიხარული მომკითხველს, რამეთუ ღმერთი იყო კაცი, ადამიანიც ღვთიურია ბუნებით, მორთმეული შენთანა, მსხვერპლია მორთმეული ღვთისა თანა. ადამიანში უნდა ეძიებდე კაცს და პპოვებდე ღმერთს.

ბევრს ქადაგებდა ოჯახსა და მის სიწმინდეზე. დიდ უპირატესობას ანიჭებდა მანდილოსანს, ზშირად იტყოდა, „დედაკაცი მხევინ პპოოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსაცილილისა“.

მის ახლობელთაგან არავის წამოსცდენია საყვედური თავის შესაძლებლობაზე დაბალი ცხოვრების პირობებზე. გარდაცვალებისთანავე ყველაზე ახლობელმა ადამიანმა გულისტკივილით თქვა — რა ცოდნა მიაქვსო საფლავში.

ვერ იტანდა ღვთის არსებობაში ოდნავი ეჭვის შეტანასაც კი. ერთხელ პროფ. გიორგი წითლანაძემ მცირე ტრაპეზთან შეპკადრა სულის არსებობაზე ადამიანში თუ ადამიანის გარეთ და ჰკითხა, თქვენ ეს გჯერათო? მცირე პაუზის შემდეგ პატივისცემით, თუმცა მკაფიოდ უპასუხა მიტროპოლიტმა ნაომმა — ძალიან გაუნათლებელი უნდა იყო, რომ ეს არ გჯეროდესო...

გზა სტეფანწმილისაკენ

მატულობს განსაცდელი და მღვიძარებაც მატულობს. ეკლესიას და ერს ერთი ტკივილი სტკივა — გახლენილი გული, რომლის მკურნალია და განმამთლიანებელი იესო ქრისტე. „აღიდე ჯვარი შენი და შემომიდექ“... ბრძანებს მაცხოვარი.

აღიდე ჯვარი და შეუდგა ქრისტეს მოციქულთა სწორი ნინო, რომლის დეაწლმა და ქართველთა ქრისტიანულმა ცხოვრებამ მსოფლიო საქრისტიანო სახელმწიფოთა შორის აღამაღლა სახელი ივერთა.

ამ ჯვრის მადლმა, წმიდა ნინოს გზის თაყვანისცემამ, 400-მდე კილომეტრის ფეხით გაულამ ფარავნის ტბიდან მცხეთამდე, აუცილებელჰყო მრავალი გზა საქართველოში: გზა აჭარაში, გზა გურიაში, გზა რაჭაში და გზა ხევში — მოხვევთა ნავსაყუდელში.

ხვეისბერი, ხვეის ეკლესია, ხვეის ნიში, ხვეის ადათი, ხვეის სალოცავი, ხვეის ხატობა, ხვეის დღეობა... ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ ჩაიკირა და გადარჩა საქართველოს ამ კარიბჭესთან, რამდენი განქართვებულნი გაიშინა.

დღეს ხევს მოძღვარი ჰყავს, ეკლესიური, ალალი და მართალი ადამიანი, მამა ტარიელი. გერგეტის სამებას ახლადგანსწილს, ბეთლემთან დაწინდულს, სიწმიდისა და სიმაღლის გვირგვინს, კიდევ ერთი ტაძარი მიემატა — მთავარანგელოზისა. ეს მოხდა მაშინ, როცა ლოცვით მოუღლედი ორი მოძღვარი ფეხით მო რულ თავის მცირე სამრევლოსთან ერთად ევედრებოდა მთავარანგელოზს ტაძარში წირვის აღდგენას და „ნინოს გზის“ ჯვარ-ხატების მადლით, ლოცვითა და გალობით ათენ-აღამებდა გერგეტის სამებასთან.

გერგეტი საოცარია დღისით და უფრო საოცარი ღამით — ანთებული, ცაში დაკიდებული კელაპტარი.

წმიდა სახარების ვერცხლის ყდასავით მოჭედილი კარიბჭით შედიხარ ტაძარში. მასიური ქვის კანკელის ნიშებზე რუსული ჭრელი მხატვრობის ქვეშ მოძღვრის მიერ მიკვლეული დიდებული ქართული ფერებით შექმნილი მაცხოვარი და ღვთისმშობელი გამებება.

ხვეის 15 სოფელი: სტეფანწმიდა, გერგეტი, ლარსი, სიონი, სნო, აჩხოტი, ჟანშეთი, კარკუნა, ახალციხე, ქოსელია, ჯუთა, ყანობი, ვარდისუბანი, კობი და ტყარშეთი. თითოეულ მათგანს ნიში, სალოცავი ან ეკლესია გადმოჰყურებს თავზე, თითოეული მათგანის ეხოთუ სამოსახლო, სათიფე თუ საყანე, ყოველი მტკაველი, ყოველი გოჯი მიწა ეკურთხა წმიდა აიაზმით, გუნდრუკის კმევით, ლოცვითა და გალობით. თითოეულ ოჯახს დაურიგდა ჯვრები და ხატები, მცირე ლოცვანები. თითოეულს განემარტა ქრისტიანული ცხოვრების გზა და არსი.

ლამაზია ჯუთის გზა. ბიბლიური ბერვანდელობის სილამაზეს გაგონებს უცნაური, მუქი-მელნისფერი გორონი მთებისა და ქუჩების მონაცვლეობა ხასხასა, ფაფუკ ტყეებთან და ფერდობებთან.

გზა მადლა და მადლა მიიწევს. უკან ვტოვებთ კლდეებზე დედის ნაწნავებით გადმოფენილ-განსაქტაკებულ, ჩამოშლილ ჩანჩქერებს.

ლამაზი იყო დღე ჯუთაშიც. გულუხვი მზე და გულუხვი სიცივე ერთად... ლამაზი იყო იმ დღეს ხვესურთა დიდთან-მატარიახად მონათვლაც.

დღე დღეს მისდევდა გალობით, ლოცვით. ყოველი ხვალე უფრო და უფრო აახლოებდა ხალხს მორწმუნეებთან. კიდევ ერთი ქრისტიანული სიხარული შეემატა სტეფანწმიდას.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა მგალობელთა გუნდი. დღითიდღე მატულობს მოხვეე მგალობელი გოგონების რიცხვი. ჯერ მორცხვი, შემდგომ თანდათან ძლიერი, წკრიალა ხმა ეფინება მელნისფერი და მტრედისფერი მთების სივრცე-სიმაღლეს.

კვლავ სახეიმო ნათლობა. ამჟამად სოფელ კარკუჩას სიახლოვე; მდინარე წყალადხიდთან, ოდნავ მოფონებულ ადგილას, უამრავი ხალხის წიაღში ინათლება 100-მდე მოხვეე. დიდი და პატარა თერგში ეხიარება ნათლობას.

სხვა სოფლების მსგავსად გერგეტის სოფლის გარშემოვლას, ლოცვას და გალობას შემდგომ ნათლობა ემატება. მყინვარწვერიდან ჩამომავალ ყინულივით ცივ მდინარეში მონათლულ ტიტველა ყრმებს და ხანდაზმულებს ნათლობის მირონი და თაკარა შუბათობთ.

მოხვეეებს ბევრ სხვა ქრისტიანულ დღესასწაულებთან ერთად იოანე ნათლისმცემლის ხსოვნის დღეც შემოუნახავთ — „ივანობა“. ქრისტიანული საეკლესიო კალენდრის მიხედვით იგი ემთხვევა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს.

მძიმე მარხვის გამო ყოველი წლის დღესასწაულის მეორე დღეს მთელი ხევი მისი სახელობის ნიშთან იკრიბება საღვთო საკლა-

ვებით და ზედაშეთი.

ღარიალის ხეობაში, მდინარე თერგის ნაპირას, იქ სადაც კარიბჭეა ქართველთა, იოანე ნათლისმცემლის ნიშთან, მოძღვრების—მამა დავითის და მამა ტარიელის მიერ გადახდილი პარაკლისისა და ქადაგების დასასრულს დაიწყო დიდი ნათლობა.

თოვლიანი მთების ძირში, აქაც ყინულივით ცივ წყალში ინათლება დიდი და პატარა, ასობით მონათლულ შორის ყრმათა სიმრავლე სჭარბობს. დედიშობილა თოთო ყრმები გაოცებული ამოჰყავთ მოძღვრებს და მორწმუნე ვაჟებს ცივი ტალღებიდან.

მდინარის გასწვრივ მონათლულთა გრძელ ნაკადს მოძღვარ-მგალობელი მიუძღვიან წინ... „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებთ და ქრისტე შეგვიმოსიეს“.

... „დღეს თქვენ მოინათლეთ. დღეს არის იოანე ნათლისმცემლის დღე. თვით ქრისტე მოინათლა მდინარეში იოანე ნათლისმცემლის მიერ. დღეიდან თქვენ ჭეშმარიტი ქრისტიანები ხართ. შეგეწოთ დღევანდელი დღის მადლი“, — მიმართავს მოძღვარი, დეკანოზი დავითი ახალმონათლულებს.

ღამის წყვედიადში ქრისტეს ბეჭედ და მადლიღებული მოხვეენი წყება-წყებად მიიკვლევენ გზას თავ-თავიანთი სოფლებისაკენ.



უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ყაზბეგში

პირველ ოქტომბერს გაიხსნა სტეფანწმიდის (ყაზბეგის) მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამღვდელოებასთან ერთად ეწვია ტაძრის გახსნის ზეიმს.


მოხვეეებმა განსაკუთრებული შეხვედრა მოუწვევეს უწმიდესს ილია II-ს, როგორც პატრიარქს სრულიად საქართველოსისა და როგორც შვილს ამ კუთხისას.

სტუმრად ზემო რაჭაში

ასრულდა ჩვენი დიდი ხნის ოცნება — გავუმგზავრეთ რაჭას. თავდაპირველად დებს მივაშურეთ. დები რაჭის უძველესი სოფელია. შოდაკედელს ქედის მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები ამჟამად გადმოყურებს ახალგაზრდა მულრიონსა და მის შენაკადს ჩვემურას. ეს „უწინარი“ პატარა მდინარე წვიმიან ამინდში გრგვინავს და შიშის ზარს, სცემს სოფლის სტუმრებს. ადგილობრივი მოსახლეობა რაჭული სიმშვიდით ეგუება მის ყოველ განრისხებას. კეთილი, სტუმართმოყვარე, ჭირთამთქენ, შეუდრეკელ დებელებს არ ამინებთ ბუნების ჭირვეულობა. დმერთის რწმენა აძლეოთ ძალას... სოფელს ჰქონდა ეკლესია, მკაფადა მოძღვარი. მის შთამომავალთ ახლაც ხუციანთს ეძახიან. რაიონის ხელმძღვანელობამ ჯერ მოძღვარი წაართვა ხალხს, შემდეგ კი ეკლესიაც დაუზრია. „ურა კომუნისტის“ უკულტურობას და სიბოცეს საქართველოს კიდევ ერთი წმინდა ძეგლი შეეწირა. ცხოვრობს სოფელი მოძღვრისა და ეკლესიის გარეშე, მაგრამ ღვთის სიყვარული არ ჩამკვდარა ხალხში, ღმერთისაც სწამთ და ხატისაც. ზეიშობენ ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს, მარხვასაც იცავენ და ღოცვასაც აღასრულებენ. ნაკლესიარს წმინდა ადგილად მიიჩნევენ, სანთელს ანთებენ ხეზე, ეკლესიის ეზოს რომ ამშვენებდა ოდესღაც. პატარა სალოცავებიც აქეთ-ერთს დედა ღვთისას უწოდებენ, მეორეს — მთავარანგელოზისას...

ორშაბათს ავდივართ სოფელში. მთელი კვირა წვიმადა თურმე, ჩვენი ჩასვლისას მზემ გამოანათა, ცა გადაიწმინდა. ასეთი ლურჯი ცა უშგულში გვინახავს მხოლოდ. მიუხედავად ძნელი და გრძელი გზისა, დადლილობას არ ვგრძნობთ. მივდივართ ნაკლესიარზე. მამა გიორგი პარაკლისის იხდის. სულ რაღაც წუთები და მთელი სოფელი აქაა. როგორ შეიტყვეს ასე სწრაფად ჩვენი ჩამოსვლა?! ყველას უნდა მიუახლოვდეს მამა გიორგის, ჯვარს ემთხვოს. იქიდან დედა ღვთისაში ავდივართ. დებელები უკან მოგვყვებიან. საოცარია, არავენ ფიქრობს სათიბში წახვლას. მახსენდება ერთი ხალხური თქმულება — მკათათვეს დებელს

ცოლი დაუმარხავი დარჩა, თიბას ვერ დაანება თავი. პარაკლისის დამთავრების შემდეგ მოხუცი ქალები ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს. „მამათ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები მონათლულნი არ არიან, მოძღვარსაც პირველად ხედავენ თვალით. ახლო-მახლოს მოქმედი ეკლესია არსადაა, შორს წახვლას კი უგზობის გამო ვერ ვახერხებთ, მოგვინათლეთ შვილები, შვილიშვილები...“ ხუთი საათისათვის შეთანხმებისამებრ მივდივართ მდინარე ჩვემურაზე, სადაც უნდა მოხდეს დებელების მასიური მონათვლა. მთელი სოფელი იქაა, ერთი საათით ადრე შეგროვდა ხალხი. იწყება ნათლობა, მრევლი გალობს. სოფელში მანქანა შემოვიდა, პირდაპირ ჩვენსკენ მოდის, ახალგაზრდა გეოლოგი ზის საჭესთან. „რა ხდება, სოფელში, ხალხნო?! ასეთი რამ ჯერ არ მინახავს, ნათელი ადვას დებს“. შუალაშემდეგ გაგრძელდა ნათლობა. რამდენიმე კაცი დარჩა მოუნათლავი. მირონი გამოეღია მოძღვარს. მამა გიორგი ხალხს ურიგებს თბილისიდან წამოდებულ სანუქრებს — ხატებს, წიგნებს, სანთლებს და პირდება, რომ მალე კვლავ ეწვევა სოფელს. მეორე დღეს გონაში მივდივართ, მთავარანგელოზის სალოცავში. „მამათ, გვიკურთხე წყარო, გვიკურთხე სასაფლაო“, — თხოვენ მოძღვარს და ისიც დაუზარებლად ასრულებს სოფელელთა ყველა თხოვნას. გათამამებულმა დებელებმა ახლა ისიც გაბედეს, იქნებ, დაგვეხმაროთ, ეკლესია ადგვიდგინოთ სოფელში. აღარ იციან, რითი გვცვენ პატივი. მთაქვეთ ძღვენი, მოაქვთ კეთილი გულით — ღორი და ყველი, ლობიანი და ხაჭაპური, რძის თავი და ხაჭაპური... ერთ დილას პატკანი დაგვხვდა ეზოში. მეოთხე დღეს ვტოვებთ სოფელს. მთელი დები მოგვაცილებს, მოგვაცილებს იმ იმედით, რომ სულ მალე კვლავ ვეწვევით... ვერ შევასრულეთ დანაპირები. ადიდებულმა მდინარემ წალეკა სოფელთან მისასვლელი გზები. სტიქიამ დიდი ზარალი მიაყენა ზემო რაჭას. დაინგრა სახლები უწერაში, გლოლაში, ონში. დებსში არც ერთი სახლი არ დანგრეულია, ღმერთმა დაიფარა მოქცეული სოფელი.



ნიორწმინდა. XI ს.



ნიორწმინდა, ტაძრის დეტალი

გურიანი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სასექტემბროდ მკათათვე გაითენა გურიამ. აწვე წრფელ არიან ყანანი და სამკალიც ფრიად არს, და რაოდენ სასიხარულოა, რომ მომკალიც წარივლინა მკად—წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი არჩილი და მრევლი მისი. საოცრად მოწყალეა უფალი, „რამეთუ ყოველთა კაცთა ცნონება ნებაჲს“.

დღესაც ამ ზეციერმა მამამ გაშალა თითქოს მოწყალე ხელები უძღები შეილის შესახვედრად „არა რამეთუ ჩუენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემეყვარნა“ (1 ინ. 4.10). „ძვირფასითა სასყიდლითა“, საკუთარი მხოლოდშობილი ძის სისხლით გამოგვისყიდა მონობისაგან სატანისა და განაქარვა სიკვდილი; ყოველთა ნაშობთა უაღრესს, ღმრთისმშობელს აწილხვდომა ერი ქართველთა, ხოლო სამთა მოციქულთა—ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის და მატათას მოღვაწეობით მოგვიმუშაკა უკანასკნელსა ჟამსა, მაგრამ ჩვენ ვითარცა წერილ არს: „ძაღლი მიექცა ნათხევარსა თვისსა და ღორი ინწუბა სანგორელსა შწვრისასა“ (1 პეტ. 2.22). ახლაც ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის და ამ სამ ნეტარხსენებულ მოციქულთა ხატების მეოხებას მივვენდეთ და მათი წინამძღოლობით ავაფრიალეთ საქართველოს სეფე დროშები გურიის ორღობებში.

ვითარცა იტყვის უფალი, „სხვანი დამაშვრალ არიან ყანებსა ამას,“ ჩვენ მხოლოდ მათ ნამუშავეში შემოვედით. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ლოცვა-ვედრებით მოციქულთა შორის უპირველესად ხმობილმა ანდრია პირველწოდებულმა გვიმახარობლა სასუფეველი. საქართველოს კურთხეთა შორის უპირველესად გურიაში გაისმა მისი ხმა: „განჰმადნით გზანი უფლისანი და წრფელყვენით ალაგნი მისნი“ (მკ1.3). მაგრამ რა?

ეკლესიათა ნგრევაში უსასტიკესი ძალისხმევა გამოიჩინა „უპირველესმა მხარემ“ — გურიაში. მოსდგნენ და განიფიცხეს თავი და მამა-პაპათა აპყარეს პატივი. განა წარმოუდგენელი უგუნურება არაა თვითვე აღხოცო საკუთარი სახელი ქვეყანასა ზედა. და თანაც ამ უკეთურების დროს მღერას რომ დაგაწებინებენ:

„დავანგრიეთ ეკლესია,
ჯვარი ჩამოვხსენით
ამაღლების მთაზე
თეატრი გავხსენით“

ალბათ ეკლესია და კუროსთავები ჰყვავიან იმ ადამიანის გულში, რომელიც მიჰყოფს ხელს და პირწმინდად წარმოაცარიელებს ეკლესიის ნანგრევ ქვებს, აღიგებს მათგან სასახლეებს შურიტ ურთიერთთა, რამეთუ წერილ არს: „მურმან შეიპყრას ერი უსწავლელი“, აღაშენებს აფთიაქებს, მაღაზიებს, თეატრებს. ანუ „რაი არს კაცისა უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იხლვოს“ (მკ. 8.36).

ვერცერთ სოფელში, სადაც კი ვიყავით, ვერ ვნახეთ ეკლესია, ეკლესიის ნაშთიც კი სანატრია „ყოველი თავი ტკივილად და ყოველი გული მწუხარებად“ (ესაია 1.5). მაგრამ სწორედ რომ „ღმერთი სიყვარული არს“ (ინ. 4.8), რამეთუ „მართალი უყვარს და ცოდვითა სწყალობს“ და მწვემსია კეთილი, რომელიც ეძიებს სულს შემუსვრილს და გულს დამდაბლებულს, რათა მხართა თვისთა ზედა იტვირთოს იგი და ბაკად მამისად მიიყვანოს დღესა მას სასჯელისასა.

სწორედ ასეთი მოწყალეა აჩვენა მაცხოვარმა, როდესაც გურიის მხარეში (ჩოხატაურის რაიონი) ნათლობების აღსრულება მოგვმადლა.

... ჩვენი უპირველესი მასპინძლის, 80 წ. გადაცილებული უკეთილშობილესი ქართველი მანდილოსნის, რუსუდან ზაქარეიშვილის

სტუმართმოყვარე სახლი ცხოვლად დააჩნდების ჩვენს სულს, ვითარცა სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი სიყვარულისა. ჩვენც, მლოცველნი, ერთად შემდგარნი ქრისტეს გზაზე, მაძიებელნი ჭეშმარიტებისა, ერთ სხეულად შეკრულნი, სულიერი მამის რწმენით შეერთებულნი, აღვაგვლენდით ღოცვას უფლისადმი ერისა და მამულის გადასარჩენად.

პირველი ნათლობა — წმინდა ემბაზად ქცეული სოფლის წყარო. და შემდგომ ამისა გალობით გაღებული გზანი სოფლისანი: საჭამია სერი და ჩომეთი, კონხარი და ნაკადული, წიფლნარი და ზემო ხეთი, ბუკის ციხე და დიდი ვანი... ნათლით შემოსილ მდინარეებში, სპეტაკ კალთის წმინდა ოლარქვეში ინათლებოდნენ, იცრემლებოდნენ და უერთდებოდნენ ქრისტეს.

წარსულის უმეცრებისა კიდევ ერთხელ გავხდით მოწმენი... ჩვენ მუხლმოდრეკილი, სანთლებით ხელში, ვუკმევთ საკმევებს ნანგრევებად ქცეულ ღვთისმშობლის ტაძარს. გარსშემოხვეულ ცნობისმოყვარე, რწმენამორღვეულ ხალხს შორის იმზირებოდნენ პატარა უმანკოთა ანთებული თვალები, რომლებშიც იკითხებოდა გურიის მომავალი.

დაბოლოს, სულის ზეობად ქცეული გამოთხოვება ჩვენს მასპინძელ სოფელთან. შუაღამისას, თავსხმა წვიმაში, წმინდა დროშებით, ხატებითა და სანთლებით ხელში შევუყვებით სოფლის სასაფლაოსაკენ მიმავალ აღმართს, რათა მაცხოვრის ტაძრის ნაეკლესიართან უფლისადმი სამადლობელი პარაკლისი აღგვევლინა, რასაც შემდეგ მოჰყვა პანაშვიდი ამ სოფლის მიცვალებულთა სულებისა და იმ უკანასკნელი მოძღვრისათვის, რომელთანაც ერთად მიიხურა სოფლისთვის აღსავლის კარი. ძილად მისული სოფელი გამოაფხიზლა უფლის სადიდებლად აღვლენილმა გალობამ, გამოაფხიზლა და პირველი ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი რუღუნებითა და მოკრძალებით შეუყენა იმ გზას, რომელზეც უფალი გატყვის: „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება (ი 14,6). საოცარი სანახავი იყო ღვთის სავედრებლად მუხლმოყრილი გურიის სოფელი, ანთებული სანთლებით ხელში. ძველი ცოდვებით დამძიმებული, იმედნახასული ნდობით შეჰყუ-



რებდნენ მოძღვარს და მასთან ერთად სასოებით აღავლენდნენ „მამაო ჩვენო“.

დღეს ალბათ ეს ისეთივე სასწაულია, ბაბილონში რომ აღასრულა ზეცითგან ცვარად გარდამოსულმა უფალმა: მაშინ საკმილსა შინა შეცვრეულნი ყრმანი რომ უღადადებდნენ „მამათა ჩვენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ“. გურიაში არათუ ბუნებრივი საკმილი, არამედ ცეცხლი იგი დასაბამიერი აწვევდა ხალხს მამა-პაპათა რწმენის აღმოსაფხვრელად. ვინ იფიქრებდა ოდესმე, რომ მოვიდოდა ჟამი და „აწვე არს“ როს ქართველი პირჯვრის წერას დაივიწყებდა. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ვიყვენით ყრმანი, მაგრამ სამწუხაროდ, არა ვითარცა გვასწავლიან, ყრმა იყვენით ბოროტისათვის, არამედ ყრმანი, ვითარცა წერილ არს „გამოუცდელნი სარწმუნოებითა“ (2 ტიმ.3.8). ამიტომ, ჩვენთვის ამ საკმილსა

შინა დგომა და მამათა სალოცავის მიმართ ღაღადისი „მამათა ჩვენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ“ შეუძლებელი იყო, რომ არა ზეგარდმო საღმრთო განგება, რომელიც შეატყვევებს საღმრთოთა ნამითა ყოველსა ბრძოლასა და „დაარღვნეს საქმესა ეშმაკისასა“ (1 ინ.3.8)


„განადიდა უფალმან ყოფა მათ-თანა, განადიდა უფალმან ყოფა ჩუენ თანა, და ვიქმნენით ჩუენ სახარულევან“ (125.2.3). გურიაში ყოფნის პერიოდში, მართლაც არ გვტოვებდა ეს სიხარული და იყო იგი სავსებით, რადგან 611 სული ქრისტიანე იშვა საბანელითა მით მეორედ შობისათა, რადგან 611 კაცს შთაენერგა სული იგი ქრისტესი და უწმინდურთაგან ძლეულებს დამაშვრალთ და ტვირთმძიმეთ ნუკეშინის ეცა; „ნათელღებულხართ, განათლებულხართ, მირონცხებულხართ, განწმენდილხართ“, ხოლო მთელს გურიას კი კვლავ ღმრთისშობლის წყალობით ეხარა გიხაროდენი.

ვითარცა გვიბრძანა ღმერთმა, წარვედით და შეძლებისამებრ მოვიმოწაფეთ წარმართნი გურიასა შინა და „ნათელვსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ხოლო სწავლება იმისა, თუ რა გვამცნო განკაცებულმა ლოგოსმა აღსაშენებ-

ლად „სიტყუანი იგი ცხოვრებისანი“ ამ მცირე პერიოდის განმავლობაში ვერ მივაწოდეთ ჩვენს ნათლელებს (სოფელი მამა არჩილსა და პეტრე-პავლეს ეკლესიის მრევლს თვლიდა თავის ნათლიად). ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ყრმათა ჯერ არს რძით კვება და არა მტკიცეთა საზრდელითა, სწავლება მათი კი თავად ქრისტემ გვიბრძანა: „და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ“ (მთ.28.20) ამიტომ ვევედროთ მარადის ჩვენთან მყოფ უფალს, რათა გვახილვოს გურიაში ეკლესიათა გახსნა, რომ ეკლესიის გზით განისწავლებოდნენ და განნათლებოდნენ სიკვდილთა აჩრდილთაგან გამოტაცებული სულნი. ღმრთის წყალობით, საამისო სურვილი მრავლად გამოითქვა, სადაც განმრავლდეს ცოდვა, მუნ მადლმა გარდაამეტოს.

პირითა წინასწარმეტყველისაჲთა იტყვის უფალი ცისა და ქვეყნისა, ღმერთი ნინოსი: „ყოველსა ქვეყანასა, და ყოველსა ზედა და ნათესავსა მოვიგე, ამისა შემდგომად განსასვენებელსა ვეძიებდ, ვისსა განვისუენო“? (სიბრძნე სოლომონ. 14. მცხეთ. ხელნაწერი გვ.60).

მართლაც, ვისსა განისვენოს?



ღმერთო, მამული უცოცხლე



და, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი.

ილია

„ილია ჭავჭავაძის იდე-
ები უკვდავია, ვინაიდან ის
გვიქადაგებს ისეთ წარუვალ
ღირებულებებს, როგორცაა
ღმერთისა და მოყვასის სიყ-
ვარული, ზნეობა, პიროვნუ-
ლი და ეროვნული თავისუფ-
ლება, სიკეთე, სამართლია-
ნობა, პატრიოტიზმი, ჰუმან-
იზმი. ამიტომ ისინი აქტუ-
ალური არიან ყოველთვის
და არა მარტო ახლანდელ
პოლიტიკურ სიტუაციაში.
მე ხშირად ვაძლევ ინტერვი-
უს დასავლეთის კორესპონ-
დენტებს, რომლებმაც უმე-
ტეს შემთხვევაში, ძალზე
ცოტა რამ იციან ილია ჭავ-
ჭავაძეზე და აინტერესებთ,
რატომ ატარებს ჩვენი საზო-
გადოება მის სახელს. მე ვუ-
ხსნი მათ, რომ ქართველი
ადამიანის შეგნებაში ეროვნ-
ული დამოუკიდებლობის
იდეა უშუალოდ არის დაკავ-
შირებული ილია ჭავჭავაძის
სახელთან. „ჩვენი თავი ჩვე-
ნადვე გვეყუდნოდეს“ —
ილია ჭავჭავაძის ეს მოწო-
დება, დღეს, უეჭველად, ყვე-
ლაზე აქტუალურია.“

ზურაბ ჭავჭავაძე

SUMMARY

jvari Vazisa"
(The Cross of Vine)

On the initiative of Georgian Patriarchate and United Biblical Society, the international symposium on the linguistic problems of Bible translation was held in Tbilisi, from 26th to 30th of June, 1989. In this connection the journal publishes the salutatory speech of his Holiness and Beatitude Ilia II.

The great feast dedicated to Arrival of the icon of The Most Holy Mother of Iberon (the copy made in the Monastery of Iberon) in Tbilisi, was celebrated in the Georgian Orthodox Church. Bishop Zosime, the immediate participant in the process of arrival, tells us about that joyful fact. The greatest and strangest miracle is taking place in the Russian Orthodox Church abroad—the Holy Mirah is coming down from the icon of the Most Holy Mother of Iberon. The interview with Jozeph Munie, living in Canada, is connected with that new miracle of the icon of the Most Holy Mother of Iberon.

The journal publishes the second part of Origue's explanation of 'SONG of SONGS', by Solomon, as well as the continuation of the works by Simon the New Theologian and Rev. Alexander Elchaninov. The article dedicated to the lives of old Christians is finished up in this issue of the journal.

We also get acquainted with the article written by the archpriest John Meindorf, the participant in the third international consultation of SYNDESMOS. The article entitled 'Theological education in Patrist and Byzantine Epochs and Its Lessons to the Present Days'.

The journal offers us 50 rules for parish, collected by the archpriest Archil Mindaishvili from Church Fathers.

'Letters To the Laymen' (letter No 28 and 54) by St. Bishop Egnatius (Brychaninov), contains very significant suggestions and rules.

The journal also publishes two preachings by the priest Paul Razikashvili (father of Vazha Pshavela), which shows very brightly the environment in which the great Georgian poet was brought up.

His creation is full of religious aspiration. Here we can be acquainted with the preaching by Bishop Zosime; „But whoever holds out to the end will be saved“ (Mathew 24:13).

Bishop Annanya deals with questions of the ethnogenesis of Abkhazs and Abazgs in the article 'The Name of Queen Tamara's Son'.

In the article „You Are the Vineyard“, Revaz Syradze explains the religious essence of the song very convincingly.

The mercy of St. Nino's Cross, the adoration for the way passed by St. Nino made it necessary to make for Achara, Guria and Khevi. The articles by Eka Jikia, Martha Tartarashvili and Sophio Lobzhanidze deal with the ceremonies of christening which had been conducted there.

The translation and commentaries on „The Epistle to Diognestus“, which is one of the greatest monuments, is represented by Edisher Chelidze.

The article dedicated to the life and activities of the honoured spiritual person, is printed in the journal to commemorate the 100 th birth anniversary and the 20 th anniversary from the death of Metropolitan Naom.

„Prise of the Alphabet“ written in the last century, bases on the canonical text of the Bible, and increases the perceptive importance of that interesting genre.

The verses by the poet Mamuka Salukvadze base on the process of conversion of Kartly by St. Nino, which is described by Leonty Mroveli.

The journal comments on the death of the Georgian patriots — Merab Kostava and Zurab Chavchavadze with deep regret and heart-ache.

The journal represents the photographic chronicle, which reflects the missionary activities of his holiness and Beatitude, catholicos-patriarch of All Georgia Ilia II in Samegrelo, Guria and Khevi.

РЕЗЮМЕ

ДЖВАРИ ВАЗИСА
(КРЕСТ ИЗ ЛОЗЫ ВИНГРАДНОЙ)

С 26 по 30 июня текущего года, по инициативе Грузинской Патриархии и объединенных обществ библии, в Тбилиси проходил Международный симпозиум, посвященный лингвистическим проблемам перевода текста Библии. В связи с этим журнал публикует приветствие католикоса-патриарха всея Грузии, Святейшего и Блаженнейшего Илии II.

Торжественно отметила Грузинская православная церковь перенесение иконы Иверской богородицы в Тбилиси (копия иконы выполнена в Иверском монастыре, на Афонской горе). Об этом мы беседуем с непосредственным участником этого достопримечательного события епископом Зосиме (Шиошвили).

С иконой Иверской Богородицы связано еще одно знаменательное событие, совершающееся в Канаде. С лика Богородицы стекает миро. Об этом поведал в интервью Иосиф Муниес.

Журнал публикует вторую часть толкования «Песни песней» Оригена, а также «Деятельные и богословские главы» Симеона Нового богослова и продолжение дневниковых записей отца Александра /Елчанинова/.

В журнале заканчивается публикация статьи, посвященной жизни древних христиан. Здесь же знакомимся со статьей участника Третьей международной синдесмосской консультации, посвященной богословскому образованию, протоиерея Иоанна Мейндорфа: «Богословское образование в патристические и византийские эпохи и его уроки для нашего времени».

Журнал предлагает 50 советов для церковной паствы, извлеченных из назиданий святых отцов протоиереем Арчилом Миндашвили.

Несомненный интерес читателя вызовет «Письма к мирянам» /№ 28, № 54/ Св. отца епископа Игнатия /Брянчаннова/. Журнал публикует две проповеди священника Павла Разика-

швили /отца великого Важа-Пшавелы/, в которых наглядно вырисовывается та христианская среда, в которой воспитывался классик грузинской литературы. Здесь же мы знакомимся с проповедью епископа Зосиме: «Претерпевший же до конца, спасется» /От Матфея, 24,13./.

Очерк епископа Анания /Джапаридзе/ — Об имени сына царицы Тамар, — касается вопроса этногенеза абхазцев, т. е. абастов. В статье проф. Р. Сирадзе сделана убедительная попытка разъяснения религиозного содержания песнопения «Ты — лоза виноградная».

Благодать св. Нины сопутствовала массовым крещением в Гурии, Раче и Хевии. О своих впечатлениях рассказывают нам Эка Джикия, Марта Тартарашвили и Софья Лобзанидзе.

«Послание к Диогнесту» один из значительных памятников христианской литературы — представлен в переводе и с комментариями Эдишера Челидзе.

Журнал печатает статью о жизни и деятельности митрополита Наома приуроченную 100 летию со дня рождения и 20-летию со дня кончины.

Созданная в прошлом столетии «Хвала азбуки» священника Николая Инцкирвели, основана на каноническом тексте Библии, что еще более ярко высвечивает познавательное значение этого поэтического произведения.

Стихи поэта Мамуки Салуквадзе навеяны описанием Леонтия Мровели /VIII в./ обращение Картли Святой Ниной.

Журнал отдает дань памяти выдающихся сынов грузинского народа Мераба Костава и Зураба Чавчавадзе.

В номере представлена фотолетопись, воспроизводящая миссионерскую деятельность католикоса-патриарха всея Грузии Святейшего и блаженнейшего Илии II в разных уголках Грузии.

შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სიტყვა წარმოთქმული ბიბლიის ტექსტის თარგმნის პრობლემატიკაში მიძღვნილ სამართაშორისო ღონისძიებებზე 3

მართლმადიდებლობის ცხოვრებადგან 4

წილენელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შოთაშვილი). გიხაროდნენ, სახიერო მშობრე 4

ივერიის ღვთისმშობლის ხატიდან გირენი მიმდინება 7

დეკანოზი იოანე შეიენდორფი. საღვთისმეტყველო განათლება კატრისტულ და ბიზანტიურ ლიტერატურაში და მისი გაკვეთილები ჩვენი დროისათვის 51

იზარდულოდი სიტყვითა სარწმუნოებისათა 26

ღარიგებანი საქალესიო გრეკლისათვის 26

მამა აღქსანდრე (ელჩანინოვი). საღვთო რწმუნება 60

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი). წერილები ერისკაცთა მიმართ 63

სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. საღვთისმეტყველო და სამოღვაწეო თაყვანი 67

ედისერ ტელიძე. ეპისტოლე დიოგენესსადმი 71

ეპისტოლე დიოგენესსადმი 73

ძალაგებები 78

წილენელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შოთაშვილი). რწმუნებანი დამთავრების სრულიად, იგი ცხოვრება 78

მღვდელი პავლე რაზიკაშვილი. ღარიგება. მოძღვრება 59

ღვთისმეტყველება 13

ორიგენე. ძალაგებანი მებათა მებაზე 56

რევაზ სირაძე. შინ ხარ მინანი 31

ეკლესიის ისტორია 31

ძველ ქრისტიანთა ცხოვრება 82

გიტროპოლიტი ნაოში 82

უბალოგადი უფალსა გალოგითა ახლითა 6

თამარ ჩაჩიბაია. რათა შევიწყნაროთ 79

წმიდა გიორგის ტროკარი 23

წმიდა ხარ 24

პოეზია 41

მაშუკა სალუქვაძე. ღმრთობა 41

მღვდელი ნიკოლოზ ინჭიერელი. ანბანთმწიფა 43

ერი და ეკლესია 70

ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). თამარ დედოფლის ვაჟის სახელი 94

მერაბ კოსტავა 94

ზურაბ ტავადაძე 88

წარვედით და მოიმოწყავენით 90

მართა ტარტარაშვილი. გზა სტაჟანწმინდისაკენ 91

სოფიო ლობჯანიძე. სტუმრად ზამთრ რაზაში 95

ეკა ჯიქია. გურიაში 95

რეზდუმი ინგლისურ მნაზე 95

რეზდუმი რუსულ მნაზე 95

ბარეგანა:

- I გვ. — წმიდა ნიკოლოზი
- შოთაშვილი, მე-17 ს. II ნახ.
- IV გვ. — ლავრაშის აღდგენება
- მე-12 ს. მინანქარი

ДЖВАРИ ВАЗИСА
(Крест из лозы виноградной)

4 (28). 1989 г.
Грузинская Патриархия
Тбилиси, ул. Сиони № 4
ТП АН ГССР, Тбилиси, ул. Кутузова 19

ჯვარი ვაზისა
N4 (28), 1989
საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შოთაშვილი)

რედაქტორი
დეკანოზი **არჩილ მინდიაშვილი**

რედაქციის მისამართი:
საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, სიონის ქ. №4. ტელ. 72-04-53
დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სტამბაში
თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. №19

ემკვნება ქართველი პატრიოტის, მირაბ კოსტავას ხსოვნას

რასალა ჰყოენი, ლაზარე, მეგობარი შენი. მდგომარე
გიწოდს, განვედ უკუე, რათა განვისვენო, რამეთუ შენ რა
გშთანგთქ, წვევა მეწია და კვალად ვერღარა განვისუნე,
ეტყოდა ჯოჯონეთი ლაზარეს.

მარხვანი.

ქრისტეს დედულეთო,
ღვთისშობლის სამზითვო
ზეციურ სიძეზე დასაწინდად,
ჩემო სანატრელო,
ჩემო სასურველო,
საყვარელო ჩემო, საქართველოვ,
რაკი გავიმრავლა მტერი და ღუშმანი,
მოახლოვდა შენი განდიდება.
უფლის მეგობარო, მართალო ლაზარევ,
შეგკყარა მძიმე სნეულება;
ხელ-ფეხ შეკრული და სახეზე სუდართ
დაიდები მალე აკლდამაში.
ლოდით დაგვიხშობენ შენთან შემოსასვლელს
შენთა დათ — მართას და მარიამს.
მაინც დაგიტირებთ კართან შევრდომილნი:
ლაზარე, ჩემო საქართველოვ...
იესოც იტირებს და აგვიცრემლდება,
რამეთუ ვუყვარვართ ძალიან;
უდაბნოს დატოვებს და შენ მოგაშურებს;
სიკვილის აჩრდილებს გაგყაროს.
ჩვენ გამოვიცდებით, მართა და მარიამ,
გვაქსა-და რწმენა თუ დაგკარგეთ?
და შერე ილოცებს ხმამაღლა:
მამაო, გმადლობ შენ,
რამეთუ
ისმინე ჩემი
და ვიცოდი,
მარადის ისმენდი შენი ძის...
შემდეგ კი მოგმართავს ტკბილი ხმით:
ლაზარე, გამოვედ გადარჩი!
დამთავრდა გოლგოთის ბილიკი,
მოგზადე მე ეკლის ტიარა,
ვიწამე, ღირსი ხარ ცხონების,
მისთვისაც გარგუნე ღვთისშობელს.
დასრულდა ამ სოფლის ტრიალი,
შესაქმის ბორბალიც გაჩერდა,
დაიწვა და ცეცხლში გადადნა,
რომ შეეკმნა ახალი ცაჲ. და
ახალი დავბადო ქვეყანა;
სად ერთად მოსძოვენ მგელი და
ცხოვარი, სამწყსოსა ჩემისა.

წინა დღე მართალი ლაზარეს ნაწილთა აღმოგვანებისა
(29.X.1989)

